# კვირის პალიტრა
## ყოველკვირეული გაზეთი

№37 (602) ◆ 11 – 17 სექტემბერი. 2006 წ. ◆ ფასი 60 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „არა მგონია, ამ საქმეში პუტინი ერიოს“



„შესაძლოა, ოჯახში ფინანსურად გაუჭირდა და ამან დააყენა გიორგაძის მომხრეთა გვერდით“

**„ირინა გიას სიკვდილის შემდეგ კალაპოტიდან ამოვარდა“**

ბადრი პატარკაციშვილი არ დათანხმდება, თორემ იდეალური მერი იქნებოდა, – ფულიც ბევრი აქვს და გამოცდილებაც. ქალაქშიც ბევრი რამ გააკეთა. ჭკვიანი კაცია, საქმე არ ეშლება. რუსები დაჭერას უპირებდნენ და მე ჩამოვიყვანე აქ. პუტინისთვის არ დამიმალავს, ვუთხარი, თქვენი ერთი ბიზნესმენი საქართველოს მოქალაქე გახდა და ველარ დაიჭერთმეთქი. ბერეზოვსკი ეგონა, არა, მისი მეგობარია-მეთქი. ბადრიო? – თვითონ მკითხა. მეტს აღარ ჩამძიებია...

გვ.7

## „ამ არჩევნებში მე გავიმარჯვებ, იმიტომ, რომ ხალხი გაიმარჯვებს“



„იმ ფირმებს, რომლებიც მერიასთან არ არიან შეკრული, გასაქანს არ აძლევენ“ გვ.6

„ადამიანებს ეშინიათ „კრიშის“ გარეშე საქმეში ფულის ჩადება“

## ანტიკრიმინალური სპეცოპერაცია ფართომასშტაბიანი ომის სანაცვლოდ



*სამხედრო თემაზე:*

**რას უნდა ველოდოთ ცხინვალის რეგიონში**

სეპარატისტები შეეცდებიან ქართულ სოფლებში შესვლას...

გვ.5,8

## „ვიფუსფუსებთ, მა რას ვიზამთ, ამდენი გენერლი ხელში“



გვ.11,15

იგრე კარგი კი იქნებოდა, ერთხელ გლეხი გენერალი გამხდარიყო და მთავრობაი „სალდათათ“ ემსახურა... ცისკარიშვილის პოლკოვნიკობა ამინდსაც დაეტყო, ამდენ ხანს დაგვახმო და ახლა კიდენა ცამ კარი გახსნა... იკადრა, წვიმა მოიდა... ტრაქტორებიც რო გვაჩუქეი! ჩვენ სოფელ პატარა ტრაქტორი შახვდა. ნაწილებ თუ გამააყოლებენ, რო ვამუშაოთ, ხო კარგი, მაგაი რა ჯობია...

...სესხს ვინ მამცემს, ვენახი რო 300-ლარიან ხელფასის ცნობაი არ იძლევა?!

**„კვირის პალიტრა“ შეისყიდის 10 ტონა ყურძენს!**

## „გალში მოღალატე კირთაძე დათარეშობს“

**„ნიშანს აძლევს აფხაზებს, როდის უნდა დაესხნენ თავს ქართველებს“** გვ.12

ახალგაზრდები დახურულ „ურალებში“ შეყარეს და გალიდან გუდაუთაში გადაიყვანეს...

**არაადამიანური ყოფა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე(!)**

## ვერ გამიგია, რისთვის „დამინდეს“

გვ.7



## ჩემი „რუსთავი 2“ ჩემთან ერთად წამოვიდა...

**„არ მინდოდა, ვინმეს ეთქვა, კომპრომეტირებულ არხზე მუშაობსო“**

...არასოდეს დამავიწყდება დიმა ობოლაძის ცრემლები...

გვ.4,6



**ეკონომიკა:** გაზზე ფასი სავარაუდოდ 2007 წლიდან გაორმაგდება

**ბანკის კრედიტებითა და განვადებით სარგებლობა ძვირი ჯდება** გვ.27

## „ალდაგი“

**ქართული სადაზღვევო ბაზრის სტაბილური ლიდერია** გვ.8 R

კიევში სამივე სტანდარტულიდან გაგვიტანეს, გამოცდილი გოლკიპერი სამიდან ორში მაინც სწორედ მეკარეზე თავდასხმას „წამოიკიდებდა“ და ამით დასრულდებოდა მეტოქის იერიშები... გვ.38




**ბიძინა ივანიშვილი აგრესიულ ძალადობას არ შეეგუება** გვ.6 R

**გამომცემლობა „დიოგენეს“ ახალი სახელმძღვანელოები VII და X კლასებისთვის** გვ.14,19 R

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

## მიხეილ სააკაშვილი პრემიით დააჯილდოეს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „2005 წლის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ადამიანის“ პრემიით დააჯილდოეს. პოლონეთის პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საქართველოს პრეზიდენტს ჯილდო სამოქალაქო პოზიციისა და აღმოსავლეთ ევროპის ტრანსფორმაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მიენიჭა.

საქართველოს პრეზიდენტს პრემია კრინიცის მეთექვსმეტე საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე გადასცეს, რომლის მუშაობაში მიხეილ სააკაშვილიც მონაწილეობდა.

## დაკავებულებს ბრალად სამშობლოს ღალატი ედებათ

თბილისის პროკურორის გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, ამბოხებაში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებულ 13 პირს ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით. ესენი არიან: მაია ნიკოლეიშვილი, თემურ ჟორჟოლიანი, გურამ პაპუკაშვილი, მაია თოფურია, ვახტანგ ტალახაძე, კახა ქანთარია, გიორგი მეტრეველი, რევაზ ბულია, იაკობ კვინიკაძე, ზაზა დავითაია, ვარლამ გალდავა, რამაზ სამნიძე და გიორგი ახობაძე. კახა ქანთარიას ბრალს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვაშიც წაუყენებენ.

როგორც გიორგი ღვინიაშვილმა განაცხადა, დაკავებულთა პატიმრობა გამყარებულია დოკუმენტური მასალებით, მოწმეთა ჩვენებებითა და იმ მტკიცებულებებით, რაც საქმეშია. მოგვიანებით სასამართლო პროცესზე მაია ნიკოლეიშვილმა შეთქმულებაში მონაწილეობა აღიარა და დაასახელა შეთქმულების მონაწილე კიდევ ორი პირი — ირინა სარიშვილი და ელიზბარ ჯაველიძე.

უკანასკნელი ინფორმაციით, შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ ქვეყნის ხელმძღვანელი პირების, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ლიკვიდაცია და მათ დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების პარალიზება.

## მაია ნიკოლეიშვილი: „ძალიან გთხოვთ, ნუ მალაპარაკებთ“...



რამდენიმე დღის წინ დაპატიმრებულ იგორ გიორგაძის მომხრეთაგან მხოლოდ მაია ნიკოლეიშვილი გაათავისუფლეს სასამართლო დარბაზიდან. მან დანაშაული აღიარა.

ნიკოლეიშვილი სასამართლომ გირაოს, 10 ათასი ლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლა. ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივია, ბევრს აინტერესებდა ექსპერტის აზრი მიმდინარე მოვლენებზე.

საზოგადოებაში სხვადასხვა ვერსია ვრცელდება. ერთ-ერთის თანახმად, ხელისუფლებასთან იმთავითვე თანამშრომლობდა მაია ნიკოლეიშვილი, მეორე ვერსიით კი ირინა სარიშვილი.

რამდენიმე ბუნდოვანი საკითხისთვის ნათელი რომ მოგვეფინა, მაია ნიკოლეიშვილს დავუკავშირდით. ერთ დროს გაბედული და სიმართლისთვის თავდაუზოგავად მებრძოლი ექსპერტი ფრიად შეშფოთებული და დაბნეული გვეჩვენა:

— *ქალბატონო მაია, „კვირის პალიტრა“ გაწუხებთ...*

— ძალიან გთხოვთ... ვერავისთან ვერ გავაკეთებ კომენტარს... ძალიან გთხოვთ, ნუ მალაპარაკებთ...

— *რატომ, ქალბატონო მაია, აგიკრძალეს?*

— ვერც მაგ კითხვაზე გაგცემთ პასუხს, არ შემიძლია, დიდი ბოდიში...

ასე დასრულდა ჩვენი საუბარი მაია ნიკოლეიშვილთან. ერთ კითხვაზე პასუხი მაინც არსებობს: როგორც ჩანს, მას პრესის წარმომადგენლებთან საუბარი ეკრძალება და ეტყობა, კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს დუმილის უფლებას.

## ირინა სარიშვილი შეთქმულების არსებობას უარყოფს



ირინა სარიშვილი კატეგორიულად უარყოფს მაია ნიკოლეიშვილის აღიარებაში მოყვანილ ფაქტებს და აცხადებს, რომ 4 მაისს შეხვედრა არ შემდგარა და შესაბამისად, მას ვერავინ დაესწრებოდა. „თუკი სამართალდამცველები დარწმუნებული არიან, რომ მე და ჯაველიძე შეხვედრას ვესწრებოდით, ჩვენ მიმართ სისხლის სამართლის საქმე რატომ არ აღძრეს? — სვამს კითხვას სარიშვილი, — მეც და ელიზბარ ჯაველიძეც ახლა დაპატიმრებული უნდა ვიყოთ, რადგან თუ შეხვედრას ვესწრებოდით, ამბოხებაში მონაწილეობაში უარის შემთხვევაშიც კი ჩვენ დამნაშავეებად ვითვლებით, რადგან ვალდებული ვიყავით გვეცნობებინა სახელმწიფო ორგანოებისათვის მოსალოდნელი ამბოხების შესახებ. დარწმუნებული ვარ, ჩემს დაკავებას ისინი მოგვიანებით, სხვა მსხვილ ფიგურებთან ერთად აპირებენ. ამავე დროს მაქვს ინფორმაცია, რომ მიმზადებენ ავტოკატასტროფას და ეს ამბავი შიდაპარტიულ გარჩევებს უნდა დაპბრალდეს“, — განაცხადა სარიშვილმა.

## ინციდენტს მსხვერპლი მოჰყვა

ოსურმა მხარემ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ ნიქოზთან ახლოს, ცეცხლი გაუხსნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების შიდა ქართლის სამმართველოს იმ თანამშრომლებს, რომლებიც ნიქოზთან ახლოს შემოვლას აწარმოებდნენ. სროლის შედეგად საგანგებო დავალებათა შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომელი მალხაზ კომახიძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. ორმხრივი სროლისას ასევე დაიღუპა სამი ოსი თავდამსხმელი. ნიქოზში მომხდარ ინციდენტს გაგრძელება მოჰყვა. ცხინვალის საზღვართან არსებული პოზიციებიდან შეიარაღებულმა ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გახსნეს. ერგნეთის საგუშაგოსა და სოფლის მიმართულებით სროლა ათ წუთზე მეტხანს გრძელდებოდა. ტყვიამფრქვევისა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიებმა გარდა შენობების ფასადებისა, საცხოვრებელ სახლებშიც შეაღწია. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ვარაუდობს, თავდამსხმელები ნაღმსატყორცნიდანაც ისროდნენ. არ გამორიცხავენ, რომ უახლოეს დღეებში მსგავსი თავდასხმები კვლავ განმეორდეს.

## „რუსეთის სპეცსამსახურებს სერიოზული დარტყმა მიაყენეს“



საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, კოტე გაბაშვილის განცხადებით, სპეცოპერაციით, რომლითაც იგორ გიორგაძის 29 მომხრე აიყვანეს, რუსეთის სამხედრო სპეცსამსახურებს სერიოზული დარტყმა მიაყენეს და ჩაუშალეს ის გეგმა, რომელსაც ისინი სახელმწიფო გადატრიალების მიზნით ამზადებდნენ. მისი თქმით, რუსეთი გალიზიანებულია, სპეცოპერაციის შემდეგ გაკეთებული ყველა განცხადება ამას ადასტურებს.

კომიტეტის თავმჯდომარე გამოეხმაურა რუსეთის რეაქციას თავდაცვის მინისტრის ვერტმფრენისთვის ცეცხლის გახსნის თაობაზეც: „რუსეთის ბრალდება, რომ ირაკლი ოქრუაშვილი დაცხრილულ ვერტმფრენში არ იჯდა, სიცრუეა. ეს არის დადასტურებული ფაქტი. მინისტრის ვერტმფრენს საჰაერო სივრცე არ დაურღვევია, — ის მიფრინავდა მტკვრის ხეობით და ღრუბლიანობის გამო დაახლოებით 100 მეტრით მიუახლოვდა ცხინვალის რეგიონს. ოსურ ბანდფორმირებებს კი ვერტმფრენისთვის ცეცხლის გახსნის უფლება არ ჰქონდათ“, — აცხადებს გაბაშვილი.

## შალვა ნათელაშვილი დაკავებულებს „სააკაშვილის რეჟიმის პატიმრებს“ უწოდებს

შალვა ნათელაშვილი კატეგორიულად გმობს იგორ გიორგაძის მომხრეების დაპატიმრებას და მათ რეჟიმის პატიმრებს უწოდებს. „ყველანი სააკაშვილის რეჟიმისა და რეპრესიების პატიმრები არიან. სააკაშვილს, რომელიც თავის დროზე რუსეთიდან ფინანსდებოდა, მოეჩვენა, რომ იმავე მეთოდით მის ჩამოგდებას აპირებენ“, — განაცხადა ნათელაშვილმა. ამასთან, მან დაასახელა ის პირები, რომლებიც, მისი ინფორმაციით, სააკაშვილს აფინანსებდნენ და ამას დღესაც აგრძელებენ. „ესენი არიან: „კოკა-კოლას“ პრეზიდენტი ჭყონია, კახა ბენდუქიძე, ბიძინა ივანიშვილი, ზურაბ წერეთელი“. მისი თქმით, სააკაშვილმა რუსეთის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით 3 მილიონი დოლარი მიიღო. ლეიბორისტები მოითხოვენ იმ ჩამონათვალის გამოქვეყნებას, რომელშიც ხელისუფლების დაფინანსების წყაროები და თანხები იქნება მითითებული.

## ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია შეიცვალა

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ნიკა რურუას განცხადებით, საქართველოში შექმნილი რთული სიტუაციის გამო, საქართველოს პრეზიდენტისა და თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ცვლილება შევიდა და საქართველო ტერიტორიული თავდაცვის პრინციპიდან ტოტალური თავდაცვის პრინციპზე გადავიდა.

ნიკა რურუას განმარტებით, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველომ თავისი ტერიტორიული მთლიანობა გარე აგრესიისგან უნდა დაიცვას. ეს არის გამოცდილი მეთოდი, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანა იყენებს.

## იგორ გიორგაძე თანაპარტიელთა დაკავებას გამოეხმაურა



„პარტია „სამართლიანობის“ წევრების დაკავება 5 ოქტომბრისთვის დაგეგმილი ადგილობრივი არჩევნებისთვის მოსახლეობის დაშინებას ისახავს მიზნად“, — განაცხადა პარტიის ლიდერმა იგორ გიორგაძემ რუსული ტელეკომპანია „ვესტის“ ეთერში.

„საქართველოს მოსახლეობა უახლოესი არჩევნებისთვის რეპრესიებს ელოდებოდა, მაგრამ ის, რასაც ხელისუფლება ახლა სჩადის, ყველაზე ტრაგიკულ მოლოდინსაც აჭარბებს“, — განაცხადა უშიშროების ექსხელმძღვანელმა. მან საქართველოში განვითარებული მოვლენები 1995 წლის რეალობას შეადარა. მისი თქმით, ედუარდ შევარდნაძეზე ე. წ. ტერორისტული აქტი სწორედ არჩევნების წინ „მოაწყვეს“.

„დასავლეთისთვის საქართველოში განხორციელებული დაპატიმრებები არ არის საინტერესო, ჩვენთვის კი ტრაგედიაა, რომ საქართველოში დღეს ფაშისტური რეჟიმია დამყარებული“, — განაცხადა გიორგაძემ.

## „გიორგაძის სატელიტ ორგანიზაციებს საქართველოს მტრები აფინანსებდნენ“



პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, რომ საქართველოში იგორ გიორგაძის სატელიტი ორგანიზაციებისთვის ფული რუსეთიდან ჩემოდნებით ჩამოჰქონდათ. მისი თქმით, არსებობს ინფორმაცია, რომ ამაში რუსეთის სპეცსამსახურების ხელი ურევია.

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური კი ხელისუფლებას იგორ გიორგაძის მომხრეების მასობრივი დაპატიმრების შესახებ მასალების გამოქვეყნებას სთხოვს.

მისი თქმით, ხელისუფლებას არაერთხელ დაუპატიმრებია პოლიტიკური ოპონენტები მტკიცებულებების გარეშე, „მაგრამ ახლა ხელისუფლებას მოუწევს გამოაქვეყნოს ყველა ის კონკრეტული მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც იგორ გიორგაძის მომხრეები აიყვანა“, — განაცხადა ძიძიგურმა. მისი თქმით, თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია მოქმედებს ანტიკონსტიტუციურად და სხვა სახელმწიფოს ფულით საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ ამზადებს შეთქმულებას ან სახელმწიფო გადატრიალებას, ის კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს.

## გიორგაძის თანამებრძოლი „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის აფეთქებას ცდილობდა

ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა დააკავეს ალექსანდრე ჭუმბურიძე, რომელსაც ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური ოფისის აფეთქების მცდელობა ედება ბრალად.

შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის განცხადებით, მათ ინფორმაცია ჰქონდათ, რომ ალექსანდრე ჭუმბურიძე ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ოფისის აფეთქებას გეგმავდა. ჭუმბურიძე ადგილზე დააკავეს, მას 400 გრამი ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილი აღმოაჩნდა. ალექსანდრე ჭუმბურიძე იგორ გიორგაძის მინისტრობის დროს უშიშროების სამინისტროში ანტიტერორისტული სამსახურის თანამშრომელი იყო, ბოლო პერიოდში კი პარტია „სამართლიანობისა“ და კომუნისტური პარტიის აქტივისტი *(ვრცლად იხ. გვ.8)*.

(ვრცლად იხ. გვ.8)

## სასწრაფო ოპერაციებს სახელმწიფო 75%-ით დააფინანსებს



სასწრაფო გადაუდებელი ოპერაციის გაკეთება 10 სექტემბრიდან მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება და სახელმწიფო მას 75%-ით დააფინანსებს.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილის ვახტანგ სურგულაძის განცხადებით, პაციენტები მხოლოდ ოპერაციების ღირებულების 25%-ს გადაიხდიან. ულარიბეს მოსახლეობას, რომელთა რიცხვი 700 ათასს აღემატება, სახელმწიფო სასწრაფო გადაუდებელ ოპერაციებს 100%-ით დაუფინანსებს.

## „დელეგაციის ვერტმფრენისთვის არ უსვრიათ“...

„აშშ-ის სენატის დელეგაციის ვერტმფრენისთვის არ უსვრიათ“, — განაცხადა საქართველოში აშშ-ის საელჩომ.

საელჩოს ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აშშ-ის ფედერალური გამოძიების ბიუროს სრულყოფილმა გამოძიებამ არ დაადასტურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ვერტმფრენს, რომელსაც გადაჰყავდა აშშ-ის სენატის დელეგაცია სენატორ ჯონ მაკკეინის ხელმძღვანელობით, ჭურვი ესროლეს.

„როგორც ჩანს, ჭურვის სამიზნე სხვა ვერტმფრენი იყო, რომელიც თბილისიდან დასავლეთ საქართველოში მიფრინავდა, რათა სენატორების ვერტმფრენს შეერთებოდა“, — ნათქვამია განცხადებაში. ფედერალური გამოძიების ბიუროს წარმომადგენლები საქართველოს მთავრობასთან ინციდენტის გამოძიების დაწყებიდანვე თანამშრომლობენ.

## უმრავლესობა დავით ბერძენიშვილს ბოდიშის მოხდას სთხოვს



საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატებმა ნოდარ გრიგალაშვილმა და გიგა ბოკერიამ ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრ დავით ბერძენიშვილისგან ოფიციალურად ბოდიშის მოხდა მოითხოვეს. მათ განაცხადეს, რომ ბერძენიშვილმა შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება იმ განცხადებებით, რომელიც მან სადეპუტატო უფლებამოსილების მოხსნის თაობაზე წინასაარჩევნოდ გააკეთა.

როგორც „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას კობა დავითაშვილმა განაცხადა, დავით ბერძენიშვილს ბათუმის მერობისთვის ბრძოლაში დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნას კანონი არ სთხოვს. ამის გაკეთება მხოლოდ თბილისის მერობის მსურველისთვის არის სავალდებულო. ნოდარ გრიგალაშვილი მოითხოვს, „ბერძენიშვილმა ან მიმართოს პარლამენტს განცხადებით და სადეპუტატო უფლებამოსილება ვადაზე ადრე მოიხსნას, ან ბოდიში მოუხადოს საზოგადოებას და თავზე ნაცარი წაიყაროს“.

## თბილისის პოლიციას ახალი შეფი ჰყავს

თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი მერაბ ბალათურია ირაკლი ქადაგიძემ შეცვალა. ირაკლი ქადაგიძე აქამდე კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა.

ჯერჯერობით არ კონკრეტდება, რა გახდა თბილისის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსის, მერაბ ბალათურიას მიერ თანამდებობის დატოვების მიზეზი.

## რადიო „იმედის“ კორესპონდენტი პოლიციას ადანაშაულებს

რადიო „იმედის“ სამეგრელოს რეგიონული კორესპონდენტი ნანა ფაჟავა პოლიციას მიზანმიმართულ დევნაში ადანაშაულებს. ჟურნალისტის თქმით, ზუგდიდის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთი გარე მოვაჭრის დაკავებას შეესწრო, ინციდენტის გადაღება ჟურნალისტმა მობილური ტელეფონით სცადა.

„ამ დროს ვიღაც უცნობი მომიახლოვდა, ტელეფონი ხელიდან გამომგლიჯა, სახეში გამარტყა და სიტყვიერი შეურაცხყოფაც მომაყენა. რომ შევეწინააღმდეგე, განაცხადა, პოლიციელი ვარო. ხალხის წინააღმდეგობის მიუხედავად, ავტომანქანაში ჩემს ჩასმას შეეცადნენ. მერე კი სამოქალაქოტანსაცმლიანმა პოლიციელმა ჩემი ტელეფონიდან ის კადრები ამოშალა, რისი გადაღებაც მოვახერხე“, — განაცხადა ფაჟავამ. ჟურნალისტი წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციის დაუმორჩილებლობაში დაადანაშაულეს.

რადიო „იმედის“ კორესპონდენტი მომავალში მის წინააღმდეგ რაიმე პროვოკაციასაც არ გამორიცხავს.

## ზურაბ ხომასურიძემ ბათუმიდან ფოთამდე გაცურა

თავისუფალი სტილით ცურვაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს ზურაბ ხომასურიძეს ქართული ფილმის „მოცურავის“ ნახვის შემდეგ ბათუმიდან ფოთამდე გაცურვის იდეა დაებადა. 26 წლის მოცურავემ ჩანაფიქრს ხორცი შეასხა, — მან სტარტი ბათუმის შუქურასთან აიღო და 60 კილომეტრის დაფარვას, ანუ ფოთის შუქურამდე ცურვით მისვლას, 18 საათი მოანდომა.

# ნუ გვეგონება, რომ ჩვენ დღეს შეცდომების დაშვების უფლება გვაქვს



## თბილისში აჰმადინეჯადის ჩამოსვლა ჩვენთვის უაღრესად დიდმნიშვნელოვანია, თუმცა ამავე დოზით საშიშროებასაც შეიცავს

გასული კვირა პოლიტიკურად ერთობ დატვირთული აღმოჩნდა — ჯერ ოსმა სეპარატისტებმა თავდაცვის მინისტრის ვერტმფრენს ცეცხლი გაუხსნეს და თბილისმა ამ ფაქტის პროპაგანდისტულ შერკინებაში გამოყენება სცადა. კანცელარია ტერორისტულ აქტზე ალაპარაკდა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი უცხოეთის საელჩოები და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები მიიწვია და მათ შეფასების გაკეთება სთხოვა. ამავე დღეს ისიც გაახსენდა ვილაცას, რომ ოს სეპარატისტებს იმ ვერტმფრენისთვისაც უსვრიათ, რომელშიც მაკკეინი და პრეზიდენტი სააკაშვილი ისხდნენ... როგორც ჩანს, საერთაშორისო საზოგადოება მორალურად ჯერ კიდევ არ არის მზად, რომ ოს სეპარატისტებს ყური აუწიოს ან ამის უფლება თბილისს მისცეს — ეუთომ მოკრძალებულად განაცხადა, თავისთავად ცუდი ფაქტია, თუმცა ხელშეკრულებას არც თბილისი უნდა არღვევდეს და კონფლიქტურ რეგიონში არ უნდა დაფრინავდესო... ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი განაცხადა, მაგათ სხვა ვერტმფრენს ესროლეს, მაკკეინისთვის სროლა არც უცდიათო...

ალბათ „რთვლის გენერალი" მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ ეყოლება და არც გენერალური პროკურორი ჩაიბარებს სადმე ყურძენს, თუმცა საქართველო ხომ ღვინის სამშობლოა და სხვაგან ასეთი რამ ვერც მოხდებოდა... ისე, რომ ვთქვათ, ალბათ კახელები დიდად ვერც გაიგებდნენ, რა საჭირო იყო საგარეჯოში საცურაო აუზის მოსაწყობად ასიათასობით ლარის დახარჯვა მაშინ, როდესაც სარწყავი სისტემის გაუმართაობის გამო იქვე მდებარე სოფლებს ვაზი უხმებათ, ბანაობა კი იორსა და ალაზანშიც მშვენივრად შეიძლება.

გასულ კვირას კიდევ ერთხელ დამტკიცდა ცნობილი სენტენცია: „რევოლუცია ჭამს საკუთარ შვილებს". „რუსთავი 2"-ზე ნიკა ტაბატაძის წასვლას „კურიერის" ძველი შემადგენლობის წასვლა მოჰყვა. [illegible]

[illegible] **სოსო ცინცაძესთან** [illegible]

**— იგორ გიორგაძის მომხრეთა დაპატიმრებამ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სხვადასხვაგვარი რეზონანსი გამოიწვია** [illegible]

— მაია ნიკოლეიშვილის მიერ გამოცხადებული აღიარებითი ჩვენების შემდეგ ეჭვს ველარ შევიტანთ, რომ ასეთი შეკრება მართლაც გამართულა, სადაც სახელმწიფო გადატრიალებაზე იყო ლაპარაკი. ცხადია, რუსეთს ნამდვილად აძლევს ხელს დღეს საქართველოში წყლის ამღვრევა და ისიც ცხადია, რომ ამას ნებისმიერი გზითა და საშუალებით შეეცდება. [illegible] „Если Георгадзе зайдет в Тбилиси, только на русской броне". [illegible] სოციალურად გაჭირვებული ან უკმაყოფილო ხალხის შემოკრება და მათი გამოსვლების ორგანიზება ევალებოდათ. რასაკვირველია, მოსკოვში იმასაც მშვენივრად აცნობიერებენ, რომ ზემოთ ნახსენებ მიზეზთა გამო რაიმე სერიოზული განვითარება და შედეგი არც ამ გამოსვლას ექნებოდა. თუმცა საერთო, დამძიმებული ფონის პირობებში, შესაძლებელია, ამ გამოსვლებს ერთგვარი ამფეთქებლის, მაპროვოცირებლის როლი შეესრულებინა. პარალელურად, დაიძაბებოდა მოვლენები კონფლიქტურ რეგიონებში, თუნდაც, სერიოზული პროვოკაციის სახით და საქართველოს ხელისუფლებას მინიმუმ ორ ფრონტზე მოუწევდა ბრძოლა...

**— გიორგაძის მომხრეთა დაპატიმრების პარალელურად, ცხინვალში მოვლენები მართლაც დაიძაბა, თბილისში კი ნაციონალური მოძრაობის ოფისთან გიორგაძის ყოფილი თანამშრომელი დააკავეს, რომელიც შენობის აფეთქებას აპირებდა... თუ კვირის ბოლოს განვითარებულ მოვლენებს გადავხედავთ, ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნის გაკეთება შეგვეძლება — ან ქართული სპეცსამსახურები უმოკლეს დროში მნიშვნელოვნად განვითარდა და დაიხვეწა, ან ეს ყველაფერი ნიჭიერი კაცის მიერ დაწერილი ზღაპრებია...**

მაია ნიკოლეიშვილის მიერ გამოცხადებული აღიარებითი ჩვენების შემდეგ ეჭვს ველარ შევიტანთ, რომ ასეთი შეკრება მართლაც გამართულა, სადაც სახელმწიფო გადატრიალებაზე იყო ლაპარაკი. ცხადია, რუსეთს ნამდვილად აძლევს ხელს დღეს საქართველოში წყლის ამღვრევა და ისიც ცხადია, რომ ამას ნებისმიერი გზითა და საშუალებით შეეცდება.

— ჩვენს ხელისუფლებას თუ რაიმე აკლია, სწორედ საკადრო პოლიტიკის სწორი გატარება და ჯანსაღი ბიუროკრატიული სისტემის განვითარებაა. თუმცა, როგორც მოვლენათა ანალიზი გვიჩვენებს, ყველაფერი მთლად ერთი კაცის მოგონილი არ უნდა იყოს — ყველა, ყველა და, ცხინვალელ სეპარატისტებსაც სროლას ხომ არ აიძულებდნენ... უბრალოდ, ეს ყველაფერი რუსეთის დიდი გეგმის ერთი პატარა ნაწილია. შესაძლებელია, მავანმა გვითხრას — თუ საქართველოს ხელისუფლებამ ამ გეგმის შესახებ შეიტყო და თბილისში გამოსვლების ალკვეთა მოასწრო, რუსეთს ცხინვალში პროვოკაციების გაგრძელება რაღაში სჭირდებოდაო... მაგრამ თუ მოსკოვის გენერალიტეტმა მართლაც რაიმე დაგეგმა, სამხედრო მანქანა ისეთი რამ არის, მოვლენები თვითდინებით, ავტომატურ რეჟიმში ვითარდება და მისი ასე უცბად შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა. ფაქტია, რომ იმ ეტაპზე, რა ეტაპზეც ეს შესაძლებელი იყო, ცხინვალში უარი თქვეს პროვოკაციების შემდგომ გაგრძელებაზე და ყველაფერი ორიოდე ლოკალური შეტაკებით შემოიფარგლა. არადა, დღეს, სწორედ ცხინვალის მხრიდან არის სიტუაციის არევა ყველაზე მეტად მომგებიანი, როგორც რუსეთისთვის, ისე ოსი სეპარატისტებისთვის — ახლოვდება სეპარატისტების არჩევნები და როგორც ცნობილია, დაბალი რეიტინგის გამო კოკოითის გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვს. სამაგიეროდ, თუ საქართველოს მხრიდან აგრესიასა და საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში ცხინვალის მართვაზე ლაპარაკის საშუალება ექნება, პატრიოტული მოტივაციის გამო ადგილობრივი მოსახლეობა მას ვერ შეეწინააღმდეგება. ვნახოთ, როგორია მთლიანი სურათი — გავითვალისწინოთ, რომ შეიარაღებისა და ფინანსური რესურსების მხრივ, რუსეთს საქართველოში მანევრირების ბევრად მეტი საშუალება აქვს, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებას. აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი კოდორის მხრიდან სამხედრო წვრთნებს აცხადებს. რატომ მაინცდამაინც კოდორის მხრიდან? — აქამდე ანალოგიური წვრთნები, ტრადიციულად, გალის მხარეს ტარდებოდა ხოლმე. უბრალოდ, ამ ნაბიჯით თბილისს აიძულებენ, კოდორის მიმართულებით მუდმივ დაძაბულობაში იყოს და მოსალოდნელი შემოტევის მოსაგერიებლად სამხედრო კონტინგენტის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ კოდორში დააკავოს. იმის გათვალისწინებით, რომ ზამთრის პერიოდში არათუ სახმელეთო, დანარჩენ საქართველოსა და კოდორს შორის საჰაერო მიმოსვლაც უკიდურესად შეზღუდულია, საჭიროების შემთხვევაში შენაერთებს ამ მხარეს ვერ გადაისვრიან. ამ პერიოდში კოდორის ხეობა სოხუმის მხრიდან უფრო იოლად მისადგომია. მათ მიერ ამ მხარეში წვრთნების გამოცხადება კი თბილისს აიძულებს, შეიარაღებული ნაწილების გარკვეული ოდენობა მუდმივად ადგილზე ჰყავდეს „დაბანდებული". ამავე დროს, იქნებოდა რაიონებიდან ხალხის ჩამოყვანის გზით თბილისში მასობრივი გამოსვლების მოწყობის მცდელობა. შინაგან საქმეთა სამინისტრო შეიარაღებულ პროვოკაციებზეც ლაპარაკობდა, თუმცა ეს უკვე გადაჭარბებულად მეჩვენება — ოცდახუთ ან ოცდაათ ლარად ადამიანს მიტინგზე დააყენებ, მაგრამ ავტომატს ხელში ნამდვილად არ აიღებს, რადგან ასეთ შემთხვევაში მას ხელისუფლების რეაქციის შეეშინდება. თუმცა არეულობების გამოსაწვევად, თუ ამას ორიოდე აფეთქებაც დაერთვებოდა, ასეთი „მშვიდობიანი" მანიფესტაციაც სრულიად საკმარისი იქნებოდა. ასეთ სიტუაციაში, ცხინვალში საბრძოლო მოქმედებების გაშლა საქართველოს ხელისუფლებას სერიოზულ, კრიზისულ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ცხინვალის რეგიონში, მდებარეობისა და ვითარების სპეციფიკურობის გამო, ბრძოლა გაცილებით რთული და სისხლისმღვრელი იქნება, ვიდრე თუნდაც, აფხაზეთში. სამაჩაბლოს ტერიტორიაზე პოზიციური ბრძოლა არ შედგება — აქ ისეა ქართულ-ოსური სოფლები ერთმანეთში შეჭრილ-შემოჭრილი, რომ მებრძოლებს ერთმანეთის თვალებში ჩახედვა მოუწევთ — ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით... შექმნილ ვითარებაში, ნამდვილად არ მესმის, რატომ მიიღეს საქართველოს ხელისუფლებაში თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსის შეცვლის გადაწყვეტილება. ეს ისეთი ვითარებაა, რომ დენთის კასრზე მსხდომნი აფეთქებას ყოველ წუთს უნდა ველოდოთ და მზადყოფნაში ვიყოთ. თან, ჩვენთან ხომ ასეთი წესია დამკვიდრებული — ოთხი კაცის უფროსი რომ იყოს, მის შეცვლას ოთხივეს შეცვლა მოჰყვება. პრაქტიკულად, საომარ ვითარებაში გენერალური შტაბის ახალი უფროსი ახალი შემადგენლობის მოყვანას და საკადრო ცვლილებების განხორციელებას რომ დაიწყებს, წარმომიდგენია, რა მოხდება.

აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი კოდორის მხრიდან სამხედრო წვრთნებს აცხადებს. რატომ მაინცდამაინც კოდორის მხრიდან? – აქამდე ანალოგიური წვრთნები, ტრადიციულად, გალის მხარეს ტარდებოდა ხოლმე. უბრალოდ, ამ ნაბიჯით თბილისს აიძულებენ, კოდორის მიმართულებით მუდმივ დაძაბულობაში იყოს და მოსალოდნელი შემოტევის მოსაგერიებლად სამხედრო კონტინგენტის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ კოდორში დააკავოს.

სამაჩაბლოს ტერიტორიაზე პოზიციური ბრძოლა არ შედგება – აქ ისეა ქართულ-ოსური სოფლები ერთმანეთში შეჭრილ-შემოჭრილი, რომ მებრძოლებს ერთმანეთის თვალებში ჩახედვა მოუწევთ – ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით... შექმნილ ვითარებაში, ნამდვილად არ მესმის, რატომ მიიღეს საქართველოს ხელისუფლებაში თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსის შეცვლის გადაწყვეტილება. ეს ისეთი ვითარებაა, რომ დენთის კასრზე მსხდომნი აფეთქებას ყოველ წუთს უნდა ველოდოთ და მზადყოფნაში ვიყოთ. თან, ჩვენთან ხომ ასეთი წესია დამკვიდრებული – ოთხი კაცის უფროსი რომ იყოს, მის შეცვლას ოთხივეს შეცვლა მოჰყვება.

**— შექმნილ ვითარებაში, რამდენად სწორად მიგაჩნიათ შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრების „რთვლის გენერლებად" გამოცხადება...**

— ამ შემთხვევაში პრეზიდენტს ვერ გავაკრიტიკებ, რადგან ზემოთ ნახსენები სოციალურ ნიადაგზე არეულობების მოწყობის მცდელობა კახეთში არსებულ სოციალურ ფონთან და მოსახლეობის განწყობილებასთანაც არის კავშირში. ამ უკანასკნელის კონტროლი კი პირდაპირ კავშირშია რთვლის მიმდინარეობის გაკონტროლებასთან. თანაც, არა მგონია, ოქრუაშვილი, ადეიშვილი ან მერაბიშვილი თელავში სასწორებთან იდგნენ და ყურძნის ჩაბარებას ასე აკონტროლებდნენ. უბრალოდ, სააკაშვილმა ეს ფანდი ბიზნესმენების დასაშინებლად გამოიყენა — ხომ იცით, როგორი ბუები მყავს, თუ ყურძენს არ ჩაიბარებთო...

**— რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს? — ფაქტია, რომ პროვოკაცია, რომელიც გასულ კვირაში ალიკვეთა, არც პირველია და რუსეთის მხრიდან არც უკანასკნელი იქნება. რამდენად რეალურია, საქართველომ ამ გამოუცხადებელ ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატების იმედი იქონიოს?**

— ნუ გვეგონება, რომ ჩვენ დღეს შეცდომების დაშვების უფლება გვაქვს, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები დღედალამ ჩვენზე ფიქრსა და ზრუნვაშია და რომ თეთრი სახლი ნებისმიერ სიტუაციაში უპირობოდ დაგვეხმარება. ბუშს პრეზიდენტობის სულ ორიოდე წელი დარჩა და დღეს ისეთ მდგომარეობაშია, ბევრი რამის გადაწყვეტა დამოუკიდებლად არ შეუძლია. გასულ კვირაში იძულებული გახდა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხეების არსებობა ეღიარებინა — მაშინ, როდესაც კოლინ პაუელიც და კონდოლიზა რაისიც ასეთ რამეს კატეგორიულად უარყოფდნენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამერიკა ერთდროულად ორ ფრონტზე იბრძვის — როგორც ერაყში, ისე ავღანეთში ვითარება უკიდურესად დაძაბულია. მიუხედავად ამისა, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკურ პრობლემატიკაში ისეთი პუნქტებიც არის, საქართველოს რომ შეიძლება წაადგეს, თუმცა თუ ჭკუით არ მოვიქცევით, ეს ხეირი შესაძლოა, შარადაც გვექცეს — ეს ირანის ფაქტორია. გასულ კვირას უკვე ნავთობზე ფასების მცირედი ვარდნა დაფიქსირდა და რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ეკონომიკურ კატასტროფაზე დაიწყო ლაპარაკი, რადგან დღევანდელი რუსეთის ეკონომიკა სწორედ ნავთობის მაღალ ფასზე დგას. ერთი მხრივ, რუსეთს ხელს არ აძლევს ამერიკის მიერ ძალისმიერი გზით ირანის დაჩაგვრა, რადგან ეს ფასების რეგულირებას და შესაბამისად, რუსეთის ეკონომიკურ კრახს დააჩქარებს. მეორე მხრივ, რუსეთს არც დასავლეთისა და ირანის მორიგება სურს, რადგან ამის შედეგიც პირველის ანალოგიური იქნება. რაც შეეხება თავად ირანში არსებულ სიტუაციას, არც მთლად ისეა საქმე, როგორც ბოლო პერიოდში ამერიკის პროპაგანდისტული მანქანის მიერ იხატებოდა — თითქოს, ირანი უკიდურესად ჩამორჩენილი სახელმწიფო იყოს და მას გონებაჩლუნგი, ფანატიკოსი დიქტატორი მართავდეს. არადა აჰმადინეჯადი მეცნიერებათა დოქტორია და ეს ხარისხი დასავლეთ ევროპაში აქვს მიღებული, უბრალოდ, ამგვარი პროპაგანდა ომის წინაპერიოდისთვის იყო საჭირო. დღეს ირანშიც და დასავლეთშიც კარგად ხვდებიან, რომ ომი არც ერთ მხარეს არ სჭირდება, რადგან ის არასოდეს დამთავრდება. რუსეთი შუამავლად აღარ გამოდგება, რადგან თუ ვინმე ინტენსიური ომით იხეირებს, ან ირანისა და დასავლეთის მორიგებით წააგებს, ისევ და ისევ რუსეთი იქნება. ასეთ შემთხვევაში, თბილისში აჰმადინეჯადის ჩამოსვლა ჩვენთვის უაღრესად დიდმნიშვნელოვანია, თუმცა ამავე დოზით საშიშროებასაც შეიცავს. შეერთებულ შტატებთან ახლობლობის გამო, თბილისი შესაძლებელია დიდი პოლიტიკის შუამავლადაც გამოვიდეს და ამით თავადაც იხეიროს. თუმცა რუსეთი ყველანაირად შეეცდება, ამ ვიზიტამდე საქართველოში წყალი აამღვრიოს და საერთაშორისო საზოგადოებრიობას აჩვენოს, რომ მუდმივი დესტაბილიზაციის მქონე ქვეყნის ადგილი დიდ პოლიტიკაში არ არის, ანუ ქვეყანა, რომელსაც საკუთარი კონფლიქტებისთვის ვერ მოუვლია, გლობალურ დაპირისპირებას ვერ ალკვეთსო...

**დაჩი გრძელიშვილი**

# „ოღონდ შვილი გადამირჩეს"

ამბობენ, ბავშვის ცრემლი დედამიწას გადასწონისო, სიცოცხლე — მით უმეტეს. თქვენ არ იცით, სამი თვის ანა ხუციშვილი სიცოცხლისთვის როგორ იბრძვის... ცხვირში — ზონდით, ხორხში — ზონდით, თვალებში — ტანჯვით. ექიმებმა, — ალბათ, გეჩვენებათო, მაგრამ ნამდვილად ვიცი, თვალებით შველა ანამ მეც მთხოვა. რა იყო საჭირო, რომ ანა არ დატანჯულიყო? — სულ უბრალო რამ: ჩვენს რომელიმე ერთ საავადმყოფოში ის ლაზერული საოპერაციო დანა უნდა ჰქონოდათ, რომლის დახმარებით თანდაყოლილ მემბრანას ამოკვეთდნენ, ანუ ხორხს იმ წანაზარდს მოაცილებდნენ, რომელიც მას თითქმის მთლიანად ფარავს და პატარას სუნთქვის საშუალებას არ აძლევს.

ჩვენ რომ ეს აპარატურა გვქონოდა, ანა გაგვიღიმებდათ, თითზე ჩაგებღაუჭებოდათ და „თავის ენაზე" დაგელაპარაკებოდათ. ახლა კი მხოლოდ მის თვალებს შეუძლია საუბარი. გოგონა მხოლოდ საზღვარგარეთ გამგზავრებით შეიძლება გადარჩეს. ჩვენგან განსხვავებით იქ საჭირო აპარატურა აქვთ, მაგრამ ოპერაცია გვიანდება და ბავშვის გადარჩენის შანსი იკლებს. ის, რასაც ანა დაბადებიდან უძლებს, არ იზომება.



გაზომვა მხოლოდ იმ ჟანგბადის რაოდენობით შეიძლება, რომელსაც პატარას ცხვირსა და ხორხში ჩადგმული ზონდით აწვდიან. პატარა ისე ახველებს, რომ მნახველს შესაძლოა, გული გაუსკდეს. თუმცაღა ეს ხველა არაფერია იმასთან შედარებით, რაც ბავშვს დაბადებიდანვე ხორხში ჩადგმულმა მილმა დამართა. უცხო სხეულმა გოგონას საყლაპავი მილი დაუზიანა. სუნთქვის უკმარისობამ კი ცენტრალური ნერვული სისტემა მოუშალა და სისხლძარღვები განუვითარა... მილის მოსაშორებლად ექიმები იძულებული გახდნენ, ბავშვის საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ერთი ოპერაცია ჩაეტარებინათ და ყელსქვემოთა ხორხის მიმდებარე ნაწილი გაეკვეთათ. ოპერაციაზე პასუხისმგებლობა ანას დედამ აიღო...

— როცა ექიმებმა მითხრეს, ბავშვს დაკარგავ, ამდენ ხანს პირში ჩადგმულ აპარატურას ვერ გაუძლებსო, დიდხანს ვიყოყმანე, მაგრამ მაინც დავთანხმდი, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, შეიძლება ჩემს შვილს ამისთვის ველარ გაეძლო, მაგრამ ველარც მილს უძლებდა... ახლა თორმეტი დღეა, სასუნთქი ზონდი გარედან ჩადის ჭრილობაში და თუ ამას სუნთქვა ჰქვია, თავისით სუნთქავს. რაიმე რომ დაემართოს, რა მეშველება. ყველაფერს ავიტან, ოღონდ ჩემი შვილი გადამირჩეს...

თბილისში დიაგნოსტირების საშუალება კი არის, მაგრამ ოპერაციები არ კეთდება... სხვა საშველი არ მაქვს, უცხოეთში უნდა წავიყვანო. ოპერაციას იქ გაუკეთებენ, მაგრამ ამას ფული უნდა. ერთმა გერმანულმა კლინიკამ 150.000 ევრო მოგვთხოვა(!). გამწარებულმა ყველა შევაწუხე, — უცნობი და ნაცნობი, ტელევიზია, პრეზიდენტმაც კი იცის, რაც მჭირს. მის ადმინისტრაციაში მითხრეს, — 15.000 ევროს გადმოგირიცხავთო... ჩვენს ქვეყანაში ეს რომ პატარა ფული არ არის, ვიცი, მაგრამ ჩემს შვილს რომ არ ჰყოფნის? არადა, როდემდე გაუძლებს? ზოგჯერ ვფიქრობ, ან გავგიჟდები, ან მოვკვდები-მეთქი. ხომ თან ჰყვებიან ექიმები, მაგრამ აუტანელ სიცხეებში ნასიცხარი ლაქები გაუჩნდა. თანაც თავზე რომ ვადგავარ, სულ ასე მგონია, თვალებით შველას მთხოვს... და ვერ ვშველი.

*დავით ფულარია*, იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს ექიმი: — ბავშვი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაემგზავროს უცხოეთში. უცხო სხეულით ამდენ ხანს სუნთქვამ შესაძლოა, მეორადი ინფექციაც განუვითაროს. ამას ნამდვილად ვერ აიტანს. დღემდე პატარას სიცოცხლეს ექიმები და დედამისი ბრძოლით ვინარჩუნებთ, მაგრამ მალე, ალბათ, ამას ველარ შევძლებთ... კლინიკასაც ვეძებთ, რომელიც შედარებით იაფად დათანხმდება ოპერაციაზე... სხვა ჩვენ, სამწუხაროდ არაფერი შეგვიძლია...

P.S. არაერთხელ გვითხოვია დახმარება ისედაც გაწამებული და გაუსაძლისი ყოფით დამძიმებული ჩვენი მკითხველისთვის... მაგრამ თუ გვინდა, ჩვენი არსებობა გავამართლოთ და თან დატანჯული ჩვილის თვალები არ დაგვყვებოდნენ, კიდევ ერთხელ (და მეათასედაც!) სხვისი ტკივილი უნდა გავინაწილოთ, ვისაც როგორ შეგვიძლია, ვისაც რა გვაქვს, — იმით. ზოგმა ერთი ზარით, ანუ ლარით (მაგთის აბონენტებისთვის 442 334 ჯეოსელის — 700 439); ზოგმა — მეტითაც. პატარა ანას სახელზე მამამისს ანგარიში აქვს გახსნილი (თი-ბი-სი ბანკი — 5370869 — დოლარის კურსით; 36010014 — ლარის კურსით; ავთანდილ ხუციშვილი). ამქვეყნად არაფერი იკარგება და უკან გვიბრუნდება... სიკეთეც...

*ეთერ ერაძე*






# ჩემი „რუსთავი 2" ჩემთან ერთად წამოვიდა

## „არ მინდოდა, ვინმეს ეთქვა, კომპრომეტირებულ არხზე მუშაობსო"



„არასოდეს დამავიწყდება დიმა ოზოლაპის ცრემლები"

ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორის, ნიკა ტაბატაძის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ დაწყებული ბუნტი გრძელდება. ეკა ხოფერიასა და ნიკა ტაბატაძის წასვლის შემდეგ ტელეარხი დატოვეს ცნობილმა სახეებმა. როგორც ამბობენ, საკადრო ცვლილებები ტელეკომპანიაში ამით არ დასრულებულა, — კომპანიის ახალი გენერალური დირექტორი კობა დავარაშვილი ახალ ცოცხს ერთხელაც მოიქნევს „რუსთავი 2"-ის „სამზარეულოში". ალბათ, მალე ვნახავთ, რას იზამს ახალი გენერალური დირექტორი, ერთი რამ ცხადია, — მასთან საერთო ენა ვერ გამონახა ძველი გვარდიის ერთმა ნაწილმა: ნანა ლეჟავამ, ნათია ლაზაშვილმა, თენგიზ გოგოტიშვილმა, თამარ ღვინიანიძემ, საინფორმაციო არხის ხელმძღვანელმა თამარ რუხაძემ და კიდევ რამდენიმე პროდიუსერმა. „რუსთავი 2"-ის იძულებით დატოვების ფაქტორს ყველა გამორიცხავს და აცხადებენ, რომ ყველაფერი ნებაყოფლობით მოხდა.

თუ საზოგადოებრივი აზრის მიხედვით ვიმსჯელებთ, „გაქცეულებს" მომგებიანი პოზიცია აქვთ. საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით, პროტესტანტი ჟურნალისტები მოუსყიდველები არიან და ამიტომაც წავიდნენ. ხალხს კი უყვარს ასეთები. სხვათა შორის, ისიც ითქვა, თითქოს ნანა ლეჟავასა და მის თანამოაზრე კოლეგებს სამსახურებს მედიის სხვა კომპანიებში დაუბლოკავენ. **თენგიზ გოგოტიშვილი** ამ აზრს არ იზიარებს. მისი თქმით, დაისვენებენ და მალე ისევ გამოჩნდებიან ტელეეთერში:

— „რუსთავი 2"-ზე ხელისუფლების ზეგავლენის მოპოვების მცდელობის პირველი სიგნალი იყო ეროსი კიწმარიშვილის წასვლა. რაკი მას რევოლუციური დამსახურებისთვის ტელეკომპანიის ფინანსური ვალები არ აპატიეს, ეს იმას ნიშნავდა, რომ ხელისუფლება „რუსთავი 2"-თან მეგობრობას აღარ აპირებდა. შემდეგი სიგნალი იყო ეკა ხოფერიას წასვლა, მესამე კი — ნიკა ტაბატაძის გათავისუფლება. თანაც, როგორც ვიცი, თვითონ ნიკამაც კი არ იცის ხეირიანად მიზეზი, რატომ დაატოვებინეს თანამდებობა. ჟურნალისტები მაინცდამაინც ნიკას დაბრუნებას არ ითხოვდნენ. ცხადია, ეს მტკივნეული იყო, რადგან მიჩვეული ვიყავით მასთან მუშაობას; ჩვენ უფრო ის გვაინტერესებდა, რატომ დაითხოვეს კაცი სამსახურიდან. ვერაფრით ავხსენით, ყოფილ პოლიტიკურ ფიგურას რატომ მოექცნენ ასე. ნიკა ხომ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტიდან გადმოიყვანეს ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორად და ცხადია, რაღაც პოლიტიკური გარანტიებიც უნდა ჰქონოდა. ჩვენსავით იკითხა გათავისუფლების მიზეზი, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

თუკი ის რაღაცის გამო ისჯება, გამოდის, ვიღაცას არ მოსწონს ჩვენი მუშაობა. დათმობებზე, გარკვეულწილად, ყოველთვის გვიწევდა წასვლა, მაგრამ მშვიდად გვეძინა, რადგან მიგვაჩნდა, რომ მაღალ დონეზე ვასრულებდით ჩვენს მოვალეობას და საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას მაინც ვახერხებდით.

როდესაც ტელეარხის მფლობელი თუ სხვა პოლიტიკური ძალა კოლექტივს არ უხსნის თავისი გადაწყვეტილების მიზეზს, შესაბამისად, ვერც გავიგებთ, რას ითხოვს ჩვენგან ხელმძღვანელობა. რაკი პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალეს, გადავწყვიტეთ, გზა დაგვეთმო ახალი ხელმძღვანელობისთვის; მიგვეცა საშუალება, თავისი ხალხი მოეყვანა და ბოლომდე თავისთვის სასურველი პოლიტიკა გაეტარებინა.

— **კომპანიაში დარჩნენ ძველი თანამშრომლებიც. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ განხეთქილება მოხდა?**

— კოლექტივში განხეთქილება ნამდვილად არ ყოფილა. არავინ არავისზე ნაწყენი არ არის. ყველას აქვს არჩევანის გაკეთების უფლება. მეც გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება, რადგან „რუსთავი 2" წლების განმავლობაში ჩემთვის სახლი და ოჯახი იყო. ვინც ჩათვალა, რომ ოჯახი არ ეთმობოდა, დარჩა. ვინც არა, წავიდა.

— **ხელისუფლების ზეგავლენის მცდელობა როგორ შეინიშნებოდა, დირექტივებს ვინ იძლეოდა, უშუალოდ ხელისუფლების წარმომადგენლები თუ ნიკა?**

— არ ვიცი, იქნებ ვინმე ვინმეს ეჩურჩულებოდა კიდეც — დირექტივებს აძლევდა, მაგრამ ჩემს მუშაობაში არასოდეს არავინ ჩარეულა(?!), არ მახსოვს, ვინმეს დაერეკა ან სხვანაირად მოეხდინა ზეგავლენა. თუმცა, ვიცი, რომ ჩემს სიუჟეტებში დაფიქსირებული ფრაზები ან ფაქტები მავანთ არ მოსწონდათ. ხელისუფლებას შეიძლებოდა ჰქონოდა კავშირი ნიკასთან, მაგრამ მე ნამდვილად არ ვიცი, რა ხდებოდა მათ შორის. ნიკა მეცამეტე სართულზე იჯდა, მე კი მეჩვიდმეტეზე. შემიძლია დავიფიცო, რომ ნიკა ტაბატაძეს არც ერთხელ, არც ერთ სიუჟეტზე არ უცდია თავისი აზრი მოეხვია ჩემთვის.

არავინ იცის, რა პოლიტიკას გაატარებს ახალი გენერალური დირექტორი და ახალი ხელმძღვანელობა, რას მოითხოვენ „რუსთავი 2"-ისგან. ამიტომ კომპანიაში დარჩენის გადაწყვეტილება ერთგვარად რისკზე წასვლასაც ნიშნავს.

— **თქვენი წასვლა ჩასაძირავად განწირული გემიდან გაქცევას ხომ არ ჰგავს?**

— „რუსთავი 2" ბოლო წლებში აღმავლობის გზას რომ არ ადგას, ფაქტია. რევოლუციის დროს მუშაობდა ფანტასტიკურად, მაშინ ჰქონდა პიკი. არხს ისეთი ბედი ერგო, როგორც საზოგადოდ რევოლუციონერებს, — რობესპიერსა და მარატს თავი მოაჭრეს და „რუსთავი 2"-ს რომ პრობლემები შეჰქმნოდა, რა გასაკვირია. როცა ეროსიმ ტელევიზია დატოვა, თქვა, რევოლუცია ჭამს თავის შვილებსო. ამიტომაც, ალბათ, მოვლენები ლოგიკურად განვითარდა. ხელისუფლების წნეხიც ბუნებრივი მოვლენაა. სხვა საქმეა, რამდენად დაექვემდებარება ტელევიზია მას, ეს მის მარიფათზეა დამოკიდებული. იტალიურმა ტელეკომპანია „რაი უნომ" პირდაპირი ეთერიდან სილვიო ბერლუსკონი გააძევა, რომელიც ამავე დროს პრემიერ-მინისტრი იყო...

არა მგონია, „რუსთავი 2" ჩასაძირავად იყოს განწირული, რადგან არხზე პროფესიონალები დარჩნენ. მაგრამ პრობლემები არის და ამაზე თვალს ვერავინ დახუჭავს. სხვათა შორის, ახალი უფროსიც ენერგიული კაცია (ამ დროს ეთერში „პოსტსკრიპტუმის" რეკლამა გავიდა. მუსიკის გაგონებაზე თენგო გაიტრუნა, თვალები აუციმციმდა და თქვა, ამ გადაცემაში ჩემი ბოლო სიუჟეტი გავა, ეს ჩემი გედის სიმღერა იქნებაო), მაგრამ ჩვენი დატოვება მაინც ვერ შეძლო. არადა, ცდილობდა. პირადად მე ოთხჯერ მელაპარაკა. ერთხელ ჩვენი საუბარი ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. ეცადა, დავეყოლიებინე, მაგრამ... მითხრა, უცხოეთში უფრო ხშირად გაგიშვებო, ეს არც ისე მაკლდა. ოპერატორებს დაგიმატებო, მაგრამ... ფაქტობრივად, ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, გადამძალავდა თუ არა „რუსთავი 2"-ის ერთგულება, თუ არხის ეფთანაზიაზე წავიდოდი და გამოვუთიშავდი აპარატს.

(გაგრძელება გვ. 6)


ახალი გაზეთი ყოველ პარასკევს




კვირის პალიტრისგან

# ანტიკრიმინალური სპეცოპერაცია ფართომასშტაბიანი ომის სანაცვლოდ

ჩანს, კვიციანის შეიარაღებულმა ურჩობამ და კოდორის ხეობის მოვლენებმა მხოლოდ ერთი-ორი თვით გადადეს შეტაკებები, რომელიც ცხინვალის რეგიონში შეიძლება დღე-დღეზე დაიწყოს.

სამწუხაროდ, ბევრი ფაქტი მეტყველებს, რომ ამ შემოდგომაზე (ან ერთ-ორ კვირაშიც კი), ცხინვალის მისადგომებთან ან შიგ ცხინვალში ინტენსიური სროლები ატყდეს.

სეპარატისტების მიერ შვეულმფრენებისთვის სროლა უკანასკნელი წვეთი გამოდგა — ოფიციალური თბილისი ამგვარი ქმედებების მოთმენას მეტად აღარ აპირებს.

სოფელ ნიქოზთან მომხდარი შეტაკება, რომელსაც ერთი ქართველი სპეცრაზმელი და სამი ოსი შეეწირა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს ამ მოსაზრებას.

არის კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ ქართული მხარე სწორედ ანტიკრიმინალური სპეცოპერაციისკენ იხრება. ორიოდე კვირის წინ თავდაცვის მინისტრმა გენშტაბის უფროსის მოადგილედ პოლკოვნიკი ზაზა გოგავა დანიშნა. ირაკლი ოქრუაშვილის შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს ზაზა გოგავა შსს-ში გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმს მეთაურობდა. 2004 წლის 19 აგვისტოს, თლიაყანის ცნობილი სპეცოპერაციისას, ოქრუაშვილს სწორედ გოგავას სპეცრაზმის მებრძოლები ახლდნენ.

მოგვიანებით, თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შემდეგ, ოქრუაშვილმა შსს-დან შეიარაღებულ ძალებში არა მარტო გოგავა გადაიყვანა, არამედ მთლიანად გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმი. ეს რაზმი შეერწყა კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადას, რომელსაც ბოლო დრომდე პოლკოვნიკი ზაზა გოგავა მეთაურობდა.




**საქართველოში არიან ის სპეცდანიშნულების რაზმელები (და არა მარტო თავდაცვის სამინისტროში), რომლებსაც ქალაქსა და ტყის პირობებში არასასურველი პირების აღმოჩენა და ფიზიკური ლიკვიდაცია შეუძლიათ...**

ერთი შეხედვით, სეპარატისტები წარმატებით ასრულებენ კრემლის დაკვეთას და საქართველოს ფართომასშტაბიან და ხანგრძლივ ომში ითრევენ, რომელმაც ყოველმხრივ უნდა შეაფერხოს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, განვითარება.

კარგია, რომ საქართველოს პრეზიდენტი ამას ხვდება. პრეზიდენტმა სააკაშვილმა 8 სექტემბერს, კახეთში, სიტყვით გამოსვლისას, დაუფარავად განაცხადა, — დღეს ჩვენი ამოცანაა, არ წამოვეგოთ არანაირ ფართომასშტაბიან პროვოკაციას, თუმცა, სადაც საჭიროა, საკადრისი პასუხი უნდა გავცეთო.

ძალიან რთულია, საკადრისი პასუხი ისე გასცე მომხდურს, რომ ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში არ ჩაგითრიოს. თუმცა, მეორე მხრივ, სხვა გამოსავალიც აღარ ჩანს, სამშვიდობო მოლაპარაკებები ღრმა ჩიხშია შესული, ფართომასშტაბიანი ომი არ გვინდა, მაშინ რჩება კიდევ ერთი რეალური, ოღონდ ძალიან ძნელად განსახორციელებელი გზა, რომელიც „უფსკრულის პირზე“ გადის — მცირე შეცდომა ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტს ნიშნავს.

თავად „უფსკრულის პირს“ კი ერთ გამოსავლამდე მივყავართ, რასაც დროსა და ძალებში ზუსტად განსაზღვრული ანტიკრიმინალური სპეცოპერაცია ჰქვია თავისი „წერტილოვანი“ დარტყმებით.

ეს არ არის ველოსიპედის აღმოჩენა. რაღა შორს წავიდეთ, იგივე გააკეთა რუსეთმა ჩეჩნეთში. ჩეჩნეთის პირველი ომით მიყენებული მტკივნეული დარტყმის „მონელების“ შემდეგ კრემლმა მეორე ომი „კონტრტერორისტული“ მოტივით დაიწყო. მიზეზად მარჯვედ გამოიყენა ბასაევისა და ხატაბის შეჭრა დაღესტანში და საცხოვრებელი კორპუსების აფეთქება რუსეთის სხვადასხვა ქალაქში.

ოფიციალურ თბილისს საკმარისზე მეტი საბაბი აქვს — თუნდაც თავდაცვის მინისტრის დაცხრილული შვეულმფრენი, მეორე შვეულმფრენისკენ გაშვებული „სტრელა“, მოკლული ქართველი პოლიციელი თუ დაცხრილული ქართული სოფლები...

მარტო საჰაერო ტერორიზმის ფაქტებიც კმარა, რომ საერთაშორისო დონეზე განაცხადო, — ცხინვალელ სეპარატისტებს შორის ისეთი ტერორისტები არიან, რომლებსაც ყველაზე საშიში იარაღი — გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები აქვთო.

დასამალი არ არის, რომ თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი, რომელიც ექვიანობით გამოირჩევა და არაერთი ბრიგადის მეთაური გაუგდია, ზაზა გოგავას სერიოზულად ენდობა.

ამას ამტკიცებს ისიც, რომ პოლკოვნიკი გოგავა გენშტაბის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. შსს-ს გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის სპეციფიკა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმისგან, რაც შეიარაღებულ ძალებს ევალებათ. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პოლკოვნიკ გოგავასა და მისი სპეცრაზმელების გამოცდილება შეიძლება უფრო გამოდგეს ცხინვალში მოკალათებული სეპარატისტების წინააღმდეგ ანტიკრიმინალური სპეცოპერაციის ჩასატარებლად, ვიდრე ტანკები და ჰაუბიცები.

პოლკოვნიკი გოგავა რომ ყველაზე რეალური კანდიდატია გენშტაბის უფროსის პოსტზე, ამაზე თავდაცვის სამინისტროს კულუარებში (და არა მარტო იქ) დიდი ხანია ლაპარაკობენ. მართალია, თავდაცვის სამინისტრომ ოფიციალურად უარყო უახლოეს პერიოდში რაიმე სერიოზული საკადრო ცვლილებები, მაგრამ ცხინვალის რეგიონში სიტუაციის კრიტიკულამდე დაძაბვის შემთხვევაში ასეთი რამ გამორიცხული არ იქნება. გენშტაბის დღევანდელი უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლეიშვილი თავისი სამხედრო ცოდნით, საბრძოლო გამოცდილებითა და ავტორიტეტით ამა თუ იმ ოპერაციას პროფესიონალურ დონეზე ვერ დაგეგმავს და, მით უმეტეს, ვერც განახორციელებს. თუმცა ეს მარტო პოლკოვნიკ ნიკოლეიშვილის ბრალი როდია...

როგორც ვთქვით, ანტიკრიმინალური ოპერაციის განხორციელება ისე, რომ იგი ფართომასშტაბიან ბრძოლებში არ გადაიზარდოს, ძალიან ჭირს. რუსეთის ფედერალურმა ძალებმა, მართალია, ჩეჩნეთის მეორე ომი ანტიტერორისტული საბაბით წამოიწყეს, მაგრამ მალე ტანკები და „გრადები“ კი არა, ბრძოლებში სტრატეგიული დანიშნულების ზებგერითი ბომბდამშენებიც ჩართეს.

ანტიკრიმინალური თუ ანტიტერორისტული სპეცოპერაციის მთავარი ატრიბუტი მისი მოულოდნელობაა, რის გარეშეც იგი კარგავს მთავარ აზრს.

(გაგრძელება გვ.8)

# უნდა დავამკვიდროთ ახალი ცნება — სეპარატისტული ტერორიზმი

## მუქარა თუ შეასრულეს, შედეგი სავალალო იქნება

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განვითარებული მოვლენები სამწუხარო კი არის, მაგრამ გასაკვირი და მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა. ოსი სეპარატისტები ბოლოს დროს ძალზე გააქტიურდნენ. ცხინვალიდან და რეგიონის ქართული სოფლებიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მალე მათი აქტიურობა უფრო გაიზრდება, რათა მოთმინების ფიალა აგვევსოს და ისეთ პროვოკაციაზე წამოვეგოთ, რომელიც ფართომასშტაბიანი საომარი აქციის წამოწყებას გვაიძულებს. ასრულდება თუ არა ოსი სეპარატისტების ოცნება, ქართველების ნებისყოფის სიმტკიცეზეა დამოკიდებული; თუნდაც იმ ხალხისა, რომლებსაც თითქმის ყოველ საღამოს უცხრილავენ სახლებს დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში...

„კვირის პალიტრა“ ნიქოზთან მომხდარი ტრაგედიის შემდეგ თამარაშენისა და ქურთის მკვიდრ ქართველებს ტელეფონით ესაუბრა. ამბობენ, რომ ოს სეპარატისტებს მზაკვრული ჩანაფიქრი აქვთ, — 20 ოქტომბრის, ანუ ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღესასწაულის აღნიშვნის შემდეგ რეფერენდუმის ჩატარებას აპირებენ. მოსახლეობას ორ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა, — სურთ თუ არა საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შესვლა და თანახმა არიან თუ არა, არჩევნების გარეშე გაუგრძელდეს ედუარდ კოკოითის საპრეზიდენტო უფლებამოსილება. ამის შემდეგ რეგიონის მთელ ტერიტორიაზე გამოაცხადებენ საგანგებო მდგომარეობას და დაიწყება პერმანენტული პროვოკაციები ოფიციალური თბილისის ჩასათრევად და იერიშს მიიტანენ ქართულ სოფლებზე, ქართველების კონტროლირებად ტერიტორიაზე თავიანთი რეჟიმის დამყარებას შეეცდებიან. ეს გახდება მათი „საოცნებო ომის“ დაწყების საბაბიც. როგორც ამბობენ, ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად საბრძოლო ტექნიკაც აქვთ და ცოცხალი ძალაც საკმარისზე მეტი ჰყავთ. ოსები ვერ მალავენ ოცნებას იმაზე, როგორ დაიკავებენ გორს და შიდა ქართლის სხვა მნიშვნელოვან წერტილებს. კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველების თქმით, რეგიონი გადაჭედილია არა მხოლოდ ოსი და რუსი — ჩრდილოკავკასიელი და ყარაბაღელი სომეხი მებრძოლებითაც კი.

„უამრავი ხალხია შემოყვანილი. მათ შორის ბევრი რუსი ქალია. თავიდან გვეგონა, სნაიპერები იყვნენ, მაგრამ საბრძოლო წვრთნებში არ მონაწილეობენ. რუსეთი საქართველოსთან ომს რომ არ გეგმავდეს, ამდენ ხალხს არ შემოიყვანდა. ტყუილად რატომ შეინახავს მათ? ამდენი მებრძოლის გამოზამთრება რა დაუჯდება, ხომ წარმოგიდგენიათ? ვფიქრობთ, ოქტომბრის ბოლოს ძალიან დაიძაბება სიტუაცია. საფრთხე იმდენად დიდი და რეალურია, რომ ბავშვები გავხიზნეთ ხეობიდან. ოსებიც გარბიან. ყველა დაიღალა, მაგრამ სეპარატისტული რეჟიმისა და რუსეთის მზაკვრული გეგმის მძევლები ვართ. ოსები ხშირად გვაგონებენ, კოდორს და აქაურობას ერთდროულად დავარტყამთ და მიწასთან გაგასწორებთო. საქართველოს ვერავინ გაასწორებს მიწასთან, მაგრამ თუ მუქარა მართლაც შეასრულეს, შედეგი სავალალო იქნება.

ვიღაცამ უნდა შეაჩეროს რუსეთი. ეს ვიღაც კი, ალბათ, ამერიკაა, აბა, ეუთოსა და გაეროს ცხვირსაც არ აყოფინებენ რეგიონში სეპარატისტები. მაგათი იმედი როგორ შეიძლება გქონდეს, თვითონ არიან ჩვენი საპატრონო. არადა, გული გვისკდება, იარაღიც არ გვაქვს, თავი რომ დავიცვათ. დემილიტარიზაციის შესახებ შეთანხმება თითქოს მხოლოდ ჩვენ გვეხებოდა, — აგვყარეს იარაღი. სიცოცხლე ჯანდაბას, გულდასაწყვეტი ის არის, ჩვენი დახოცვა რომ იქცევა საქართველოს ომში ჩათრევის საბაბად“, — ამბობენ სამაჩაბლოელი ქართველები, რომელთა შიშს უსაფუძვლოდ არ მიიჩნევს საერთაშორისო სამართლის ექსპერტი **ლაშა ძებისაშვილი:**

— ბუნებრივია, ოსები შეეცდებიან ქართული სოფლების აღებას. ამ სოფლების წყალობით ცხინვალი ალყაშია. ქართულ სოფლებზე კონტროლის მოპოვება სტრატეგიული პოზიციის დაკავებას ნიშნავს. ქართველი მოსახლეობა ვერ გაუძლებს დარტყმას, მათ წინააღმდეგობის გაწევის არანაირი საშუალება არ აქვთ. ჩვენი სამშვიდობო ქვედანაყოფიც ძალზე მცირერიცხოვანია...

— **საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, როგორი შეფასება შეიძლება მიეცეს ოსების ქართულ სოფლებზე თავდასხმას?**

— საერთაშორისო თანამეგობრობა ოსებს დამპყრობლების სტატუსს მიანიჭებს. მათი ქმედება შეფასდება როგორც აგრესიული სეპარატიზმი. აგრესიული სეპარატისტების წინააღმდეგ ქართული სახელმწიფოს გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს, იქნება ეს დაბომბვა თუ სხვა საბრძოლო მოქმედება, საერთაშორისო საზოგადოებრიობა გაამართლებს.

— **ისე ხომ არ მოხდება, რომ კვლავ მარტო, პირისპირ აღმოვჩნდებით რუსეთთან?**

— სამწუხაროდ, ამას ბევრი შიშობს და რატომღაც არ ფიქრობენ იმაზე, რომ დღეს არ არის 1992 ან თუნდაც 1999 წელი. 2006 წელს საქართველოსადმი საერთაშორისო თანამეგობრობას სულ სხვა დამოკიდებულება აქვს. მაშინ საქართველო აღიქმებოდა როგორც დაშლილი საბჭოთა კავშირის რომელიღაც კუთხე. ინფორმაციული ვაკუუმის გამო ჩვენ შესახებ ცნობებს მოსკოვი ავრცელებდა. იმის გათვალისწინებით, რა ურთიერთობაც აქვთ საქართველოსა და ამერიკას, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მარტონი აღარ ვიქნებით. რუსები ხშირად იმეორებენ, ამერიკა რუსეთთან ურთიერთობას თქვენ გამო არ გაიფუჭებსო. კი ბატონო, ერთმანეთს ატომურ ბომბებს არ დაუშენენ და ემბარგოებს არ გამოუცხადებენ, მაგრამ ეს სერიოზულად იმოქმედებს მათ სამომავლო ურთიერთობაზე...

ამერიკა აუცილებლად დაეხმარება საქართველოს. საქართველო აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორია რეგიონში. არც ევროპა გადგება განზე, რადგან მისი ყველა ქვეყანა პაციფისტურად არის განწყობილი. მათ სურთ სტაბილურობა. შესაძლოა, სტაბილურობა სულაც არ გულისხმობდეს მშვიდობას, მაგრამ სიტუაცია მდგრადი უნდა იყოს: „Худой мир лучше хорошей войны“, — ეს არის ევროპის პრინციპი.

— **ცხინვალის რეგიონში ქართველები შიშობენ, რომ სამხრეთ ოსეთს სახელმწიფოდ აღიარებენ რუსეთი და სომხეთი, ეს კი ამ მახინჯი წარმონაქმნის საერთაშორისო აღიარებას განაპირობებსო.**

— რუსეთი ამას არ გააკეთებს მრავალი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, რუსეთ-საქართველოს შორის აღიარებული საზღვრების გამო, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრებს ემთხვევა; მეორე, — დსთ-ის შეთანხმების გამო, რომლის თანახმად, საზღვრების გადახედვა დაუშვებელია. საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიციაც ასეთია — საქართველო განიხილება საბჭოთა კავშირის დროინდელ საზღვრებში და მათი გადახედვა შეუძლებელია. რაც უნდა დაუჯერებელი ჩანდეს, გარწმუნებთ, რუსეთს არ აძლევს ხელს სამხრეთ ოსეთის აღიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ის ვერ იარსებებს დამოუკიდებლად და რუსეთს უნდა მიუერთდეს. თუ რუსეთი ამას დაუშვებს, გამოდის, ყველაფერი ეს სწორედ საქართველოს ტერიტორიის მისაერთებლად, ანუ ანექსირების მიზნით გაუკეთებია. ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოდ აღიარება რუსეთს კიდევ იმიტომაც არ სურს, რომ რეგიონში შეტანილი აუარებელი იარაღი მაშინვე გაიფანტება ჩრდილო ოსეთსა და იმ ტერიტორიებზე, სადაც რუსეთისთვის არასახარბიელო სიტუაციაა. კიდევ ერთი, შეუძლებელია, რუსეთმა აღიაროს ის სახელმწიფო, რომლის არსებობასაც ვერ შეეგუება საქართველო და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხს დღეს-ხვალ მაინც გადაწყვეტს იარაღით. უადგილოა კოსოვოს მაგალითის მოყვანაც. სუბიექტი რომ სახელმწიფოდ აღიარო, მას სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დიდი გზა უნდა ჰქონდეს გავლილი, რაც ოსეთს არც ეკონომიკურად გაუვლია და არც — პოლიტიკურად. ყოველდღიურ საარსებო წყაროს რუსეთიდან იღებს და იმ უდღეურ ბავშვს ჰგავს, რომელიც ინკუბატორშია მოთავსებული. მას მანამდე აცოცხლებენ, სანამ საქართველოს განვითარებისთვის ხელის შეშლა არ მოჰბეზრდება რუსეთს. ერთი ის არის, რომ შეიარაღებული დაპირისპირების შემთხვევაში რუსეთი დაეხმარება სეპარატისტებს, მაგრამ არა აშკარად.

დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მკვიდრი ქართველები კი უნდა გამაგრდნენ, რადგან ისინი მართლაც სიტუაციის მძევლები არიან. თითოეული სოფელი რომ დავიცვათ, უნდა შევიყვანოთ ჩვენი შეიარაღებული ძალები, სამხედრო ტექნიკა. ეს კი კონფლიქტის ესკალაციას გამოიწვევს. ამიტომ იძულებული ვართ, დავჯერდეთ ხელთ არსებულ დაცვის საშუალებებს, — ერთ სამშვიდობო ბატალიონსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმებს.

— **რამდენად შესაძლებელია, რომ ოსი სეპარატისტები გამოვაცხადოთ ტერორისტებად და ანტიტერორისტული კოალიციიდან სრული მხარდაჭერა და დახმარება მივიღოთ რეგიონში ანტიტერორისტული ან ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩასატარებლად?**

— სეპარატიზმი და ტერორიზმი ახლოს დგას ერთმანეთთან. სეპარატისტული რეჟიმები ხშირად იყენებენ ტერორისტული ბრძოლის მეთოდებს. კარგი იქნება, თუ საერთაშორისო საზოგადოებრიობას ოსი სეპარატისტების ტერორისტობაშიც დავარწმუნებთ. შეგახსენებთ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემების აფეთქებისა და გორში ტერაქტის ფაქტებს, როგორ იყენებდნენ სეპარატისტები ტერორისტულ მეთოდიკას ჩვენს წინააღმდეგ — ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად ოპერატიულად მივაწვდით ინფორმაციას საერთაშორისო საზოგადოებრიობას. თუ ამას მოვახერხებთ, ანტიტერორისტული კოალიცია, რომლის წევრებიც ჩვენი პარტნიორები არიან, დარწმუნდება, როგორ ანგრევს ქართულ სახელმწიფოებრიობას სეპარატისტული ტერორიზმი და დაინახავს, რომ ამის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს აუცილებლად დახმარება სჭირდება.

*ეკა ლომიძე*

# ბიძინა ივანიშვილი აგრესიულ ძალადობას არ შეეგუება



სხვადასხვა სატელევიზიო არხით გასულ სიუჟეტებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქართულ-ამერიკულ სოფლად წოდებული დასახლების რამდენიმე ნაგებობის დანგრევას, „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახური, არსებულ სიტუაციაში მოსახლეობის გარკვევის მიზნით, უფლებამოსილია, განაცხადოს შემდეგი:

ამ დავას საფუძველი ჯერ კიდევ მაშინ ჩაეყარა, როცა ვასილ ცოტაძემ და მისმა ამერიკელმა მეუღლემ „ქართუ ჯგუფში“ შემავალი კომპანიის — „ინტერსერვისის“ კუთვნილ მიწაზე დაიწყეს სამზადისი მშენებლობისთვის და გაჩეხეს ხეები, მათ შორის „ინტერსერვისის“ მიერ გაშენებული ნარგავები. მათ მშენებლობის დაწყებამდე მრავალჯერ განუმარტეს, რომ მათი ქმედებები უკანონოა; შესაბამისად, მიეწოდათ ოფიციალური დოკუმენტაცია წითელი ხაზების ჩვენებით, რომ ისინი სხვის, ანუ „ინტერსერვისის“ ტერიტორიაზე იწყებდნენ მშენებლობას. ვასილ ცოტაძის და მისი ამერიკელი მეუღლის ერთადერთი პასუხი იყო: წადით და სადაც გინდათ, გვიჩივლეთო.

კიდევ ერთხელ გვსურს დავაფიქსიროთ, რომ ჩვენ აზრადაც არ მოგვივიდოდა მიგვემართა სასამართლოსთვის იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანონობის შესახებ, ფაქტის შემდგომ ანუ თუნდაც ასეთი უსახური სახლების აშენების შემდეგ შევიტყობდით. სწორედ ასე ცდილობს ვასილ ცოტაძე მიაწოდოს საზოგადოებას საქმის ვითარება. კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მან პირველივე დღიდანვე, ანუ ვიდრე ფუნდამენტი გაიჭრებოდა, კარგად იცოდა, რომ უკანონო ქმედებებს სჩადიოდა და მაინც აგრესიული ძალადობით აგრძელებდა თავის საქმიანობას. ანუ ეს დავა არ დაწყებულა ამ სახლების აშენების შემდეგ, არამედ გრძელდება უკვე 3 წლის განმავლობაში მშენებლობის დაწყების დღიდან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ გახმიანდა პრესისა და ტელევიზიის საშუალებით, თითქოს ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ქველმოქმედების ნიღაბს ამოფარებული, ბოროტებას სჩადის. ამასთან დაკავშირებით ბატონი ბიძინას პოზიცია ჩვენთვის უცნობია, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ასეთი აგრესიული ძალადობის წინააღმდეგ ხმის ამაღლება, და მით უმეტეს მისი შეჩერება, ნებისმიერ ქველმოქმედებაზე მეტად დასაფასებელია.

რაც შეეხება ლეილა მესხის კომენტარს სხვადასხვა არხზე, მისი საქციელი კიდევ უფრო მეტი ცინიზმით გამოირჩევა, ვიდრე ვასილ ცოტაძის. რამდენიმე წლის წინ, ჩოგბურთის კომპლექსის ასაშენებლად, ბატონი ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაში არსებული ბანკიდან ლეილა მესხს მიეცა განსაკუთრებით შეღავათიანი კრედიტი ათი წლის ვადით, 8-პროცენტიანი განაკვეთით, თანაც პირველი ორი წლის განმავლობაში იგი გათავისუფლებული იყო ყველანაირი გადასახადისგან. ამის მსგავსი შეღავათიანი პირობებით არა მარტო „ბანკ ქართუს“ არ გაუცია კრედიტი, არამედ ევროპაშიც კი მსგავსი პრეცედენტი იშვიათად თუ მოიძებნება. ამის მიზეზი იყო ბიძინა ივანიშვილისა და ლეილა მესხის მეგობრული ურთიერთობა და ასევე ის ფაქტიც, რომ დაფინანსებით ქვეყნისთვის კარგი საქმე კეთდებოდა — საჩოგბურთო კომპლექსი აშენდებოდა. ლეილა მესხმა ჩოგბურთის ცენტრის მშენებლობისთვის გაცემული თანხის ნაწილი არამიზნობრივად — ვასილ ცოტაძისგან სახლის კარკასის შესაძენად გამოიყენა. ამ ქმედების შედეგად საჩოგბურთო კომპლექსის მშენებლობა დღემდე შეფერხებულია. „ქართუ ჯგუფის“ ხელმძღვანელობამ ლეილა მესხი ორჯერ გააფრთხილა იმის შესახებ, რომ ეს მშენებლობა უკანონოა, რომ ჩვენ არ ვაპირებდით გაჩერებას და ბოლომდე ვიბრძოლებდით კანონიერების აღსადგენად. მას ასევე მიანიშნეს, რომ მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე, აუნაზღაურდებოდა მიღებული ზარალი. ლეილა მესხმა ეს გაფრთხილება-მინიშნება ისე გაიგო, რომ თავადაც არ უნდა გაჩერებულიყო და, შესაბამისად, სარემონტო სამუშაოების ტემპს მოუმატა; სავარაუდოდ იმ მიზნით, რომ მისთვის ცნობილი იყო ამ საკითხისადმი ჩვენი დამოკიდებულება და ცდილობდა, ამ სახლის „ინტერსერვისისათვის“ შემდგომი მიყიდვით უფრო მეტი მოგება მიეღო. ასეთი აზრის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს ისიც, რომ მას, ჩვენი ინფორმაციით, საცხოვრებელი ბინის პრობლემა არ გააჩნია და თბილისის პრესტიჟულ უბანში აქვს ფეშენებელური სახლი.

**„ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახური** R

# ჩემი „რუსთავი 2“ ჩემთან ერთად წამოვიდა

## „არ მინდოდა, ვინმეს ეთქვა, კომპრომეტირებულ არხზე მუშაობსო“

# „ეს ჩემი ბედის სიმღერა იქნება...“

(დასაწყისი გვ. 4)

**— გამოდის, ახალ უფროსს ეშინია არხზე მოსალოდნელი საკადრო პრობლემების.**

— ცხადია, ბევრი პრობლემა შეიქმნება. თუნდაც მხოლოდ ტექნიკური რად ღირს. უნდა შეიცვალოს უამრავი ტიხარი იმის გამო, რომ არხი სახეებმა დატოვეს.

ჩემი წამოსვლის მიზეზი მაინც ის გახდა, რომ სახელის წამოღება მინდოდა. ამ ტელეარხზე მე სახელი მოვიპოვე და არ მინდოდა, დამეკარგა. არ მინდოდა, ვინმეს ეთქვა, კომპრომეტირებულ არხზე მუშაობსო. ჩემი „რუსთავი 2“ ჩემთან ერთად წამოვიდა. მინდოდა ჩემთვის სასურველი დამრჩენოდა მეხსიერებაში და ამიტომაც ჩავუტარე ეფთანაზია, სანამ ლამაზი იყო. ნაწილი კიდევ იმ ხალხთან დარჩა, რომლებთან ერთადაც წლების განმავლობაში ვმუშაობდი და ვიბრძოდი და ვინც ახლა ისევ იქ არის, ძველი ბრძოლის ველზე. და კიდევ, წამოსვლის მიზეზი ისიც გახდა, რომ პირველი არხისგან საინტერესო შემოთავაზება მივიღე.

**— ვინც დარჩა, იმ ხალხს რას უწინასწარმეტყველებ?**

— გული მწყდება მათთან დაშორების გამო. არასოდეს დამავიწყდება დიმა ობოლაძის ცრემლები, ეთერიდან ატირებული გავიდა, ვერაფრის თქმა ვერ შეძლო. ვფიქრობ, ამ ხალხს პერსპექტივა უნდა ჰქონდეს. ისე კი, შინაგანი განწყობა ისეთი მაქვს, თითქოს ერთ დღეს „რუსთავი 2“-ზე ისევ დავბრუნდები.

**— რამდენად გამართლებულად მიგაჩნია ჟურნალისტის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა?**

— ახლა ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო რომ მქონდეს დასაწერი, დავწერდი, რომ ჟურნალისტი არ უნდა მონაწილეობდეს რევოლუციაში. მაინც არ ვნანობ არაფერს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად პროფესიულ უფლებამოსილებას გადავაჭარბე. დღესაც, იმავე სიტუაციაში, ისევ ისე მოვიქცეოდი. ეს იყო ჩემი არა პროფესიული, არამედ მოქალაქეობრივი გადაწყვეტილება. „ნიუ იორკ ტაიმსის“ დამფუძნებელის ცნობილი ფრაზაა: „ნიუ-იორკ ტაიმსში“ მუშაობს ის ხალხი, ვინც იცის, რა უნდა „ნიუ-იორკ ტაიმსსო“. ჩვენი მსოფლმხედველობა ემთხვეოდა არხისას. არასდროს მიგრძნია თავი დაქირავებულად. მე ხელფასს მიხდიდნენ იმ საქმეში, რომელიც ძალიან მიყვარდა და რომელშიც მართლა სისხლი მქონდა ჩანთხეული (კეხვში დავიჭერი, ცხინვალთან. ქურთუკი 35 ადგილზე იყო დახვრეტილი ყუმბარის ნამსხვრევებისგან. აფეთქებიდან ერთ საათში კი პირდაპირი ჩართვა მქონდა და ეთერში ვიდექი. ასე რომ, „რუსთავი 2“-ისთვის მართლა მაქვს სისხლი დაღვრილი). ჩვენ მორალურ კომპრომისზე არასოდეს წავსულვართ, მაგრამ ნიკას წასვლის შემდეგ დისბალანსის საფრთხე გაჩნდა. როდესაც ერთადერთ კითხვაზე არ გპასუხობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ შემდეგში ბევრი უპასუხო კითხვა გაჩნდება. ჩვენი წასვლა გამართლებულია, თუნდაც იმითაც, რომ რევოლუციამდეც და მის დროსაც ახლო ურთიერთობა გვქონდა ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ახლა ისინი ჩინოსნები არიან, ჩვენ კი მათი ოპონენტების როლი უნდა გვეთამაშა. ძნელია მეგობრის ოპონირება. ისიც ძნელია, მასთან გულახდილი საუბრის შემდეგ ყველაფერზე თვალი დახუჭო და საერთოდ არაფერი თქვა. შესაძლოა, რაღაც ისეთი გითხრას, რისი თქმაც ჟურნალისტთან არ შეიძლება, ჩვენც ცდუნებას ვერ გავუძლოთ და გავახმაუროთ... ხომ არ შეიძლება ყველაფერი მოგეწონოს თუნდაც მეგობრისგან?

**— გამოდის, რევოლუციონერი ჟურნალისტები უნდა ჩამოშორდნენ აქტიურ ჟურნალისტიკას.**

— ჩამოვშორდით კიდეც. ქვეყანაში რევოლუციური სიტუაცია აღარ არის და ჩვენც განსაზღვრული დროით არენას ვტოვებთ.

**ეკა ლომიძე**

# „ამ არჩევნებში მე გავიმარჯვებ, იმიტომ, რომ ხალხი გაიმარჯვებს“

## „იმ ფირმებს, რომლებიც მერიასთან არ არიან შეკრული, გასაქანს არ აძლევენ“

პარლამენტიდან **კობა დავითაშვილის** წამოსვლამ საპარლამენტო უმრავლესობა სიცილის ხასიათზე დააყენა, რისი იმედით დათმო დეპუტატის მანდატიო. კონსერვატორთა ლიდერი კი ირწმუნება, არც პოლიტიკური ჰარაკირი გამიკეთებია და არც ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიმიღიაო.

**— ბატონო კობა, რატომ აიტკივეთ უტკივარი თავი, პარლამენტის დატოვება რამ გადაწყვეტინათ?**

— თავი დიდი ხანია, მტკივა, მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში ჩავერთე. თანამდებობა არასოდეს მიძებნია. ჩემთვის მთავარი პრინციპებია. ნაციონალური მოძრაობაც იმიტომ დავტოვე, რომ ავტორიტარული რეჟიმისკენ სწრაფვა მიუღებელი იყო ჩემთვის!

**— რას ეძებთ ასეთი ქმედებით?**

— სიმართლისა და სამართლიანობისათვის ვიბრძვი. ჩემთვის მიუღებელია, როდესაც თანამდებობის გამო ადამიანი უსინდისობას სჩადის. პოლიტიკოსისთვის ხალხის ნდობა მეტია, ვიდრე თანამდებობა, ამიტომ ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე.

**— საქართველოს პარლამენტიდან ვერ შეცვალეთ ვერაფერი და თბილისის საკრებულოდან რას იზამთ?**

— არჩევნები ბრძოლის საშუალებაა. თბილისში ბრძოლა კი ნამდვილად ღირს, თუნდაც იმიტომ, რომ დედაქალაქს სოლიდური ბიუჯეტი აქვს, რომლის საშუალებითაც ბევრი პრობლემის მოგვარება შეიძლება.




პარლამენტიდან წამოსვლა უცებ არ გადამიწყვეტია. მოგეხსენებათ, გლდანის მაჟორიტარი დეპუტატი ვარ და დავრწმუნდი, რომ სოციალური პრობლემები პარლამენტიდან არ გადაწყდება. უკვე გვყავს თბილისელი ლტოლვილებიც. ბევრი ძალზე ღირსეული ადამიანია, რომელმაც საცხოვრებელი გარემოებათა გამო დაკარგა, ღია ცის ქვეშ არის დარჩენილი. ბინები ძალზე ძვირია, არ არსებობს მუნიციპალური ფონდი, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებდა. უარესს გეტყვით, — მიწისძვრით დაზარალებულებისთვის გამოყოფილ ბინებს მაღალჩინოსნები ინაწილებენ. დიდუბეში გოგორიშვილს, ნადირაძესა და ელენე თევდორაძეს სწორედ ეს ბინები მისცეს. ქალბატონ ელენეს არც დაუმალავს, რომ იმ კორპუსში ბინა მისცეს.

**— რამდენადაც ვიცი, ეს ინფორმაცია არ დადასტურდა.**

— იმიტომ, რომ ბინები სხვა გვარებზე გადაფორმდა. საზღვარგარეთ ნებისმიერ ქალაქში არსებობს მუნიციპალური ფონდი. მრავალსართულიანი სახლების მშენებლობისას ბინების განსაზღვრული რაოდენობა მუნიციპალიტეტს გადაეცემა; ანუ მშენებელი კომპანიებიდან მოსაკრებლის ამოღება ბინების სახით ხდება და ეს სწორი მიდგომაა.

ჩვენთან ფირმები, რომლებიც ბინებს აშენებენ, ან ქალაქის კეთილმოწყობაზე მუშაობენ, ქალაქის მერიასთან არიან შეკრული და წარმოუდგენლად მაღალი ტარიფები აქვთ დაწესებული. ამ გზით ძალიან დიდი ფული გაედინება ბიუჯეტიდან. იმ ფირმებს, რომლებიც შეღავათიან ფასად აკეთებენ იმავე საქმეს, გასაქანს არ აძლევენ.

ქალაქში ლიფტების მაფიაც გაძლიერდა, შარშან მკვლელობაც მოხდა კონკურენტი ფირმების დაპირისპირების გამო.

ხელისუფლება ამბობს, უმუშევრობის მაღალი დონე კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტის შედეგიაო. ეს სიცრუეა. არაკვალიფიციური ჩვენ მხოლოდ ხელისუფლება გვყავს. ელიავას ბაზრობაზე დოცენტები, პროფესორები და უამრავი უმუშევარი ხელოსანი დგას. ამ ხალხს არ სჭირდება გადამზადება და კვალიფიკაციის შეცვლა, მაგრამ ვერ შოულობენ სამსახურს.

**— ეს პროგრამა უკვე მოქმედებს და სახელმწიფო ბიუჯეტი თავად უხდის ამ ხალხს ხელფასს.**

— ეს წინასაარჩევნო ბლეფია. გავა 3 თვე და როგორც კი სახელმწიფო დაფინანსება შეწყდება, ის ხალხი სამუშაოს დაკარგავს. მეწარმეებისთვის დიდ პრობლემად იქცა სახელმწიფო რეკეტი. ოფიციალური გადასახადის გარდა, ავალებენ, ამდენი და ამდენი უნდა დადო, არა და, ფინანსურ პოლიციას ან უშიშროებას მიუსევენ.

**— რაღაც ნაკლებად ისმის შევიწროებული მეწარმეების ჩივილი.**

— ჩივილს აზრი არ აქვს და იმიტომ, იციან, ვერაფერს მიაღწევენ. ტყვიავში მცირე საწარმო შექმნა კაცმა, გუბერნატორმა კი გაზი გადაუჭრა. ხმა რომ ამოიღო, სცემეს. მერე, „ტელეიმედით“ რომ გამოვიდა, ისიც გალახეს და მისი შვილიც ცემეს. ასეთი ფაქტების შემდეგ მეწარმეებს ხმის ამოღების სურვილი უქრებათ.

**— უცხოური ორგანიზაციები ირწმუნებიან, საქართველოში ბიზნესი სწრაფად იკრებს ძალას.**

— ეს იმიტომ, რომ დღეს მანქანა რომ იყიდო ან გაყიდო, ინდივიდუალური მეწარმის ცნობას ითხოვენ. ასე „ემატება“ ათასობით მეწარმე საქართველოს. შეურაცხყოფაა, როდესაც ადამიანს ეუბნები, უმუშევარი იმიტომ ხარ, რომ კვალიფიკაცია არ გყოფნისო. არადა, ჩვენნაირი პროფესიონალი კადრებით ბევრი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის. საწარმოები იმიტომ არ იხსნება, რომ ადამიანებს ეშინიათ „კრიშის“ გარეშე საქმეში ფულის ჩადება. სახელისუფლებო რეკეტი ცენტრალიზებულია, პრეზიდენტის მახვილ თვალს მცირე საწარმოც კი არ ეპარება.

თბილისის ბიუჯეტი სააკაშვილის და უგულავას საპიარო და გასართობი ღონისძიებების წყაროდ არის ქცეული. ხომ ხედავთ, ჩინოვნიკებმა რა კარგი ცხოვრება მოიწყვეს.

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— ფიქრის გორაზე მიბრძანდით და ბატონი ვანო მერაბიშვილის სახლი ნახეთ...

**— შს მინისტრმა ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მხოლოდ ოროთახიანი „ხრუშჩოვკა“ აქვს და ამჟამად ნაქირავებში ცხოვრობს.**

— ოფიციალურად კი აცხადებს, ეს სახლი ნაქირავები მაქვსო, მაგრამ არ მჯერა, რომ ნაქირავებია და რა ვქნა.

ხელისუფლების მთავარი მესიჯი წინასაარჩევნოდ არის: ვერავინ მოგვერევა და ჩვენთან ბრძოლას აზრი არ აქვსო. ძალის დემონსტრირება და აგრესიული ლაპარაკი ამ ხელისუფლების ტაქტიკაა.

**— იგორ გიორგაძის მომხრეების დაპატიმრებასაც წინასაარჩევნო პერიოდს ხომ არ უკავშირებთ?**

— იგორ გიორგაძის ამბავი საახალწლოდ გასუქებული გოჭის ამბავს მაგონებს. აქამდეც ცნობილი იყო, რომ ეს ხალხი რუსეთიდან ფინანსდებოდა, მაგრამ მათ ინახავდნენ, აძლიერებდნენ, ანუ ასუქებდნენ, რომ წინასაარჩევნოდ დაეკლათ.

**— თუ ასეთი განუკითხაობაა წინასაარჩევნოდ, რაღა გრჯიდათ, რომ წინასწარ წაგებულ თამაშში ჩაერთეთ?**

— ხელისუფლებას მხარს მოსახლეობის 1/3-ზე ნაკლები უჭერს — ეს თავადაც იციან. ასეთ აგრესიულ, დამთრგუნველ კამპანიას იმიტომ ატარებენ, რომ ხალხი არჩევნებზე არ მივიდეს.

ყველანაირად ვეცდები, ხალხი მივიყვანოთ არჩევნებზე და დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება წააგებს. უგულავა მუშტებს გვიბრაგუნებდა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე ბავშვებს უნდა ჩამოერთვასო, მაგრამ ხალხმა ხმა ამოიღო და განზრახვაზე ხელი აიღო. ასევე გადაწყვეტილი იყო წინანდლის გაყიდვაც, მაგრამ ხალხის აზრს ამ შემთხვევაშიც გაუწიეს ანგარიში. იმავეს უპირებდნენ იპოდრომს, იქ საცხოვრებელი კორპუსების აშენება უნდოდათ, მაგრამ ხალხის ერთობლივმა ბრძოლამ ამჯერადაც გამოიღო ნაყოფი. სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიის დანიშვნა ზოგს ილუზია ეგონა, მაგრამ გავიმარჯვეთ, — სააკაშვილმა ხომ გამოაცხადა, პენსიის დანიშვნისას სამუშაო სტაჟს ექნება მნიშვნელობაო. ეს ჩვენი და ხალხის ერთობლივი ბრძოლის შედეგი და ჩვენი გამარჯვებაა. ამ წარმატებამ გადამაწყვეტინა პარლამენტიდან წამოსვლა. ვიფიქრე, შეიძლება ბრძოლა და გამარჯვების მოპოვება-მეთქი.

**— დეპუტატის ხელფასი უკვე დათმეთ. თუ არჩევნებში ვერ მოიგებთ, რითი აპირებთ ოჯახის შენახვას?**

— თუ საზოგადოება გადაწყვეტს, კობა, შენი სამსახური არ გვჭირდებაო, დავემორჩილები მის ნებას. ძალიანაც კარგია, რომ ბოკერია და მისი თანაგუნდელები ჩემზე ამბობენ, კობა დავითაშვილმა უგუნური ნაბიჯი გადადგაო. ხალხს ერთს ვეტყვი: ნუ გაახარებენ ბოკერიას და ნურავინ დარჩება 5 ოქტომბერს სახლში.

სახლში დაჯდომის არ მეშინია. მე თანამდებობით არ გავუცნივარ ხალხს. პარლამენტში და საკრებულოში მისვლამდე საკმაოდ ცნობილი ადვოკატი ვიყავი. მე ჩემი შრომით გავაცანი ხალხს თავი და მოვიპოვე მათი ნდობა.

**— ითქვა, დავითაშვილს ბოკერიამ და თარგამაძემ გაუკეთეს პროვოცირება, როდესაც განაცხადეს, დავითაშვილი პარლამენტის დატოვებას არ აპირებს და ტყუილად იმიზეზებს, უფლებამოსილების მოხსნას ვერ ვასწრებო.**

— პირიქით, ეგენი არიან ჩემი პროვოცირებულები. საარჩევნო კანონის გამო ხელი მეშლებოდა, მართლაც ვერ ვასწრებდი უფლებამოსილების მოხსნას და უმრავლესობამ, ვითომ იმის საილუსტრაციოდ, დავითაშვილის არ გვეშინიაო, საშუალება მომცა, კენჭი მეყარა. ამჯერად მე ვაჯობე მათ ჭკუაში. ამ არჩევნებში მე გავიმარჯვებ, იმიტომ, რომ ხალხი გაიმარჯვებს.

მერიც რომ არ გავხდე, მაინც გამარჯვებული ვიქნები. გამარჯვება თანამდებობის დაკავება კი არა, საკუთარ სინდისთან გამარჯვებაა. ფაქტობრივად, მე უკვე გამარჯვებული ვარ.

**იშო რიკაძე**

# „არა მგონია, ამ საქმეში პუტინი ერიოს“



## „შესაძლოა, ოჯახში ფინანსურად გაუჭირდა და ამან დააყენა გიორგაძის მომხრეთა გვერდით“

## „ირინა გიას სიკვდილის შემდეგ კალაპოტიდან ამოვარდა“

საქართველოს ძველ და ახალ ხელისუფლებას იგორ გიორგაძის სახით ერთი მტერი ჰყავს. თუ გიორგაძე შევარდნაძეს ტერაქტს უწყობდა, სააკაშვილის ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული ამბოხების გზით სცადა, მაგრამ კაცს, რომლის „მაგარ ჩეკისტობაზე“ ლამის ლეგენდები დადის, ორივეჯერ ხელი მოეცარა.

**ედუარდ შევარდნაძეს** იმ ბოლოდროინდელი მოვლენების შეფასება ვთხოვეთ, რომლებიც რუსეთის ნაქეზებით მოხდა საქართველოში. საუბრის გვერდი ვერც ადგილობრივი არჩევნების თემას ავუარეთ:

— სერიოზული საფრთხე ალბათ არც ყოფილა. არა მგონია, ამდენი ხალხი უსაფუძვლოდ დაეპატიმრებინათ. ნათქვამს, შეიარაღებული აჯანყება მზადდებოდაო, ერთ-ერთი დაკავებულის სახლიდან ამოღებული იარაღი ადასტურებს. ნებისმიერ გადატრიალებას, გინდ მშვიდობიანს და გინდ შეიარაღებულს, ქვეყნისთვის მხოლოდ ზიანი მოაქვს.

**— ამბოხების მთავრად იგორ გიორგაძე დასახელდა...**

— იგორის სახელის ხსენება არ მინდა, რადგან სამაგიეროს გადახდად ჩამეთვლება. ამას წინათ ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, დღევანდელ პრეზიდენტს შევარდნაძემ ჩააგონა, რომ ჩვენ შეიარაღებულ ამბოხებას ვგეგმავდითო. ამის მთქმელ კაცს რა უნდა ველაპარაკო. ძალაუფლების მოპოვების სურვილით შეპყრობილი კაცი ყველაფერზე მიდის, ოღონდ ერთი ნაბიჯით წაიწიოს წინ და თანამდებობა დაიკავოს. ამ ხელისუფლების მაინცდამაინც დიდი მხარდამჭერი არ ვარ, ჩემთვის ვარ და ჩემს საქმეს ვაკეთებ, მაგრამ თუკი ეს მტკიცებულებები, რომლებზეც იყო ლაპარაკი, მართლა არსებობს, ხელისუფლებამ დიდი უბედურება ააცილა ქვეყანას. მინდა იცოდნენ, რომ ასეთ დროს ხელისუფლებას ვუჭერ მხარს.

**— მრავალრიცხოვან დაპატიმრებულს შორის არ არის იგორ გიორგაძის ფონდის ხელმძღვანელი ირინა სარიშვილი. თქვენი აზრით, რატომ?**

— გასაკვირი არაფერია, ირინამ სამი ბავშვი იშვილა და ზრდის. იმ ბავშვებს სხვა პატრონი არ ჰყავს და როგორ დაიჭერდნენ სამი შვილის დედას.

**— სამი შვილის დედობამ შეთქმულების სხვა მონაწილეს ვერ უშველა...**

— შესაძლოა, აქ ის ფაქტორიც მოქმედებს, რომ ირინა ცნობილი პიროვნებაა, ის ჩემს დროს ვიცე-პრემიერი იყო (მაშინ გია ჭანტურიამ უარი თქვა ამ თანამდებობაზე) და კარგადაც მუშაობდა. ერთიც უნდა გითხრათ, არ მჯერა, რომ ირაკლი ბათიაშვილი სამშობლოს მოღალატეა. იმის გამო, რომ ემზარ კვიციანს ტელეფონით ელაპარაკა, არ შეიძლება კაცს ასეთი რამ დააბრალო. აფხაზეთის ომის დროს ირაკლი გვერდიდან არ მომცილებია, ერთად ვომობდით. ვაჟკაცურად იბრძოლეს მაგანაც და ყარყარაშვილმაც. პატრიოტი კაცი იყო და არის.

როდესაც საქართველოში დაბრუნებაზე მელაპარაკებოდა ჯაბა იოსელიანი, ჩემთან, მოსკოვში, ოთარ ლითანიშვილი და რამაზ ჩხიკვაძე ჩამოვიდნენ. მარწმუნებდნენ, თქვენი ჩამოსვლა აუცილებელიაო. ოთარმა წასვლისას მითხრა, ერთი ახალგაზრდა კაცია, ირაკლი ბათიაშვილი, მისი ძალიან სჯერა ახალგაზრდობას და იქნებ მიიღოთო. ჩამოვიდა ირაკლი და სამ საათს ვისაუბრეთ.

**— ემზარ კვიციანიც, რომელმაც ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა, თქვენს დროს კოდორის ხეობაში იყო პრეზიდენტის რწმუნებული, მის ღალატს თუ დაიჯერებდით?**

— მის გარდა კოდორში არავინ იყო, ვისაც საქმე ჩაებარებოდა, დიდი არჩევანი არც მქონდა. ემზარს თავისი და, ნორა ეხმარებოდა. ძალიან ჭკვიანი ქალია, ფაქტობრივად, ის მართავდა კოდორის ხეობას. არ ვიცი, რა მოხდა, რა ჩაიდინა ასეთი და რა განზრახვა ჰქონდა.

**— ბოლოდროინდელი მოვლენები, კოდორის ამბებიც და იგორ გიორგაძის მომხრეთა მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის რუსეთს დაბრალდა...**

— არა მგონია, ამ საქმეში პუტინი ერიოს. ის გონიერი, სიტყვის კაცია. თუმცა რუსეთში არიან შოვინისტური ძალები. მათი წყალობით არ დაგვეკარგა სამაჩაბლო და აფხაზეთი? [illegible]

**— როგორ გგონიათ, რუსეთი გადმოგვცემს გიორგაძეს?**

— [illegible]

**— ზუგდიდში პოლიტიკური რეპრესიების დაწყებად ნათლავს ამბოხების მონაწილეების დაპატიმრებას.**

— ამბოხების მონაწილეების დაკავება პოლიტიკური რეპრესია არ არის. [illegible]

**— იქნებ იგორ გიორგაძეზე გვითხრათ რამე...**

— 10 წელია, მასთან არ მქონია ურთიერთობა. მისი უშიშროების მინისტრობის დროს მომხდარი ტერაქტისთვის პასუხისმგებლობა მას ეკისრება. ტერაქტის შემდეგ დამირეკა, დამნაშავეები დავიჭირეო (სინამდვილეში, ვიღაც უდანაშაულო ბიჭები დაუკავებია). შემდეგ გაირკვა, რომ იარაღი დაურიგებია ვიღაცებისთვის. მაშინაც გეგმავდა რაღაცას, დავურეკე, როდესაც პრეზიდენტს ტერაქტს უწყობენ, უშიშროების მინისტრი თანამდებობაზე აღარ უნდა დარჩეს-მეთქი. ამის მერე იყო, ვაზიანის აეროდრომიდან რუსეთის თვითმფრინავით რომ გაფრინდა მოსკოვში.

**— სხვათა შორის, თქვენს წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტის გამო გასამართლებული პაპუკაშვილი ამჯერადაც დააკავეს ამბოხებაში მონაწილეობის გამო.**

— არ არის გასაკვირი მისი მონაწილეობა ამ ამბოხებაში. ის იგორ გიორგაძესთან ძალზე დაახლოებული კაცია...

გული დამწყდა, რომ ამ საქმეში მაია ნიკოლეიშვილი აღმოჩნდა ჩართული. გონიერ, განათლებულ ქალად ვთვლიდი. შესაძლოა, ოჯახში ფინანსურად გაუჭირდა და ამან დააყენა გიორგაძის მომხრეთა გვერდით. ირინაზეც გული მწყდება, კარგი პოლიტიკოსი იყო, პარტიის ლიდერი, რა უნდოდა, შეთქმულებაში რომ ჩაერთო? ძალიან დაეტყო გიას სიკვდილი, მას მერე კალაპოტიდან ამოვარდა.

**— ადგილობრივი არჩევნებისთვის მძაფრ ბრძოლას ელიან. დედაქალაქის მერობის კანდიდატებზე რას იტყოდით?**

— უგულავას არ ვიცნობ, მაგრამ ვხედავ, რომ კაცი ირჯება. შესაძლოა, მთლად გამოცდილებიანად ვერ გააკეთა ყველაფერი, მაგრამ ხომ ცდილობს?

ბადრი პატარკაციშვილი არ დათანხმდება, თორემ იდეალური მერი იქნებოდა, — ფულიც ბევრი აქვს და გამოცდილებაც. ქალაქშიც ბევრი რამ გააკეთა. ჭკვიანი კაცია, საქმე არ ეშლება. რუსები დაჭერას უპირებდნენ და მე ჩამოვიყვანე აქ. პუტინისთვის არ დამიმალავს, ვუთხარი, თქვენი ერთი ძებნილი საქართველოს მოქალაქე გახდა და ვეღარ დაიჭერთ-მეთქი. ბერეზოვსკი ეგონა, არა, მისი მეგობარია-მეთქი. ბადრიო? — თვითონ მკითხა. მეტს აღარ ჩამძიებია... გოგი თოფაძეც არ იქნება ცუდი მერი, საქმიანი კაცია, მაგრამ მოხევეა და, ცოტა არ იყოს, ფიცხია. ისე, ჭკუაც უჭრის და გონიერი ბიზნესმენიც არის.

> ბადრი პატარკაციშვილი არ დათანხმდება, თორემ იდეალური მერი იქნებოდა, — ფულიც ბევრი აქვს და გამოცდილებაც. ქალაქშიც ბევრი რამ გააკეთა. ჭკვიანი კაცია, საქმე არ ეშლება. რუსები დაჭერას უპირებდნენ და მე ჩამოვიყვანე აქ. პუტინისთვის არ დამიმალავს, ვუთხარი, თქვენი ერთი ძებნილი საქართველოს მოქალაქე გახდა და ვეღარ დაიჭერთ-მეთქი. ბერეზოვსკი ეგონა, არა, მისი მეგობარია-მეთქი. ბადრიო? — თვითონ მკითხა. მეტს აღარ ჩამძიებია...



# „ჯერ რიგიანად გააზრებულიც არ მაქვს, რისთვის „დამინდეს“

იგორ გიორგაძის მომხრეები ირწმუნებიან, არანაირი შეთქმულება არ გვქონიაო, მაგრამ დაპატიმრებულმა მაია ნიკოლეიშვილმა შეთქმულების გეგმის არსებობა დაადასტურა, თუმც დასძინა, მას ირინა სარიშვილი და ელიზბარ ჯაველიძე არ დაეთანხმნენო. „ხელისუფლებას იგორ გიორგაძის „აგდება“ უნდა, — შენს თანაპარტიელებსა და ნათესავებსაც ვიჭერ და ვერაფერს აკეთებო“, — ასეთია ირინა სარიშვილის ერთ-ერთი ვერსია იგორ გიორგაძის მხარდამჭერთა დაპატიმრების თაობაზე, მაგრამ პარტია „იმედის“ თავმჯდომარემ ის აღარ იცის, თავად რატომ გადაურჩა დაპატიმრებას. ზოგიერთი ამბობს, საბჭოთა სუკი ამ მეთოდს ხშირად იყენებდა, როდესაც სურდა დამსმენის იარლიყი მიეკერებინა ვინმესთვისო. რამდენად არის სარიშვილი იგორ გიორგაძის საიმედო დასაყრდენი, მომავალი გვიჩვენებს, ჯერჯერობით კი „იგორისტთა“ კენტად დარჩენილი ლიდერი ოპოზიციურ პარტიებს ეროვნული დაუმორჩილებლობის მოძრაობის შექმნისა და ფართომასშტაბიანი აქციებისკენ მოუწოდებს და სთავაზობს, ერთმანეთს შევხვდეთ და მოვილაპარაკოთო. რამდენადაც ცნობილია, სარიშვილის მოწოდება ოპოზიციამ „ყურს იქით გაატარა“, მხოლოდ შალვა ნათელაშვილი განიწმატდა — ხელისუფლებამ პოლიტიკური რეპრესიები დაიწყოო. ლეიბორისტებს აქამდეც იგორ გიორგაძის „ძმებად“ თუ არა, „ბიძაშვილებად“ მაინც მიიჩნევდნენ და მათი ლიდერის განცხადებებმა ეს აზრი უფრო განამტკიცა.

რას ფიქრობს და რას აპირებს გისოსებმილმა დარჩენილი **ირინა სარიშვილი**, ინტერვიუდან შეიტყობთ:

— მთავარი ბრალდება, რომელსაც ხელისუფლება გვიყენებს მე და ჩემს თანამოაზრეებს (და ამის შესახებ დოკუმენტიც გადმომცეს ოფიციალურად), არის ის, რომ 2006 წლის 4 მაისს შევკრებილვართ პარტია „სამართლიანობის“ ოფისში და შემოდგომისთვის შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება დაგვიგეგმავს. სინამდვილეში შეკრება არ ყოფილა.

4 მაისს რომ შეკრება არ ჩატარებულა, ისიც დაადასტურებს, რომ მის ერთ-ერთ თანამონაწილედ დასახელებული თემურ ჟორჟოლიანი ამ დროს გულის მძიმე შეტევით საავადმყოფოში იწვა.

პარტია „სამართლიანობის“ ერთ-ერთი ლიდერის, მაია თოფურიას ბინაში სინამდვილეში 39 ათასი დოლარი იყო, თუმც რატომღაც 49 ათასი დოლარი და 1.000 ევრო დასახელდა. ეს თანხა მაია თოფურიას დედამ ოჯახის კუთვნილი ანტიკვარული ნივთის გაყიდვის შემდეგ აიღო. ასეც რომ არ ყოფილიყო, სასაცილოა, 39 და გინდაც 49 ათასი დოლარით სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაზე იფიქროს ვინმემ.

არავითარი სამხილი არ არსებობდა რევაზ ბულიას წინააღმდეგაც, მაგრამ დააპატიმრეს. კახა ქანთარიას კი იარაღი ჩაუდეს. აჯანყების სურვილი რომ მართლა ჰქონოდა ვინმეს, რატომ შეინახავდა ამდენ იარაღს პარტიის ისეთი აქტიური წევრის ბინაში, რომელიც მიტინგებზე სიტყვით გამოდიოდა. დილის 5 საათიდან საღამოს 4 საათამდე სულ 33 კაცი დააპატიმრეს. მაია თოფურიას ბინის კარი (სადაც ის მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად ცხოვრობს) ნიღბიანმა ხალხმა დილის 5 საათზე ძალაყინით შეამტვრია.

**— უცნაურია, რომ დაპატიმრებულთა შორის არ აღმოჩნდით. რით ახსნით ამას?**

— რვასაათიანი ჩხრეკის შემდეგ ჩემი დაპატიმრება თავისუფლად შეეძლოთ და ბოლო წუთამდე ვფიქრობდი, დამაპატიმრებენ-მეთქი. ჯერ რიგიანად გააზრებულიც არ მაქვს, რისთვის „დამინდეს“. იმ ხალხმა, რომელმაც ოფისიდან დოკუმენტაცია წაიღო, მითხრა, შევისწავლით ამოღებულ მასალებს და შემდეგ გადაწყდება თქვენი დაკავება-არდაკავების ამბავიო. თუკი სხვების შემთხვევაში არ სჭირდებოდათ რაიმე სამხილი, ჩემთან რატომღა გახდა საჭირო დანაშაულის სამხილით დამტკიცება?

მეეჭვება, რომ რაღაც ბევრად მზაკვრული ჩანაფიქრი აქვთ. იგორ გიორგაძის მხარდამჭერთა პოლიტიკური გაერთიანებიდან მხოლოდ მე არ დამაპატიმრეს. შესაძლოა, ხელისუფლებას ვიღაცის კვალზე გასვლა სურს და ჩემთან ერთად სხვა მსხვილი ფიგურების დაპატიმრება აქვს განზრახული. რომ ვერ შემაშინებენ, ეს ხელისუფლებამ თავადაც იცის. სამი შვილის დედობამ და სამხილის არარსებობამ ვერ უშველა მაია თოფურიას და ამავე საბაბით მე ნამდვილად არ დამინდობდნენ...

**— ოპოზიციურ პარტიებზე რას იტყვით...**

— პოლიტიკური პარტიები, რომელთაც ოპოზიციის სტატუსი აქვთ, უცნაურად იქცევიან. საპარლამენტო ოპოზიციის პოზიცია სამარცხვინოა და მათ გონიერებისაკენ მოვუწოდებ. უნდა იცოდნენ, რომ ამ ხელისუფლების მმართველობა შავი ასოებით შევა საქართველოს ისტორიაში, ისევე როგორც ის პარტიები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობენ ამ ხელისუფლების არსებობის გახანგრძლივებას. რესპუბლიკელებისადმი მიმართვას აზრი არ აქვს, სხვების გასაგონად ვიტყვი, რომ სინდისს მოუხმონ. ზოგიერთის ინერტულობა მაფიქრებინებს, რომ შეეშინდათ. როცა დაინახეს, ქალების უაპელაციო დაპატიმრებაც დაიწყო, იფიქრეს, ხელშეუხებელი არავინააო და დაფრთხნენ. საპარლამენტო ოპოზიციის ბოიკოტი სპექტაკლია. თუ დარბაზში არ შევლენ, საპარლამენტო კრიზისი დაიწყება და რიგგარეშე არჩევნების საკითხი დადგება, მაგრამ არ სურთ ხელისუფლებას პრობლემები შეუქმნან, ერთად გვრიტებივით არიან და ამიტომ განაცხადეს, დარბაზში ვბრუნდებითო.

**— თქვენი თანამოაზრეების დაპატიმრების შემდეგ იგორ გიორგაძეს თუ ესაუბრეთ?**

— არ გვისაუბრია, თუმც უსათუოდ დაველაპარაკები და ეს დანაშაულად არ მიმაჩნია.

**— დაპატიმრებები წინასაარჩევნო პერიოდს დაუკავშირეთ, მაგრამ რაში დასჭირდებოდა ხელისუფლებას იმ პოლიტიკური ძალების წარმომადგენელთა დაპატიმრება, რომლებიც არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ?**

— შესაძლოა, ხელისუფლებას იგორ გიორგაძის გალიზიანება, გამოწვევა უნდა, საქართველოში რომ ჩამოიტყუონ და ამ გზით მოიცილონ მთავარი ოპონენტი. თუ ასეთ ვითარებაში იგორ გიორგაძე ჩამოვა და მას მხოლოდ დააპატიმრებენ, ეს კიდევ არაფერი, მაგრამ უფრო მძიმე რამაც არის მოსალოდნელი, — ხელისუფლებას წინასაარჩევნო მოედნის გათავისუფლება სურს. სწორად შენიშნეთ, ბოიკოტის მომხრე პირებს მოჰკიდეს ხელი. ალბათ, იმიტომ, რომ ბოიკოტის თემა მოსახლეობაში არაპოპულარული სულაც არ არის. ჩვენი ორგანიზაცია სწორედ ბოიკოტისკენ მოწოდებას აპირებდა. ან ამით არის გამოწვეული ეს დაპატიმრებები, ან კიდევ ხელისუფლების უგუნურებით და ტყუილად ვიმტვრევთ თავს — რა მოტივით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ შემთხვევაში.

ხელისუფლებაში განხეთქილებაა და შეიარაღებული დაპირისპირება სწორედ მათ შორის არის მოსალოდნელი. ეს პროცესი ხელისუფლებამ პრემიერ-მინისტრის მკვლელობით დაიწყო. ჟვანია შიდაპოლიტიკური გავლენების გადანაწილებას ემსხვერპლა. ის ხელისუფლებამ მოკლა და კონკრეტულად, ვინ — გამოძიების საქმეა, მაგრამ ცხადია, ამ საქმეს არ გამოიძიებენ.

**— კი ამბობთ, რევოლუციისთვის ფული არ გვაქვს და არც გვჭირდებაო, მაგრამ გავრცელდა ცნობა, რუსეთმა იგორ გიორგაძეს 50 მილიონი გამოუყო ამ საქმისთვისო.**

— სად არის მერე? ზოგჯერ იმასაც კი წერდნენ, რომ ჩემს ფონდში ყოველთვიურად 50 მილიონი დოლარი ირიცხებოდა. 50 მილიონიდან რატომღაც მხოლოდ 49 ათასი აღმოაჩინეს. ეტყობა, დანარჩენი დავხარჯეთ.

**— ბათიაშვილის დაპატიმრების შემდეგ, როდესაც ტელევიზიით გაიმეორეთ სიტყვა („გამაგრდით“), რომელიც მისთვის საბედისწეროდ იქცა, რა გქონდათ განზრახული — ხელისუფლების გამოწვევა?**

— ეს გამოწვევა კი არა, საზოგადოებისთვის მაგალითის მიცემის მცდელობა იყო. არ შეიძლება კურდღელივით ცხოვრება. შესაძლოა, საფრთხე გელოდებოდეს, მაგრამ ამის გამო ყოველთვის უკან დახევა იქამდე მიგიყვანს, რომ არარაობად იქცევი. ამ ხელისუფლებას რად უნდა გამოწვევა, „გამაგრდის“ გარეშეც გააკეთებს იმას, რაც უნდა. ბათიაშვილი ამის თქმის გამო არ დაუპატიმრებიათ. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ მეც უნდა დავეჭირე. ხელისუფლებას ერთადერთი მიზანი აქვს — ხალხის დაშინება.

**— როგორ გგონიათ, დაგიჭერენ?**

— ეს ჩემი ცხოვრების თანამდევი პროცესია. ისე, იმედიანად ვარ, ბოლო დროს აგრილდა, საკანში ახლა ისეთი სიცხე არ იქნება და იმის გადატანა აღარ მომიწევს, რაც ბათიაშვილმა გადაიტანა.

***გვერდი მოამზადა***
***იზო რიკაძემ***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანტიკრიმინალური სპეცოპერაცია ფართომასშტაბიანი ომის სანაცვლოდ



(დასაწყისი გვ.5)

მოულოდნელობის ეს ფაქტორი კი ცხინვალის შემთხვევაში დღეს, სამწუხაროდ, ნაკლებადაა. თავად განსაჯეთ, ტელევიზიით გამოდიან ცხინვალელ სეპარატისტთა ლიდერები და აცხადებენ, რომ ისინი ღამღამობით ელოდებიან ქალაქში ქართველი სპეცრაზმელების შეჭრას, რომელთაც თურმე სწორედ ამ ლიდერების ამოხოცვა ევალებათ.

ასეთ დროს ძალიან ძნელია, მიაღწიო მოულოდნელობის ეფექტს, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. არსებობს სამხედრო ეშმაკობათა მრავალი საშუალება, როდესაც სავარაუდო მოწინააღმდეგის მთელი ყურადღება სხვა მიმართულებით და სულ სხვა რამეზე გადადის.

იმას, რომ სეპარატისტთა ლიდერების ლიკვიდაციის გარეშე არაფერი გაკეთდება, ისევ ჩეჩნეთის მოვლენები ამტკიცებს. მხოლოდ დუდაევის, მასხადოვის, ხატაბის, გელაევისა თუ ბასაევის ფიზიკური განადგურების შემდეგ შეძლეს რუსეთის სპეცსამსახურებმა და ფედერალურმა ძალებმა მეტნაკლებად გაეკონტროლებინათ სიტუაცია ჩეჩნეთში.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ცხინვალისა და ჯავის რაიონებში უფრო ნაკლებად დაძაბული სიტუაცია შეიძლება შეიქმნას, ვიდრე თავის დროზე ჩეჩნეთის აჩხოი-მარტანისა თუ ბამუტის რაიონებში იყო, ძალიან ცდება.

საქართველოს ხელისუფლება უნდა ხვდებოდეს, ძალიან დიდი შანსი არსებობს, რომ ანტიკრიმინალურ სპეცოპერაციად დაწყებული აქტიური ქმედებები ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ფართომასშტაბიან ბრძოლებში გადაიზარდოს.

ეტყობა, ამიტომ ლაპარაკობს პრეზიდენტი სააკაშვილი ჯერ რეზერვისტთა რაოდენობის 100 ათასამდე გაზრდის შესაძლებლობაზე, მოგვიანებით კი პარლამენტი ცვლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ერთ ნაწილს და ტერიტორიული თავდაცვის პრინციპის ნაცვლად შემოდის ცნება ტოტალური თავდაცვისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარეშე მტრულ ძალებს, არმიის გარდა, საერთო მობილიზაციის შედეგად შეკრებილი სამხედრო სამსახურისთვის ვარგისი ყველა მოქალაქე უნდა დაუპირისპირდეს.

თავდაცვის მინისტრი უფრო შორს მიდის და პარლამენტში შეაქვს კანონპროექტი, რომლის თანახმადაც უნდა გაუქმდეს ის პუნქტი, რომლის მიხედვითაც 2.000 ლარის გადახდის შემდეგ წვევამდელი 1,5 წლით თავისუფლდება სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან.

მართალია, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომისიამ თავდაცვის სამინისტროს მოსთხოვა ამ ცვლილების არგუმენტირებული დასაბუთება, მაგრამ როგორც ყოველთვის, თავდაცვის მინისტრი, ალბათ, ამ ცვლილებასაც გაიტანს.

რეზერვისტთა რიცხვის მნიშვნელოვანი გაზრდა და მოსაკრებლით სავალდებულო სამხედრო სამსახურში გადავადების გაუქმების მცდელობა ნათლად მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყნის ხელისუფლება სულაც არ გამორიცხავს საქართველოს ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში თავის ამოყოფას და „ორი ფრონტის“ გახსნას (ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში), მაგრამ საკითხავია, ოფიციალურ თბილისს სურს თუ არა ეს...

# „ვისაც გადატრიალება სურს, საკუთარ ლოგინში იტრიალოსო“

ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის ერთი ფრთიანი ფრაზა — ვისაც გადატრიალება გსურთ, საკუთარ ლოგინში იტრიალეთო.

შევარდნაძის ეპოქის დროს სამართალდამცავები პერიოდულად „ხსნიდნენ“ მორიგი გადატრიალების სცენარებს და პრეზიდენტის ნდობას იმსახურებდნენ, თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგა, „ვარდების რევოლუციას“ ვერაფერი დაუპირისპირეს.

6 სექტემბერს სამართალდამცავებმა განაცხადეს, მავანნი დღევანდელი ხელისუფლების ძალისმიერი გზებით შესაცვლელად ემზადებიანო და იმავე დღეს ყბადაღებული იგორ გიორგაძის ათობით მხარდამჭერი დააკავეს.

სპეცსამსახურების მიერ მოპოვებული მასალების, მათ შორის დაკავებულთა აღიარებითი ჩვენებების უტყუარობის დამტკიცება სასამართლოს პრეროგატივაა. მაგრამ თუკი მართლაც მზადდებოდა ის, რასაც დღეს ხელისუფლება აცხადებს, მაშინ ქართულ სპეცსამსახურებს შესაშური პროფესიონალიზმი და ოპერატიულობა გამოუჩენიათ.

ერთ-ერთი ეჭვმიტანილის სახლის სარდაფიდან ამოღებული არსენალი — ორ ათეულზე მეტი ავტომატი, ექვსი ყუმბარსატყორცნი, ტყვიამფრქვევი, ხელყუმბარები, ვაზნები და ტროტილის ბრიკეტები — იმაზე მიუთითებს, რომ საქმე სახუმაროდ არ ყოფილა. არა იმიტომ, რომ ოციოდე „კალაშნიკოვით“ თვით ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, შეიძლება შეიარაღებული გადატრიალების მოწყობა, არამედ სხვა მიზეზის გამო — სადაც იარაღი გამოჩნდება, იქ უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი რაიმე პოლიტიკური და დემოკრატიული გზებით ხელისუფლებაში მოსვლაზე (თუმცა „ვარდების რევოლუციის“ წინ იარაღი არც მაშინდელ ოპოზიციას აკლდა).

საერთოდ, გასაოცარია 8 სექტემბრის ღამის ინციდენტი, როდესაც შსს-ს კონტრტერორისტული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ოფისთან პანტელეიმონ გიორგაძის კომუნისტური პარტიის წევრი ალექსანდრე ჭუმბურიძე დააკავეს. ჩანს, სპეცსამსახურის წარმომადგენლები მას დიდი ხანია უთვალთვალებდნენ და მის ფარულ ვიდეო-აუდიოჩანაწერასაც ახერხებდნენ. დაკავებულს თან აღმოაჩნდა უცნაური ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც 400 გ ტროტილისა და დეტონატორის გარდა, მშრალ ყინულსაც შეიცავდა. ეს ყინული, სავარაუდოდ, ერთგვარი შემნელებლის როლს თამაშობდა, რათა ტერორისტს მოესწრო მისი ობიექტთან დატოვება და ყინულის გალღობამდე საშიშ ადგილს გასცლოდა. ყინულის გალღობის შემდეგ შეიკვრებოდა ელექტროწრედი და დეტონატორი ამოქმედდებოდა. „ჯოჯოხეთის მანქანაში“ აფეთქების შემნელებლად შაქრის გამოყენებაზე (სანამ შაქარი სითხეში გაიხსნება) კი გვსმენია, მაგრამ ყინულის ხმარება ამ შემთხვევაში საკმაოდ სარისკოა, მით უმეტეს, ცხელი ზაფხულის პერიოდში. სხვათა შორის, სპეცსამსახურები მაშინ იყენებენ ყინულს, როდესაც ასაფეთქებელ მოწყობილობას აღმოაჩენენ. მის განალმვამდე ან სხვა ადგილას გადატანამდე ყინავენ „ჯოჯოხეთის მანქანას“, აფეთქების ალბათობის შესამცირებლად. დაკავებული ალექსანდრე ჭუმბურიძის აღიარებით, იგი უშიშროების ყოფილი თანამშრომელია და იგორ გიორგაძის მინისტრობის დროს სპეცრაზმ „ალფას“ წევრი იყო.



ტერორიზმში ეჭვმიტანილ ჭუმბურიძეს ეს ასაფეთქებელი მოწყობილობები აღმოუჩინეს

თუ სამართალდამცავების ეს ვერსია დამტკიცდება, გამოდის, რომ იგორ გიორგაძემ მართლა მიმართა უკანასკნელ და, პირველ რიგში, თავისი თავის დამღუპველ ხერხს — ტერორისტული აქტების მოწყობას მასობრივი არეულობის გამოსაწვევად და ამ სარისკო საქმეში თავის ყოფილ სპეცრაზმელებს იყენებს.

ეს კი, სააკაშვილის ხელისუფლების კი არა, მთლიანად საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს.

საქართველოს მთავარი პრობლემა, სამწუხაროდ, ის არის, რომ ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლება საყოველთაო არჩევნების გზით არ მოდის...

# „ალდაგი“ ქართული სადაზღვევო ბაზრის სტაბილური ლიდერია

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაციით, ქართულ სადაზღვევო ბაზარზე სტაბილური სიტუაციაა და განვითარების ტემპი იზრდება. ამ სამსახურმა ახლახან გამოაქვეყნა სადაზღვევო კომპანიების მიერ 2006 წლის 6 თვის განმავლობაში მოზიდული პრემიების მაჩვენებლები, რომელთა მიხედვით ლიდერობს ოთხი კომპანია: „ალდაგი“, „ბი სი აი“, „ჯი პი აი“, და „იმედი ლ“. მათ მიერ მოზიდული თანხების მაჩვენებლები შთამბეჭდავია და იმედს იძლევა, რომ არც მომდევნო ექვსი თვის შედეგები იქნება ნაკლები.

„ალდაგი“ უკვე წლების განმავლობაში ინარჩუნებს ლიდერობას. 2006 წლის 6 თვის შედეგებით, „ალდაგის“ მიერ მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ თითქმის 10 მილიონი ლარი შეადგინა.

სადაზღვევო ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსს არჩილ ცერცვაძეს ვესაუბრეთ:

— ბაზარზე ზრდის ტემპი 2004-2005 წლებშიც შეიმჩნეოდა. მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში კომპანიებისგან მოზიდული პრემიების მაჩვენებელი იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ შემოსავლები წელს განსაკუთრებით მატულობს. კანონით, სავალდებულო აღარ არის ქონების დაზღვევა, სავალდებულო-საავტომობილო დაზღვევა კი ძირითად ნაწილში შეჩერებულია. მიუხედავად ამისა, იზრდება ნებაყოფლობით დამზღვევთა რიცხვი.

**— მყარია თუ არა ქართული სადაზღვევო კომპანიების სტაბილურობა?**

— სადაზღვევო კომპანიების სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორი სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობაა; ისიც, რამდენად აქვთ დაცული ნორმატიული ლიმიტები. ჩვენს სადაზღვევო კომპანიებს აქვთ საკმაოდ სოლიდური საწესდებო კაპიტალი. ზოგიერთს ჩვენ მიერ დაწესებულ მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე მეტიც კი აქვს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ სფეროში ინვესტიციები ხორციელდება. კომპანიების საწესდებო კაპიტალი არის მყარი, სადაზღვევო შემთხვევები კი, ძირითადად, რეზერვებით იფარება, რაც იმას ნიშნავს, რომ რეზერვების ფორმირება ნორმალურად მიმდინარეობს და კომპანიები იცავენ გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებელ ნორმებს, ამ პროცესს ჩვენ ვაკონტროლებთ, რათა საფრთხე არ შეექმნას სადაზღვევო პოლისის მფლობელს.

სტაბილიზაციის გარანტიებს ამყარებს ისიც, რომ ქართული სადაზღვევო კომპანიები იყენებენ გადაზღვევის მეთოდს. მაღალრისკიან დაზღვევებში საკუთარი პორტფელის დასაბალანსებლად თავს იზღვევენ დასავლეთის ბაზარზე. გადაზღვევის მექანიზმი კომპანიების მუშაობას სადაზღვევო ბაზარზე კონკურენტულს ხდის.

**— თქვენ მიერ გამოქვეყნებულ შედეგებში კვლავ „ალდაგი“ ლიდერობს, რაც პირველი შემთხვევა არ არის. რა განაპირობებს „ალდაგის“ მრავალწლიან ლიდერობას?**

— „ალდაგის“ ლიდერობას განაპირობებს მისი 16-წლიანი ისტორია, მაღალკვალიფიცირებული კადრები და საზოგადოებაში არსებული ნდობის ფაქტორი.

„ალდაგის“ ლიდერობის განმსაზღვრელად ამავე მიზეზებს ასახელებს კომპანიის გენერალური დირექტორი გიორგი თხელიძე. თუმცა, მისი აზრით, კომპანიის წარმატებას კიდევ ბევრი რამ განაპირობებს. მათ შორის მომსახურების მაღალი ხარისხი და ზარალის ანაზღაურების მოქნილი პოლიტიკა.

— ვფიქრობთ, ჩვენი წარმატების მიზეზი არის ისიც, რომ გამუდმებით ვზრუნავთ განვითარებაზე და კომპანიის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. საქართველოში კვალიფიციური სადაზღვევო განათლების მიღება შეუძლებელია, ამიტომ თანამშრომლებს ყოველწლიურად ვაგზავნით საზღვარგარეთ განათლების მისაღებად, ასევე ჩვენს პარტნიორებთან სამუშაო გამოცდილების გასაზიარებლად. ძალიან გვინდა სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობით საქართველოში ჩამოყალიბდეს სასწავლო ცენტრი, რომელიც მუდმივად იმუშავებს დაზღვევის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს.

**— ქართულ სადაზღვევო ბაზარზე აქტიურად მოთამაშე რამდენიმე კომპანია გამოჩნდა. ამ კონკურენტულ გარემოში ნოვატორული იდეებით ლიდერობასაც ახერხებთ?**

— მიუხედავად იმისა, რომ კომპანია 1990 წელს შეიქმნა, როგორც სადაზღვევო სამედიცინო ფირმა, წლების განმავლობაში „ალდაგი“ ნერგავდა დაზღვევის ახალ სახეობებს სადაზღვევო ბაზარზე. 1992 წლიდან დავიწყეთ სამოგზაურო დაზღვევა ჩვენს ფრანგ პარტნიორ MUTUAID ASSISTANCE-თან ერთად; 1994-1995 წლებიდან დავიწყეთ ქონების, ტვირთებისა და ავტომობილების დაზღვევა. მიმდინარე წელს ჩვენმა კომპანიამ დანერგა რამდენიმე ახალი პროდუქტი. პირველებმა შევქმენით საქართველოში უცხოელ ტურისტთა



სამედიცინო დაზღვევის პროდუქტი, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა. იგი ფარავს ყველა სახის გადაუდებელ მკურნალობას, რომელიც შეიძლება ტურისტს დასჭირდეს საქართველოში. აღნიშნული პროდუქტი ითვალისწინებს შემდეგ სამედიცინო მომსახურეობას: სასწრაფო-სამედიცინო დახმარება, გადაუდებელი ჰოსპიტალიზაცია, ამბულატორია, სტომატოლოგია (როგორც ამას ახორციელებს „ალდაგი“ უცხოეთში საქართველოს მოქალაქეების სამოგზაურო დაზღვევისას). აღნიშნული პროდუქტი მნიშვნელოვანია საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის. უცხოელებისათვის გაცილებით საინტერესოა, როდესაც ტურისტული სააგენტო სთავაზობს მათ სასტუმროს, სატრანსპორტო, საექსკურსიო და სადაზღვევო მომსახურებას ერთად.

მიმდინარე წლის ზაფხულში სადაზღვევო ბაზარზე გავიტანეთ დაზღვევის სრულიად ახალი პროდუქტი „აგარაკების დაზღვევა“. ეს ძალიან კარგი და საჭირო პროდუქტია მათთვის, ვისაც აქვს აგარაკი და წლის განმავლობაში დიდი ხნით უწევს მისი დატოვება.

გაფრთხილების მიუხედავად, დიდია აგარაკის დაზიანების ალბათობა, ასევე საოჯახო ქონების მოპარვა და დაზიანება.

დაზღვევა ვერ აცილებს თავიდან ასეთ მოულოდნელ და არასასურველ მოვლენებს, მაგრამ „აგარაკების დაზღვევის“ პოლისი საშუალებას მისცემს მათ აინაზღაურონ ფინანსური ზარალი.

ამ პროდუქტის საზოგადოებისთვის უკეთ გაცნობის მიზნით, ჩავატარეთ სპეციალური აქცია წავკისში, წყნეთსა და საგურამოში. აღნიშნულმა აქციამ წარმატებით ჩაიარა და პირველივე დღეებში ბევრი აგარაკის დაზღვევა განხორციელდა.

**— 16-წლიანი ისტორიის მანძილზე „ალდაგმა“ მართლაც დიდი ნდობა მოიპოვა. მომხმარებლისთვის თქვენ მიერ შეთავაზებული პროდუქტების პოპულარობას, ალბათ ეს ფაქტორიც განაპირობებს. შეგიძლიათ დაასახელოთ დაზღვევის ყველაზე პოპულარული სახეობები მოსახლეობაში?**

— ამ დროისთვის საქართველოს მოქალაქეები კარგად იცნობდნენ ყველა პოპულარული დაზღვევის სახეობას. ძალიან პოპულარულია ავტომობილებისა და ჯანმრთელობის დაზღვევა. საცალო, ანუ ფიზიკური პირების ბაზარზე დამკვიდრება, ჩვენი კომპანიის უახლოესი სტრატეგიაა. აქედან გამომდინარე, ბევრი სიახლე გვაქვს საბანკო დაზღვევაშიც. საბანკო დაზღვევის ახალი პროდუქტები 2006 წლის პირველ ნახევარში შეიქმნა და ამ მიმართულებითაც საკმაოდ გაიზარდა შემოსავლები. პარტნიორ ბანკ „რესპუბლიკასთან“ ერთად მუდმივად ვნერგავთ სიახლეებს და ვახორციელებთ ერთობლივ პროექტებს, რომ მოქალაქეებმა კომფორტულად იგრძნონ თავი და ცალ-ცალკე არ მოუწიოთ საბანკო და სადაზღვევო მომსახურების მიღება. ბანკ „რესპუბლიკის“ ოფისში ჩვენი წარმომადგენელი ადგილზე მოემსახურება კლიენტებს. შემოდგომიდან კი საბანკო სერვისის მიღება ჩვენს ოფისში იქნება შესაძლებელი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ „ალდაგი“ კვლავ შეინარჩუნებს ლიდერის პოზიციას და ყოველთვის იქნება საიმედო პარტნიორი ჩვენი მოქალაქეებისათვის.

R

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჰაერო ტერორიზმის სამიზნეში

## სეპარატისტები ქართულ ცასაც ემუქრებიან და მის გაყოფას ცდილობენ

სექტემბერში საქართველოს ცაში ცხინვალელმა სეპარატისტებმა ორჯერ განახორციელეს საჰაერო ტერორისტული აქტი.

საბედნიეროდ, არც ერთს არ მოჰყოლია მსხვერპლი.

ორივე აქტს თვითმხილველებიც ჰყავს და დამადასტურებელი სამხილებიც არსებობს.

3 სექტემბერს თავდაცვის სამინისტროს შვეულმფრენის დაცხრილვას რამდენიმე საათში დიდი რეზონანსი მოჰყვა, მანამდე რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ კი 28 აგვისტოს, საჰაერო ტერაქტის მცდელობის შესახებ ბოლო დრომდე არაფერი იყო ცნობილი.

არადა 28 აგვისტოს ფაქტი შეიძლება უფრო ტრაგიკული გამომდგარიყო, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში შვეულმფრენს გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექს Стрела-2M-იდან სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტა 9M32M-ი ესროლეს.

ქართული სოფლის, ავლევის მცხოვრებლებმა 28 აგვისტოს თვალი მოჰკრეს მფრინავ შვეულმფრენს. მისგან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით უეცრად ჰაერში რაღაც აფეთქდა და სოფლის ჩრდილოეთით, მინდორში ჩამოვარდნილმა საგანმა პატარა ცეცხლი გააჩინა.



სოფ. ავლევთან ჩამოვარდნილი თვითლიკვიდირებული საზენიტო „სტრელას" ნარჩენი (მარჯვნივ)

ადგილზე მისულმა შსს-ს კრიმინალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ეს საგანი სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტა 9M32M-ის ნარჩენი იყო.

ამ ნივთმტკიცებისა და თვითმხილველების ნაამბობის შეჯერებით შესაძლებელი გახდა იმის მტკიცება, რომ დაახლოებით 4 კმ-ის რადიუსიდან შვეულმფრენის მიმართულებით ისროლეს სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტა. სავარაუდოდ, საზენიტო რაკეტამ ვერ მოასწრო სტარტიდან დაახლოებით 11-14 წმ-ში დასწეოდა მიზანს, რის შემდეგაც ამოქმედდა თვითლიკვიდაციის მექანიზმი, რომელმაც ააფეთქა საზენიტო რაკეტის საბრძოლო ქობინი და სითბური დამიზნების სისტემა, მიწაზე კი მხოლოდ უკანა, ძრავის ნაწილი დაეცა.

თავდაპირველად, საქართველოს შსს-ს ოფიციალურ განცხადებაში მითითებული იყო, რომ საზენიტო რაკეტა საქართველოს პრეზიდენტისა და მისი სტუმარი ამერიკელი სენატორების შვეულმფრენს ესროლეს. მოგვიანებით, ამერიკული FBI-სა და ქართველი ექსპერტების დასკვნით, ეს ვერსია გამოირიცხა. მათი აზრით, საზენიტო რაკეტა ესროლეს სენატორების შვეულმფრენის უკან მიმავალ ქართულ საფრენ აპარატს.

ამ შემთხვევაშიც, ისე როგორც 2005 წლის 10 მაისს, როდესაც საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტებისკენ თბილისში, თავისუფლების მოედანზე ხელყუმბარა ისროლეს, წმინდა ტექნიკურმა წვრილმანმა და ტერაქტების შემსრულებლების არაპროფესიონალიზმმა გვიხსნა. პირველ შემთხვევაში სომხეთში დამზადებულ ხელყუმბარას ტექნიკური წუნი ჰქონდა და მისმა გადამგდებმა ხელსახოცი მჭიდროდ შემოახვია ხელყუმბარის ფალიის დამცველს. მეორე შემთხვევაში კი „სტრელას" მსროლელმა საზენიტო რაკეტა, საბედნიეროდ, დაგვიანებით გაუშვა, რის გამოც, რაკეტა განსაზღვრულ 11-14 წმ-ში ვერ დაეწია სამიზნეს და თვითლიკვიდაციით აფეთქდა.

ისე კი ამ ორი ტერაქტის მცდელობასთან საკმაოდ ადვილია პარალელის გავლება: 2005 წლის 10 მაისსაც და 2006 წლის 28 აგვისტოსაც ხომ საქართველოს მაღალჩინოსანი ამერიკელები სტუმრობდნენ. მათ მიმართ გასროლა კი საქართველოს პრესტიჟს დააზარალებდა. არაფერს ნიშნავს ის, რომ „სტრელა" იმ შვეულმფრენს ესროლეს, რომელშიც სენატორები არ ისხდნენ — ყველამ იცოდა, ერთ-ერთი შვეულმფრენით (ან რამდენიმეთი) მაღალჩინოსანი ამერიკელი სტუმრები მგზავრობდნენ.



სამაგიეროდ, სეპარატისტები არ შემცდარან, როდესაც 3 სექტემბერს ის შვეულმფრენი დაცხრილეს, რომელშიც თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი და გენშტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი გოგავა ისხდნენ.

თავდაცვის სამინისტროს ინტერნეტსაიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, სენაკისკენ მიმავალი Ми-8MT ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენს (№32) ოსმა სეპარატისტებმა მსხვილკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღით ესროლეს. ამავე საიტზე წარმოდგენილ ფოტოსურათებზე მოჩანს რამდენიმე ნატყვიარი შვეულმფრენის უკანა გასახსნელ სატრანსპორტო ტრაპზე.

შვეულმფრენში მყოფთ გაუმართლათ, რომ ტყვიები საფრენი აპარატის უფრო მნიშვნელოვან დეტალებს — ძრავებს, რედუქტორს და ხრახნებს არ მოხვდა. მიწიდან ნასროლ ტყვიებს თავისუფლად შეეძლო დაეჭრა ან მოეკლა შვეულმფრენის მგზავრები.

ერთი კვირის მანძილზე კონფლიქტის ზონის თავზე და მის სიახლოვეს ჩადენილი ორი საჰაერო ტერორისტული აქტი უკვე მეტისმეტია.

ცხინვალელი სეპარატისტები რომ დიდი ხანია ნადირობენ ქართულ შვეულმფრენებსა და თვითმფრინავებზე, ახალი არ არის. „კვირის პალიტრაში" არაერთხელ დაგვიწერია ცხინვალისა და საერთოდ, კონფლიქტის ზონის საჰაერო სივრცეში არსებულ საფრთხეზე. ბოლოს ამის თაობაზე 7 აგვისტოს ნომერში ვწერდით, სადაც ლაპარაკი იყო სეპარატისტების მუქარაზე — ცხინვალის ახლომახლო გამოჩენილ ნებისმიერ საჰაერო ობიექტს ჩამოვაგდებთო.



დაბალ სიმაღლეზე მფრენი შვეულმფრენის ჩამოგდება სითბური დამიზნების რაკეტით არცთუ ისე რთულია...

მოვლენების განვითარებამ ეს საშიშროება რეალობად აქცია. ფაქტია, სეპარატისტების შეიარაღებაში საზენიტო ЗУ-23-2 ავტომატური ქვემეხების გარდა გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებიცაა, რაც ქართველმა პილოტებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. ისე კი, „სტრელებს" ცხინვალელ სეპარატისტებს რუსების გარდა რომ ვერავინ მიაწვდიდა, დიდი მტკიცება არ უნდა.

სეპარატისტული ცხინვალი თავის გამართლებას იმით ცდილობს, რომ თურმე ეს მათი საჰაერო სივრცე ყოფილა. სინამდვილეში ასეთი რამ არ არსებობს, რადგან საერთაშორისო საავიაციო კომიტეტი ცნობს საქართველოს ერთიან საჰაერო სივრცეს.

სხვა საქმეა კონფლიქტის ზონის საჰაერო სივრცე, რომლის ცნობაზეც 2001 წელს ხელი აქვს მოწერილი შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენელს. ამ დოკუმენტის თანახმად, კონფლიქტის ზონაში საჰაერო ობიექტის შეფრენაზე ნებართვა შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა (ბუნებრივია, რუსმა გენერალმა) უნდა გასცეს. თავის დროზე ამ დოკუმენტზე ხელის მოწერა უდიდესი შეცდომა იყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან.

ზემონახსენებ ორივე შემთხვევაში ესროლეს შეუიარაღებელ საფრენ აპარატებს (შვეულმფრენის კომუფლაჟი არ ნიშნავს, რომ იგი საბრძოლო საფრენი აპარატია), ამიტომაც მას საერთაშორისო დონეზეც უნდა მიეცეს საჰაერო ტერორიზმის აქტების განმარტება.

ისე კი, საქართველოს პრეზიდენტის შვეულმფრენი თავისი სილუეტით, ფრენისას გამოყოფილი ხმაურით მკვეთრად განსხვავდება ქართულ ცაში მფრენი სხვა შვეულმფრენებისგან, რაც უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე მიუღებელია.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# დამნაშავე თუ „პირადი პატიმარი"?

## ზოგი გაზრდილი ხელფასით ამაყობს, ზოგსაც ხელფასის გაცემისთვის იჭერენ



პოლკოვნიკ გიორგი თავდგირიძეს ხელფასების უკანონოდ გაცემას აბრალებენ

თავდაცვის ეროვნული აკადემიის ყოფილი რექტორის, პოლკოვნიკ გიორგი თავდგირიძის დაკავება მაინცდამაინც მოულოდნელი არ ყოფილა.

საერთოდ, ასეთი წესი არა მარტო საქართველოში, არამედ იმ ქვეყნებშიც არის დამკვიდრებული, სადაც რეალურ დემოკრატიას ჯერ კიდევ ბევრი უკლია. ახალი ხელისუფლება ცდილობს, პასუხი აგებინოს ძველებს. ხშირად ეს სამართლიანი ქმედებაა: ხელისუფლების ამა თუ იმ გავლენიან წარმომადგენელს, რომელსაც ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, თანამდებობის და, შესაბამისად, „ჯავშნის" დაკარგვის შემდეგ წარსული ცოდვებისთვის სთხოვენ პასუხს.

მაგრამ ისიც ხდება, რომ ახალი ხელისუფლება თუ ამ ხელისუფლების რომელიმე მაღალჩინოსანი, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ერთგვარად შურს იძიებს...

პოლკოვნიკ გიორგი თავდგირიძის დაკავება იმიტომ იყო მოსალოდნელი, რომ ბევრი სხვა მაღალი რანგის ოფიცრისგან განსხვავებით, ჩრდილში კი არ დარჩა, არამედ აქტიურად დაიწყო თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების დღევანდელი ხელმძღვანელობის კრიტიკა, ხშირად სავსებით სამართლიანადაც. თანაც პოლიტიკაშიც გადაინაცვლა და „ახალი მემარჯვენეების" სამხედრო კომისიის თავმჯდომარეც გახდა.

პოლკოვნიკ თავდგირიძეს, თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორობის დროს, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება დასდეს ბრალად. კერძოდ, სამხედრო პოლიციის გამომძიებლები მას სახელმწიფოსთვის 25.841 ლარის ზარალის მიყენებას ედავებიან — პოლკოვნიკმა თავდგირიძემ, მიუხედავად აკრძალვისა, აკადემიის პედაგოგებს ახალი წლის წინა დღეებში დაურიგა ხელფასიო (ვერაფერს იტყვი, „ნამდვილი" კრიმინალია(?). — ავტ.).

გიორგი თავდგირიძის ადვოკატის, ლადო ნორაკიძის განცხადებით, მაშინ ეროვნული აკადემიის უფროსს პედაგოგებისთვის კუთვნილი ხელფასი რომ არ მიეცა, შეფერხდებოდა სასწავლო პროცესი, შესაბამისად, სათანადოდ ვერ მოემზადებოდნენ სამხედროები და ვერც სამშვიდობო მისიით გაიგზავნებოდნენ ერაყსა და კოსოვოში.

თავდგირიძის თანაპარტიელები მიიჩნევენ, რომ პოლკოვნიკი თავდაცვის მინისტრ ოქრუაშვილის პირადი პატიმარია. კომენტარი ძნელია, მაგრამ თუ ამ სიტყვებში მაინც არის რაიმე სიმართლე, მაშინ თავდგირიძე ოქრუაშვილის თვალში, ეტყობა, უფრო მას შემდეგ გახდა არასასურველი პიროვნება, რაც თანამდებობიდან მოხსნილმა პოლკოვნიკმა თავდაცვის მინისტრის პოლიტიკის კრიტიკა დაიწყო მასობრივ საინფორმაციო საშუალებებსა თუ პრესკონფერენციებზე.

არ გამოგრჩეთ!

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი




ყველაზე კარგი ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

# შეყვარებული მკვლელი

რამდენიმე წლის წინ საქართველოს უზენაეს სასამართლოში განიხილავდნენ ანანურელი გივი ნათიშვილის (გვარები აქ და შემდგომ შეცვლილია) საქმეს, რომელიც მაშინაც და ახლაც ისეთი შემზარავი გვეჩვენებოდა, რომ ვერაფრით ვბედავდით მკითხველის სამსჯავროზე გატანას. არადა ამ წლებში გვისნაირი იმდენი კაციჭამია ვიხილეთ, გადავწყვიტეთ, რომ ერთით მეტი ან ნაკლები დიდად არ შეცვლიდა ჩვენს წარმოდგენას კრიმინალურ სამყაროზე. და მაინც, მკითხველს გავუფრთხილდებით და ამ ისტორიის ადგილ-ადგილ შერბილებულ ვერსიას ვთავაზობთ.

ამონარიდი სასამართლო სხდომის ოქმიდან:

„მსჯავრდადებული პირველად საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში სამსახურისას, 1980 წელს გაასამართლეს ნარკოტიკების მოხმარებისთვის და ერთი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გათავისუფლების შემდეგ ანანურში დაბრუნდა და თანასოფლელი დააყაჩაღა. დუშეთის რაიონის სასამართლომ ჰუმანურობა გამოიჩინა, სასჯელის მოხდა ციხის მაგივრად რუსეთში კოლონია-ჩასახლებით შეუცვალა. იქ კი ნათიშვილი ვინმე სერიოჟა მალალეტნიკთან ერთად დასახლების მახლობლად მცხოვრებ ახალგაცნობილ ალექსეი პროხოდკოს ეწვია და სამივენი ისე გაილეშნენ არყით, რომ მათი დანახვისას გვიან ღამით შინ დაბრუნებულმა შეშინებულმა მასპინძლის ცოლმა კივილი ატეხა“...

— მოკეტე... — შეუღრინა გივიმ და არყის ცარიელი ბოთლი ესროლა ქალს.

დუსია იგნატიევნა სულ გადაირია: როგორ, ეს მოთრეული ჯერ ჩემს სახლში სკდება, მერე კიდევ ბოთლს მესვრისო და უფრო აუწია ხმას.

— აღარ ჩაჩუმდები შე... — და გივიმ ახლა მეორე ბოთლი პირდაპირ სახეში ჩააფარა ქალს.

— Грузин, оставь в покое жену, а то убью, она беременна! — წამოიმართა ნახევრად მძინარე ალექსეი და პურის საჭრელ დანას დასწვდა, მაგრამ გივიმ დაასწრო, ჯიბიდან ზამბარიანი, გასაშლელი დანა დააძრო და ფერდში ატაკა მასპინძელს. მერე კიდევ და კიდევ. ასე რომ, როცა სერიოჟა მალალეტნიკმა თვალი გაახილა, მის წინ ორი ადამიანის გვამი ეგდო.

— ვინ არიან ესენი? — იკითხა გულგრილად.

— ჩვენი მასპინძელი, ცოლთან ერთად.

— ახლა რა ვქნათ?

— უნდა დავითესოთ და რაც შეიძლება სწრაფად.

— წასასვლელი რომ არსად გვაქვს? — სერიოჟა თითქმის გამოფხიზლებულიყო, შიშით ავსებოდა თვალები.

— ჩემთან წამოხვალ, საქართველოში. იქ საცოლე მელოდება, ქორწილში ხელისმომკიდე იქნები, კაცურად ვიცხოვრებთ, — იყო პასუხი.

მაგრამ საქართველო არც ისე რომანტიკული აღმოჩნდა, როგორც შორიდან ჩანდა. დაპატიმრების შანსი აქ ბევრად უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე სხვაგან.

„ეს რა ქვეყანაა, ყველა ყველას იცნობს. ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთზე და ვერსად დაიმალები აქ — დუშეთის თვალუწვდენელ ტყეებშიც კი“, — ასე ფიქრობდა ანანურის ტაძრის გალავანს აკრული სერიოჟა მალალეტნიკი და ნანობდა, გივის რომ დაუჯერა; თავადაც სულ სხვაგვარად წარმოედგინა ღვინისა და მანდარინების ქვეყანა.

გივიც ვერ იყო ხასიათზე. მისი ბავშვობის სიყვარული, მშვენიერი აგრაფინა სხვას გაჰყოლია და შემოუთვლია, — მე რომ გყვარებოდი, ჯარში კი არ წახვიდოდი, შემირთავდი და სადმე გამოქვაბულში ვიცხოვრებდითო; გივი მხოლოდ ახლაღა მიხვდა, რომ აგრაფინა იმაზე მეტად ჰყვარებია, ვიდრე აქამდე ეგონა, და იმ დღის შემდეგ ყველაფერი ქალის სახელს დაუკავშირა. მას შემდეგ ღამე არ გავიდოდა, ვინმე რომ არ დაეყაჩაღებინა, ძვირფასეულობას ქალს უგზავნიდა, თვითონ და სერიოჟა კი ძველმანებსაც სჯერდებოდნენ. ერთ სოფელში ნაყაჩაღარს მეორეში არაყსა და ნივრის მწნილზე ცვლიდნენ, მერე სადღაც მდინარის პირას, ლელიანში შეძვრებოდნენ, გვარიანად გამოიბრუჟებოდნენ და გამოფხიზლებამდე იქვე მიეყრებოდნენ.

ერთ ღამეს მთაში ეწვიმა და არაგვი ისე ბობოქრობდა, ლელიანში რამდენიმე წამით ადრე გალვიძებულ სერიოჟას რომ არ ემარჯვა, გივის წყალი გაიტაცებდა, მაგრამ რუსი დროზე მოეგო გონს. ქამარში მისწვდა ძმაკაცს, რის ვაი-ვაგლახით ამოაგდო წყლიდან და ნაპირისკენ გახოხდა. წამიც და, ახალმა ტალღამ კარგა ბლომად წყალი



აყლაპა ორივეს. რუსი ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა. გივის ნაპირისკენ მიათრევდა, მაგრამ ნაპირი ჰორიზონტივით უკან იხევდა და ვერაფრით მისწვდა. პირველი ტალღის დარტყმისაგან წყალნაყლაპი გივი ნელ-ნელა გონს მოვიდა. კარგად იცნობდა არაგვს და მიხვდა, რაც ხდებოდა. თვალი გაახილა და სწორედ ამ დროს, როცა ის იყო, ვეებერთელა მორს ქვეშ უნდა დაეტანა, მარჯვედ უგანა. თვითონ კი აიცილა საფრთხე, მაგრამ სერიოჟას ეტაკა ხე და მენჯის სახსარი გადაუმტვრია. საცოდავი ლელს ჩაებღაუჭა, არაადამიანურად დაიძაბა და მოწყვეტილი წელი წყლიდან მაინც ამოათრია.

როგორც იქნა, დაწყნარდა არაგვი. ნაპირზე გულაღმა მიყრილი გივი და სერიოჟა ღრუბლებში გაჩრილ მთვარეს მიშტერებოდნენ. ერთი გადარჩენისთვის მადლს სწირავდა ზეცას, მეორეს კი უკვე შეეცნო თავისი უსუსურობა და ახლა მხსნელად მიაჩნდა პირველი.

— დამეხმარები? — აღმოხდა სერიოჟას.

გივიმ ზიზღით შეხედა მეწყვილის გადამტვრეულ ფეხს, რომელიც ისე ამობრუნებოდა, რომ თითქმის თავთით ედო საბრალოს. გივიმ ცალი ფეხი მხარზე მიაბჯინა სერიოჟას, მერე მოწყვეტით ჰკრა და ალმუვლებული მდინარის ტალღებში გადააგდო.

— წადი შენი... ათრიე ახლა ეს ლეში. მეტი საქმე არა მაქვს.

მერე იქაურობას გაერიდა, ტანსაცმელი ხის ტოტებზე გასაშრობად დაკიდა და დასაძინებლად მიწვა...

მეორე დღეს მისსავე სახლში დაიჭირეს.

— მე რა შუაში ვარ, უფროსო. იმ უბედურს ვეებერთელა ხის მორი დაეტაკა და ქვეშ მოიქცია. მე არაფერი დამიშავებია.

მილიციის მაიორი მიხვდა, ვისზეც ლაპარაკობდა ეს ლოთი, კოლონია-ჩასახლებიდან მიღებულ წერილში ხომ ეწერა, მაგ ორმა კაცმა ორსული ქალი და მისი მეუღლე დახოცა, შემდეგ კი მიიმალნენო. იმასაც მიხვდა, რუსი რომ არაგვში დამხრჩვალიყო, მაგრამ რატომ ცდილობდა გარეწარი ნათიშვილი ასე მონდომებით თავის მართლებას?!

— მაშ ხე დაეტაკა და ფეხი მოსტეხა არა?

— ჰო, ეგრე იყო, უფროსო.

— შენც ადექი და წყალში გადააგდე, რაღაში გჭირდებოდა ხეიბარი!

— არა, თვითონ გადავარდა წყალში.

— მაშასადამე, ნაპირამდე გამოაღწია და მერე გადავარდა? თუ ასეა, უშენოდ ეგ არ მოხდებოდა. არ გინდა, გივი, სულერთია, ორი ადამიანის მკვლელობა გედება ბრალად.

— მაშინ გასამდეს, მაგის რჯულიც არ იყოს... ჰო, მე გადავაგდე. სად მეთრია?! თვითონაც ასე არჩია.

მაშინ დახვრეტა მიუსაჯეს ნათიშვილს, მაგრამ მისმა ადვოკატმა იმარჯვა, განაჩენი გაასაჩივრა და თხუთმეტი წლით პატიმრობა აკმარეს. მოგვიანებით დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ გამოაცხადა, ჩვენმა პატიმრებმა სასჯელიც ჩვენთან უნდა მოიხადონო და ვინ ეტყოდა უარს; ვის რაში სჭირდებოდა ნათიშვილისთანა უგუნური კაციჭამია! მერე ჩვენთან ამნისტია ამნისტიას მიჰყვა, ნათიშვილს სასჯელი გაუნახევრეს და კოლონია-ჩასახლებაში გაამწესეს. იქიდანაც გაიქცა, ისევ დაიჭირეს და სასამართლომ ხუთწლიანი ციხე მიუსაჯა. მალე კოლონიიდან, როგორც სამაგალითო ქცევის პატიმარი(?!), კვლავ მიმაგრებაში, ანუ კოლონია-ჩასახლებაში გაუშვეს. თუ მეშვიდე კოლონიის მაშინდელ უფროსს დავუჯერებთ, რომელიც პატიმრის ჩასახლებაში გადაყვანის დადგენილებას აწერს ხელს, ნათიშვილისთანა წესიერი, ზრდილობიანი, წარსული შეცდომებისგან გონივრული დასკვნების გამომტანი კაცი კოლონიაში არ ჰყოლიათ. ამასთან, მისთვის აღმზრდელობითი ხასიათის საუბრებიც ჩაუტარებიათ და ვისლა მოუბრუნდებოდა ენა, შეღავათს არ იმსახურებდაო. ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა ვლანძღოთ ციხე-კოლონიების ხელმძღვანელები, ფულის გარეშე თითსაც არ გაანძრევენო. ხომ ხედავთ, აღმზრდელობითი საუბრებიც ჩაუტარებიათ მკვლელისთვის, მეტი რაღა უნდოდა, განა ამის შემდეგ კიდევ წასცდებოდა ხელი დანაშაულზე. ჰოდა, შეღავათიც გაუწიეს, — ციხის მაგივრად საგარეჯოში ჩაასახლეს, ანუ ფაქტობრივად, გაუშვეს ციხიდან.

შინ დაბრუნდა თუ არა, თავის აგრაფინას ეახლა. ამ დროისთვის ქმარს გასცილდებოდა ქალი და გივიც დაარწმუნა, ეს ნაბიჯი შენი გულისათვის გადავდგიო. შეყვარებული კაცი სიხარულით აღარ იყო. იცოდა, აგრაფინას საჩუქრები უყვარდა და ისიც იპარავდა. არაგვის ხეობაში აგარაკი აღარ დარჩა გაუძარცვავი. არადა ქურდების შიშით პატრონები ძველმანების მეტს არაფერს ტოვებდნენ. აქა-იქ სუნამოს ან სარკის ნატეხს თუ წააწყდებოდა, აგრაფინასთან მიარბენინებდა.

— ახლა რა, შენა გგონია, მე ის ქალი ვარ, ნამცეცებით რომ შეიყოლიებ? ეგრე არ გამოვა, რაკი ქმარს შენი გულისთვის გავშორდი, კარგადაც უნდა შემინახო, თორემ კაცი კი არ გამწყდარა, ავდგები და სხვას შევუგორდები ლოგინში, — აკაპასდა ერთ დღეს ქალი.

— კარგი, ჰო, ამაღამ ერთ კარგ საქმეს მოვარტყამ და იმდენ რამეს გამოვაყოლებ ხელს, იქნება მადლობაცა თქვა, — დაამშვიდა გივიმ ქალი.

— თუ კარგი საქმეა, მეც წამოვალ. შენა გგონია, არ გამოვდგები?

— რატომაც არა, ჩვენს საქმეში ზოგჯერ ქალები სჯობიან კაცებს.

იმ ღამით „შეყვარებულებმა“ ბულაურების აგარაკი გაძარცვეს. დაპირებული სიმდიდრე არ დახვდათ, მაგრამ ჭურჭელი და თეთრეული კი ბლომად გამოზიდეს. მერე ქალმა დაიჟინა, ალბათ, მანდა ჩემი თითების ანაბეჭდი დარჩებოდა და სახლი უნდა დავწვათო, ბენზინიც თვითონ მოიტანა, ოთახებში თვითონ მიასხ-მოასხა და ასანთსაც თვითონ გაკრა.

სულ მალე ხეობაში გასაძარცვავი აღარაფერი დარჩათ. ნათიშვილი თავის მეზობელს, მარტოხელა ბაბულია მაჭავარიანს მიეკედლა. მოხუც ქალს ერთადერთი ვაჟი დაღუპვოდა. გოგოები გათხოვილი ჰყავდა და ახლა მარტოდმარტო ცხოვრობდა. თავიდან თითქოს ადამიანმა გაიღვიძა მკვლელში. მოხუცს ხან ეზოს დაუგვიდა, ხანაც სახლს გადაუთოვლავდა ან შეშას უჭრიდა. მერე კი...

— როგორ დავიჯერო, იმ შენს დედაბერს ისე გამოცარიელებული სახლი ჰქონდეს, რომ მოსაპარავად არა ვარგოდეს რა, — წუწუნებდა აგრაფინა, — აკი ამბობენ, რუსეთიდან გოგო უგზავნისო ფულს. ეტყობა, სადღაც მალავს ეგ კუდიანი.

— მეც ეგრე მეგონა, მაგრამა სულ გადავაქოთე იქაურობა და გახვრეტილი შაურიანიც ვერა ვნახე.

— რო არა მჯერა? აი როცა მე წამიყვან და ჩემი თვალით ვნახავ, მერე დავიჯერებ.

— ეგრე იყოს. დღესვე წავიდეთ. საღამოს შინ არ იქნება, გაღმა უბანში მაგისი მაზლი გარდაიცვალა და გვიანობამდე არ დაბრუნდება. ვნახოთ, რას იზამ.

„შეყვარებულები“ სახლის ჩხრეკაში ისე გაერთნენ, რომ მოხუცი თავზე როგორ დაადგათ, არ გაუგიათ. ქალი ყრუ კი იყო, თორემ თვალთ სულაც არ აკლდა.

— შეგირცხვეთ ნამუსი. განა რას მაგულებთ? აჰა, ჩემი გოგოს გამოგზავნილი გროშებიდან ეს ოცი ლარიღა დამრჩა, თქვენი იყოს. რა თავში ვიხლი, ჩემი ბიჭის დედას სიკვდილი მირჩევნია ყველაფერს, — უთხრა და ფული აგრაფინას შეაჩეჩა ხელში.

— დავიღუპე, გივი. ეს კუდიანი ყველაფერს მოუყვება მამაჩემს. ის კი არ დამზოგავს, ორივეს დაგვსჯის, რამე უნდა ვიღონოთ.

— შენ მაგაზე არ იდარდო. შენ კი, ბებერო, წინ გამიძეხი. დაბლა უნდა ჩავიდეთ, რაღაცას გაჩვენებ, — ჩასძახა გივიმ მოხუცს და წინ გაიგდო.

— ვიცი, რის ჩვენებასაც აპირებ. მეც ეგ მინდა. სამი წელია, სიკვდილს ვეძებ, მადლობელიც დაგრჩები, — უთხრა მოხუცმა და მორჩილად გაჰყვა.

თავისი ფეხით მიადგა ხევის პირს მოხუცი. მერე გივი „წაეშველა“, ხელი ჰკრა და ხევში გადააგდო. არაგვის წყალმა მაშინვე წაიღო მისი უსულო სხეული.

მერე რა მოხდა? წყვილი ისევ მოხუცის სახლში დაბრუნდა, ჯერ ისიყვარულეს, მერე კი საოჯახო ნივთები აკრიფეს და ხელს გააყოლეს.

ნათიშვილს აგრაფინას გარდა სხვა „დამხმარეებიც“ ჰყავდა, — თანასოფლელი გივი ჯღუნიაშვილი და კაკო ყარმაზანაშვილი. ისინიც აგარაკების ქურდობაში იყვნენ დახელოვნებული. მერე და მერე, საკბილო რომ შემოელიათ, იარაღზე გაისვეს ხელი. ყარმაზანაშვილმა სადღაც ავტომატი იშოვა და ნათიშვილს უთხრა, თოფი რომ მაინც გქონდეს, უფრო სერიოზულ საქმეებზე წავიდოდითო.

— თოფის შოვნას რა უნდა, გუშინწინ ვნახე, ციხისძირელ იაშა კარიაულს ზურგზე გადაეკიდა და ისე მწყემსავდა საქონელს. დღესვე წავართმევ.

— წაართმევ და, ისიც მილიციაში გიჩივლებს.

— ვერ მიჩივლებს.

— რო გიჩივლოს?

— ვერა-მეთქი, ვამბობ.

— იცოდე, კუდი არ მოიყოლო.

— ფიქრი ნუ გაქვს.

ამონარიდი სასამართლო სხდომის ოქმიდან:

„იაშასთან რომ მივედი, წამოწოლილი იყო, მაგრამ არ ეძინა. ვუთხარი, რომ თოფი მოეცა. ლეიბი გადავწიე და თოფი წავართვი. მთხოვა: არ მომკლა და რაც გინდა, წაიღეო. გარდერობიდან „საროჩკა“ გამოიღო და თხუთმეტი ლარი მომცა. სახლიდან გამოვიყვანე და წინ გავიგდე, არაგვისაკენ. გივი, რას შვრები, უნდა მომკლაო, — მეუბნებოდა. ვუბრძანე, მდინარეში შესულიყო. იაშა მდინარემ გაიტაცა. ფეხით გავუყევი წყალს, დავრწმუნდი, რომ დაიხრჩო და უკან წამოვედი“.

უთოფოდ არავის ზოგავდა, თოფიანი რას იზამდა. ადგა და მეზობლებს, მამა-შვილ ნიკოლოზ და თამარ თითბერიძეებს მიუხტა სახლში — როგორ ბედავთ, ბაბულია მაჭავარიანის მკვლელობას რომ მაბრალებთო. ნიკოლოზის მოკვლას აპირებდა, მაგრამ კაცი სახლში ჩაიკეტა და გივიმ ველარაფრით შეანგრია ურდულგაყრილი კარი. ღამე იყო და სოფელს ეძინა, მაგრამ მისმა ღრიალმა და თოფის ბათქაბუთქმა ლოგინებიდან წამოყარა ხალხი. თუმცა გარეთ გასვლას ვერავინ ბედავდა. ახლა ვიღაცის ნათქვამიც გაახსენდა — კახა მაჭავარიანიც შენ გადებს ხელს ბაბულიას მკვლელობაშიო და შინ მიუვარდა. ლოგინში მწოლიარეს სულ თოფის კონდახი ურტყა სახეში. ეს უკვე მეტისმეტი იყო და ვიღაცამ მილიციას აცნობა. გამთენიისას დაადგნენ თავზე და პირველად თოფზე ჰკითხეს, საიდან გაქვსო?

— იაშა კარიაულმა მაჩუქა ამას წინათ.

— არა ხარ შენ ის კაცი, გივი, იაშას რომ რამე ეჩუქებინა. წაართვი, ალბათ. ახლა ავდგებით და, პირზე დაგაყენებთ. მაშინ გამოჩნდება.

— პირზე როგორღა დამაყენებთ, არაგვში დავახრჩვე, — იყო პასუხი.

არადა იმ დილით ოჯახის წევრები იაშას ეძებდნენ. რა დაემართა, სადაცაა მზე ამოვა, მამას კი საქონელი არ გაურეკიაო, წუხდნენ შვილები. მართალია, არაგვი მოდიდებული იყო, მაგრამ იცოდნენ, მდინარეს სათოფეზე არ ეკარებოდა ის უბედური. ნათიშვილმა კი ზუსტად აჩვენა ის ადგილი, სადაც მდინარეში შესვლა აიძულა მოხუცს და მართლაც, თავთხელთან, ნაპირზე გამორიყული იპოვეს მისი გვამი.

ეს შუადღისას იყო, საღამოს კი გივის რაღაც გადაუბრუნდა თავში და დაიჟინა, გინდა თუ არა, კარიაულის მკვლელობაში ჩემთან ერთად კაკო ყარმაზანაშვილიც მონაწილეობდაო. კაკო დაიჭირეს, მაგრამ დარწმუნდნენ, რომ ნათიშვილი ცრუობდა, არადა ველარც მას შეელივნენ. სამხილი ჰქონდათ და ქურდობაზე აღძრეს საქმე, მაგრამ ვერც ეს დანაშაული დაუმტკიცეს და სულ მალე გაათავისუფლეს. ამ ამბიდან რამდენიმე დღეში ყარმაზანაშვილი გულის შეტევით გარდაიცვალა. ნათიშვილი ადგა და ზემოთ ინსტანციებში თავი შეაცოდა:

„კარიაული ყარმაზანაშვილმა ლეკი მაგამედას დახმარებით მოკლა, თოფი წამოიღო და მე მათხოვაო“... რა აღარ იღონა, ოღონდ ციხიდან თავი დაეძვრინა, „შტირიც“ კი ჩაირტყა ბარძაყში. მერე განაცხადა, აგრაფინას გარეშე ვერ გავძლებ და გვერდით მომისვით, ისიც ხომ ჩემთან ერთად იპარავდაო.

თხოვნა ვერ შეუსრულეს, ჯერჯერობით ჩვენს ციხეებში ქალები და კაცები ცალ-ცალკე იხდიან სასჯელს. თუმცა ნათიშვილი სიცოცხლის ბოლომდე მოუწევს ციხეში ყოფნა, დროთა განმავლობაში კი შესაძლოა, ეს წესიც შეიცვალოს და შეყვარებულიც გვერდით მიუსვან.

**ვაჟა გავაშელი**

***რუბრიკა „ვერსიაში“, ძირითადად, ავტორისა და ყოფილი და დღევანდელი სამართალდამცველების, ასევე, სასჯელმოხდილი დამნაშავეების მოგონებები გამოიყენება. ასე რომ, ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია დაუკავშირდეს ავტორს. საკონტაქტო ტელეფონებია: 899 50-95-21***


ყოველ ხუთშაბათს ჟურნალ „გზაში“

„თეთრი სიკვდილი“

გოჩა მანველიძის ახალი დეტექტიური რომანი

— ის ნანგრევები უნდა დავათვალიეროთ! — სწრაფად გადაწყვიტა ვახომ და გზა განაგრძო.

...ზაზასა და მისი მანქანის კვალს ისევ ვერ მიაგნეს. სამაგიეროდ, აღმოაჩინეს მომცრო მოედანი, რომელზეც, ვახოს აზრით, უნდა გაჩერებულიყო მანქანა...

— ეს რაღაა?! — შიშით წამოიძახა ვახომ და მიწაზე მუხლებით დაეშვა.

ვახოს იმდენად შეშფოთებული ხმა ჰქონდა, რომ გიო იმავ წამს მის გვერდით გაჩნდა და თავისი სანთებელაც აანთო. სანთებლის მოცახცახე ალმა მიწაზე შედედებული სისხლის გუბე გამოაჩინა.

— ახალი სისხლია! ჯერაც არ გამშრალა!.. — ვახომ გაოგნებული მზერა ესროლა გიოს...



# რთველი დაიწყო კახეთში, რთველი!..



## „კვირის პალიტრა“ შეისყიდის 10 ტონა ყურძენს!

კახეთში რთველი დაიწყო. დადგა ყველაზე მნიშვნელოვანი დრო აქაური გლეხკაცის ცხოვრებაში, მით უმეტეს წელს, როცა ბოსტნეული გადახმა, ხილი მზემ დაწვა და სტიქიას მხოლოდ ყურძენი დაუსხლტა ხელიდან. ისიც ნაწილობრივ. ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით სიღნაღსა და დედოფლისწყაროში, სადაც წყალი ჭირს, მოსავალი დაიწვა და გლეხი იმის ნახევარს თუ აიღებს, რაც უნდა აეღო.

ვეღარ ისვენებს გლეხკაცი. დღე-დღეზე რთველი ყველგან უნდა გაჩაღდეს. მიდის და მოდის ვენახში — დახედავს, ბალახს მოუთიბავს, დაბრუნდება და გული არ უდგება შინ. ხუმრობა ხომ არ არის, შვილივით ნაზარდ ვაზს მტერი ბევრი ჰყავსო — მითხრა ერთმა მევენახემ — პირუტყვს და ხელმრუდ კაცს რა გამოლევსო. არასდროს მინახავს ამდენი ურმიანი კაცი, რამდენიც ახლა. ვენახში ძირითადად, ურმით დადიან და იმიტომ. ათი

## „ვიფუსფუსებთ, მა რას ვიზამთ, ამდენი გენერლი ხელში“

სოფელი მაინც ჩამოვიარე თელავის, ყვარლის და სიღნაღის რაიონებში, მხოლოდ ერთგან ვნახე ნარდის სათამაშოდ ღობესთან მიმჯდარი სამიოდე კაცი, გაგანია სიცხეს ჩრდილში შეფარებოდნენ და კამათელს აგორებდნენ. დანარჩენები ფუტკრებივით ფუსფუსებდნენ.

— ვიფუსფუსებთ, მა რას ვიზამთ, ამდენი გენერლი ხელში (პრეზიდენტმა ვანო მერაბიშვილს, ირაკლი ოქრუაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს კახეთის რეგიონები გადაუნაწილა და დროებით რთველის გენერლებად „დანიშნა“). იგრე კარგი კი იქნებოდა, ერთხელ გლეხი გენერალი გამხდარიყო და მთავრობაი „სალდათათ“ ემსახურა... ცისკარიშვილის პოლკოვნიკობა ამინდსაც დაეტყო, ამდენ ხანს დაგვახმო და ახლა კიდენა ცამ კარი გახსნა... იკადრა, წვიმა მოიდა... ტრაქტორებიც რო გვაჩუქეი. ჩვენ სოფელ პატარა ტრაქტორი შახვდა. ნაწილებ თუ გამააყოლებენ, რო ვამუშაოთ, ხო კარგი, მაგაი რა ჯობია... — ენაწყლიანობენ კახელები.

ცხენის ფლოქვების ხმა მომესმა. მოვიხედე.

— გამარჯობა, ძიაკაცებო, — მივესალმეთ ურემზე შემომსხდარ გლეხებს. ვანო უმცროსაშვილი და რიჩარდ შიგარდელაშვილი აღმოჩნდნენ, ვენახში მიდიოდნენ.

— **როგორი წელი გქონდათ?**

— რა ვიცი, შვილო, აბა როგო იყო, გახმა კიდეცა, სეტყვაც იყო, ნახევარზე მეტი გაანადგურა ამინდმა. მაინც ვიბრძვით, როგორც შეგვიძლია. თათარს რამდენჯერ აუჩეხავს ვაზი ჩვენი მამაპაპითვინ, არც იმათ დაუნებებიათ თავი ვენახისთვის, არც ჩვენ ვაპირებთ. ეგ არი, ადრე შაბიამანი კარგა წამლიდა ვენახს, ახლა „კრასკასავით“ იხსნება წყალში და ნაკლებად შველის. ყველაფერი გაფუჭდა. დღეს შხამი (შხამქიმიკატი) თუ არ იხმარა კაცმა, კარგ ყურძენს ველარ მოიყვანს. მარტო შაბიამანი არ შველის, მაგრამ შხამი კიდე ხალხსა ხოცამს, ამიტომ არა ვხმარობთ შხამსა.

— **ყურძნის მყიდველი თუ გყავთ?**

— ჯერ აქ არავინ გამოჩენილა... მაგრამ ისეთი ფასი თქვეს — თხუთმეტიდან ოცდაათ თეთრამდეო. ესე იგი, ყურძენი ჩვენ ნაჯაფარს ვერ აანაზღაურებს, არადა სულ ვენახში უნდა იტრიალო მთელი წელი. მაგიტომ არი, ახალგაზრდები აწყობენ, არაფერი გამოდის და გული აღარ მისდით ვენახზე. რა უნდა მოვთხოვოთ? თუკი თვითონ მოგვეხმარებიან, ხომ კარგი, თუ არა და ვერაფერს ვეუბნებით. აქ ახლოში უცხოელებმა იყიდეს ვენახები. ისინი სხვანაირად უვლიან, ჩვენ სხვანაირად... ჩვენ ვაზის მოფერება ვიცით. ცოტა ხნით თუ წავედით სადმე, ისე მოგვენატრება ხოლმე ეს დალოცვილი, როგორც ღვიძლი შვილი. და კიდევ, ღვინო გვიყვარს. ეგ გვაძლებინებს, გენაცვალე. ჭირია, ლხინია, ღვინის გარეშე არ შეიძლება. მაგიტომ მოგვყავს ყურძენი, თორემ რა ხანია ვიცით, არ ამართლებს ვენახის მოვლა...

— **ახლა სად მიდიხართ?**

— სად წავალთ, ვენახში... კარგა იყავით, შვილებო!

გზიდან გადავუხვიეთ. აქეთ სოფლის უხუცესი, ბაბოაანთ დათა პაპა ცხოვრობს, გვარად მჭედლიშვილია. ნოემბერში 89 წელი უსრულდება, ჭიშკრიდან ვხედავ, თავდახრილია დათა პაპა, რაღაცას დაჰყურებს. მივუახლოვდი — წიგნი აქვს გადაშლილი და კითხულობს. სათვალე აბა რად უნდა, თვალიც უჭრის, გონებაც. გულით კიდევ უკეთესად ხედავს, ვიდრე თვალით:

— მამაჩემს რვა შვილი ჰყვანდა. ფიცრული სახლი ედგა, უჭირდა. ბალღობიდან შრომაში ვიყავი, საქონელში დავდიოდი. იქიდან მოვდევ, მოვდევ ვაივაგლახ ცხოვრებაი, ვერ დავამთავრე. ტანჯვაში ვართ.

> იგრე კარგი კი იქნებოდა, ერთხელ გლეხი გენერალი გამხდარიყო და მთავრობაი „სალდათათ“ ემსახურა... ცისკარიშვილის პოლკოვნიკობა ამინდსაც დაეტყო, ამდენ ხანს დაგვახმო და ახლა კიდენა ცამ კარი გახსნა... იკადრა, წვიმა მოიდა... ტრაქტორებიც რო გვაჩუქეი. ჩვენ სოფელ პატარა ტრაქტორი შახვდა. ნაწილებ თუ გამააყოლებენ, რო ვამუშაოთ, ხო კარგი, მაგაი რა ჯობია...

ადრეცა ჭირდა, ახალი მოსულები რო იყვნენ ბოლშევიკები, სოფელშიაც ნაკლებობა იყო. მერე სახელმწიფომაც მოიდგა სული, გლეხსაც არა უშავდა რა, ვინც შრომობდა, ჭამდა. ახლა ესენი არიან, ახალი მთავრობა, მე კი აღარა შემიძლიან რო ვიმუშაო სადმე. ადრე შრომა მეტი იყო და ღირებულობაც იყო, კაცი კოლმეურნეობაში ორჯერ გვაძლევდნენ ხელფასს. მოჯანიანდა მაშინ ხალხიც და მთავრობაც. ახლა რა ვქნა. პენსია მაქ, ნახევარი „მეშოკი“ პურის ფქვილი ძლივს მამდის, შვილის ანაბარალა ვარ. ცოტ-ცოტას ახლაც ვეხმარები ოჯახს, მაგრამ რალა შამიძლიან. შეიძლება თქვენ გეწყინოთ, მაგრამ ადრე უფრო კმაყოფილი ვიყავ. ახალგაზრდამ კიდე უნდა გამონახოს საშუალება და იცხოვროს ტკბილად, არ უნდა დეეჩაგვრინოს.

— **ყველაზე მეტად რისი კეთება გიყვართ?**

— ვენახი მიყვარს. ზვარს ისე ვზრდიდი, როგორც შვილს, პირუტყვებში ცხვარია აზიზი, ძალიან მოვლა-პატრონობა უნდა, მცენარეებში — ვაზი. რო შავალ მსხმოიარე ვენახში, მახალისებს. ისე კი დიდი ჯაფა უნდა. ‚ყველაზე დიდი ბოროტება იცი რა, არი? ზოგი რო ფულის გულითვინ კაცსა კლავს, ზოგი ციხეში ვარდება ფულის გულითვინ, რომ საიდანმე უქმად მიითვისოს, ზოგი კიდე ვენახს გაუკაფავდა ვისმეს. იყო ეგეთი ბოროტიც — რო გააჯავრებდი. კი არ გააჯავრებდი, გთხოვდა რამეს და ვერ შეუსრულებდი, შეეძლო გაეჯაგა ვენახი, დეეწვა, გაეოხრებინა. ვენახის გაფუჭება მწარეა. აბა, მოთვალე: ხუთი წელი მუქთად უნდა უარო ვენახს, სუ ფერობა უნდა. მარტო მოსხმა კი არ არის. მერეც უნდა მოვლა. აი, როგორც აკვანს მიუჯდება დედა და ზუზუნებს ხოლმე, ეგრეა ვენახის მოვლაც, მაშ! ზუზუნზუზუნით ჩამოვუვლი ხოლმე, დავუჩოქებ... თითო ვაზთან წელიწადში ოცდაათჯერ მაინც უნდა მიხვიდე, გამოუბარო, გასხლა, შეწამლო, მერე ეგრე ზუზუნ-ზუზუნით გაზრდილს თუ იაფად ვერ გადავყრით, ნუ გაგვამტყუნებთ. ცოდოა ვენახი. რა ვქნათ, პაპა გენაცვალოთ, ბარაქიანი მიწა გვააქ.

(გაგრძელება გვ.15)


**მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების პროცესი**

არსებულ მოიჯარეებს საშუალება გეძლევათ გამოიყენოთ მიწის გამოსყიდვის უპირატესი უფლება!

**სიახლე!**
**პრივატიზების პროცესი გამარტივდა:**

პრივატიზებისთვის აღარ მოითხოვება საიჯარო ქირის ან მიწის გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ცნობის წარდგენა

იჯარის უფლების რეგისტრაციისა და პრივატიზებისათვის (საპრივატიზებო) საფასურთან ერთად მოითხოვება მხოლოდ საიჯარო ხელშეკრულება და ზუსტი აზომვითი ნახაზი

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ

**ცხელ ხაზზე: 206-205**





USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

**კავკასიის აკადემიური ცენტრი**

**CAC სი ეი სი**

გთავაზობთ ინგლისური ენის სასწავლო პროგრამას



**ENGLISH LANGUAGE COURSE**

სასწავლო პროგრამა ეფექტურად არის შემუშავებული და დამყარებულია სწავლების თანამედროვე ფორმაზე. სწავლება მიმდინარეობს ეტაპობრივად და გულისხმობს ჯგუფურ მეცადინეობებს

პროგრამაში გათვალისწინებულია:

- უახლესი სასწავლო ლიტერატურა
- აუდიო-ვიდეო გაკვეთილები
- დიალოგები და დისკუსიები სასაუბრო ენის დასახვეწად
- სიტუაციური თამაშები გრამატიკისა და ლექსიკის გასაუმჯობესებლად
- ძირითადი სასწავლო მასალის ათვისება მეცადინეობის მსვლელობისას
- თითოეული ეტაპის დასასრულს ტარდება ტესტირება სერტიფიკატისთვის.

მსმენელთა შერჩევა შესაბამისი დონის ჯგუფებში ხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე

მეცადინეობები ტარდება კვირაში სამჯერ, 2 საათის ხანგრძლივობით

ინგლისური ენის შემსწავლელ კურსზე მიღება ხორციელდება 17 სექტემბრამდე

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. 41; მე-6 სართული.
ტელ. 25-17-30; 29-40-80 ელ. ფოსტა: cac@cac.ge

# არაადამიანური ყოფა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე(!)



გალის გადამწვარი ქართული სკოლა

## „გალში მოღალატე კირთაძე დათარეშობს"

## „ნიშანს აძლევს აფხაზებს, როდის უნდა დაესხნენ თავს ქართველებს"

## ახალგაზრდები დახურულ „ურალებში" შეყარეს და გალიდან გუდაუთაში გადაიყვანეს...

*ბოლო რამდენიმე დღეა, გალის რაიონში ვითარება სულ უფრო იძაბება. რამდენიმე დღის წინ აფხაზური მილიციის გაძლიერებული რაზმი გალის რაიონის სოფელ ბარღების ქართველ მოსახლეობას დაესხა თავს. აფხაზებმა თითქმის ყველა სახლი საგულდაგულოდ გაჩხრიკეს, დააპატიმრეს რამდენიმე მამაკაცი. თუმცა მცირე ხნის შემდეგ ისინი გაათავისუფლეს. ქართველები ნაცემები არიან. ამ ინციდენტის შემდეგ ქართველები იძულებული გახდნენ სოფელი ოჯახებთან ერთად დაეტოვებინათ და ზუგდიდისთვის შეეფარებინათ თავი.*

*მომხდარიდან მეორე დღეს, გალის რაიონის ქართულ სოფლებს — ფიჩორას, ნაბაკევსა და გაგიდს ერიკ ეულბას რაზმი დაესხა თავს. სოფლების შესასვლელებში რაზმის საგუშაგოები გახსნეს და, ჩვენი ინფორმაციით, ყველას საგულდაგულოდ ჩხრეკენ.*

### იძულებით– აფხაზურ ჯარში

ამ სოფლებიდან ეულბას დაჯგუფებამ (რომლის რაოდენობაც 200-ს კაცს აღემატება) იძულებით წაიყვანა ორმოცდაათამდე ქართველი ახალგაზრდა აფხაზურ ჯარში სამსახურისთვის. გალში მცხოვრებმა ქართველებმა გვითხრეს, რომ ახალგაზრდები დახურულ „ურალებში" ძალით შეყარეს და გალიდან გუდაუთაში გადაიყვანეს. ჩვენ ვესაუბრეთ სოფელ ქვემო ბარღების ერთ-ერთ მკვიდრს (რომლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ვინაობას არ ვასახელებთ, რადგან ვიცით, რომ „კვირის პალიტრას" ენგურს გაღმაც კითხულობენ):

— დილის 6 საათზე შემოვიდნენ სოფელში სამი სამხედრო მანქანა „ურალით". კბილებამდე იყვნენ შეიარაღებული. პირდაპირ შევიდნენ ერთ-ერთი ჩემი ახლობლის ჭიშკარში და მძინარე ბიჭი ლოგინიდან ისე წამოაგდეს, ჩაცმაც არ აცალეს, მანქანაში შეაგდეს. იარაღს უმიზნებდნენ და ემუქრებოდნენ, თუ წინააღმდეგობას გაგვიწევ, მშობლებს დაგიხოცავთ და მერე შენც ზედ დაგაკლავთო. საწყალი დედამისი კიოდა. იმ დილით მთელ სოფელში ასეთი ამბავი იყო. უნდა გენახათ, რა საცოდავად ტენიდნენ ახალგაზრდებს მანქანაში. სხვა სოფლებიც აუწიოკებიათ. ავტომატების ჯერსაც ისროდნენ ჰაერში. ხალხს აშინებდნენ, ვინ მიეკარებოდა კბილებამდე შეიარაღებულ აფხაზებს. გვიან გავიგეთ, სოფლისთვის ალყა შემოურტყამთ, რომ არავინ გაქცეულიყო.

ასეთი თავდასხმა ხშირად ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა თხილის კრეფის სეზონია. აფხაზები პირდაპირ მოდიან და ფულს ითხოვენ ხალხისგან. თუ „შეწერილ" ფულს ოჯახი ვერ გადაიხდის, აუცილებლად მოიტაცებენ მის რომელიმე წევრს და მერე გამოსასყიდს მოითხოვენ.

გუდაუთაში ძალით გადაყვანილ ქართველებს ორი თვის განმავლობაში მოამზადებენ რუსი სამხედროების მეთვალყურეობის ქვეშ. აფხაზები აცხადებენ, რომ ყველა, ვინც აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს, ვალდებულია, სამხედრო სავალდებულო სამსახური „აფხაზეთის რესპუბლიკაში" მოიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში „დეზერტირებად" ჩაითვლებიან და დაიჭერენ. მიუხედავად აფხაზების მუქარისა, რამდენიმე ქართველმა გალიდან ზუგდიდში გადმოსვლა მოახერხა და უკან დაბრუნებას აღარ აპირებს.

### ჭაში ჩაკიდებული ქართველები

აფხაზების თარეში გალის რაიონში კარგა ხანია გრძელდება. ე.წ. „აფხაზური მილიცია" გაუგონარ სისასტიკეს იჩენს. იმას, რასაც სეპარატისტები სჩადიან, სახელი არ აქვს. სამწუხაროდ, საერთაშორისო ორგანიზაციები (რუს ცისფერჩაფხუტიანებზე აღარ არის ლაპარაკი) ვერ ახერხებენ ერთხელ და სამუდამოდ მოუღონ ბოლო მათ პარპაშს.

რამდენიმე თვის წინ გალის რაიონის სოფელ თაგილონში, ჟუნია და ვარლამ ქაჯაიების ოჯახს დილით, ეულბას დაჯგუფების წევრები დაესხნენ თავს. მათ მარტო მცხოვრებ მოხუცებს 1.000 დოლარის მოსატანად ორი დღის ვადა მისცეს. მოხუცებს ფული არ ჰქონდათ და ვერც ვერსად იშოვეს. მეორე საღამოს ათამდე შეიარაღებული აფხაზი მიადგა ქაჯაიების სახლს. როცა შეიტყვეს, რომ მოხუცებს ფული არ ჰქონდათ, ეზოში გაიყვანეს, დაჩოქეს და ისე დახოცეს. აფხაზებმა დახვრეტილები ლელვის ხეს ფეხებით გამოაბეს და ჭაში ჩაკიდეს. რამდენიმე დღე ასე საცოდავად იყვნენ პაპანაქება სიცხეში, სანამ შემთხვევით გამვლელმა არ აღმოაჩინა.

არაერთი ანალოგიური ფაქტი მოხდა გალში, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ აუცილებელია გალში გაიხსნას გაეროს წარმომადგენლობა, რასაც წლების მანძილზე გასაგები მიზეზების გამო, კატეგორიულად ეწინააღმდეგება აფხაზური მხარე.

მაისში სოფელ ფიჩორას საშუალო სკოლის დირექტორი და რამდენიმე მასწავლებელი აფხაზურმა მილიციამ მხოლოდ იმიტომ სცემა, რომ დილით ქართული დროშა აღმართეს და საქართველოს ჰიმნი დაუკრეს.

აფხაზებმა გალის რაიონის ყველა სკოლას ქართული აბრები ჩამოჰგლიჯეს და აფხაზური დაკიდეს. არც ერთი სოფლის სკოლის შენობაზე აღარ ფრიალებს ქართული დროშა. აფხაზებმა დაწვეს და გაანადგურეს სკოლების ქართულ ბიბლიოთეკებში დაცული წიგნები. გალის პირველ საშუალო სკოლაში ე.წ. მილიციამ სასწავლო პროცესი შეწყვიტა, ყველა მოსწავლე ეზოში ჩაიყვანა, კოცონი დაანთეს და ქართულ წიგნებს ცეცხლში მათვე აყრევინებდნენ. სამწუხაროდ, ეს ფაქტი როგორც მედიის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების მიღმა დარჩა. გაეროს ყურადღების მიღმა რჩება ასევე გალის აფხაზური ადმინისტრაციის გადაწყვეტილება გალიდან ზუგდიდის მიმართულებით სამგზავრო ავტობუსების გადაადგილების აკრძალვასთან დაკავშირებით. იმუქრებიან, რომ „დამნაშავეებს" დააპატიმრებენ და კუთვნილ ავტობუსებს ჩამოართმევენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანონო ქმედების შედეგად გალის რაიონის ოცდახუთამდე სოფელი სრულიად იზოლირებულია. მოსახლეობა დახმარებას და ვითარებაში გარკვევას გაეროს სთხოვს.

აღნიშნულ პრობლემათა შესახებ ვესაუბრეთ გალის რაიონის გამგებლის მოადგილეს **გია ლოგუას:**

**— ბატონო გია, როგორ მოხდა აფხაზების შეუმჩნევლად შემოსვლა ქართული სოფლების დასარბევად?**

— „კამაზის" და „ურალის" ტიპის მანქანებით შემოვიდნენ გალის რაიონის სოფელ ქომუჩქულში. ეს სოფელი მოსახლეობისგან დაცლილია და იოლი შემოსაღწევია ოჩამჩირის მხრიდან. ამ სოფლიდან კი აფხაზი ბოევიკები ქართველებით დასახლებულ სოფელ ბარღებში შევიდნენ.

მათი სქემა ასეთია: სოფლებს არჩევენ და ისე შედიან. დღეები დაყოფილი აქვთ, ერთ დღეს თუ გალის რაიონის მაღალი ზონის სოფლებს აწიოკებენ, მეორე დღეს დაბალი ზონის სოფლებში ჩამოდიან. ამ შემთხვევაში სოფელი ბარღები „აირჩიეს", ალყა შემოარტყეს და არავის მისცეს გაქცევის საშუალება. შეკრიბეს 17 ახალგაზრდა და მოითხოვეს, ან ფული გადაიხადეთ, ან სამხედრო სამსახურში წაგიყვანთო. ნაწილმა ფული ადგილზე გადაუხადა სეპარატისტებს, ნაწილი კი იძულებით წაიყვანეს აფხაზურ ჯარში.

ჩვენი მონაცემებით, აფხაზების მიერ ბოლო გაწვევაზე წაყვანილია დაახლოებით 60 ახალგაზრდა. აქედან სამი თავისი სურვილით წავიდა, დანარჩენი კი იძულებით.

ხშირად წინააღმდეგობის გაწევისას ახალგაზრდებს არაადამიანურად სცემენ. ყველაზე უკეთესი გამოსავალი თანხის გადახდაა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ აფხაზები კონკრეტულ თანხას არ ასახელებენ, სპონტანურად რამდენიც მოაფიქრდებათ, იმდენს ამბობენ. თანხის რაოდენობა იმითაც ისაზღვრება, თუ რომელი ჯგუფი დაიჭერს ე.წ. წვევამდელს და რა „მადა" აქვს. ყველაზე „მეძვირე" აფხაზური მილიციაა, რომლის წარმომადგენლებიც ოჯახებს ათას დოლარს და მეტს „აწერენ". თანხის რაოდენობასაც ოჯახის შეძლების მიხედვით ადგენენ, ვთქვათ, რომელ ოჯახს რამდენი თხილი აქვს. ამ „კრიტერიუმის" მიხედვით დგინდება ქართული ოჯახების სავარაუდო შემოსავალი.

რაც შეეხება დაჯგუფებათა ხელშემწყობებს, ერთ-ერთი ასეთი მოღალატეა ვინმე კირთაძე — აფხაზების მიერ დანიშნული გამგებელი სოფელ ჭუბურხინჯში. ეს კაცი ამავდროულად, გალის ე.წ. კომისრის მოადგილეა. სულ იარაღით დადის, როცა შეამჩნევს, რომ ქართველები ბრუნდებიან ზუგდიდის ბაზრიდან, სოფლის ცენტრში დადგება და სამჯერ გაისვრის. ამით ნიშანს აძლევს აფხაზებს, რომ შეიძლება ქართველებზე თავდასხმა, რასაც ახორციელებენ კიდევაც. სხვადასხვა სოფელში აფხაზების მიერ დანიშნული გამგებლები მიდიან ოჯახებში და ეუბნებიან, მჭირდება 300, 500 და ა.შ. დოლარი. აბა, ვინმემ არ გადაიხადოს — ან მოკლავენ, ან სასტიკად აწამებენ.

გალში გართულებული ვითარების შეფასება ვთხოვეთ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს **თემურ მჟავიას:**

**— აფხაზები ამ ბოლო პერიოდში საეჭვოდ გააქტიურდნენ, განსაკუთრებით გალში. როგორ გგონიათ, ხომ არ უკავშირდება ეს აფხაზეთის მთავრობის კოდორის ხეობაში გადასვლას?**

— აფხაზებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ კოდორში განხორციელებული ღონისძიებები სრულიად ეწინააღმდეგება მათ „სახელმწიფოებრივ" მიზანს. სამწუხაროდ, შურისძიების მიზნით ისინი ხშირად მიმართავენ პროვოკაციულ ქმედებებს გალის რაიონში. ჩვენ კი ვერაფერს ვაკეთებთ გარდა იმისა, რომ ესა თუ ის მოვლენა შევაფასოთ. სამწუხაროდ, აფხაზების თარეში რუსი სამშვიდობოების თვალწინ ხდება, მაგრამ თითსაც არ ანძრევენ იმისათვის, რომ ქართველებზე თავდასხმები შეწყდეს.

P. S. ის არაერთი ამაზრზენი ფაქტი, რომელიც გალის რაიონში აფხაზების ხელით ხორციელდება, სწორედ იმას მოწმობს, რომ უხეშად ირღვევა 1998 წლის გაეროს უშიშროების კომიტეტის დადგენილება. ეს დადგენილება კი გალში მცხოვრები ქართველების ხელშეუხებლობას ითვალისწინებს. გარდა ამისა, აფხაზურ და ქართულ მხარეს კატეგორიულად ავალდებულებს ადამიანის უფლებების და თავისუფლების დაცვას. ფაქტია, რომ ჩამოთვლილთაგან აფხაზები არც ერთ მოთხოვნას არ ითვალისწინებენ და კვლავ აგრძელებენ ქართველთა დაწიოკებას. დღეს გალში ცხოვრება წარმოუდგენლად გართულებულია.

*ირაკლი მანაგაძე*








## რას გვეტყვი, მამაო?

**— მეზობელი, ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა. მისი და დედათა მონასტერშია. დაკრძალვის შემდეგ მან აგვიკრძალა სახლზე შავი ნაჭრის გაკვრა და ყოველგვარი რიტუალი. არადა, ოჯახის უფროსი გარდაიცვალა და ოჯახი მაინც ძველებურად ცხოვრობს, თითქოს არაფერი მომხდარა. გთხოვთ აგვიხსნათ, რამდენად მართალია მონაზონი.**

— ნუ გაკადნიერდებით და ნუ იფიქრებთ, რომ მონაზონზე უფრო კარგად იცით ქრისტიანული წესები. თქვენ მიერ ნახსენები რიტუალი, სხვა არაფერია თუ არა ხალხური ცრურწმენა. გირჩევთ ქრისტიანობა შეისწავლოთ და აღარ გაგიკვირდებათ, თუ რატომ ცხოვრობს ძველებურად გარდაცვლილის ოჯახი.

**— გარდამეცვალა ოჯახის უძვირფასესი ნათესავი ცოლ-ქმარი, ერთი 14 მაისს, მეორე — 24 ივლისს. გთხოვთ უმორჩილესად, გვირჩიოთ, შეიძლება თუ არა ორივე მათგანს წლისთავი ერთდროულად გადავუხადოთ?**

— თქვენ თუ წლისთავის გადახდაში გულისხმობთ სუფრას — ეს მეორეხარისხოვანია და როცა გინდათ, მაშინ გადაიხდით. შეგიძლიათ, სულაც არ გადაიხადოთ. პირველხარისხოვანია, რომ გარდაცვლილთა წლისთავის დღეებში ეკლესიაში გადაუხადოთ პანაშვიდი ან შეკვეთილი წირვა.

**— დაბადებიდან 41-ე დღეს მოვნათლეთ ბავშვი. მოძღვარმა წამიკითხა განწმენდის ლოცვა, მაგრამ მისთვის არ მითქვამს მორიდების გამო, რომ საბოლოოდ არ ვიყავი განწმენდილი. თუ ჩამეთვლება ცოდვად ხატების მთხვევა, ხომ არ იმოქმედებს ეს ნათლობაზე და როგორ მოვიქცე?**

— ამგვარ საკითხებში მორიდება მიზანშეუწონელია. თითქოს მოძღვართან რაღაცის დაფარვით „პრობლემას" ვაგვარებთ, ამ დროს კი ღვთის საიდუმლოს შეურაცხვყოფთ. რაც შეეხება ნათლობას, თქვენი შეცდომა არანაირად არ იმოქმედებს მასზე, იმიტომ, რომ ნათლობის საიდუმლოს მღვდელი აღასრულებს. გირჩევთ აღსარებაში მოინანიოთ ეს ცდომილება.

**— ჩემი შვილის ნათლობის ჯვრით მოვნათლე სხვა, რა დაუშავდება ამით ჩემს შვილს და არის თუ არა ეს ცოდვა?**

— თქვენ არათუ არ იცნობთ ქრისტიანობას, არამედ სრული უპასუხისმგებლობით ექცევით მას და შესაბამისად, ისევე ადვილად გაცვლით თქვენს სარწმუნოებას სხვაზე, რადგანაც თქვენს შვილს უდიდესი ძალის მქონე, მფარველი, ნათლობის ჯვარი გაუჩუქეთ. ამგვარი აგდებული დამოკიდებულება რჯულისადმი დაგაზარალებთ პირველ რიგში თქვენ. გირჩევთ სასწრაფოდ ეკლესიური ცხოვრება დაიწყოთ და აღსარებაში მოინანიოთ ეს ცოდვა და სხვა მრავალი.

**თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით.**

**მართლმადიდებელ მამათა სწავლების მიხედვით მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებს მღვდელი ლევან მათეშვილი.**




# დედაშვილობა



იმ ქუჩების წინ, სადაც ხშირად დავდივარ, ერთი სანდომიანი ქალი დგას და თავაზიანად მოწყალებას ითხოვს. მომაბეზრებლად არ უდგება წინ მომსვლელებს, [illegible] შეძლებისდაგვარად შეეწევა ხოლმე.

მისი ამბავი ერთმა ახლობელმა მიამბო:

— ზინა ჰქვია, დედით რუსია. [illegible] თანაც, შვილის მიტოვება არ შეუძლია...

— შვილი თუ ჰყავს, რატომ მათხოვრობს, [illegible] — ვიკითხე გაოცებულმა.

— ამ საცოდავის შვილს არაფერი უჭირს, პირიქით, [illegible]

[illegible]

გამზრდელისთვის ერთხელაც არ მიუკითხავს იმ [illegible]

ბიჭს ციხეში, არადა ხომ იცოდა, რომ ქალმა მისთვის გაწირა თავი!

[illegible]

იმ დღიდან [illegible] სიყვარული ვერ ჩაკლა მის გულში.

# ჰიპოკრატეს ფიცის „მოღალატე“

ხუთი წლის წინ უარი თქვა ექიმობაზე, რითაც ბევრი გააკვირვა — ოქროსხელებას ეძახდნენ გამოცდილ ქირურგს, რომელსაც იმათი სიცოცხლეც კი გადაურჩენია, სხვებს რომ უარი უთქვამთ მკურნალობაზე. ბევრმა სცადა მისი გადარწმუნება, მაგრამ არაფერმა გაჭრა, თქვა და მორჩა! არც ახსნა-განმარტება, არც თავის მართლება.

სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, ჩემთან ლაპარაკის სურვილი თუ გაუჩნდებოდა. ისიც ვუთხარი: — ეჭვი არ მეპარება, რაღაც ძალზე მნიშვნელოვანმა გათქმევინათ უარი საყვარელ პროფესიაზე-მეთქი!

— ჰიპოკრატეს ფიცს ვუღალატე. საოპერაციო მაგიდაზე მივატოვე ავადმყოფი, რომლის გადარჩენაც შემეძლო. იგი ჩემი მტერი იყო. ბევრჯერ მიოცნებია სადმე პირისპირ შევხვედროდი და კაცურად გავსწორებოდი, მაგრამ ეს საოპერაციოში არ უნდა მომხდარიყო! და რადგან ვერ მოვერიე თავს, ე.ი. ექიმობის უფლებაც აღარა მაქვს! აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, ჩემი შვილი ზაზა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო. რამდენიმე თანაკურსელთან ერთად სოხუმში წავიდა. ვერ დავუშალე, და როცა შვილის შესახებ ერთხანს ვერაფერი გავიგე, ლამის ჭკუიდან შევიშალე. ერთადერთ შვილს რომ რამე მოსვლოდა, ვერასოდეს ვაპატიებდი თავს, მძიმე წუთებში მის გვერდით თუ არ ვიქნებოდი. დამოუკიდებლად, ბიძაშვილთან ერთად წავედი აფხაზეთში. იარაღიც არ გვქონდა. მხოლოდ წამლები და ქირურგიული იარაღი წავიღე, რომ აუცილებლობის შემთხვევაში დაჭრილთათვის მეშველა. სოხუმში ჩასულებს ძალზე ცუდი მდგომარეობა დაგვხდა. მოსახლეობა პანიკაში იყო, გაქცევას ცდილობდა. აფხაზეთში სომხები, ჩეჩნები და ათასი ჯურის ყაჩაღური ბანდები მბრძანებლობდნენ. ჩიტებივით ესროდნენ ქართველებს და ხოცავდნენ. მე ნაცნობები მოვძებნე, რომლებიც დამპირდნენ, სამშვიდობოს გაგიყვანთო, მაგრამ ჩემი შვილის ტოლი იმდენი ბიჭი იყო დაჭრილი, ველარ შევძელი მათი მიტოვება და უნებურად აღმოვჩნდი შუაგულ ომში. როგორც იქნა, ერთ მანქანაში მოვათავსე დაჭრილი ბიჭები, ქართველთა მიერ გამაგრებულ მხარემდე მოვაღწიეთ. სულ მცირე მანძილი იყო ზუგდიდის საავადმყოფომდე დარჩენილი და ბენზინი გაგვითავდა. ამ დროს მოგვადგა სატვირთო მანქანა. გამიხარდა და მაშინვე მივვარდი, დაჭრილი ბიჭები გვყავს საავადმყოფოში გადასაყვანი-მეთქი, არც მომისმინა: — სად მცალია დაჭრილებისთვის, სანამ დროა, რამდენიმე რეისი უნდა მოვასწროო!

გავგიჟდი და იმის გარკვევა ვცადე, დაჭრილი ბიჭების სიცოცხლეზე ძვირფასი რა უნდა ყოფილიყო! მოკლედ, მაროდიორები აღმოჩნდნენ, ნაძარცვი ნივთებით დაეტვირთათ მანქანა. როგორც მითხრეს, იმ დღეებში ხშირად ხედავდნენ ამ ძმებს (ორნი იყვნენ!) დატვირთული მანქანით...

— ქართველები იყვნენ?

— ქართველები იყვნენ! გვარიც ვიცი, მაგრამ მათ შვილებს დავინდობ და საქვეყნოდ არ მოვჭრი თავს, არ გავამხელ. როცა გაცოფებულმა ნივთების მანქანიდან გადმოყრა დავაპირე, ავტომატის ცეცხლის გახსნა მოინდომეს და ალბათ დაგვხოცავდნენ კიდეც, რომ არ გაგვეშვა. რამდენიმე ლიტრი ბენზინიც კი არ გადმოგვისხეს...

ის ღამე ტყის მახლობლად გავათენეთ. სამი ბიჭი დაგვეღუპა დილამდე. ჩემი ხელით გავუთხარე სამივეს სამარე და მოგვიანებით ის ადგილი რომ ვაჩვენე მათ უბედურ მშობლებს, ესეც შვებად მივიჩნიე... მაშინ დავიფიცე გამწარებულმა, რომ სადაც შევხვდებოდი იმ არაკაცებს, აუცილებლად გავუსწორდებოდი.

ეს კი ამ ხუთი წლის წინ მოხდა. ერთ-ერთი უნამუსო ფარული სისხლდენის დიაგნოზით მოიყვანეს. გადარჩენის შანსი თითქმის არ ჰქონდა და ახალბედა ქირურგმა, რომელიც იმ ღამეს მორიგეობდა, დახმარება მთხოვა.

სანამ საოპერაციოში შევიდოდი, „აშენებას“ დამპირდნენ მისი ახლობლები, სულ მწვანე დოლარების დასტებს მიტრიალებდნენ ცხვირწინ — ოღონდ გადაგვირჩინეო!

როგორც დავხედე, მაშინვე ვიცანი. მისი სახე არასოდეს დამავიწყდებოდა, არც მისი ბოროტად მოელვარე თვალები, ავტომატს რომ გვიღერებდა. გამახსენდა მისი უგულობის გამო დაღუპული ბიჭები. მინდოდა, შურისძიებაზე არ მეფიქრა, მაგრამ... ვერ შევძელი!

— მიცანი-მეთქი? — ვკითხე ტკივილისგან გატანჯულს.

— ვერაო! — გაკვირვებით შემომხედა.

გავახსენე, ვინც ვიყავი და ისიც ვუთხარი, მის უგულობას რაც მოჰყვა, მერე ავდექი და ისე გამოვედი საოპერაციოდან, არც გამისინჯავს და არც კონსულტაცია გამიწევია გამოუცდელი ქირურგისთვის. ის კაცი ოპერაციის დროს დაიღუპა.

— მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ვერც თქვენ გადაგერჩინათ?

— მიტოვების უფლება მაინც არ მქონდა. როგორც ექიმი, ვალდებული ვიყავი, მიმეხედა!

— თქვენი შვილი გადარჩა?

— ღვთის წყალობით, საღ-სალამათი დაბრუნდა და სხვათა შორის, აფხაზმა ბიჭებმა გამოიყვანეს სამშვიდობოს.

კიდევ უამრავი კითხვა მქონდა, მაგრამ ველარ შევკადრე კაცს, რომელიც ერთიანად გაჭაღარავდა თურმე იმ დღეს, როცა ქართველისგან გამეტებული ბიჭები ხელებში ჩააკვდა...

*მოამზადა ინგა ჯაყელმა*


FutureWorld

# — ახალი პროგრამა ბავშვებისათვის

მრავალმა თქვენგანმა უკვე იცის ინგლისური და რუსული ენების შემსწავლელი კურსების FutureWorld-ის შესახებ. იგი ყოველთვის სთავაზობს თავის მოსწავლეებს საინტერესო თანამედროვე ინოვაციებს — ექსკლუზიურ კომპიუტერულ პროგრამას Discovering English, ორიგინალურ საბავშვო კურსს რუსულ და ინგლისურ ენებში, ავსტრალიის კოლეჯებში სწავლას და მრავალ სხვა პერსპექტივას.

დამდეგ სასწავლო წელს FutureWorld-ი ნორჩ თბილისელებს სთავაზობს კიდევ ერთ სიახლეს — ჰელენ ოძგრადის საბავშვო დრამის საერთაშორისო პროგრამას. როგორც ყოველთვის, ეს ორიგინალური და ექსკლუზიური პროგრამაა. ამ შემთხვევაშიც ჩვენ ვთავაზობთ მოსწავლეებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მრავალი წლის მანძილზე აპრობირებულ სასწავლო პროდუქტს, რომელიც უკვე საქართველოშიცაა.

FutureWorld-ის დირექტორი ქალბატონი ელენე კანთელაძე ორი თვის განმავლობაში ავსტრალიაში იმყოფებოდა და ინტენსიურად ემზადებოდა ამ პროგრამის საქართველოში დანერგვისათვის. იგი დაესწრო მრავალ სემინარსა და ტრენინგს, თვითონ ატარებდა გაკვეთილებს ჰელენ ოძგრადის სისტემის მიხედვით, პირადად გაიცნო პროგრამის ავტორი და აი მისი შთაბეჭდილებები:

— მინიმალურ ვადებში უზარმაზარი სამუშაო გაკეთდა. ჰელენ ოძგრადის სისტემასთან გაცნობა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დავიწყე. ბავშვებისთვის რომ მქონოდა ამ პროგრამით სწავლების უფლება, ჩემი პედაგოგიური დონის ამაღლებამაც (TEFL სერტიფიკატი) მომიწია.

ჰელენ ოძგრადის სკოლები არსებობს მსოფლიოს 18 ქვეყანაში და კვირაში 50 ათას ბავშვზე მეტი მონაწილეობს მასში. ყოველი ასაკობრივი ჯგუფისათვის (5-8, 9-13 და 14-17 წლამდე) გამოყენებულია შესაბამისი ფსიქოლოგიური მიდგომა და სწავლების მეთოდიკა, რისი წყალობითაც ბავშვები ეუფლებიან ინგლისურ ენას პრაქტიკაში, სიტუაციურად, და მათი ცოდნა ეფუძნება არა მარტო ინტელექტს, არამედ ემოციას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ქვეცნობიერად ეუფლებიან ენას, ყოველივე დაძაბვის, დაზუთხვისა და მობეზრების გარეშე. შემთხვევითი არ არის, რომ ასეთი მეთოდიკა დაიბადა სწორედ ავსტრალიაში — ქვეყანაში, სადაც უამრავი ემიგრანტია მთელი მსოფლიოდან. ზუსტად ემიგრანტთა ბავშვებისათვის იქნა დაფუძნებული ჰელენ ოძგრადის პირველი სკოლა. დღეისათვის კი შექმნილია სრულყოფილი სწავლების პროგრამა, სადაც 13 წლის განმავლობაში არც ერთი გაკვეთილი არ მეორდება! კურსის ბოლოს ბავშვებს გადაეცემათ საერთაშორისო სერტიფიკატი.

გარდა ამისა ბავშვები ეუფლებიან სიტყვის ხელოვნებას, პლასტიკას, მოძრაობას, უვითარდებათ საკუთარი აზრის და გრძნობის გამოხატვის უნარი. შეიძლება ყველა ჩვენი მოსწავლე ლინგვისტი არ გახდეს, მაგრამ ნათელია, რომ ისინი ისწავლიან საკუთარი აზრის გამოხატვას, დაემშვიდობებიან კომპლექსებს, გახდებიან უფრო გახსნილები, კომუნიკაბელურები, პოზიტიურად განწყობილნი. ძირითადად ეს არის ჩვენი მიზანი, — მიაჩნია ჰელენ ოძგრადს, — ასწავლო ბავშვს არა მარტო ლაპარაკი, არამედ აზროვნება, თავისი აზრებისა და გრძნობების გამოხატვა ინგლისურ ენაზე — ეს ბევრად უფრო მარტივი ამოცანაა.

ჩემი გამგზავრება ავსტრალიაში დაუვიწყარი იყო (თუმცა თითოეულ ჩვენს მოსწავლეს აქვს ამ არაჩვეულებრივ ქვეყანაში მოხვედრის საშუალება). მაგრამ მე მაინც მოვიჩქაროდი თბილისისკენ, რადგან წინ გველის უზარმაზარი, ახალი და საინტერესო სამუშაო!

შევახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ სექტემბერში FutureWorld-ში ღია კარის დღეებია. მთელი წლის განვალობაში კი FutureWorld გთავაზობთ ინტენსიურ და ბიზნეს კურსს, სპეცკურსს ოფის-მენეჯერთა და აბიტური-



ენტთათვის. თქვენ შეგასწავლიან ახალგაზრდა ქართველი პედაგოგები და გამოცდილი ინგლისურენოვანი სპეციალისტები. დასკვნითი გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში გაიცემა საერთაშორისო სერტიფიკატი. ჩვენ ერთად ვსწავლობთ და ვისვენებთ, ვმონაწილეობთ ვიდეოკონფერენციებში და ვაწყობთ თემატურ საღამოებს. FutureWorld ხომ თქვენი მომავლის სამყაროა!

**ყურადღება! FutureWorld** გატყობინებთ, რომ ჰელენ ოძგრადის სისტემით სწავლების საფასურის 50% ფარავს გრანტი, რომლის დანიშნულებაა საქართველოში ენობრივი სწავლების სპეციალური ფორმების დანერგვა. ასე რომ, ორთვენახევრიანი სემესტრის ღირებულებაა 40 ლარი. ძველ მოწაფეებზე ხორციელდება ფასდაკლება. სექტემბერ-ოქტომბერში მეცადინეობებს ატარებს კვალიფიცირებული ტრენერ-პედაგოგი ავსტრალიიდან ამანდა ჯეფრი.

**FutureWorld** საბურთალო, მიცკევიჩის ქ. 17, ☎ 38 22 96
**http://www.helenogrady.com.au** R

# იმუნიტეტზე ზრუნვა ყოველთვის დროულია!

ზაფხული, ასოცირებული თაკარა, მზიან დღეებთან, პლაჟებთან, აუზებთან, გარუჯვასთან, ღია ფეხსაცმელთან, ხშირად ფეხშიშველ სიარულთან... სოკოვანი და ჰერპესინფექციების გააქტიურების სეზონად ითვლება. ზოგადად, აღნიშნული ინფექციები შესუსტებული იმუნიტეტის ფონზე ვითარდება და მათი გამწვავებაც იმუნოდეფიციტის ფონზე ხდება. ზაფხულის თვეებში დამცავი სისტემის გააქტიურება აუცილებელია როგორც სოკოვანი და ვირუსული ინფექციებისაგან თავდაცვის მიზნით, ასევე ამ ინფექციების ქრონიკული ფორმების მქონე პირთათვის, რათა თავიდან აიცილონ რეციდივი.

ზაფხულსა და ადრეულ შემოდგომაზე მნიშვნელოვნად იზრდება აგრეთვე ტრიქომონადული, ქლამიდიური და სხვა შარდსასქესო ინფექციებით დასნებოვნებული პაციენტების რიცხვიც, მორეციდივე ინფექციებისაგან საიმედო დაცვა კი მხოლოდ აქტიური, ძლიერი იმუნური სისტემით შეიძლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზაფხული აქტუალური სეზონია გახდომის მსურველთათვის, როდესაც განსაკუთრებით გამძაფრებულია ზამთრის განმავლობაში დაგროვილი ზედმეტი კილოგრამებისაგან გათავისუფლების სურვილი. თანაც ვცდილობთ შედეგი მივიღოთ სწრაფად და თავდავიწყებით ვერთვებით მომქანცველი დიეტების მარათონში. ყოველივე ზემოაღნიშნული, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება ჩვენი ორგანიზმის იმუნური სისტემის მდგომარეობაზე.

იმუნური სისტემის გაძლიერებაზე ფიქრი აქტუალურია იმ ბავშვებისა და მოზრდილთათვისაც, რომლებიც წლის ცივ პერიოდში ხშირად გაცივებით, გრიპით, რესპირატორული ინფექციებით ავადობენ. მით უმეტეს, რომ როგორც მედიკოსები „გვპირდებიან", წლევანდელ შემოდგომასა და ზამთარში მოსალოდნელია ტიპური თუ „ატიპური" ვირუსული ინფექციებით გამოწვეული ეპიდემიები.

ასეთ პირობებში იმუნოსტიმულაციის დაწყება უმჯობესია ზაფხულის თვეებში, ვინაიდან ორგანიზმის დამცავი სისტემის გაძლიერება ელვისებურად, „გრიპის სეზონის" პარალელურად ხშირად ვერ ხერხდება და ამ შემთხვევაში ორგანიზმს ინფექციების წინააღმდეგ „ძლიერი გარსის" შესაქმნელად გარკვეული პერიოდი ესაჭიროება.

დამცავი სისტემის აღდგენაში, გაძლიერებასა და შენარჩუნებაში დაგეხმარებათ უკვე ყველასთვის ცნობილი და საყვარელი პრეპარატი **იმუნო-რიცი**.

**იმუნო-რიცის** შემადგენლობაში შემავალი მცენარეები: ეხინაცეა, უნკარია და სპირულინა განაპირობებენ მედიკამენტის იმუნომასტიმულირებელ, ანტიოქსიდანტურ და ზოგადმატონიზებელ თვისებებს. პრეპარატი მოქმედებს კომპლექსურად და მისი მოქმედება მიმართულია ორგანიზმის დამცავი ძალების მობილიზაციისა და გააქტიურებისაკენ.

**ზაფხულის განმავლობაში იმუნო-რიცი დაგეხმარებათ დაისვენოთ და გაერთოთ აქტიურად და ენერგიულად, ხოლო შვებულების შემდეგ ხალისით დაუბრუნდეთ სამუშაოს და იშრომოთ ნაყოფიერად**

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალებების გამოყენების ინსტრუქციას

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი ალმაშენებლის 148/II
საწარმო GMP ფლობს საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატს "ISO-9001-2000" GMP ჯი-ემ-პი

# აღმოჩენა ალაზნის ველზე, რომელიც მსოფლიოსთვისაც საინტერესოა

*საქართველო სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება უძველესი კულტურების შესწავლით დაინტერესებული უცხოელებისათვის. არქეოლოგები ყოველწლიურად აკეთებენ მნიშვნელოვან აღმოჩენებს. ეს ეხმარება საქართველოს, რომ ტურისტები მოიზიდოს. ამიტომ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ტურიზმის განვითარების საქმეში მეცნიერებიც ჩაერივნენ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ საზეიმოდ გახსნა კიდეც დმანისში საკურორტო სეზონი, — ზეზვასა და მზიას სამშობლოს უამრავი უცხოელი მოაწყდა.*

*უცხოელები კახეთშიც მრავლად არიან. დიდი ინტერესით ათვალიერებენ გრემს, ალავერდს, მთათუშეთისაკენ მიდიან. ჩემდა გასაოცრად, ერთ-ერთი ავსტრიელი სტუმარი საგანგებოდ ალაზნის ველის სანახავადაც კი იყო ჩამოსული.*



გერმანულ-ქართული არქეოლოგიური ექსპედიცია აზერბაიჯანში

— მეგობარმა მითხრა, აქ უნიკალური, უძველესი სახელმწიფოს ნაშთებიაო. ამიტომაც გადავწყვიტე საქართველოში ჩამოსვლა, — მითხრა თარჯიმნის საშუალებით **დევიდ ესკოურდმა**, — ბევრი რამ უკვე ვნახე, ახლა კი ალაზნის ველზე მივდივარ...

— **ალაზნის ველით დაინტერესდით?**

— მთავარი ეგ არის. თურმე მანდ უძველესი აქემენიდური სასახლე მდგარა. აქემენიდური ეპოქა კი სტუდენტობიდან მაინტერესებს. შინ მთელი კედელი მაქვს შევსებული სამეცნიერო-პოპულარული წიგნებით. ნამყოფი ვარ ყველგან, სადაც კი რაიმე კავშირი დგინდება ძველი სპარსეთის სახელმწიფოსთან. საქართველომ მოლოდინს გადააჭარბა.

დევიდი ისე გატაცებით ლაპარაკობდა, რამდენიმე კაცი შემოგვეხვია. მერე ერთმა ქართველმა ყმაწვილმა მეორეს ჩუმად გადაულაპარაკა: — ხედავ, რას ამბობს, მე ეს სულ არ ვიცოდიო.

მართლაც, ქართველებს ჯერ კიდევ ვერ გაგვიცნობიერებია რიგიანად, რა განძს ვფლობთ. არცთუ იშვიათად უცხოელებმა უფრო მეტი იციან ჩვენს ისტორიულ საგანძურზე და ინტერესს არც მალავენ.

ბევრ ჩვენს თანამემამულეს აინტერესებს ინფორმაცია, რომელმაც უცხოელი ალაზნის ველის სანახავად ჩამოიყვანა. „კვირის პალიტრა" გთავაზობთ ამომწურავ ცნობებს ამ აღმოჩენის შესახებ, თუმცა მოყოლას ცოტა შორიდან დავიწყებთ...

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა, პროფესორმა დავით ლორთქიფანიძემ



აქემენიდური ზარისებრი ბაზისი

ვენეთი.

— 1995 წელს გერმანიაში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე ჩვენმა აზერბაიჯანელმა კოლეგამ — იდეალ ნარიმანოვმა ახსნა შამქორის რაიონის სოფელ გარაჯამირლიში აღმოჩენილ კირქვის ზარისებრი ბაზისის შესახებ. ასეთ ბაზისებზე იყო აღმართული აქემენიდური სასახლეების და ტაძრების სვეტები. გარაჯამირლი საქართველოს საზღვართან ორიოდე ფეხის ნაბიჯზეა. მეზობლების აღმოჩენამ ძალიან დამაინტერესა — კახეთში, ალაზნის ველზე, სოფელ ქუმბათის მიდამოებში, ადრე აღმოჩენილი იყო ზარისებრი ბაზისი. ეს აქემენიდური სამშენებლო სტილია. მოგეხსენებათ, აქემენიდთა სახელმწიფო (ძვ.წ.აღ.-ის 553-330 წ.წ.) აღესანძრის მაკედონელმა გაანადგურა — ეს პირველი მსოფლიო იმპერია გახლდათ. მისი გავლენის სფეროში ამიერკავკასიაც იყო მოქცეული. კოლხეთის სამეფო ეგეოსურნავლად უგზავნიდა ყმაწვილ ქალ-ვაჟებს ხარკად სასახლის შენებაში. აქემენიდური სახელმწიფო დაყოფილი იყო სატრაპიებად. ქართველ რომელ სატრაპიაში შედიოდა ჩვენი ტერიტორია, ჯერ კიდევ გასარკვევია. აქემენიანთა იმპერიის ნანგრევებზე შეიქმნა ელინისტური სახელმწიფოები. ერთ-ერთი ასეთი იყო იბერიაც. აქემენიდური კულტურის შექმნაში მონაწილეობდა მთელი მსოფლიო — ბაბილონელები, ბერძნები, ეგვიპტელები, მიდიელები, ლიდიელები და სხვანი, მათ შორის — ქართველები. მისი შესწავლით ბევრი მეცნიერია დაინტერესებული. ამან მოიყვანა გერმანელთა ექსპედიცია საქართველოში. ქართულ-გერმანულმა ჯგუფმა ალაზნის ველზე, სიღნაღის რაიონში, გათხარა აქემენიდური ხანის სასახლე (ხელმძღვანელები: აკადემიკოსი კიაზო ფიცხელაური, პროფესორი ანდრეას გურტვენგლერი). აქაც, როგორც გარაჯამირლიში, აღმოჩენილია ზარისებური ბაზისები, ლოტოსის ყვავილის ფურცლებით ორნამენტირებული.

გერმანელებთან ერთად ვნახეთ აზერბაიჯანში ის ადგილი, სადაც ბაზა ამოაჩინა ერთმა გლეხმა, იუსუფოვმა. აქაურობა ძალიან ჰგავდა ქუმბათს. დავიწყეთ ფიქრი გათხრებზე. ახალგაზრდა გერმანელმა პროფესორმა ფლორიან კნაუსმა გრანტი მოიპოვა და ექსპედიციის შედეგად პირველივე დღეს მივაგენით სასახლის ადგილს. ისევე, როგორც გარაჯამირლში, ეს სასახლე ალიზის იყო ნაგები. აგური ზომებით ზუსტად ემთხვევა. კედლის სისქე ორივეგან (საქართველოშიც და აზერბაიჯანში) სამი აგური იყო. კორპუსის სვეტის ძირების მსგავსება კი იმდენადაა, ალბათ ერთი ხელოსნის გამოკვეთილია.

— **რა არის ყველაზე საინტერესო ამ აღმოჩენაში?**

— ზარისებრი ბაზისები აღმოჩენილია მხოლოდ აქემენიდური სახელმწიფოს დედაქალაქებში — სუზაში, პერსეპოლისში და პასარგადაში. ისინი ერთმანეთისგან 2000 კმ-ით არიან დაშორებულნი. ეს სპეციფიკა, თუმცა ახსნა აუცილებლად მოეძებნება. რაც შეეხება აშენების დროს, აქ ეს სასახლეები ძვ.წ. 60-100 წლით ადრეა აშენებული. ამიტომ, აქ ტერიტორიული-ადმინისტრაციული ერთეულის გამოკვლევა უნდა გაგრძელდეს.

*ნარიმანოვს გისურვებთ, მით უმეტეს, რომ თქვენი აღმოჩენა მსოფლიოსთვისაც საინტერესოა.*

**ლელა ჯიჯიაშვილი**

და მიუნხენის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა, პროფესორმა რაიმონდ ვუნშემ თანამშრომლობის ხელშეკრულება დადეს. ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ერთობლივი ქართულ-გერმანულ-აზერბაიჯანული ექსპედიციის მუშაობა. ექსპედიცია იღბლიანი გამოდგა. აღმოჩენილია ძვ.წ.აღ-მდე VI-IV საუკუნეების აქემენიდური სასახლე. ცნობილია, რომ აქემენიანთა სახელმწიფოს არეალში შედიოდა ამიერკავკასია. ამდენად, გარკვეული აზრით, იბერია ანუ ქართლი სამეფო ამ უძველესი ცივილიზაციის მემკვიდრეა. ექსპედიციაში მონაწილეობდა ქართველი მეცნიერი [illegible], რომელიც თბილისში დარწმუნებულთავებს

# სახელმძღვანელოები, კონკურსები... ყველაფერი „დიოგენესგან"

პედაგოგიური საზოგადოება უკვე იცნობს გამომცემლობა „დიოგენეს" სასკოლო სახელმძღვანელოებსა და სასწავლო თვალსაჩინოებებს, რომლებმაც მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი საქართველოს სკოლებში. 2005/2006 სასწავლო წელს განათლების რეფორმის ფარგლებში სახელმძღვანელოების შექმნა გამომცემლობამ პრიორიტეტულ მიმართულებად დაისახა და სპეციალური სარედაქციო ჯგუფი ჩამოაყალიბა.

ავტორთა და სარედაქციო ჯგუფის მუშაობის შედეგად მომზადდა ახალი სახელმძღვანელოები, რომელთაგან თხუთმეტმა წარმატებით გაიარა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის კონკურსი. ეს სახელმძღვანელოები თავისი სტრუქტურით, შინაარსითა და სწავლების მეთოდიკით უზრუნველყოფს შესაბამისი საგნის სტანდარტით გათვალისწინებული შედეგებისა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

გარდა ახალი სახელმძღვანელოებისა, გამომცემლობა კვლავაც აგრძელებს წარმატებული სერიული სახელმძღვანელოების გამოცემას.

გვესაუბრება გამომცემლობის დირექტორი **თამარ ლებანიძე**:

— ჩვენმა გამომცემლობამ წელს პირველად მოამზადა პირველი კლასის სახელმძღვანელოები. მათ შექმნაში ფსიქოლოგი-კონსულტანტი თამარ კერძაია მონაწილეობდა. მან ორივე გამარჯვებული სახელმძღვანელოს — მათემატიკისა და ფიზკულტურის სახელმძღვანელოების მეთოდური ერთიანობა უზრუნველყო ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. I კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოს კომპლექტი, მოსწავლის და მასწავლებლის წიგნებთან ერთად, მოსწავლის სამუშაო რვეულსაც შეიცავს. რაც შეეხება ფიზკულტურის სახელმძღვანელოს, დარწმუნებული ვარ, რომ ეს წიგნი, თავისი მწყობრი მეთოდური რეკომენდაციებით, საგაკვეთილო სცენარებით, თამაშებისა და ვარჯიშების აღწერილობით, სამაგიდო წიგნი გახდება პედაგოგებისთვის.

— ***ძალიან საინტერესოა კონკურსები, რომლებსაც თქვენ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სთავაზობთ. ვის შეუძლია მათში მონაწილეობა?***

— წელს ჩვენ რამდენიმე კონკურსი გამოვაცხადეთ. საქართველოს მათემატიკის მასწავლებელთა ასოციაციასთან ერთად (თავმჯდომარე — ქ-ნი დოდო თხელიძე) ვატარებთ კონკურსს პირველი, მეშვიდე და მეათე კლასის პედაგოგებისთვის. პირველი კლასის მასწავლებელთა კონკურსის შესახებ უკვე იყო ინფორმაცია თქვენს გაზეთში. ამჯერად VII და X კლასებს შევეხები.

კონკურსი მიზნად ისახავს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე ორიენტირებული პედაგოგების გამოვლენასა და წახალისებას. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მასწავლებელს, რომელიც სასწავლო პროცესს VII ან X კლასში გამომცემლობა „დიოგენეს" მიერ გამოცემული მათემატიკის სახელმძღვანელოთი წარმართავს.

კონკურსი გაიმართება ორ ეტაპად: პირველი — შესარჩევი ტური (2007 წლის მაისი), მეორე — დასკვნითი კონფერენცია (2007 წლის ივნისი). შესარჩევ ტურში მონაწილეობის მისაღებად პედაგოგებმა უნდა წარმოადგინონ გაკვეთილების გეგმები, აქტივობების ნიმუშები, მოსწავლეთა მიერ რეალიზებული პროექტები, ამოცანების, თვალსაჩინოებების პაკეტები, გაკვეთილების სცენარები წერილობითი ან ვიდეომასალის სახით, ორიგინალური პროექტების იდეები და ა. შ. მასალა უნდა ეყრდნობოდეს მათემატიკის სწავლების თანამედროვე მეთოდიკას, ხელს უწყობდეს VII და X კლასებში სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას და სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას.

კონკურსის პირველ ეტაპზე შემოსულ მასალებს განიხილავს სპეციალური ჟიური დახურული წესით (ნამუშევრების ავტორთა ვინაობა უცნობი იქნება ჟიურის წევრთათვის) და შეარჩევს 20 საუკეთესოს — შემაჯამებელი კონფერენციის მონაწილეებს. შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება მასალის საგანმანათლებლო ღირებულებასა და ორიგინალურობას.

შემაჯამებელი კონფერენციის მონაწილე პედაგოგებმა უნდა წარადგინონ მათ მიერ შესარჩევი ტურისთვის მომზადებული მასალა ჟიურისა და აუდიტორიის წინაშე და უპასუხონ ამ მასალასთან დაკავშირებულ შეკითხვებს. ჟიური ფარული კენჭისყრით შეაფასებს კონფერენციის მონაწილეთა პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარს და ორივე ტურის ქულათა დაჯამებით გამოავლენს გამარჯვებულებს.

კონკურსში გამარჯვებულად დასახელდება 2 მასწავლებელი — ერთი VII და ერთიც X კლასისა. გამარჯვებულები მიიღებენ 1.000-1.000 ლარს და პერსონალურ კომპიუტერებს. II და III ადგილის მფლობელები ერთი წლის განმავლობაში მიიღებენ სპეციალურ სახელფასო დანამატს, თვეში 100 ლარის ოდენობით. შემაჯამებელი კონფერენციის მონაწილე ყველა პედაგოგი მიიღებს მათემატიკის VIII ან XI კლასის სახელმძღვანელოებს მთელი კლასისათვის 2007/2008 სასწავლო წელს.

გამომცემლობა ისტორიის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წასახალისებლადაც აცხადებს კონკურსს თბილისის პედაგოგ-ისტორიკოსთა კლუბ „მემკვიდრესთან" ერთად (ხელმძღვანელი — ბატონი ნუგზარ მოლაშვილი). კონკურსში მონაწილეობა შეუძლია X კლასის ნებისმიერ მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფს (არა უმეტეს 3 მოსწავლისა) იმავე კლასის ისტორიის პედაგოგთან ერთად.

კონკურსი გაიმართება 2 ტურად, I ტური — 2007 წლის ივნისში, ხოლო II ტური — 2007 წლის ივლისში.

I ტურისთვის მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ მცირე ისტორიული გამოკვლევა თხზულების, მოკლე ვიდეოფილმის, კომენტარებიანი ფოტორეპორტაჟის, კომპიუტერული პროექტის და ა. შ. სახით.

ჟიურის სამუშაო სქემა თითქმის პირველი კონკურსის იდენტურია. I ტურში 20 საუკეთესო ფინალისტის გამოვლენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება ისტორიულ წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარსა და გამოკვლევის ორიგინალურობას.

II ტურში ფინალისტმა მოსწავლეებმა პედაგოგების დახმარებით უნდა წარადგინონ თავიანთი გამოკვლევა ჟიურისა და აუდიტორიის წინაშე და უპასუხონ ნაშრომთან დაკავშირებულ შეკითხვებს.

ჟიური ფარული კენჭისყრით შეაფასებს ფინალისტთა პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარს და ორივე ტურის ქულათა დაჯამებით გამოავლენს გამარჯვებულებს, ერთ ინდივიდუალურ და ერთ ჯგუფურ გამოკვლევას. გამარჯვებული მოსწავლეები თავიანთ მასწავლებლებთან ერთად დაჯილდოვდებიან ერთკვირიანი მოგზაურობით ეგვიპტეში.

II და III ადგილის მფლობელი მოსწავლეები და მასწავლებლები მიიღებენ ფასიან საჩუქრებს კონკურსის ორგანიზატორებისა და სპონსორებისგან. II ტურის მონაწილე ყველა მოსწავლე და მასწავლებელი დაჯილდოვდება ორდღიანი ექსკურსიით საქართველოს ტერიტორიაზე და დაათვალიერებს ისტორიულ ძეგლებს.

ეს პირველი შემთხვევაა საქართველოში, როცა გამომცემლობა პედაგოგთა პროფესიულ კონკურსებს ატარებს. რა თქმა უნდა, მათში მონაწილეობა უფასოა. კონკურსები ტრადიციული გახდება.

გარდა სიახლეებისა, „დიოგენე" უკვე დამკვიდრებულ ტრადიციასაც არ ღალატობს: პედაგოგები, რომლებიც ჩვენი სახელმძღვანელოებით დაინტერესდებიან, საჩუქრად მიიღებენ სასწავლო მასალის კომპლექტს. პედაგოგებს შეუძლიათ მობრძანდნენ ოფისში, წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა სკოლიდან და მიიღონ სახელმძღვანელოები. ამ საქმეში ნაწილობრივ დაგვეხმარებიან რესურსცენტრები. ეს განათლების სისტემის ახალი სტრუქტურაა, რომელსაც ბიბლიოთეკებიც ექნება და იქ ყველა წიგნის ნახვა შეიძლება.

წელს ყველა ჩვენი სახელმძღვანელოს სატიტულო გვერდს ამშვენებს წარწერა: „საქართველოს საპატრიარქო და ფონდი „ბავშვები ჩვენი მომავალია" გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას". გარდა ამისა, წელს გამომცემლობა „დიოგენეს" საგანმანათლებლო პროექტების პარტნიორები არიან „ცენტრ პოინტი ჯგუფი" და მაგთიკომი. ჩვენ ვამაყობთ ამ თანამშრომლობით. ეს კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ბავშვებისა და პედაგოგების წინაშე.

ვგეგმავთ ახალი სახელმძღვანელოების დიდ პრეზენტაციას თბილისის სკოლებისთვის, რომელიც სამშაბათს, 12 სექტემბერს, 14 საათზე, ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციულ კორპუსში გაიმართება. პრეზენტაციის მოსაწვევები სკოლის დირექტორებს ან სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეებს დაურიგდათ. გათამაშდება სპეციალური საპრეზენტაციო ლატარია და ლატარიაში გამარჯვებულ სამ სკოლას შეეძლება ნახევარ ფასში შეიძინოს „დიოგენეს" ყველა სახელმძღვანელო მოსწავლეთა შესაბამისი რაოდენობით.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამომცემლობის ინტერნეტგვერდის პრეზენტაციასაც ვგეგმავთ. ჩვენს ვებგვერდზე შესაძლებელი იქნება ყველა ახალი სახელმძღვანელოს ფრაგმენტების დათვალიერება. დარწმუნებული ვარ, ეს ბევრისთვის ხელმისაწვდომი იქნება, რადგან „ირმის ნახტომის" პროგრამის ფარგლებში უკვე მოხდა სკოლების კომპიუტერიზაცია.

— ***რას გვეტყვით სახელმძღვანელოების ხარისხის შესახებ?***

— წელს ყველა სახელმძღვანელო უცხოეთში დავბეჭდეთ. წიგნები სპეციალური სამგანზომილებიანი ჰოლოგრამითაა დაცული. პედაგოგებსა და მშობლებს ვთხოვთ, რომ ამას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ. ჰოლოგრამა ყველა წიგნის გარეკანზეა. თუკი არალეგალურ პროდუქციას წააწყდებით, შეგვატყობინეთ.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი — ფასი. გამომცემლობაში წიგნების ფასი მინიმალურია. მიუხედავად იმისა, რომ გაძვირდა პოლიგრაფიული მომსახურება და ქაღალდი, შევეცადეთ, შეგვენარჩუნებინა წინა წლების ფასები.

გამომცემლობა „დიოგენემ" ივნისში მთელი საქართველოს მასშტაბით გამართა შეხვედრები პედაგოგებთან. ამ აქციას სასწავლო წლის დაწყებამდეც გავიმეორებთ. 13-დან 18 სექტემბრამდე რეგიონებშიც ჩავალთ, სადაც ჩვენი ავტორები მასწავლებლებს თავიანთ ნამუშევრებს გააცნობენ და, რა თქმა უნდა, წიგნებსაც გადასცემენ საჩუქრად

(იხ. გვერდი 19.)

R

# ეგრეა, ვაზი გაჩოქებს...

(დასაწყისი გვ.11)

50 ჯიშამდე მოდის მარტო ჩვენ სოფელში. მუხლიჩოქა ვშრომობთ და გული გვტკივა, აუგად რო იტყვიან, ბევრს ითხოვო. მაგრამ ჩვენ ხო ამასაც ვუძლებთ. იგეთი წინაპრების შვილები ვართ, სხვანაირად ვერ იქნება! სანამ კოლმეურნეობა დაარსდებოდა, გადმოდიოდნენ აქ ლეკები სამუშაოთაც, სამათხოვროთაც. ეგ მახსოვს, იმათ ერთი მოხუცი კაცი ჩამაიყვათ. იმაი ახსომდა ერთი დიდოელი ლეკი, რომელსაც მამისთვის უთქვამს, კახეთში წავალო (ისიც თამამი იყო, ეტყობა ბრიყვად გაზრდილი)... დაუშალა თურმე, — შენა გულჯაგრიანი კახი არ გინახავ, იმიტო ხარ თამამადაო. არ დაუჯერა ბიჭმა, გამოჰყვა ლეკებს აქაურობის ასაოხრებლად. აქ რო მოსულან, შრატიშვილს შახვდნენ თურმე (იმათი შთამომავლობა ახლა პავლიაშვილები არიან). გმირი კაცი იყო. დაუხოცავს მომხდური. ის ლეკი ბიჭიც წამოუქცევია. ამ კაცს, ნაომარს, ჩოხა გადალელია და ბეწვი გამოუჩნდა. ბიჭმა ამოხედა და გაიცინა. რა გაცინებს, შე მამაძაღლოო! მამამ მითხრა, შენ იმიტომ თამამობ, გულჯაგრიანი კახი არ გინახავო და ახლა განახეო. აუშო მაშინ: წადი და აქეთ ფეხი აღარ გადმოადგაო, დაინდო. ა, ეგეთები ვართ კახელები, მტერთან ბრძოლაშიც და ვაზის მოვლაშიც.

თედო პაპამ ვენახში გაგვიყვანა. ახლა მე აღარ შემიძლიან, თორე იგრე მქონდა დაგვირგვინებული ვენახი, ბალახის ღერს ვერ ნახავდიო, მითხრა დანანებით, მტევანი მომაწოდა: არ შეშინდე, გარეცხვა არ უნდა, უწამლი საფერავია, ამაზე უკეთესს რას შეჭამო.

სოფელ-სოფელ ჩამოვიარეთ. გამრჯე გლეხს რა გამოლევს, ბრძენია ჩვენი გლეხკაცი. ეგ არის, შუბლზე ოფლგადამსკდარ, მკლავებდაკაპიწებულ გლეხს მარტივად იმასაც ვერ შეჰკადრებ, საქმეს მოსწყდი, მე დამელაპარაკეო. იცინოდნენ, სიტყვატკბილობდნენ, ყურძენს მთავაზობდნენ, სახელდახელოდ წამოღებულ შოთს მიტეხდნენ მართლაცდა „გულჯაგრიანი", უშიშარი და მამაცი კახელები. ბოლოს ერთმა მითხრა: — ჩვენ აბა, გარჯა გვადგა, გლახიაანთ შოთასთან მიდი, ფეხი აქვს მოტეხილი, შინ არის, რამდენსაც გინდა, იმდენს მოგიყვებაო.

ქიშკარს მივადექი. სად იყო შოთა რაიბული შინ! მისმა მეუღლემ, — იგეთი ხასიათი აქ, შინ არ გაჩერდა, ბიჭს ურმით წააყვანინა თავი, ვენახს უნდა შემოვუაროო. შუადღისას ურმით ჩააკითხავს და ისევ მოიყვანსო.

მოგვიანებით, როცა ვენახიდან დაბრუნებულ შოთა რაიბულს შევხვდი, მითხრა:

— ნახევარი ჰექტარი ვენახი მაქვს, ბიჭმა დაამუშავა. მე ფეხი მოვიტეხე. ურმით მოვდიოდი. ცხენი დაფრთხა, გადმოვხტი და რო იტყვიან, პარაშუტი არ გამეხსნა, ფეხი ჩამიყვა და სამგან მომტყდა... მიჭირს თუ მილხინს, მინდა დილიდან სალამომდე ვენახში ვიყო. ვაზის მოვლა არ მბეზრდება. მძლოლად ნამუშევარი კაცი ვარ. მერე კამეჩებიც გავიჩინე, ძროხებიც. რო ეგონათ, ვერ შევძლებდი, ყველაფერი შავძელ, ახლა იგეთი წელი იყო, ვენახი მოვრწყე. არ მახსოვს ეგეთი გვალვა. ჩემი შვილი რეზერვისტებში იყო, იგრე დაცხა, რო არ მომერწყა, არ შეიძლებოდა. ისეთი დასანახავი ვიყავ, მუხლიჩოქზე დავდიოდი, რომ წყალი მიმესხა. ეგრეა, ვაზი გაჩოქებს მოვლისას, ზოგს მეორედაც აჩოქებს: მეტი რო მოუვა დალევა, აჩვენებს რა ძალაც აქვს.

**— ყურძენს აბარებთ თუ წურავთ?**



## „ცისკარიშვილის პოლკოვნიკობა ამინდსაც დაეტყო"



— რვა ტონაზე ნაკლებს არ დავკრეფ და აბა, მაგდენი ღვინო რად მინდა. მაგდენი რო დავწურო და მთელი დღე ვილოთაო, ღვიძლ-ნაღვლი გავიხეთქო, რა გამოვა. მაგაი გაყიდვა ჯობია, მაგრამ რო იძახიან, თუ იგეთი სამასხარაო ფასი დაადეი, ისევ უქონლებს დავურიგო, ის მირჩევნია.

არი ვენახები, კამეჩი ვერ გაივლის შიგა, მოუვლელია. ეგეთ ვენახ ვერ დავინახავ. მქონია შემთხვევა, ორი დღე არ მიჭამია, შინ არა ვყოფილვარ. აი, მაშინ მიმღერია, თუ მიმღერია. ეგრეა, ვმღერივართ კიდეც, ვიცინით კიდეც. რთველი ჩვენი დიდი ზეიმია. ვინც მიყვარს, ყველას დავუძახებ, ვაზი ხო სალოცავია ჩვენთვის. დილით, სანამ ვენახში წავალ, აუცილებლად ფანდურს გამოვიტან და ვიმღერებ:

*ვაზო იხარე, მახარე,*
*დახლართე ქიგოს ლერწები,*
*ჯერ პატარა ხარ, ჩვილი ხარ,*
*დრო მოვა, დაიძეძგები.*
*ნუ გეშინია, მოგივლი,*
*შენ არ დაგტოვებ უძლურსა,*
*მზე შუქად მოგეფინება,*
*მიწა გაწოვებს ძუძუსა.*

თბილისში შემეძლო მეცხოვრა, თელავშიც, სოფელი ვერ დავტოვე. რო დავიღლები, ტყეებს გავხედავ და ეგრე მგონია, დავისვენე-მეთქი. ჩვენ გამოღმა სოფლებში ვცხოვრობთ, ალაზნის გაღმა სოფლებში, კიდენა ერთ დამპალ ვაშლს არ გადააგდებენ, ყველაფერი ბაზარში მიაქვთ. ჩვენ ეგები არ ვიცოდით. ერთხელ რთველის წინ წავიღე ბაზარში ცოტა ყურძენი, რომ იქიდან რამე მამეტანა, სართვლოდ მოვემზადებულიყავი. ეგრე მეგონა, ქვეყანა მე მიყურებდა, ე რასა შვრებაო. ვერც კი დავდექი გასაყიდად. შორიახლო ვტრიალებდი. ერთი გურჯაანელი ჩარჩი მამადგა, თუ ვერ გაყიდე, მე ავიღებ ერთიანადო. ჩქარა-ჩქარა მივეცი და წამოველ. არ არი ვაჭრობა ჩემი საქმე. გლეხური ცხოვრების სიყვარულმა დამტოვა აქა. და თუ როდესმე ვინმეი მოუნდეი ქალაქში ნამდვილი გლეხების ნახვა, აქ ჩამაიყვანე, შვილო.

ენისელში გვალვამ ყველაფერი გაახმო, ამიტომ აქაური გლეხები თვალსევდიანად გაჰყურებდნენ გადამწვარ ბოსტნებს. მარტო ყურძნის იმედიღა გვაქვსო, მეუბნებიან და [illegible] ზამთრისთვის ემზადებიან, უხალისოდ. კიდევ კარგი, ვენახი უძლებს სიცხეს და მაინც გადარჩაო, — გვითხრა გრიგოლ დუშმანაშვილმა.

გულჩათხრობილი დამხვდნენ შაქრიანელი ქალები. დამშრალ წყაროსთან ერთი ლობიოს არჩევდა, მეორე მატყლს, მესამეს ჭურჭელი გამოეტანა და წყალზე წასვლას აპირებდა.

— დავიწვით, შვილებო, ცარიელა პურზე ვართ, არც ვენახი დაგვირჩა, დაგვისეტყვა და ისე გვიჭირს, გული გვედუღრებაო. მიტოვებულები ვართ, ყველაფრის ნატრულები... შუქი კი გვაქვს, იმის ქირასაც ვერ ვიხდით. გუშინ გამოვრთე და ლამპი შუქზე ვჭამეთ მე და ჩემმა ქმარმა. გულბოღმიანი ზის შინ, დასაკრეფი რო არაფერი გვაქვს, — მითხრა ჯულიეტა კიკნაძემ.

შაქრიანს მართლაც ისეთი მდებარეობა აქვს, თუ საგანგებოდ არ მიხვედი, გზად ვერ გაივლი. იმასაც ხუმრობენ, მაგათი არსებობა დაავიწყდათ და კარგა ხანს გადასახადებსაც არ იხდიდნენო.

— აბა, რას ამბობ, გადასახადისთვინ სად არ მოსძებნიან კაცსა, — ჩამომცინა თივაზე შემომჯდარმა გურჯი ბასილაშვილმა, ტაატით რომ მოჰყავდა ცხენის ურემი, — მიწიდან არ ამოგთხრიან, რო?!

...კახეთში რომ გაივლი, მაშინვე მიხვდები, ვის როგორი ვენახი აქვს დასაკრეფი. დასეტყვილი და მოყინული ვაზის პატრონები თავჩაქინდრული დადიან, ვის ვაზსაც ბარაქიანად ასხია, ადგილს ვერ პოულობს. ახლაო, ამ მტევნებს დავაბინავებ და იგრევ ვაზს უნდა ვუტრიალო, საგაისო შრომა დავიწყოო — ამბობენ.

— მამხედე, ქალაქელო! ჩემი ბიჭი თბილისში მეეწყო, მაგრამა გადასახადი გადახდა არ გინდა? იმაი სესხსაც არავინ მისცემს, იმითვინ რო ვენახი 300-ლარიანი ხელფასის ცნობაი არ იძლევა! ვინც აემას გაგვიგებს და მათხოვრად არ დაგვაყენებს თბილისის გზაზე, ვინც აემ მადლიან ყურძენს იყიდის, მუხლიჩოქით რო მაგვიყვანია, კაციც ის იქნება და ქუდიც იმას ეხურება! — გულღიად გამიცინა ჯანიანმა ვაქირელმა, ნაჯაფარი ხელები ოფლიან მკერდზე ჩამოისვა. შევხედე და დათა პაპას ნათქვამი გამახსენდა: — გულჯაგრიანი კახი ვისაც არ უნახიაო...

P. S. „კვირის პალიტრამ" გადაწყვიტა თავისი მცირედი წვლილი შეიტანოს ამ დიდ საქმეში და 10 ტონა ყურძენი შეისყიდოს. ყველა გლეხს გვინდა ვუთხრათ, რომ ქედს ვიხრით მათი დიდი შრომის წინაშე, საქართველო თუ დგას, მათ ზურგზე დგას.

***კახეთი მოიარა ლელა ჯიყაშვილმა***


**ბაზისბანკი**

# სტუდენტური სესხების პროგრამა

*სტუდენტებს საშუალება ეძლევათ სრულყოფილი უმაღლესი განათლება მიიღონ „ბაზისბანკი" მათ „სტუდენტურ სესხებს" გამარტივებული პირობებით სთავაზობს*

წლევანდელი ზაფხული ორმაგად ცხელი და მღელვარებით სავსე ყველაზე მეტად აბიტურიენტებისთვის იყო. მაგრამ გამოცდების მიმდინარეობაზე უფრო მნიშვნელოვანი თემა საბანკო სექტორის მიერ კონკურსში გამარჯვებული და გრანტის გარეშე დარჩენილი სტუდენტების დაფინანსება აღმოჩნდა. ამიტომაც მათთვის ყოველდღიურად იხვეწებოდა არსებული საბანკო პროდუქტები და ინერგებოდა ახალი მომსახურება.

სტუდენტთა განათლებაზე ზრუნვა ქვეყანაში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა ერთი თვეა, რაც დაიწყეს. სტუდენტებს ამჯერად ახალი ხელშემწყობი გამოუჩნდათ — სააქციო საზოგადოება „ბაზისბანკი", რომელიც ახალ საბანკო პროდუქტს — „სტუდენტურ სესხებს" მათ გამარტივებული პირობებით სთავაზობს, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს სრულყოფილი უმაღლესი განათლება მიიღონ.

როგორც ჩანს, კერძო სექტორი ყველაზე პროგრესული სფეროს — განათლების დაფინანსებას იწყებს, მაშინ როცა, წლების განმავლობაში ქართულ საბანკო სივრცეში სტუდენტური სესხების დანერგვა მხოლოდ განხილვის საგანი იყო. მართლია, „ბაზისბანკს" ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი არ გადაუდგამს, თუმცა სტუდენტებს ბანკი სრულიად ახალ, სხვებისგან განსხვავებულ პროგრამასა და სესხის პირობებს სთავაზობს. ამასთან, ბანკი მზად არის განათლების სისტემის გაუმჯობესებასა და სტუდენტური პოტენციალის ამაღლებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. სწორედ ამის დასტურია „სტუდენტური სესხების" პროგრამის დახვეწა და მისი განხორციელება.

მართალია, საქართველოში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ფონზე მსგავსი პროდუქტი ბანკისთვის მაღალ რისკებს შეიცავს, თუმცა „ბაზისბანკის" ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ უახლოეს მომავალში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება და მათ კლიენტებს კრედიტის დაბრუნების პრობლემა აღარ შეექმნებათ.

პროგრამა სამი ტიპის სტუდენტურ სესხს ითვალისწინებს:

პირველი ტიპის სესხი ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამის დაფინანსებას ითვალისწინებს. სესხის ვადაა 10 წელი, თანხა სწავლის ღირებულების შესაბამისად მაქსიმუმ 10 ათას ლარს შეადგენს, წლიური საპროცენტო განაკვეთი კი 15 პროცენტს. სესხის აუცილებელ პირობას განთლების სამინისტროს მიერ სწავლის ღირებულების თანადაფინანსება წარმოადგენს. სტუდენტები თანხის გადახდას სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყებენ. კერძოდ, 5 წელი საშეღავათო პერიოდია, როდესაც სტუდენტი იხდის მხოლოდ პროცენტს, შემდეგი 5 წლის განმავლობაში ხდება ძირითადი თანხის დაბრუნება.

სესხის მეორე ტიპი სამაგისტრო სასწავლო პროგრამის დაფინანსებას გულისხმობს და პირობები თითქმის ბაკალავრიატის პროგრამის იდენტურია. სესხის ვადა 5 წელია, წლიური საპროცენტო განაკვეთი 15 პროცენტს შეადგენს, ხოლო სეხის მოცულობა სწავლის ღირებულებაზეა დამოკიდებული. მისი დაფარვის გრაფიკი 2-წლიან საშეღავათო პერიოდს მოიცავს და ძირითადი თანხის დაბრუნება 3 წლის განმავლობაში მოხდება.

სეხსის მესამე ტიპი მოკლევადიანი სემესტრობრივი, სტუდენტური სესხია, რაც „ბაზისბანკის" მიერ შემუშავებულ ახალ პროდუქტს სხვა ბანკების ინიციატივებისგან განასხვავებს. სესხის ვადა 6 თვეა. კერძოდ, ყოველთვიურად დაიფარება მხოლოდ პროცენტი, ძირითადი თანხის დაბრუნება კი სესხის აღებიდან 6 თვის შემდეგ მოხდება. ამ შემთხვევაში სესხის საპროცენტო განაკვეთი ნაკლებია და 12 პროცენტს შეადგენს. როგორც ირკვევა, გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ სესხის ვადების მიხედვით განსხვავდება.

ბანკი აუცილებელ პირობად თავდები პირების სტაბილურ შემოსავლებს მიიჩნევს. თუმცა ეს არ ნიშნავს რომ სესხი მათზე გაიცემა. ბანკი სესხს სტუდენტებს აძლევს და, რაც მთავარია, ისინი მის დაფარვას სწავლის დასრულების შემდეგ, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით დაიწყებენ. სესხის მისაღებად საჭიროა სტუდენტმა ბანკში უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ ცნობა წარმოადგინოს. მან ასევე თან უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა და თავდები პირების შემოსავლების დამადასტურებელი საბუთები და მათი პირადობის მოწმობების ასლები.

აღნიშნული პროდუქტი აპრობირებულია დასავლეთის ქვეყნებში, სადაც წამყვანი ბანკები უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს ანალოგიურ მომსახურებას სთავაზობენ. სტუდენტური სესხი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამა თუ იმ დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციასა და განვითარებაში, — იმედოვნებენ „ბაზისბანკში".

შეგახსენებთ, რომ „ბაზისბანკი" საქართველოს საფინანსო ბაზარზე 1993 წლიდან გამოჩნდა, თუმცა პრაქტიკულად ფუნქციონირება ქვეყანაში სიტუაციის შედარებით დარეგულირების შემდეგ დაიწყო. ეფექტური და აქტიური მუშაობის შედეგად ბანკი მოკლე დროში ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და საიმედო საბანკო სტრუქტურად გადაიქცა.

სათაო ოფისი
0103, ქეთევან წამებულის გამზ. 1
ტელ: (995 32) 922 922, 921 921
ფაქსი: (995 32) 986 548
ელ.ფოსტა: info@basisbank.ge

სერვის ცენტრი
(ბიზნეს ცენტრი მეიდანი)
თბილისი, 0105, ლესელიძის ქ. 44
ტელ/ფაქსი: (995 32) 922 922 + 108
ელ.ფოსტა: info@basisbank.ge

დიდუბის სერვის ცენტრი
თბილისი, 0154, წერეთლის გამზ. 117
ტელ: (995 32) 357 263
ფაქსი: (995 32) 357 267
ელ.ფოსტა: info@basisbank.ge

ორთაჭალის სერვის ცენტრი
(სავაჭრო ცენტრი ქვინი)
თბილისის, 0114, გულიას ქ. 1
ტელ: (995 32) 752 657
ელ.ფოსტა: info@basisbank.ge

მთაწმინდის სერვის ცენტრი
თბილისი, 0108, ჩიტაძის ქ. 6
ტელ: (995 32) 989 346
ელ.ფოსტა: info@basisbank.ge

საბურთალოს სერვის ცენტრი
თბილისი, 0171, კოსტავას ქ. 76
ტელ: (995 32) 365 017; 365 018
ფაქსი: (995 32) 365 019
ელ.ფოსტა: info@basisbank.ge

ვაკის სერვის ცენტრი
თბილისი, 0179, ჭავჭავაძის გამზ. 41
ტელ: (995 32) 915 017; 915 018
ფაქსი: (995 32) 915 018
ელ.ფოსტა: info@basisbank.ge

თელავის სერვის ცენტრი
თელავი, 2200, ერეკლე მეორეს გამზ. 1
ტელ/ფაქსი: (8 250) 760 56
ელ.ფოსტა: info@basisbank.ge

ბათუმის სერვის ცენტრი
ბათუმი, 6000, გამსახურდიას გამზ. 19
ტელ: (995 222) 7 59 03
ფაქსი: (995 222) 7 59 04
ელ.ფოსტა: batumi@basisbank.ge

R

# ქართული გაზაფხული

## საერთაშორისო ბანკმა კავკასიის ლიდერი გამოავლინა

**Süddeutsche Zeitung**



საქართველოდან ამბები იშვიათად მოდის და თუ მოდის, აუცილებლად ცუდი: ხან რომელილაც მინისტრს ესვრიან, ხან გაზისა და ნავთობის პრობლემები ჩნდება, ხან რუსეთი უარს ამბობს ქართული ღვინის იმპორტზე... მაგრამ, ეტყობა, ყოველივე ეს ხელისუფლებას არ აფერხებს — რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკის ახალ რეიტინგში, ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებით, მოულოდნელად საქართველო პირველ ადგილზე აღმოჩნდა. „ამ ქვეყნის რეფორმატორულ ჟინს ანალოგი დღეს არსად მოეძებნება", — ამბობს პროგრამა PIORG BUSINESS-ის ინიციატორი მიხაელ კლაინი.

რამდენიმე წელია, საერთაშორისო ბანკი ამ პროგრამის მეშვეობით სტიმულს აძლევს და ხელს უწყობს წარმატებულ რეფორმატორებს. მაგალითად, საქართველოში ფირმის გასახსნელად 16 დღე და 7 ნებართვაა საკმარისი, გერმანიაში კი ამ პროცედურას ერთი კვირით მეტი სჭირდება. გარდა ამისა, ფირმის შექმნას ცხრა ინსტანციამ უნდა მისცეს დასტური. ან თუ გერმანიაში ვილაცამ თავისი თანამშრომლის მოხსნა გადაწყვიტა, კომპენსაციის სახით 69 კვირის მანძილზე ხელფასი უნდა უხადოს. საქართველოში კი ერთი თვის ხელფასიც საკმარისია.

მაგრამ სხვა სფეროებში, მაგალითად, კრედიტების მიღების, ინვესტორების დაცვის ან საგარეო ვაჭრობის დარგში გერმანია გაცილებით წინ არის — თავისი რეფორმატორული სწრაფვით შარშან ის რეიტინგის პირველ ათეულშიც კი მოხვდა.

# ოსეთის გამო ატეხილი ახალი სკანდალი

**The Washington Post**

რუსეთ-საქართველოს ისედაც დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთის სეპარატისტებმა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის შვეულმფრენს ცეცხლი გაუხსნეს. პილოტი იძულებული შეიქნა, ავარიული დაშვება განეხორციელებინა. ისევე, როგორც აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის დაძაბულობის მუდმივი



წყაროა. საქართველოდან გამოყოფილ და რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას კრემლი დიპლომატიურად და ფინანსურად უჭერს მხარს. მოსკოვის განცხადებით, კონფლიქტის ზონაში მდგარი რუსი სამშვიდობო ძალები რეგიონში მშვიდობის გარანტია, საქართველო კი ამ ძალებს უკანონო მთავრობის თანადგომაში ადანაშაულებს. მოსკოვი უკმაყოფილოა იმით, რომ საქართველოს პრეზიდენტს პროდასავლური ორიენტაცია აქვს და ნატოში შესვლა უნდა, ამიტომ ყველანაირად ცდილობს მის შევიწროებას.

თავდაცვის მინისტრის შვეულმფრენთან დაკავშირებული ინციდენტის გამო საქართველოს ხელისუფლებამ პროტესტი განაცხადა და ამ ამბავს მორიგი მიზანმიმართული პროვოკაცია უწოდა. მოსკოვი კი საქართველოს ადანაშაულებს ხელშეკრულების დარღვევაში, რომლის მიხედვით ქართულ ავიაციას აუღიარებელი რესპუბლიკის საჰაერო სივრცის დარღვევის უფლება არა აქვს და მომხდარს ისიც პროვოკაციას უწოდებს. „ამ პროვოკაციის მიზანი ქართულ-ოსური სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩაშლაა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ თბილისი პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტისთვის ნიადაგს ამზადებს", — აცხადებს რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი და დასძენს, — მაშინ რად დასჭირდა საქართველოს თავდაცვის მინისტრს კანონის დარღვევით ამ ტერიტორიაზე გადაფრენაო.

საქართველოს თავდაცვის მინისტრს იმედი აქვს, რომ ყველაფერს მოევლება. მომხდარის შემდეგ მან განაცხადა, — მალე მოვუღებ ბოლოს ამ ავაზაკების პარპაშსო. შინაგან საქმეთა მინისტრმა კი აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ძალების მხრიდან ეს პირველი ტერორისტული აქტი არ არის, რომ მათ ესროლეს კიდევ ერთ შვეულმფრენს, რომელშიც ქვეყნის პრეზიდენტი და აშშ-ის სენატორები ისხდნენ. თუმცა თბილისში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებმა უარყვეს ეს ცნობა. მათ აღნიშნეს, რომ ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტა მიმართული იყო არა იმ შვეულმფრენისაკენ, რომლებშიც ჯონ მაკკეინი და სხვა სენატორები ისხდნენ, არამედ სულ სხვა საჰაერო მანქანისკენო. ქართველმა სამართალდამცავებმა გფბ-ს ნივთმტკიცება გადასცეს — იმ რაკეტის ნამსხვრევები, მაგრამ აშშ-ის საელჩოში, ქართველების განცხადება უსაფუძვლოდ მიიჩნიეს...

# სუამი გაეროს მიმართავს

**НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА**

სექტემბრის ბოლოს გაიმართება გაეროს გენერალური ასამბლეის სესია. თუ ამ სესიაზე პოსტსაბჭოურ სივრცეში მოუგვარებელი კონფლიქტების საკითხებს განიხილავენ, მაშინ მათ ახალი სტატუსი მიენიჭებათ. ამის შესახებ თხოვნა გაეროს შტაბბინაში სუამის ქვეყნების „ოთხეულმა" — საქართველომ, უკრაინამ, აზერბაიჯანმა და მოლდოვამ — გაგზავნა. მასში ხაზგასმულია, რომ „სუამის სივრცეში, კერძოდ კი მოლდოვაში, საქართველოსა და აზერბაიჯანში 15 წელზე მეტია ჭიანურდება კონფლიქტები, რაც მილიონობით ადამიანის ყოფაზე ახდენს გავლენას, საშიშროებას უქმნის საერთაშორისო საზოგადოებრიობას და მსოფლიო უშიშროებას, ემუქრება გაეროს წევრი სამი სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას". აქვე აღნიშნულია, რომ ამ კონფლიქტების მოწესრიგებაში საერთაშორისო შუამავლობამ შედეგი ვერ გამოიღო და სწორედ ამან აიძულა ეს ქვეყნები გაეროსთვის მიემართათ. სუამის მხრიდან ეს პირველი მიმართვა არ არის. შარშან ანალოგიურმა თხოვნამ გენერალური კომიტეტის წევრთა მხარდაჭერა ვერ მიიღო. კომიტეტის 28 წევრიდან სუამის წინადადებას მხარი მხოლოდ დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა დაუჭირა. წინააღმდეგი წავიდნენ რუსეთი, სომხეთი, ანგოლა, მიანმა და ვენესუელა. დანარჩენებმა თავი შეიკავეს. მაგრამ წელს კომიტეტის წევრებზე შეიძლება გავლენა იქონიოს იმ მოვლენებმა, რაც ბოლო დროს საქართველოსა და მოლდოვაში მოხდა. გამწვავდა სიტუაცია სამხრეთ ოსეთში, თავიდან იქნა აცილებული სახელმწიფო გადატრიალება თბილისში, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება უშუალოდ რუსეთს უკავშირებს. უფრო მეტიც, ადანაშაულებს კიდეც უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტულ ქმედებებში. კიშინიოვსაც აქვს რუსეთის მიმართ ჩივილის მიზეზი. ერთი მათგანია 17 სექტემბერს დნესტრისპირეთში დანიშნული რეფერენდუმი რუსეთთან მიერთების თაობაზე. ცნობილია, რომ მას მხარს უჭერენ რუსი პოლიტიკოსები. ცხადია, ასეთი შუამავალი არც მოლდოვას სჭირდება და არც საქართველოს, ამიტომაც ცდილობენ, სეპარატისტულ რეგიონებთან მოლაპარაკებების პროცესში რუსეთის მონაწილეობა როგორმე თავიდან აიცდინონ. გაეროს ტრიბუნას ამ საქმეში ბევრის გაკეთება შეუძლია. ჯერჯერობით კი, დღის წესრიგში დსთ-ის მხოლოდ ერთი ყოფილი ცხელი წერტილის — მთიანი ყარაბაღის საკითხია შეტანილი.

# ნადირობა ოპოზიციაზე

**REGNUM**

საქართველოში დაიწყო იგორ გიორგაძის პარტია „სამართლიანობის", მისივე ხელდასხმული მოძრაობა „ანტისოროსის" და საქველმოქმედო ფონდის აქტივისტების მასობრივი დაპატიმრება. დაკავებულია პარტიის რეგიონული განყოფილების თითქმის ყველა ხელმძღვანელი — მათ ბრალად ედებათ სამშობლოს ღალატი და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების მოწინააღმდეგეები იმ დღეს დააკავეს, როცა პრეზიდენტი სააკაშვილი სამშობლოში არ იმყოფებოდა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მასშტაბებით უპრეცედენტო ოპერაცია ადგილობრივი ძალოვნების „თვითშემოქმედება" იყო. რეპრესიული აპარატი თბილისში 6 სექტემბრის გამთენიისას ამოქმედდა. დაახლოებით დილის 5 სთ-ზე საკუთარ აგარაკზე დააპატიმრეს „ანტისოროსის" ლიდერი მაია ნიკოლეიშვილი, რომელიც ბოლო ხანებში ხელისუფლების მიმართ მკაცრი კრიტიკული განცხადებებით გამოირჩეოდა. მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან განსაკუთრებულად კონფრონტაციულ პოლიტიკას ატარებს. ქართულ-რუსული ურთიერთობის გადარჩენა და, აქედან გამომდინარე, ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენაც მხოლოდ იგორ გიორგაძეს შეუძლია. თუმცა ნიკოლეიშვილი საქართველოს ხელისუფლებას მარტო ამ გამონათქვამებისთვის არ გასჩხერია ყელში: მისი სუბიექტური შეფასებები პრემიერ ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული სიკვდილის და სხვადასხვა გახმაურებული პროცესის გამო დიამეტრულად განსხვავდება ხელისუფლების მოსაზრებებისგან, რაც, ცხადია, სახელმწიფოს ლიდერებს არ ეჭაშნიკებათ.

ქართული მედიის ინფორმაციით, მაია ნიკოლეიშვილმა დანაშაული აღიარა და აღმკვეთი ღონისძიების ნაცვლად, 10 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა. ის დარბაზიდანვე გაანთავისუფლეს.

შუადღისას გისოსებს მიღმა იგორ გიორგაძის კიდევ ერთი თანამოაზრე, მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი აღმოჩნდა. დააკავეს გიორგაძის ცოლის დისშვილი მაია თოფურიაც.

მოგვიანებით კარზე საზარელი კაკუნი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაისმა... გაიჩხრიკა ათობით პარტიული ოფისი და ბინა. 7 საათი მიმდინარეობდა ჩხრეკა გიორგაძის საქველმოქმედო ფონდში — ალბათ ტანკს ეძებენო, მწარედ იხუმრა ფონდის ხელმძღვანელმა ირინა სარიშვილმა, რომელიც ჯერ არ დაუპატიმრებიათ. როგორც პოლიტოლოგი **იგორ მურადიანი** ამბობს, ირინა სარიშვილის სახელმწიფოს ღალატში დადანაშაულება აბსურდია, რადგან ის თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირების სათავეებთან იდგა და სანამ ქართველი ნაციონალები კომკავშირში ილევნოდნენ, ირინა სარიშვილი კომუნისტურ რეჟიმს ებრძოდა. მისი აზრით, მართალია, 90-იანი წლების დასაწყისში ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ირინა სარიშვილი იგორ გიორგაძესთან ერთ „ბანაკში" აღმოჩნდებოდა, მაგრამ ნუთუ პოლიტიკოსს, რომელსაც თავისი ცხოვრების მანძილზე არაერთხელ დაუმტკიცებია ქართველი ხალხისთვის პრინციპულობა და ეროვნული იდეალებისადმი ერთგულება, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური არჩევანის გაკეთების უფლება არ აქვს? — კითხულობს პოლიტოლოგი.

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე, იურისტი **დავით უსუფაშვილი** ხელისუფლების ქმედებას პოლიტიკურ ზეწოლად მიიჩნევს. მან განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არასოდეს მოგვიწდომებია თანამშრომლობა ამ პარტიებთან და მოძრაობებთან, ხელისუფლების ქმედებების გამართლება ძნელია. სამწუხაროდ, ეს ამ ხელისუფლებას ჩვევად ექცა, მაგრამ საზოგადოებრიობას უფლება აქვს, დასვას შესაბამისი კითხვები და პასუხიც მოითხოვოს."

მოსკოვი საქართველოში შეთქმულების გახსნის და ოპოზიციის ამ ნაწილის უკან ვითომდა რუსეთის დგომას კატეგორიულად უარყოფს.

რფ-ის დუმის სპიკერმა, **ბორის გრიზლოვმა** განაცხადა, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები „ვარდების რევოლუციის" შემდეგ დამყარებული ახალი დემოკრატიის შედეგია და დემოკრატიის დროშით საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმი დამყარდა. ვიცე-სპიკერ **ოლეგ მოროზის** აზრით, საქართველოს უნდა



შინა პრობლემების მოუგვარებლობა სხვას გადააბრალოს.

გიორგაძის ერთ-ერთმა თანამებრძოლმა, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ რუსეთში გადახვეწილმა **ჯემალ გოგიტიძემ** საქართველოში მიმდინარე მასობრივ დაჭერებს სააკაშვილის რეჟიმის აგონია უწოდა: „საქართველოში პოლიტიკური ტერორი მიმდინარეობს. მათ მოკლეს ზურაბ ჟვანია, ახლა კი სხვა შეკვეთილი მკვლელობების დრო დადგა."

ამ აურზაურის მიზეზს, **იგორ გიორგაძის**, ეს ამბები 1995 წელს შევარდნაძეზე მოწყობილი ე.წ. ტერაქტის გარშემო ატეხილ ისტერიას აგონებს: მაშინ, არჩევნების წინაპერიოდში ოპოზიციას დარტყმა მიაყენეს, იგივე ხდება ახლაც. გიორგაძის აზრით, ხელისუფლებას ერთი მიზანი აქვს: „დააშინოს მოსახლეობა და რეპრესიების საშუალებით აიმაღლოს შერყეული რეიტინგი. ეს დაჭერები ხალხის წინააღმდეგობას გამოიწვევს. ცხადია, მაშინვე არა, მაგრამ პასუხი აუცილებლად იქნება და მწვავეც".

ანალიტიკოსები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ყველა ხალხს აქვს რევოლუციის მოხდენის, ანტისახალხო მმართველი რეჟიმის ლიკვიდაციის უფლება, მაგრამ რევოლუციის უმთავრესი მიზანი მმართველი ელიტის შეცვლაა. გარდა ამისა, რევოლუციის წარმატებისთვის ჭეშმარიტად რევოლუციური პარტიებია საჭირო და არა პალიატიური მოძრაობები.

# ქართველი დეპუტატები სიტყვით ომობენ



**Утро.ru**

სიტყვა პარლამენტი, როგორც ცნობილია, ფრანგული „პარლე"-დან წარმოიქმნა, რაც ლაპარაკს ნიშნავს. ქართულმა პარლამენტმა თავისი მგზნებარებით და ხმამაღალი გამოსვლებით ქვეყნის პრეზიდენტსაც აჯობა. აი, ახლაც პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე, ქართულ-ოსური კონფლიქტის ძალით მოგვარების მოწოდება გაისმა. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, გივი თარგამაძემ მთავრობას და საერთაშორისო ორგანიზაციებს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ინიციატივების რეალიზაციის დაჩქარება ურჩია. „რუსეთის სამშვიდობოები აშკარად ოსთა მხარეზე დგანან, თუ რამდენიმე თვეში არ იქნება სათანადო რეაგირება კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენებზე, საქართველოს შეიარაღებული ძალები იძულებული გახდებიან, მდგომარეობა თვითონ მოაგვარონ. ქართულ სახელმწიფოს ეს შეუძლია", — განაცხადა მან.

უკანასკნელ ხანს ასეთი მკვეთრი განცხადებები საქართველოს დედაქალაქიდან ხშირად ისმოდა, თანაც როგორც შემტევი, ასევე თავდაცვითი ხასიათისა. მაგ., თარგამაძის მოადგილემ, ნიკოლოზ რურუამ განაცხადა, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაში მრავალი შესწორება შეიტანეს. კერძოდ, „ტერიტორიული თავდაცვის" პრინციპი შეიცვალა „ტოტალური თავდაცვით".

თბილისი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის განცხადებებმაც განარისხა, რომელიც საქართველოს სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენის Ми-8-ის დაცხრილვის შემდეგ გაკეთდა. კავკასიის ამ დე ფაქტო რესპუბლიკების ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს: — ყველამ გაიგოს, რომ დღეიდან ქართულ საფრენ აპარატებს, რომლებიც გაუფრთხილებლად შემოიჭრებიან რესპუბლიკების საჰაერო სივრცეში, — ჩამოვაგდებთო. ქართველი პარლამენტარები კი ამბობენ, — აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საჰაერო სივრცე ბუნებაში არ არსებობსო. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი ბარანკევიჩმა თქვა, — „მაგათ თუ სამხრეთ ოსეთი კვლავ თავისი ჰგონიათ, არ ვიცი. ჩვენ კი 16 წლის წინ გადავწყვიტეთ ჩვენი ბედი... სამხედრო თვითმფრინავების ჩამოგდება, რომლებიც სამხრეთ ოსეთის სივრცეს არღვევენ, ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოებში — თავდაცვის სამინისტროს პირდაპირი მოვალეობაა. შეთანხმების მიხედვით, სამშვიდობოების გარდა რესპუბლიკის საჰაერო სივრცის დარღვევის უფლება არავის აქვს". მანვე დასძინა, — ბ-ნი ოქრუაშვილი თავად არღვევს ამ შეთანხმებას, პროვოკაცია მოაწყო და მერე ნირწამხდარი ბავშვივით სხვას აბრალებს ყველაფერსო.

გენერალი ბარანკევიჩი ამბობს, ქართველმა პარლამენტარებმა, რომლებიც პრობლემის ძალისმიერი გზით გადაწყვეტაზე ლაპარაკობენ, არ იციან რა არის ომი! „ნეტა ეს ბატონები იმათ პირველ რიგებში დამანახვა, ვინც იარაღმომარჯვებულნი სამხრეთ ოსეთის მიწაზე ფეხის დაბიჯებას გაბედავს... ოსეთის რესპუბლიკა უკვე სახელმწიფოა და ამას ყველა უნდა შეეგუოს", — აცხადებს აუღიარებელი რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი.

*გვერდი მოამზადა*
*თინათინ მარგველაშვილმა*




## პატარები ფილოსოფობენ

ერთ დღეს პატარა **ნიკუშა** დედას სულ კუდში დასდევდა — ოდნავ მოშორებაც კი საკმარისი იყო, რომ ყვირილს იწყებდა, — დამიცადე, დამიცადეო...

დედას მობეზრდა ნიკუშას საქციელი და ბიჭს გაუწყრა:

— რა იყო, ნიკუშ, რა მოგივიდა, ამხელა ბიჭი უკან რატომ დამდევ?

— იმიტომ, რომ მიყვარხარ!

— მეც მიყვარხარ, მაგრამ ამიტომ გული უნდა შემიწუხო?

— აბა, ნინიმ რომ თქვა, შეყვარებულები სულ ერთად დადიანო?!




## II ანა, გამოიცანი

**1. კიპლინგის „მაუგლში“ რომელი ცხოველის სახელია „ბაგირა“?**
ა) ლომის; ბ) დათვის; გ) ავაზის; დ) მაიმუნის.

**2. რა ჰქვია ხელების წელზე შემოწყობას?**
ა) მენჯი; ბ) იონჯა; გ) ნარინჯი; დ) დოინჯი.

**3. ვინ აღადგინა ლაზარე მკვდრეთით?**
ა) იოანე ნინასწარმეტყველმა; ბ) იესო ქრისტემ; გ) წმინდა ნიკოლოზმა; დ) მოსემ.



**4. რომელ ნახევარკუნძულზე მდებარეობს იტალია?**
ა) პირენეს; ბ) აპენინის; გ) სკანდინავიის; დ) ბალკანეთის.

**5. რომელი ქართველი მსახიობია აღბეჭდილი ფოტოზე?**
ა) აკაკი ხორავა; ბ) ვახტანგ ნინუა; გ) ეროსი მანჯგალაძე; დ) დოდო აბაშიძე.

## III გამოიცანი ფრაგმენტების თანამიმდევრობა, რათა ააწყო სელაპი




## I

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრედებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ **წელიწადის ერთ-ერთი დროის სახელწოდებას.**



### რას ნიშნავს ბიბლიური გამოთქმა

— „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი“

თანამედროვე ენაზე: *მხოლოდ პურით არ ცოცხლობს კაცი,* მომდინარეობს ძველი აღთქმიდან. შეგონება ადამიანს მოუწოდებს, ახსოვდეს სულიერი ფასეულობანიც და მხოლოდ ხორციელი მოთხოვნილებებით არ შემოიფარგლოს.

## დარუბანდის კარი

**მოთხრობა**

ერთმა ქართველმა ვაჭარმა საქონელი წაიღო დარუბანდში. გზაში ლეკები დაეცნენ და, რაც კი რამ ებადა, სულ წაართვეს. ვაჭარი მივიდა ლეკების მთავართან და უთხრა:

— შენს საბრძანებელში საქონელი მოვიტანე გასაყიდად, შენმა ხალხმა კი სულ წამართვა. სამართალს ვითხოვ, წართმეული დამიბრუნეო.

— ვინა ხარ? — ჰკითხა ვაჭარს მთავარმა.

— ქართველი ვარ! — მიუგო ვაჭარმა.

— მაშ, საქართველოში შენს მეფეს, დავითს ფეხებში ჩაუვარდი და სამართალი იმას სთხოვეო, — უთხრა მთავარმა ვაჭარს.

— სამართალს შენ გთხოვ, თორემ დავითს რომ ეს ვუთხრა, საქმე ცუდად წაგივაო.

— ცუდად წამივა? არიქა, დავითმა დარუბანდის კარი არ ჩამომიხსნასო, — გაიცინა მთავარმა.

ვაჭარი დაბრუნდა საქართველოში და ყოველივე დავით მეფეს მოახსენა. დავითს ეწყინა ლეკების მთავრის საქციელი. ბრძანა, ორი ათასი კიდობანი გაეკეთებინათ. კიდობნები ათას ცხენს აჰკიდეს, შემდეგ მეფემ თითო კიდობანში თითო შეიარაღებული ქართველი ჩასვა, ცხენების წინამძღოლები ვაჭრულად გამოაწყო, წინ მომჩივანი წაუმძღვარა და დარუბანდში გაისტუმრა. თვითონაც ვაჭრულად ჩაცმული მიჰყვა ქარავანს.

როცა დარუბანდს მიუახლოვდნენ, დავითმა კაცი გაუგზავნა ლეკთა მთავარს, მთელი ქარავანი საქონელი მომაქვს გასაყიდად და ქალაქის კარი გამიღეო. ლეკებს გაუხარდათ, ახლა უფრო მეტ საქონელს ჩავიგდებთ ხელში მუქთადო და ქალაქის კარი გაალეს.

დაღამდა. შუაღამისას დავითის ბრძანებით კიდობნები გახსნეს, იქიდან ამოცვივდნენ შეიარაღებული გულადი მეომრები და ქალაქს დაერივნენ. დავითმა ლეკთა მთავარი დაიჭირა და ქალაქის კლიტეები წაართვა. შემდეგ დარუბანდის შესასვლელი კარი ჩამოხსნა და თვითონ ლეკებს გელათში ჩამოატანინა. ლეკთა მთავარს კი მაინც ლმობიერად მოექცა, დანაშაული აპატია და გაუშვა.


## გასართობ-შემეცნებითი საბავშვო ჟურნალი

- ანეკდოტები
- გასაფერადებლები
- კროსვორდები
- ტელეპროგრამა
- ინგლისურის გაკვეთილი
- ზღაპარი
- თამაშები
- ტესტები
- ცოდნის გვერდი




## და კიდევ!

თქვენი საყვარელი და მხიარული გმირების თვითწებვადი სტიკერები


### იცით თუ არა, რომ...

- სპილო დღეში, საშუალოდ, 230კგ თივას და 270 ლიტრ წყალს მიირთმევს.
- ალბანელებში თავის დაქნევა ნიშნავს „არას“, ხოლო გაქნევა — თანხმობას.
- ნიუ-იორკის ჯონ კენედის სახელობის აეროდრომზე ყოველ წუთში 15 თვითმფრინავი ჯდება.
- გველებს შორის სიდიდის მიხედვით პირველი ადგილი უკავია ამერიკაში გავრცელებულ ერთ სახეობას — ბოა ანაკონდას. იგი 10 მეტრი სიგრძისაა და ძალიან ძლიერია. მას შეუძლია გადაყლაპოს დიდი ღორი ან ხბო.

### ვისაუბროთ სწორად!

| | | |
|---|---|---|
| უკრეფს | და არა | ~~უკრიფავს~~ |
| ფართო | და არა | ~~ფართე~~ |
| ჯინსი | და არა | ~~ჯინსები~~ |
| წყვეტს | და არა | ~~წყვიტავს~~ |
| უშოვია | და არა | ~~უშოვნია~~ |
| ჰალვა | და არა | ~~ხალვა~~ |



**ყარყატი** — ეს არცთუ ლამაზი ფრინველი, საკმაოდ რომანტიკული არსება და თავგანწირული დედაა. შვილების დასაპურებლად მას შეუძლია ხორცი საკუთარი მკერდიდან ამოიგლიჯოს. მამალ ყარყატთან შეხვედრისას კი დედალი ყარყატი წითლდება.

პასუხები იხილეთ 35-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# აფხაზი მძღოლი ავტობუსში ქართულ სიმღერებს ატრიალებდა

## „ამას წინათ, სოხუმში, საკუთარ სახლში დავრეკე. აფხაზმა მიპასუხა: – Я ХОЗЯЙН-ო“

ნამდვილად გაგაოცებთ ის, რასაც გლდანის მასივის ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში ნახავთ. მეორე სართულის მთელ კედელზე მხატვრული პანოა ზღვისპირული პეიზაჟით, რომელზეც წაუწერიათ „სოხუმი“. ეს დევნილთა მონატრებაა, გამვლელ-გამომვლელს რომ უნებურად შეაჩერებს და ჩააფიქრებს.

პანოს იდეის ავტორი, ამ სადარბაზოს მკვიდრი, გულრიფშელი დავით უგრეხელიძე გახლავთ, ნამუშევრისა კი — მხატვარი ნოდარ ჯიქურაული.

სანამ დაბრუნების ჟამი ჩამორეკს, დევნილი გულხელდაკრეფილი ვერ იქნება. დიდი ხნით ვერც ნათესავს შეკედლებულად გაძლებს და ვერც სხვისი ლუკმის თანაზიარი გახდება. ამძიმებს ის „ვალი“, ყოველდღიურად რომ იზრდება... დევნილთა ერთი ნაწილი ახერხებს ენგურს გაღმა, საკუთარ ჭერქვეშ დაბინავდეს, ნაწილი კი ისევ ხიზნად რჩება.

დევნილისთვის ომის დაწყებიდან დღემდე ყველა წუთი მძიმეა, მაგრამ გაჭირვება მოდუნების უფლებას არ აძლევს და ისიც განუწყვეტლივ მოძრაობს, ფუსფუსებს, ოჯახს არჩენს, აფხაზეთში დასაბრუნებელ თაობას ზრდის...

სანამ დაბრუნების ჟამი ჩამორეკს, დევნილს წარსული აწმყოში „გადმოაქვს“, ზურგზეაკიდებული „ეზიდება“ აფხაზეთში დარჩენილი ცხოვრების ფრაგმენტებს: მზით განათებულ დღეებს, კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, ერთმანეთის გატანის, გვერდზე დგომის, სტუმართმოყვარეობის ზღვისპირულ ეპიზოდებს. გამალებით ეძებს ყველა ნიუანსს, რაც კი თავის კუთხეს, თავის ქალაქს „გაუცოცხლებს“, თუ ვერ იპოვა, ადგება და თვითონ შექმნის. გლდანის I მიკრორაიონის მე-2 კორპუსის სადარბაზოს კედელზე გამოსახული მხატვრული პანოც „პატარა აფხაზეთია“, რომელიც ამ სადარბაზოში მცხოვრებ დევნილებს ერთგვარ სიმშვიდეს ჰგვრის.

**დავით უგრეხელიძე:** „ადრე სოხუმს სიზმრებში დავეძებდი, ახლა აგერა მაქვს: პანოზე თითოეულ წერტილს თავისი დატვირთვა აქვს. მარცხნივ გამოსახული ნაგებობა — სუბტროპიკული ინსტიტუტის შენობაა, მარჯვნივ — ბაღმარანის შესახვევში მდგარი კორპუსები. ეს მთებია, საიდანაც მდინარე კელასური იღებს სათავეს. ნახატი დასამთავრებელია, მასზე მდინარე კელასური და ხიდიც უნდა ჩანდეს. მერე რომ არ გახუნდეს, ლაქიც უნდა გადავუსვა...“

ვუსმენ გულრიფშელ მასპინძელს, კალამს გვერდზე ვდებ და მეც თან „მივყვები“... სოხუმის, გულრიფშის, ბაღმარანის ნაცნობ-უცნობებზე ვსაუბრობთ, ბაგრატიონის ქუჩაზე ვინაცვლებთ, თამარ მეფის ქუჩას მოვივლით და მშვიდობის პროსპექტით უკან ვბრუნდებით. კელასურის ხიდზე ვდგავართ... ვდგავართ დიდხანს...

როგორ ჰგავს ჩვენი ფიქრები ერთმანეთს!




„ადრე სოხუმს სიზმრებში დავეძებდი, ახლა აგერ მაქვს, პანოზე გამოსახული“

როგორ ჰგავს ჩვენი სიზმრები ერთმანეთს!

აივანზე, სადაც ზღვისპირული პეიზაჟი კედელს სუროსავით აჰკვრია, მრგვალი მაგიდა დგას. მასპინძელს ყავა და ნამცხვარი შემოაქვს და ქვიშაზე მოხარშულ სოხუმურ ყავას ვიხსენებთ. სადარბაზოს სხვა მცხოვრებნიც გვიერთდებიან და იქვე ვიგებთ, რომ უგრეხელიძეების გარდა, I სადარბაზოში დევნილთა 12 ოჯახი ცხოვრობს. „პატარა აფხაზეთი“ თანაბრად ეკუთვნის: გია ჯობავას, ბესლან ხოშტარიას, ჯონი სანაიას, ენვერ დარსანიას, თამაზ ქობალიას, მადონა ცირდავა-ჭანიას, გურამ გვაგვალიას, მამუკა უბილავას, ზურიკო ბელთაძეს, ჯუმბერ გოგიას, ნინო გუგეშაშვილს და ხვიჩიების ოჯახებს. უგრეხელიძეების ოჯახი — „შტაბად“ მიიჩნევა, სადაც კარი მუდამ ღიაა. აქ მობინადრე დევნილთა ოჯახების დილა ამ აივანზე, მხატვრულ პანო „სოხუმთან“ ყავის მირთმევით იწყება და დღეც სოხუმზე საუბრით ილევა.

*დავით უგრეხელიძე:* „გულრიფშის რაიონის სოფელ ფშაფში ციტრუსების საკუთარი მეურნეობა მქონდა, ახლა მას სომეხი ეპატრონება. სიზმარში ხშირად ვეჩხუბები ჩემი კარ-მიდამოს „ახალ მეპატრონეს“, მინდა სახლში შევიდე, ის კი არ მიშვებს, ამ ჩხუბში და დავიდარაბაში მეღვიძება... ისევ თბილისში ვარ! სიზმრებში ჩემი მშობლიური სოფელი, ამტყელიც ხშირად ტივტივებს. მამაჩემი სოფრომი და ბაბუა ექვთიმეც იქ დაიბადნენ. აფხაზეთის ძირძველი მკვიდრნი ვართ. მარუხის აქეთ რაც მთებია, სიზმარში კადრებივით გაიელვებს ხოლმე.

ომის დაწყებამდე ერთი წლის ადრე, ფშაფში ერთი აფხაზი კაცი მესტუმრა. ციტრუსების დამყნობის წესი აინტერესებდა. შევპირდი: შენ „მწარე“ (ტრიფოლიატის თესლისგან) ნერგები გამოიყვანე, გაისად 10 სექტემბერს გესტუმრები და დაგიმყნობ-მეთქი, სოფელ ძველ კინდღში, იმ აფხაზის ოჯახში სამი დღით ჩასვლას ვაპირებდი... 14 აგვისტოს ომი დაიწყო... დარჩა „მწარე“ — დაუმყნობელი, კავშირები — გაწყვეტილი, ცხოვრება კი — გამწარებული. ომმა ჩემი სანათესავოდან რვა ადამიანი შეიწირა...“

**გულიკო მანაგაძე:** „ოჩამჩირის რაიონში, სოფელ არადუში გავიზარდე აფხაზი მეზობლების: ინაპშპების, კაკალიების, კუტარბების, ბჟანიების გვერდით — ერთი ადათ-წესით, საერთო ტრადიციით. ახლახან, თბილისში შემთხვევით შევხვდი ჩემს აფხაზ მეზობელს, ნათელა კაკალიას (ახვლედიანების რძალი). უფრო სწორად, თვითონ მოვიდა ჩემთან. შორიდან დიდხანს გიყურე, თავს ვიკავებდი... მერე ველარ მოვითმინეო, — მითხრა და ცრემლები წაგვსკდა, ბევრი ვიტირეთ. ანკი რა გვქონდა გასაყოფი...“

**ლალი ჩაკვეტაძე:** „სახლი ხშირად მესიზმრება — უცხო სახეებით, უცხო ადამიანებით... ხშირად მესიზმრება მამისეული სახლი, სოხუმის რაიონის სოფელ ახალსოფელში, სადაც გავიზარდე. ამბავი ჩამომიტანეს, შენი დედ-მამის საფლავს აფხაზი ნატო გიგაია უვლისო. სოფლის სასაფლაოზე გრანიტის არც ერთი ლოდი არ დაკარგულა და მას აფხაზი ჟორა თანია პატრონობსო... რა უნდა გამხარებოდა ამაზე მეტად?

რუსეთიდან (აფხაზეთის გავლით) თბილისში ჩამოსული ნათესავი გაოცებული მიყვებოდა, მთელ გზაზე — ფსოუდან ენგურის ხიდამდე აფხაზი მძღოლი ავტობუსში აუდიოფირზე ჩაწერილ ქართულ სიმღერებს ატრიალებდაო. გვკითხებით — რა ჰქვია ამას? ალბათ ის, რომ აფხაზებს და ქართველებს არ გვეთმობა ერთმანეთი. წლებმა უფრო გაამძაფრა ჩვენი განშორების სიმძიმე. ჩემი 22 წლის ვაჟი, ბესლანი, მამამისის მეგობრის, სოხუმელი ბესლან ნანბას მოსახელეა. მეგობრები სიყვარულით თავიანთ შვილებს ერთმანეთის სახელებს არქმევდნენ... ომმა ეს ძაფები უმოწყალოდ დაგლიჯა, სიძულვილი დათესა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გაიმარჯვა. დარწმუნებული ვარ, არც აფხაზებს ვძულვართ, უბრალოდ ხმამაღლა ძველ ურთიერთობებზე ვერ საუბრობენ“.

**ნათელა ხოშტარია:** „ამას წინათ, სოხუმში, საკუთარ სახლში დავრეკე. აფხაზმა მიპასუხა: — Я ХОЗЯЙН-ო. ამაკანკალა... მითხრა, — ომი ჩვენ მოვიგეთ და ჩვენია სოხუმი და მთელი აფხაზეთიცო.

სოხუმიდან წამოღებული ფოტოები გადავიღე და ჩარჩოში ჩავსვი, მინდა კედელზე დავკიდო, მაგრამ არ ვიცი, გავუძლებ თუ არა მათ ყურებას“.

**მადონა ცირდავა-ჭანია:** „როდესაც აფხაზეთი დავტოვეთ, დედა იქ დარჩა. მის ეზოში ერთ სახლში თვითონ ცხოვრობდა, მეორეში — აფხაზები. ხუთი თვის წინათ გარდაიცვალა. ჩემი და მწერდა: აფხაზებმა და ქართველებმა ისე დაიტირეს დედა, თითქოს ომი არც ყოფილა ჩვენ შორისო.“

**ხათუნა უგრეხელიძე:** „სოხუმი თექვსმეტი წლისამ დავტოვე. თბილისში დავამთავრე უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, პროფესიით ინგლისური ენის სპეციალისტი ვარ. ასე მგონია, რომ ზღვა ჩემშია და რომ მეც მისი ნაწილი ვარ, მეც და მთელი ზღვისპირელი ხალხიც. მეტყვიან, ზღვა ზღვააო, მაგრამ რატომღაც მჯერა, სოხუმში ზღვა სხვანაირი იყო!

სიტყვა „ლტოლვილს“ ვერ ვირგებ და ვერც ამ სტატუსს ვეგუები, ასე მგონია, ნათხოვარი ტანსაცმელივითაა, 2-3 ზომით დიდი... ჩემი შვილები — გიორგი და გაბრიელ გოგუები თბილისში დაიბადნენ“.

*ბოლოთქმის მაგიერ:*

*გიორგი გოგუა, 5 წლის:*

— როდის წახვალ სოხუმში?
— მალე!
— ვინ არ გიშვებს აფხაზეთში?
— რუსები.

***სვეტლანა კვიკვინია***


დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ენის აკადემიის პარტნიორი სკოლა
ინგლისური ენისა და კომპიუტერის თბილისის ცენტრალური სკოლა

*გილოცავთ ახალ სასწავლო წელს და გთავაზობთ:*

**ინგლისური ენის სწავლებას კემბრიჯის უნივერსიტეტის ინდივიდუალური სწავლების მეთოდით:**

- ბავშვების, თინეიჯერების და მოზრდილთა სწავლება სათანადო პროგრამებით;
- აბიტურიენტთა მომზადება ეროვნული გამოცდებისთვის;
- მეტყველების გაკვეთილები უცხოელ პედაგოგებთან;
- კომპიუტერის სწავლება: საწყისი და საოფისე კურსი.

**სტუდენტები მოიპოვებენ „თისიესის“, კემბრიჯის უნივერსიტეტისა და ამერიკულ საერთაშორისო სერტიფიკატებს**

ბიბლიოთეკა და ინტერნეტი

- სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სახელმძღვანელოებით, სასწავლო-ტექნიკური მასალებით, ტესტებით და დამატებითი ლიტერატურით;
- დოკუმენტური და მხატვრული ფილმების ჩვენება და გარჩევა, უფასო ინტერნეტი.

**ენის სწავლება საზღვარგარეთ**

მისამართი: ლ. შარაშიძის ქ. №5 (ფიძრის ფორა), ტელ: 22-04-70
ბაქოს ქ. №6 (დავით აღმაშენებლის შესასხვევი) ტელ: 96-53-55
Fax: 92-34-54 E-mail: tes@internet.ge



**სასკოლო წიგნები!**

წიგნის მაღაზია „სანტა ესპერანსა“

სანქტ-პეტერბურგის 12 (23-ე სკოლასთან)

გთავაზობთ სახელმძღვანელოების სრულ ჩამონათვალს ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად

მაღაზიაში არის კომფორტული გარემო, ხოლო კვალიფიციური თანამშრომლები მაქსიმალურად სწრაფად მოგემსახურებიან

ამოჭერით ეს კუპონი, მოიტანეთ სანტა ესპერანსაში და მიიღეთ 10% ფასდაკლება ნებისმიერ წიგნზე!

ტელ: 95 93 51



ახალი სახლი

**მოდულისაგან**

საბურთალო, დიდუბე
დიდი დიღომი



უპროცენტო განვადება
პირველადი შენატანი 10%!
ტაშკენტის 10ა. ტელ.: 42 11 08; 42 11 09
სამშენებლო კომპანია
www.moduli.ge

# გამომცემლობა „დიოგენეს“ ახალი, გრიფირებული სახელმძღვანელოები (VII და X კლასები)

**საქართველოს საპატრიარქო და ფონდი „ბავშვები ჩვენი მომავალია“ გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას!**

2006/2007 სასწავლო წელს გამომცემლობა „დიოგენეს“ საგანმანათლებლო პროექტების პარტნიორები არიან:

ჩვენ ვაშენებთ

ბაკური ... (logo)

## ქიმია VII კლასი




**ლია თევზაძე**

**ნუნუ ჯავახიშვილი**

მოსწავლის წიგნი + მასწავლებლის წიგნი

**პილოტირებული**

პედაგოგებს უთუოდ დააინტერესებთ მათთვის კარგად ნაცნობი, გამოცდილი ავტორების მიერ შექმნილი, ახალი საგანმანათლებლო სტანდარტის შესატყვისი თანამედროვე სახელმძღვანელო.

**VII კლასის ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოები (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) განკუთვნილია ტრიმესტრული სწავლებისათვის. მათი გამოყენება შეიძლება ნებისმიერ ტრიმესტრში.**

## ბიოლოგია VII კლასი




**ლამარა ბურდილაძე**

**მარინე ბაგალიშვილი**

**ქეთევან მაღრაძე**

მოსწავლის წიგნი + მასწავლებლის წიგნი

ეს სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის კარგად ნაცნობი ავტორისა და ახალგაზრდა ნიჭიერი პედაგოგების ერთობლივი წარმატებული პროექტია. წიგნის ღირსებაა გაკვეთილის ტექსტის გამოკვეთილ სტრუქტურულ ერთეულებად დაყოფა, ლაკონური პრობლემური თხრობა, მიზნობრივად შერჩეული ილუსტრაციები და მრავალფეროვანი გონებამახვილური სავარჯიშოების პაკეტი, რაც „კეთებით სწავლებას“ უწყობს ხელს.

## ფიზიკა VII კლასი




**ქეთევან ტატიშვილი**

მოსწავლის წიგნი + მასწავლებლის წიგნი

გამომცემლობის „აღმოჩენილ“ ახალ, ნიჭიერ ავტორთა შორის ერთ-ერთი ამ სახელმძღვანელოს ავტორია. მან თავისი ორიგინალური პედაგოგიური ხედვითა და სასწავლო პროცესისადმი თანამედროვე მიდგომით შექმნა სრულიად ახალი ტიპის სახელმძღვანელო, რომელშიც წარმატებითაა რეალიზებული „კეთებით სწავლების“ სტრატეგია. ტექსტი იმგვარადაა აგებული, რომ ლოგიკური მსჯელობის, კითხვა-პასუხისა და გონებამახვილური მაგალითების მონაცვლეობით მოსწავლე თავად აკეთებს სწორ დასკვნას.

## ისტორიის შესავალი X კლასი




**პაატა რამიშვილი**

მოსწავლის წიგნი + მასწავლებლის წიგნი

ახალი საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად სახელმძღვანელო მიზნად ისახავს, გააცნოს მოსწავლეებს ისტორიის საფუძვლები და კვლევის მეთოდები.

წიგნი გამოირჩევა საგულდაგულოდ შერჩეული მრავალფეროვანი ქართული და უცხოური ისტორიული წყაროებით და სავარჯიშოების ისეთი სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში მარტივი ისტორიული კვლევის უნარ-ჩვევის ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოყალიბებას.

**სიახლე!**
**X კლასის მოსწავლეებისა და ისტორიის პედაგოგებისთვის გამომცემლობა „დიოგენე“ აცხადებს კონკურსს, რომლის პირობებს სახელმძღვანელოში გაეცნობით.**

## მათემატიკა VII კლასი




**ავთანდილ საგინაშვილი**
**გია ბარელაძე**
**თინათინ ბექაური**

**პილოტირებული**

მოსწავლის წიგნი + მასწავლებლის წიგნი

სახელმძღვანელოს ავტორები წლების განმავლობაში მუშაობდნენ მათემატიკის ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნაზე. ამ გამოცდილებით და თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების გათვალისწინებით მათ სტანდარტის შესაბამისი, აქტიურ სწავლებაზე ორიენტირებული სახელმძღვანელო დაწერეს. წიგნში უხვადაა ამოცანები და სავარჯიშოები, რომლებიც ცხოვრებისეულ სიტუაციებს უკავშირდება.

**სიახლე!**
**VII და X კლასის მათემატიკის პედაგოგებისთვის გამომცემლობა „დიოგენე“ აცხადებს პროფესიულ კონკურსს, რომლის პირობებს სახელმძღვანელოში გაეცნობით.**

## სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII კლასი




**ნანა კუნჭულია**
**მაია მეხაშიშვილი**
**ნინო მიქაბერიძე**

მოსწავლის წიგნი + მასწავლებლის წიგნი

**პილოტირებული**

ამ ნოვატორულ სახელმძღვანელოში დაცულია ტექსტის, ილუსტრაციებისა და სავარჯიშოების ოპტიმალური თანაფარდობა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მაქსიმალურად მიღწევას.

წიგნში გემოვნებით არის შერჩეული როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები. თეორიულ ნაწილთან ერთად მრავლადაა სახალისო პრაქტიკული გაკვეთილები, რომლებიც მოსწავლეებს ფანტაზიის გაღვივებასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევათა განვითარებაში დაეხმარება.

წიგნი ამ ტიპის სახელმძღვანელოებისგან გამოირჩევა სისადავით, მის გამოყენებას დამწყები პედაგოგებიც კი იოლად შეძლებენ.

## მუსიკა VII კლასი




**ქეთევან ცაგარელი**

**რუსუდან გიორგიძე-ჭიჭინაძე**

მოსწავლის წიგნი + მასწავლებლის წიგნი
აუდიოკასეტა

**პილოტირებული**

მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული ამ სახელმძღვანელოს ძირითადი ღირსებაა მასალის მრავალფეროვნება და ორიენტაცია ინტეგრირებულ სწავლებაზე. განხილული თემები ორგანულადაა დაკავშირებული ვიზუალურ ხელოვნებასთან, თეატრთან, ცეკვასთან, პოეზიასთან, ისტორიასთან, მათემატიკასთან.

## რუსული ენა VII კლასი




**მაია რევია**

მოსწავლის წიგნი + მასწავლებლის წიგნი + მოსწავლის სამუშაო რვეული

სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის კარგად ნაცნობი ავტორის ახალი პროექტია. წიგნიც და რვეულიც გამოირჩევა დიდი გემოვნებით და ფანტაზიით შერჩეული ტექსტებით, მიმზიდველი ილუსტრაციებით და საკომუნიკაციო სიტუაციებთან დაკავშირებული მრავალფეროვანი აქტივობების პაკეტით.

## მათემატიკა X კლასი




**თეიმურაზ ბეიტრიშვილი**
**გივი ბერიკელაშვილი**
**დავით კაპანაძე**
**ქეთევან მანჯგალაძე**

**პილოტირებული**

მოსწავლის წიგნი + მასწავლებლის წიგნი

ეს სახელმძღვანელო ფართო მათემატიკური ერუდიციის მქონე მეცნიერებმა და პრაქტიკოსმა პედაგოგებმა შექმნეს. წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საგნის გამოყენებითი ასპექტების წარმოჩენას, მიზნობრივად შერჩეული აქტივობების პაკეტი კი ხელს უწყობს პრაქტიკული პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

## ფრანგული ენა სწავლების პირველი საფეხური




**მზია დათინაშვილი**
**თამარ ლომიძე**

მოსწავლის წიგნი + მასწავლებლის წიგნი + სავარჯიშოების რვეული + აუდიოკასეტა

ფრანგულ საგამომცემლო ჯგუფ HACHETTE-თან თანამშრომლობით ქართველმა ავტორებმა შექმნეს სახელმძღვანელო, რომელიც უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდიკას ეფუძნება.

**ეს წიგნი VII კლასის ფრანგული ენის ერთადერთი გრიფირებული სახელმძღვანელოა.**

## ქიმია X კლასი




**ლია თევზაძე**
**ნუნუ ჯავახიშვილი**

მოსწავლის წიგნი + მასწავლებლის წიგნი

ეს წიგნი ცნობილი ავტორების კიდევ ერთი ახალი სახელმძღვანელოა, რომელიც მთლიანად მოსწავლის კვლევითი უნარის განვითარებაზეა ორიენტირებული. სახელმძღვანელოში აქცენტი გადატანილია პრობლემების დასახვასა და მათი დამოუკიდებლად გადაჭრის გზების ძიებაზე.

წიგნი განკუთვნილია ნებისმიერ ტრიმესტრში სწავლებისთვის, თუმცა, გამომცემლობის რეკომენდაციით, მისი გამოყენება უფრო მეტად მიზანშეწონილია II ან III ტრიმესტრში.

## ფიზიკა X კლასი




**ქეთევან ნატროშვილი**

მოსწავლის წიგნი + მასწავლებლის წიგნი

ეს სახელმძღვანელო ახალი ავტორის წარმატებული პროექტის თვალსაჩინო მაგალითია. მის ძირითად ღირსებას, X კლასის ქიმიის სახელმძღვანელოს მსგავსად, განსაზღვრავს ორიენტირება მოსწავლის კვლევითი უნარის განვითარებასა და პრობლემების დასახვის და გადაჭრის გზების ძიებაზე.

წიგნი განკუთვნილია ნებისმიერ ტრიმესტრში სწავლებისთვის, თუმცა, გამომცემლობის რეკომენდაციით, მისი გამოყენება უფრო მეტად მიზანშეწონილია I ან II ტრიმესტრში.

www.diogene.ge

## ქართული ლიტერატურა X კლასი




**თამაზ ვასაძე**

**პილოტირებული**

მოსწავლის წიგნი + მასწავლებლის წიგნი + მასწავლებლის მეგზური

ცნობილი ქართველი კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის მიერ დაწერილ ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილია XIX-XX საუკუნეების ქართული მწერლობა. წიგნი დაყოფილია თემატურ ბლოკებად, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს ქართულ რეალობაში არსებულ პრობლემებს. სახელმძღვანელო არა მარტო კონკრეტული სასწავლო მიზნების მიღწევას ემსახურება, არამედ მოზარდი თაობის ლიტერატურული გემოვნების და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებასაც უწყობს ხელს.

სიახლეა მასწავლებლის მეგზური, რომელშიც განხილულია წიგნში შესული ყველა ნაწარმოები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ავტორებსა და ნაწარმოებებს, რომლებიც პირველად ისწავლება სკოლაში. მეგზური დიდ დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს სწავლების პროცესში.

**ეს წიგნი ერთადერთი, უალტერნატივო გრიფირებული სახელმძღვანელოა X კლასის ქართულ ლიტერატურაში.**

გამომცემლობა „დიოგენე“ — თბილისი, კეკელიძის ქ. 6. ტელ.: 96 79 71, 8 99 97 60 30

# მამულ-დედული

## სად რომელი თევზის დაჭერა შეგიძლიათ



ნათქვამია, ვისაც თევზის დაჭერა უნდა, ფეხის დასველების არ უნდა ერიდებოდესო. თუმცა ისიც უნდა იცოდეთ, რომელი თევზი რომელ სატყუარას ეტანება და ისიც, რომელ მდინარეში, ტბასა თუ წყალსატევში რომელი თევზი ბინადრობს.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა მდინარე ალაზანი, სადაც 20-მდე სახეობის თევზი გვხვდება, მათ შორის: ლოქო, მურწა, კალმახი, ქაშაყი, შამაია, ციმორი, წვერა, ჭანარი, ხრამული, ტობი, ფარგა, კობრი.

მდინარე ალგეთზე შეგიძლიათ დაიჭიროთ: ხრამული, ჭანარი, წვერა, ციმორი, გოჭალა, ფრიტა და თალლითა.

მდინარე არაგვზეც შეგიძლიათ იმ თევზების დაჭერა, რომელიც ალგეთში ბინადრობს და თუ იყოჩალებთ, შეიძლება კალმახსაც გამოჰკრათ ხელი.

ამურის დაჭერა შეგიძლიათ ბაზალეთის ტბაზე. თუ გაგიმართლათ, შეიძლება ორფუთიანი (32 კგ-იანი) ამურიც დაიჭიროთ, ოლონდ იცოდეთ, ეს თევზი ტბის სანაპირო ზოლში გამოდის ღამით. იკვებება წყალმცენარეებით, ბალახით, ხის ფოთლებით, ლიფსიტებით, ჭიებით, მწერებით. ამავე ტბაში გვხვდება: კობრი, ლოქო, ქაშაყი და ხრამული.

გახსოვდეთ, სხვადასხვა სახეობის თევზს სატყუარაც სხვადასხვაგვარი უნდა.

ნაფოტას იჭერენ ანკესზე ჭიაყელას ან პეპლების ნამოგებით.

ქაშაყი კარგად ეტანება წვრილად დაჭრილ ხახვთან არეულ ცომის სატყუარას. კობრის დასაჭერად საუკეთესოა კოპტონი, რომელიც თევზაობის წინა სალამოს უნდა დავჭრათ საჭირო ზომის კვადრატებად, 5-8 წუთი გავაჩეროთ ადუღებულ წყალში და შემდეგ გავაშროთ. კალმახს „მოსწონს" ზუთხის ქვირითი.

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

### იფანი — მკურნალი



**— რამდენიმე წლის წინ თქვენ გვთავაზობდით იფნის (კოპიტის) ფოთლებით მკურნალობას. გაზეთიდან ამოჭრილი მასალა დავკარგე. გთხოვთ ერთხელ კიდევ გამოაქვეყნოთ.**

***თქვენი მუდმივი მკითხველი***

— ხალხურ მედიცინაში გამოიყენება იფნის ქერქი და ნაყოფი ციებ-ცხელების, წყალმანკის, დიზენტერიისა და პარაზიტი ჭიების წინააღმდეგ. იფნის ფოთლები რეკომენდებულია სახსრების, ღვიძლის, სიყვითლის, თირკმლის კენჭოვანი დაავადების სამკურნალოდ, მასვე იყენებენ ამოსახველებელ, ჭიების საწინააღმდეგო და საფალარათო საშუალებად. ჭრილობებზე ურჩევენ დანაყილი ფოთლის ფაფისებური მასის დადებას. ქერქსაც ასეთივე სამკურნალო თვისებებს მიაწერენ. ორივე სახის ნედლეული ცხელი ნაყენის სახით მიილება: 3 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ მასალას 2 ჭიქა მდუღარე წყალს ასხამენ და 10 წუთს დგამენ თავდახურულ ჭურჭელში. ეს გახლავთ ერთი დღე-ღამის დოზა.

## ყავა თხას აღმოუჩენია!



ეს კი ძალიან უბრალოდ მომხდარა, — ეთიოპიის ტყეში, თხებს ხის ძირში მიმობნეული მარცვლების გემო გაუსინჯავთ. გაუსინჯავთ და საძოვარზევე დასტყობიათ მოუსვენრობა და მერე მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავთ. რა თქმა უნდა, არც მათ პატრონებს ეძინათ მთელ ღამეს, როცა იგრძნეს, რომ მათმა „ალსაზრდელებმა" რალაც დიდი აღმოჩენა გააკეთეს. არადა, უფრო დიდი აღმოჩენა რა გინდა, ეთიოპიის ტყეებიდან, სადაც პირველად იგემეს თხებმა ყავის მარცვლების გემო, მსოფლიოს ყველა იმ ქვეყანაში გაიტანეს და მოაშენეს სადაც ამის პირობები არსებობს. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ბრაზილიაში, სადაც მსოფლიოში არსებული ყავის პლანტაციების 50%-ია გაშენებული. შედარებით ნაკლებია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და აფრიკაში. გარდა იმისა, რომ ყავისგან გემრიელი სასმელი მზადდება, იგი სამკურნალოც გახლავთ, როგორც მასტიმულირებელი და თავის ტკივილის გამაყუჩებელი.

ყავა ბუნებაში მარადმწვანე ბუჩქების ან 8-10 მეტრი სიმაღლის ხეების სახით გვხვდება.

ენდროსებრთა ოჯახის გვარი (Coffea) 50 სახეობით არის წარმოდგენილი, რომელთაგან 4-5-ია კულტივირებული. ყველაზე გავრცელებულია ჯიში „არაბიკა" ანუ არაბული. ყავის ულამაზესი ხე შესანიშნავად გრძნობს თავს ორანჟერეებსა და ოთახის პირობებში. მრავლდება ახალმოკრეფილი მარცვლებით. ითესება ყუთებში. ამოცენებისათვის საჭირო ტემპერატურაა 20 გრადუსი, ნიადაგის შემცველობა ასეთია: კორდის მიწა 1 ნილი, ნეშომპალა 1/2 ნილი და მდინარის ქვიშა 1 ნილი.

თეთრი, სურნელოვანი ყვავილები აქვს. ნაყოფი სფეროსებრია, ოვალური ფორმის, ორთესლიანი.

### კარგი ყავა რომ მოამზადოთ...

ყავის მარცვლებს გადავავლოთ ცივი წყალი, დავყაროთ ტილოზე და გავაშროთ. მოვხალოთ ნელ ცეცხლზე, თან ხშირად ვურიოთ. უნდა მიილოს წაბლისფერი. ზედმეტად მოხალული ყავა კარგავს ეთეროვან ზეთებს და იღებს მომწარო გემოს. მოხალული ყავა გასაცივებლად დაყარეთ საცერზე ან ფიცარზე. კარგად გაცივებული მარცვლები შეინახეთ ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში. თუ ახალმოხალულ მარცვლებს მოაყრით შაქრის ფხვნილს, ეს ხელს შეუწყობს არომატის შენარჩუნებას. დაფქვით იმდენი, რამდენიც ერთჯერად ხმარებაზე გეყოფათ.

### ყავის მოხარშვის საუკეთესო წესი

მოსახარშად განკუთვნილი დაფქული ყავა გავყოთ შუაზე. ერთ ნახევარს დავასხათ ცხელი წყალი, ვადუღოთ 3-4 წუთი და შემდეგ დავუმატოთ ყავის მეორე ნახევარი, ვურიოთ სწრაფად, ერთი წუთის შემდეგ გადავწუროთ, ჩავასხათ წინასწარ გაცხელებულ საყავეში და მივიტანოთ სუფრაზე.

## ქათამი თქვენს მამულში



თუ გნებავთ, რომ მთელი წლის განმავლობაში კვერცხი არ მოგაკლდეთ და გემრიელი, დიეტური ხორცითაც მომარაგებული იყოთ, ააშენეთ თბილი, მოხერხებული საქათმე, მოიმარაგეთ შესაბამისი საკვები და სულ მცირე 10 დედალი შეიძინეთ, რა თქმა უნდა, არც მამალი დაგავიწყდეთ.

თქვენს მამულ-დედულში ყოველთვის მოიპოვება იმდენი საკვები, რომ ზაფხულ-შემოდგომით ფრინველი გამოკვებოთ. ბალბოსტანში გამოულევად არის ნამარგლი და ნათიბი ბალახი, თქვენთვის გამოუსადეგარი ხილ-ბოსტნეული. თუ სიმინდიც მოგყავთ, მაშინ მთლად უკეთესი. სიმინდით გამოკვებილი ქათმის ხორცს ვერაფერი შეედრება და კვერცხიც მუდმივად გექნებათ. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ქათმის ყოლა ღირს თქვენი შრომის ფასად. კარგი კვებისა და სანიტარიული პირობების დაცვით, წელიწადში ერთი ქათამი 240-მდე კვერცხს დებს. 10 ქათამზე დღეში 2 კგ-მდე სხვადასხვა სახის საკვები (ბალახის ჩათვლით) სრულიად საკმარისია.

ფრინველი შეიძლება იყოლიოთ როგორც გალიებში, ისე საქათმეში. საქათმის იატაკზე საფენია საჭირო, რომელიც ასე მზადდება: იატაკის ყოველ ერთ კვადრატულ მეტრზე 0,5-1 კგ კირის წმინდა ფხვნილი იყრება, მას ფარავენ 25-30 სმ-მდე ნამჯით, ნახერხით ან წვრილი ბურბუშელით. საუკეთესოა ტორფი, რომელიც შემდეგ სინოტივეს და მავნე გაზებს შთანთქავს. საქათმეს აუცილებლად უნდა ეზო, რომ ქათამი გამოუშვათ. ქათამი მთელი დღის განმავლობაში მიწას ქექავს და თავისთვის საჭირო მცირე ულუფას შოულობს. გახსოვდეთ, საქათმეში 4 ქათამზე უნდა მოდიოდეს არანაკლებ 1 კვმ — თუ გსურთ, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში კვერცხის დება არ შეწყვიტონ.

## ფარსმანდუკს მკერვალაც ჰქვია



ფარსმანდუკი ის მცენარეა, რომელიც აუცილებლად გაამდიდრებს თქვენს საოჯახო აფთიაქს. ფარსმანდუკს უამრავი შესატყვისი აქვს. კახეთსა და ქართლში მელიკუდას ეძახიან, ქიზიყში — თავყვითელას, ხევსურეთში — ციცასკუდას, თუშეთში — წყლულის ბალახს, ფშავში — მკერვალას და ა.შ. ფარსმანდუკს პირველ რიგში, დღესაც ჭრილობების შესახორცებლად ხმარობენ.

ფარსმანდუკი, როგორც სამკურნალო მცენარე, საუკუნეთა მანძილზე გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში ჭრილობების შესახორცებელ, სისხლდენის შემაჩერებელად თუ კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალოდ.

10 გრამ ბალახს ერთ ჩაის ჭიქა წყალში 5-10 წუთს ხარშავენ და ნაყენს სვამენ 1/2 ჭიქას სამჯერ დღეში ჭამამდე 15-20 წუთით ადრე, 25-30 დღის განმავლობაში.

ფარსმანდუკი ყვავილობს ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით. ასე რომ, ახლაც არ არის დაგვიანებული. შეგიძლიათ მცენარის ტოტების მოჭრა, შეკარით პატარა კონებად და ჩრდილში გაბმულ მავთულზე ან თოკზე ჩამოკიდეთ მავთულის კაუჭებით. იკრიფება 25-30 სმ სიგრძის ღეროები ყვავილიანად.

## ხეხილს მხოლოდ ბორდოს ხსნარი არ ჰყოფნის

**— თბილისში, საცხოვრებელ კორპუსთან მაქვს პატარა ბაღი, სადაც დავრგე ვაშლი, ალუბალი და სხვა ხილი. პირველ წამლობას ვუტარებ გაზაფხულზე კვირტის გაშლამდე ბორდოს 3%-იანი ხსნარით. ნაყოფი მაინც ჭიანდება და ძირს ცვივა, უნდა თუ არა კიდევ წამლობა, რა დროს და რამდენჯერ?**

***წინასწარ გიხდით მადლობას***

— ძალიან კარგი გიქნიათ, რომ ხეხილი დროულად ჩამოგირეცხავთ ბორდოს 3%-იანი ხსნარით, ეს საუკეთესო საშუალებაა სოკოვანი დაავადების საწინააღმდეგოდ. მავნე მწერების მოსაშორებლად კი აუცილებელია: ადრე გაზაფხულზე კანის ჩამოფხეკა-ჩამოსუფთავება, ხეზე შერჩენილი და ძირს ნაყარი დაზიანებული ნაყოფის მოცილება-დაწვა. ნიადაგის გადაბარვა მასში მოზამთრე მუხლუხოების მოსასპობად. მუხლუხოების გაჩენისთანავე საჭიროა შეწამვლა აბზინდის ნაყენით, პამიდვრის ნასხლავის ნახარშით 5 დღეში ერთხელ. არსებობს თანამედროვე ქიმიური საშუალებებიც, რომლის შეძენა შეგიძლიათ მემამულეთა კავშირის სპეციალიზებულ მაღაზიებში. თანაც, ყოველ პრეპარატს ახლავს ხმარების წესები.

## სასარგებლო რჩევები

• კარტოფილი გაცილებით უკეთეს მოსავალს იძლევა, თუ მას სტაფილოს, ხახვის, კამის ან ბოლოკის გვერდით დავთესავთ.

• თავის ტკივილისას საფეთქელზე წაისვით პიტნის წვენისა და ძმრის ნაზავი.

• შინდს ზამთრისთვის ცოცხლად შეინახავთ, თუ მწიფე ნაყოფს შაქარს მოაყრით (1:1), მინის ქილაში ჩაყრით, პლასტმასის სახურავს დაახურავთ და ბნელ, გრილ ადგილას მოათავსებთ (მაგალითად, სარდაფში ან მაცივრის ქვედა თაროზე).

• რძეში მოხარშული ნიორი ტკივილს აყუჩებს.

• თუ უძილობა და თავის ტკივილი განუხებთ, ნიორი მოხარშეთ ნებისმიერ პარკოსანთან ერთად, დაუმატეთ მცენარეული ზეთი და ღამით საფეთქლებთან შეიზილეთ.

• თუ რძეში მოხარშულ ნინიბურას დალურჯებულ ადგილზე დაიდებთ, სილურჯე გაქრება.

## მკითხველის ფოტო



— ჭურში არა, მაგრამ კასრში კი ვსხედვართ...

## რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გაგვიზიარეთ თქვენი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით.

*გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ*

# 13-დან 19-მდე

# სად მცალია თინეიჯერი გოგოებისთვის!

## „საქართველოში საშინელი მიმბაძველობაა“

*ქართულ შოუბიზნესში ქართული რეპის ადგილი ძალზე უმნიშვნელოა, თუმცა რეპერები პოპულარობის მოპოვებას მაინც ახერხებენ, განსაკუთრებით, თინეიჯერებში.*

*რუბრიკისთვის „ძვალის“ სტუმრობა შემთხვევითი არ გეგონოთ, თინეიჯერი გოგონები მასზე დაფანატდნენ. არა მისი რეპის, არამედ გარეგნობის გამო. ეს მათი საქმეა, ვის შეიყვარებენ და ვის — არა, ჩვენ კი გადავწყვიტეთ,* **აჩიკო ვანიშვილი**, *იგივე „ძვალი“, სხვა კუთხით გაგაცნოთ.*

*მალე ის დათო ხუჯაძესთან ერთად მოსკოვში მიემგზავრება, — დათოს სტუდიაში აპირებს რუსულად გარეპვას და დიდი იმედი აქვს, რომ მისი რეპი იქ მაინც დაფასდება. მანამდე კი გაიგეთ, რატომ არის პროფესიულად გადამტერებული ლექს-სენზე.*



## „მალე წავალ მოსკოვში... დავუტოვებ ლექს-სენსა და მისთანებს რეპს“

**— აჩიკო, ამბობენ, თავი რომ დაიმკვიდრო, თავიც უნდა გამოიჩინოო. ამაზე უკვე თინეიჯერულ ასაკში ფიქრობდი?**

— შენი ადგილი, პირველ რიგში, შენს თავში უნდა იპოვო, ანუ უნდა იცოდე, ვინ ხარ, რისი გაკეთება შეგიძლია; საქმეს თუ ვერ გააკეთებ, პატივისცემას ვერ მოიპოვებ. ვილაცას მხოლოდ იმიტომ ვცე პატივი, რომ „კარგი ტიპია“ — ჩემთვის მიუღებელია; ასევე, რალაცის საგანგებოდ გაკეთება, რომ ვილაცების ყურადღება დავიმსახურო, არ არის ჩემი სტილი. პატივისცემა უნდა დაიმსახურო, თუნდაც უბანში.

**— პრესტიჟულ უბანში ცხოვრობ, ყოველ შემთხვევაში, გარეუბნელები ვერელებსა და ვაკელებს „ცხვირაწეულებს“ ეძახიან. არის ვერელობა რამით გამორჩეულობის მიმანიშნებელი?**

— ვერა, ვაკე თუ გლდანი იქნება, დიდი განსხვავება არ არის. ბევრი გლდანელი შეიძლება ვერელებს სჯობდეს, ან პირიქით. იმის გამო, რომ ვერელი ვარ, არავისზე მეტი არ ვარ.

**— „იცოდე, ვინ ხარ“, არ არის ადვილი, უფრო ზუსტად, ადამიანს უჭირს თავისი უარყოფითი თვისებების აღიარება, არ მეთანხმები?**

— არ მრცხვენია იმის თქმისა, რომ უარყოფითი მხარეცა მაქვს. ხანდახან საკუთარი ქცევა ვერც ამიხსნია; პატარა განაწყენება და შემიძლია, ადამიანი დავკარგო, როგორი ურთიერთობაც უნდა მქონდეს მასთან. მერე კი ვნანობ ხოლმე, მაგრამ პატიება არ შემიძლია.

**— გოგოს უფრო ვერ აპატიებ თუ მეგობარ ბიჭებს?**

— გოგოს ვერ ვაპატიებ, იცით, როგორ უმნიშვნელო რალაცას? — ყოფილა, მინახავს ჩემი გოგო ვილაცას ელაპარაკებოდა და მორჩა. მაქვს ჩემი „არმონწონებები“ და მორჩა.

**— ეს შენი კომპლექსია?**

— კომპლექსი ასე შემიძლია განვმარტო: რალაცის გაკეთება ძალიან გინდა, მაგრამ ვერ აკეთებ იმის გამო, რომ გრცხვენია, გიტყდება. ვერ ვიტყვი, გავიხდი და ქუჩაში შიშველი გავალ-მეთქი, მაგრამ რაც მინდა, იმას ვაკეთებ, სირცხვილისგან შორს ვარ. თუმცა ძალიან ბევრი რამ, — ღალატი, სიზარმაცე, უპასუხისმგებლობა, — სირცხვილია. ჩემთვის სირცხვილი სიტყვა არ არის, გრძნობაა.

**— აჩიკო და რეპი?**

— იყო პერიოდი, როცა მუსიკის მოსმენას ქუჩაში დგომა მერჩია, არ მიყვარდა მუსიკა, მაგრამ რეპი მომეწონა და დავიწყე მასალების შეგროვება... ერთ დღეს ვიფიქრე, იქნებ თვითონ გავაკეთო რამე-მეთქი. 11 წლის ვიყავი, ტექსტების წერა რომ დავიწყე, წარმოიდგინეთ, რას დავწერდი — მუსიკას ჩავრთავდი და ვლაპარაკობდი ჩემთვის. ოჯახში? — ჩემი შვილი ექიმი უნდა გამოვიდესო, არ ამბობდნენ, მაგრამ, ალბათ, არც რეპერად წარმოვედგინე.

ცუდია, რომ შოუბიზნესში ახლა არაფერი ხდება, ისე, რაც სააკაშვილი მოვიდა, შოუბიზნესი უკან-უკან წავიდა.

**— პრეზიდენტი რეპთან რა შუაშია?**

— ადრე, თვე არ გავიდოდა, ორი კონცერტი მაინც რომ არ გამართულიყო. ახლა ლექს-სენის კლიპებს ილებენ და მორჩა, სხვები არ აინტერესებთ.

**— ლექს-სენის ადგილზე შენ რომ იყო?**

— ჩემზე ვერ იტყოდნენ იმას, რასაც ლექს-სენზე ამბობენ. — ლექს-სენი მამუკა ღლონტის „დიდების“ შედეგია, კაცის, რომელსაც არც ნიჭი აინტერესებს და არც შოუბიზნესის მომავალი.

**— ბოლმა ხომ არ გალაპარაკებს?**

— მე პროფესიულ მხარეზე ვლაპარაკობ.

**— 23 წლის ხარ და საკმაოდ კრიტიკულად ლაპარაკობ სხვებზე. შენ ვინ გითხრა, კარგი ხარო?**

— მე? — მათ, რომლებსაც რეპი საქართველოში ყველაზე კარგად ესმის — „შავი პრინცი“, კაბუ, „ინტრო“, დათო ხუჯაძე... უპირველესად კი, თავად ვარ დარწმუნებული ჩემს თავში, ნებისმიერს შევეჯიბრები... გვინდოდა, ამერიკიდან ჩამოგვეყვანა კაცი, ვისაც რეპი მართლა ესმოდა, ცოცხალი კონცერტი, ანუ „რეპ-რინგი“ უნდა ჩაგვეტარებინა. ჟიური გადაწყვეტდა, ვინ არის „ბედინა“ და ვინ — აჩიკო. რეპფესტივალზე, რატომღაც, „წლის საუკეთესო ჯგუფში“ დამასახელეს გამარჯვებულად.

**— შენ ვინც ჩამოთვალე, არ გეწყინოს და, შესაძლოა, მათ, ვინც ნამდვილ რეპს უსმენს, სასაცილოდ არ ეყოთ...**

— მე ვიოლინოს დაკვრაში კი არ ვეჯიბრები ვინმეს, რეპზე ვლაპარაკობ, თანაც ქართულზე.

**— ჰო, მაგრამ ძალით ვერავის შეაყვარებ მსმენელს...**

— საქართველოში მუსიკას, ძირითადად, 13-დან 25 წლამდე ასაკისანი უსმენენ, აქედან 80% თინეიჯერია. ისინი „მაესტროზე“ ფანდებოდნენ, ზომბები იყვნენ და მთელ დღეს „მაესტროში“ ეს-ემ-ესებს აგზავნიდნენ. ამ არხზე 24 საათის განმავლობაში ერთი და იგივე ხალხი ტრიალებდა. საქართველოში საშინელი მიმბაძველობაა — ტელევიზიით რომ სულ ერთსა და იმავეს სახეს უჩვენებენ, თინეიჯერებიც მათი ფანები ხდებიან.

**— აჩიკო, რა გინდა, შენი რეპით მსმენელს რომ უთხრა?**

— აქ მნიშვნელობა არ აქვს, რა გინდა, უნდა გააკეთო ის, რაც მასას უნდა. მასას კი სისულელე უნდა. მალე წავალ მოსკოვში, დავუტოვებ ლექს-სენსა და მისთანებს რეპს.

ჩემს ერთ სიმღერას „კანონს გარეთ“ ჰქვია, სადაც პროტესტს გამოვთქვამდი იმის გამო, რომ გაბერილი ტიპები, ქუჩაში გავივლიდი თუ არა, მანქანიდან გადმოხტებოდნენ და დაიწყებდნენ, — დანა გაქვს?.. მამენტ, მაქვს, რა ესაქმებოდა ამასთან პოლიციელებს, რომლებიც უზრდელად იქცევიან, იგინებიან. კიდევ ერთი სიმღერა მაქვს „თბილისი“, სადაც ვამბობ, რომ „საქართველო არის დედამიწაზე ერთი ავარიული სახლი“... არ ჩავწერე, აქ მაინც ვერ გაიგებდნენ.

**— რეპერები არა მარტო სიტყვით, გარეგნობითაც მარაჟობენ. ვერ გატყობ ჩაცმაზე რეპერობას, არც წარბი გაქვს „ჩაჭრილი“...**

— რეპერის გარეგნობაზე არც ვფიქრობ, რაც ბათუმიდან ჩამოვედი, ქალაქში ჩუსტებით დავდივარ. იმიჯი შევიქმნა და სხვამ მომბაძოსო, — ეგ არ მჭირდება. დიდი „ცეპები“, „ნაკოლკები“ უცხოეთში იმისთვის სჭირდებათ, მეტი სალაპარაკო მისცენ ფანებს...

**— მოსკოვში დათო ხუჯაძესთან მიდიხარ, დათომ სტუდია შეიძინაო, მართალია?**

— დათომ იყიდა სტუდია, წავალ და იქ ვიმუშავებ, თვეში ერთ სიმღერას გავაკეთებ. რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე. 4-5 სიმღერა უკვე ჩაწერილი მაქვს. რუსეთში იმიჯზეც მომიწევს ზრუნვა.

**— დათომ მიგიწვია თუ შენ სთხოვე?**

— კარგა ხანია ვმეგობრობთ, ახლახან სიმღერა ჩავწერეთ, კლიპი გადავიღეთ, თქვენც მალე ნახავთ... მოსკოველ რეპერებთან, ჯგუფ „კოდექსთან“ დუეტი ჩავწერე, მათთანაც ვმეგობრობ; დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემს რეპს რუსეთში მაინც დააფასებენ.

**— რეპი და ქალი, საინტერესოა, რას ეუბნები, როგორ „რეპავ“ ქალებს?**

— როცა ვრეპავ, უფრო მეტი შემიძლია ვუთხრა ქალს, ვიდრე ჩვეულებრივ ურთიერთობაში — უფრო თავისუფალი და რომანტიკული ვარ. რეპული რომანტიკა არ მჭირს, მაგრამ როცა გოგონებზე ვწერ, წარმოვიდგენ, რომ მიკროფონია ის გოგო, რომელსაც ველაპარაკები. გოგონებს ჩვეულებრივად ველაპარაკები, თბილისურ ენაზე.

**— ამბობენ, გოგონებს აჩიკოს რეპზე მეტად მისი გარეგნობა ხიბლავთო, ასეა?**

— არ ვიცი, შესაძლოა... თაყვანისმცემელ გოგონებთან ურთიერთობა არ მაქვს, სად მცალია თინეიჯერი გოგოებისთვის.

**— ქალებისთვის?**

— ქალებისთვის? — როგორ არა!

**— თინეიჯერები რომ მარიხუანას მომხმარებლები ხდებიან, რეპერებს „ბრალდებათ“ ხოლმე...**

— „SOS ნარკოტიკი!“ — ამის თქმა არც არის საჭირო, ყველამ იცის, რომ ცუდია. დედა მომიკვდეს, არასოდეს გამისინჯავს და ვერ გეტყვით ვერაფერს. ისე, მე სიგარეტსაც დავანებე თავი, მთელ დღეს კანფეტებს ვჭამ. დროა, ჯანმრთელ ცხოვრებაზე ვიფიქრო, თორემ მალე დავბერდები.

## გამოხმაურება



*წინა ნომერში 16 წლის ნათიამ თავისი პრობლემა გაგვიმხილა, მას ყველასი და ყველაფრის რცხვენია, უმიზეზოდ წითლდება. მეტიც — ფიქრობს, რომ ყველაზე ცუდი გოგოა. ნათიამ „გულახდილთა კლუბისაგან“ არაერთგვაროვანი რჩევები მიიღო. მას ურჩევენ, თავი უფრო დაიფასოს; ამასთან, ამშვიდებენ, რომ სიმორცხვე მალე გაუვლის. გთავაზობთ რამდენიმე გამოხმაურებას.*

ნათი, ეტყობა, თავდაჯერებულობა გაკლია. რითი ხარ სხვებზე ნაკლები?! ერთ დროს მეც შენსავით მორცხვი ვიყავი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ თავი უნდა ამეწია. შენზე პატარა ვარ, მერიდება, ჭკუას რომ გარიგებ, მაგრამ მინდა დაგეხმარო.

***ნინო, 15 წლის***

არასოდეს თქვა, რომ ყველაზე ცუდი ხარ. ამას იმიტომ ხომ არ ამბობ, რომ არავის უყვარხარ. მაპატიე, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, შენი სიმორცხვის გამო ვერც შეგიყვარებენ. ამაზე სერიოზულად იფიქრე.

***დათო, 15 წლის***

ნათია, შენ გვერდით გჭირდება ძლიერი ადამიანი, რომელიც გეტყვის, რომ კარგი ხარ, ყველაფერი შეგიძლია; რომ წერ, ყველა რჩევას გავითვალისწინებო, ჩემი აზრით, შეცდომაა. ყველას მოუსმინე, ოღონდ შენთვის მისაღები ვარიანტი თავად შეარჩიე.

***სოფო, 9 წლის***

რაში გადარდებს, ქუჩაში მდგომი უცხო ადამიანები რას იფიქრებენ შენზე? თუმცა ესეც შენზეა დამოკიდებული — ამაყად დაიჭერ თავს, დაგაფასებენ, დაკომპლექსებულს დაგინახავენ, დაგცინებენ. რას ჰქვია, ყველაზე ცუდი ხარ, როგორ შეგიძლია საკუთარი თავი ასე შეაფასო?! აი, ამისი კი უნდა გრცხვენოდეს. დღეში ასჯერ „უთხარი“ ნათიას, რომ კარგია და დაგაფასებს.

***კატო, 15 წლის***

მეგობრებთან უფრო მეტი დრო უნდა გაატარო. კარგი იქნება, თუკი ცეკვის, ხატვის ან ცურვის წრეზეც ივლი, ახალ ნაცნობებს გაიჩენ, მათთან ილაპარაკე. გაერთობი და ვერც კი გაიგებ, სად გაქრება ეგ „წითელი სირცხვილი“.

***ანი, 15 წლის***

მეც ზუსტად იგივე პრობლემა მქონდა და კარგად მესმის შენი. დამიჯერე, ასაკის მატებასთან ერთად კომპლექსი თავისთავად მოგეხსნება და უფრო თავდაჯერებული გახდები.

***პუსა, 19 წლის***

ნათი, მარტო შენ არ ხარ ეგეთი, ბევრი დაქალი მყავს შენნაირ დღეში. ეგ მორცხვობა საიდან, გოგო, სადაური ხარ!

***ბესო, 20 წლის***

ნათი, ყველაფერი დაიკიდე, არავის მიაქციო ყურადღება, საკუთარი თავი სამყაროს ცენტრად აქციე და შეეცადე, ყველამ ყურადღება მოგაქციოს.

***რუსკა, 15 წლის***



## გულახდილთა კლუბი

## არავინ მისმენს

ბევრი მეგობარი მყავს. ყველა მენდობა, ყველა ჩემთან მოდის და თავის პრობლემასა თუ საიდუმლოებაზე მიყვება. მეც ყურადღებით ვუსმენ და რჩევას ვაძლევ. უცნაურია, როცა მათი დახმარება მე მჭირდება, თითქოს გამირბიან ან ცდილობენ საუბარი სხვა თემაზე გადაიტანონ. ხომ ვერ მეტყვით, რატომ ხდება ასე?

***თაკო, 17 წლის***

*რუბრიკა მოამზადა ინგა უბილავამ*

*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 22-62-16*





**დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა კოლეჯი აცხადებს მიღებას:**

**სკოლაში X-XI კლასში შემდეგი პროფილებით:**

- ჰუმანიტარული; • საბუნებისმეტყველო; • ეკონომიური.

**კოლეჯში შემდეგ სპეციალობებზე:**

- ორთოპედიული სტომატოლოგია; • ფარმაცია; • ბიზნეს მარკეტინგი;
- საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, ანალიზი და კონტროლი;
- უცხო ენა (ინგლისური, გერმანული);
- სოციუზრუნველყოფის სამართალი და ორგანიზაცია.

**მის: თბილისი. ჯიქიას ქ. №10. II სართ. (ცენტრალური შესასვლელიდან); ☎ 53-67-91 (დღისით). 37-90-00. 37-14-74 (საღამოს); მობ.: 899-71-11-64**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მილიონერი ქურდი



კრივში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონსა და მილიონერ პეტერ კამარის ბრალი მაღაზიის გაძარცვაში დასდეს. შარშან, ნოემბერში, მან ქალაქ ვალფორტის ერთ-ერთი მაღაზიიდან მოიპარა... პერსონალური კომპიუტერი. მოგვიანებით კამარი გამოტყდა, — იქ დღეს ნასვამი ვიყავი. მართალია, მაღაზიაში შევიპარე, მაგრამ საქურდლად კი არა, საკუთარი კომპიუტერის წამოსაღებად, რომელიც იქ შესაკეთებლად მქონდა დატოვებულიო. კამარი თურმე როგორც კი გამოფხიზლდა, მაშინვე მაღაზიის მეპატრონეებს დაუკავშირდა, ბოდიში მოიხადა და ზარალის ანაზღაურებაც შესთავაზა, მაგრამ მათ მოკრივეს საკომპენსაციოდ დაჟინებით მოსთხოვეს... მილიონი დოლარი. მას შემდეგ, რაც კამარისგან უარი მიიღეს, სასამართლოში უჩივლეს. როგორც ჩანს, მოკრივეს ქურდობა მილიონ დოლარზე მეტი დაუჯდება.

*ოჭდოხსი!*

# ნამცეცა ვარდი



ეს ციცქნა ვარდი უფრო საიუველირო ნამუშევარს ჰგავს და შეტანილია რეკორდების ნაციონალურ წიგნში როგორც „ყველაზე პატარა და იდეალური ფორმის ყვავილი“. მეცნიერ-ბოტანიკოსმა სუდჰირ პეტავათიმ ნამდვილ პირამიდაში საკუთარი ტექნოლოგიით გამოზარდა. „ელექტრომაგნიტური სხივები, რომლებიც წარმოიქმნება პირამიდაში, ვარდზე საოცარ ეფექტს ახდენს, აჩერებს მის ზრდას“, — თქვა მეცნიერმა. მან თავის შვილობილს „ბრილიანტის ვარდი“ დაარქვა.

„ყვავილებს ჩვილი ბავშვივით ვეპყრობი. ამ ვარდის კოკორი 5 მმ იყო, ფოთლები კი უფრო ციცქნა ჰქონდა“, — ამბობს პეტავათი და დარწმუნებულია, რომ შესაძლებელია უფრო მცირე ზომის ყვავილების გამოყვანაც.

*ოჯი*

# ტაბუ — სახელებზე

მალაიზიაში მეტად ახირებული ხალხი ცხოვრობს, ამიტომ ხელისუფლებამ უცნაურ მეთოდს მიმართა, გამოაქვეყნა იმ სახელების სია, რომლის დარქმევა ბავშვებისათვის აკრძალულია. ტრადიციის თანახმად, ზოგიერთ რელიგიურ თემში ახალშობილებს არქმევენ უგუნურ, ზოგჯერ უაზრო სახელებს და დარწმუნებული არიან, რომ ამით ბოროტ სულებს დააფრთხობენ. სწორედ ამ მიზეზით აკრძალეს მშობლების შვილებს ასეთ სახელებს: ციფიანი ძაღლი, ჰიტლერი, შავი ღმერთი და ა.შ. ასევე აკრძალა ბავშვებისთვის რიცხვების, მეფეთა ტიტულებისა და ავტომანქანების მარკების სახელების დარქმევა.

*დენგი*

# კოცნის საიდუმლო

...ძველად სჯეროდათ, რომ კოცნა გადასცემს სულიერ და ფიზიკურ ძალას ნებისმიერ ცოცხალ არსებას. ამიტომაც ჩვენი წინაპრები კოცნიდნენ არა მარტო ახლობლებს, ოჯახის წევრებს, არამედ უბრალო გამვლელებს და... საქონელსაც კი. სჯეროდათ, რომ დაავადების დროს საქონელს გადაარჩენდა შუბლზე კოცნა.

...ინდონეზიის ქალაქ ტანგერანგის ხელისუფლებამ კანონით აკრძალა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში 5 წუთზე მეტხანს კოცნა. კანონის დამრღვევებს ელოდებათ ციხე!

*ტაიმი*

# მეფეებს ყველაფრის უფლება აქვთ!



ლუქსემბურგის ჰერცოგის, ანრი მესამის ვაჟი, პრინცი ლუი ცოლად ირთავს მდაბიოს. მისი რჩეული, ტესი ანტონი, პრინცის ტოლია, 20 წლის. ახალგაზრდებმა ერთმანეთი კოსოვოში გაიცნეს. 2004 წელს ანტონი იქ გაეროს სამშვიდობო მისიით იმყოფებოდა, ლუი — ნატოს ლუქსემბურგის ქვედანაყოფში. ნაცნობობა სიყვარულში გადაიზარდა. ა.წ. 12 მარტს კი ტესიმ პრინცს ვაჟი, გაბრიელი გაუჩინა. ლუქსემბურგის პრინცმა შეყვარებულს გული და ხელი შესთავაზა — ქორწილი 29 სექტემბერს გაიმართება. ტესის გულისთვის მისმა აღმატებულებამ უარი თქვა ტახტზე, თუმცა პრინცის ტიტულს მაინც შეინარჩუნებს. ლუი აპირებს ჰუმანიტარულ საქმიანობას მოჰკიდოს ხელი.

*ოკნა*

# გულუხვობას ამას ჰქვია



მედისონ სკვერ გარდენში კონცერტის დასრულებისთანავე მომღერალ მერაია ქერისთან შიკრიკი მივიდა, 8-კარატიანი ბრილიანტით მოოჭვილი პლატინის ყელსაბამი და ბეჭედი გადასცა და უთხრა, რომ ბრუნეის სულთნის ვაჟის, აზიმის დავალებით ჩამოვფრინდი და ეს ძღვენი იმის დასტურია, თუ როგორ აფასებს თქვენს ნიჭს პრინცი აზიმიო. ნაჩუქარი ძვირფასეულობა 5 მლნ დოლარად შეფასდა. მერაიას (როგორც ყველა ქალს) ძალიან მოსწონს ძვირფასი სამშვენისები, განსაკუთრებით კი ამ საჩუქარმა ალაფრთოვანა.

24 წლის აზიმი, ბრუნეის ტახტის მესამე პრეტენდენტი, ექსცენტრიკულობითაა ცნობილი. ახლახან ნახევარ მილიონად ღირებული უამრავი სამკაული უძღვნა მომღერალ ეშარას, რომლის კონცერტსაც ლონდონში დაესწრო.

*ჯენტე*

# იაპონელები წინასწარმეტყველებენ?

რამდენიმე ხნის წინ იაპონელმა მეცნიერებმა მეტად საჭირო განცხადება გააკეთეს — დაიწყეს წინასწარ ამინდის პროგნოზირება... ყველა გამოთვლა კომპიუტერზე 30 წლით ადრე შესრულდება. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მათი გამოთვლების წყალობით შეიძლება რამდენიმე წლით ადრე გავიგოთ, სად და როდის იქნება ტაიფუნი, შტორმი, გვალვა და სხვა კატაკლიზმები.

*იტოგი*

# კოლექციონერები და კოლექციები



1911 წელს ლუვრიდან „მონა ლიზა“ მოიპარეს. სანამ ძვირფას ტილოს ეძებდნენ, ლუვრს უფრო მეტი ადამიანი ესტუმრა, ვიდრე გასული 12 წლის მანძილზე. ხალხი დადიოდა იმ ადგილის სანახავად, სადაც ჯოკონდა ეკიდა.

* * *

1766 წელს ბირმის მეფემ ომი აუტეხა სიამს იმიტომ, რომ შეშურდა მეფის ფასდაუდებელი თეთრი სპილოების კოლექცია. ასეთი კოლექცია ნამდვილად არ ჰქონია ქვეყნად არავის.

* * *

ფეხბურთის ფანი ნილ დიუჰარტი ცოლს გაეყარა „ვანდალური აქტის“ მიზეზით. მან მეუღლეს არ აპატია საყვარელ ფეხბურთელთა ავტოგრაფებიანი მაისურის გარეცხვა.

* * *



იური გაგარინის ოჯახი კაქტუსების კოლექციას აგროვებდა. მას შემდეგ, რაც გაგარინმა დედამიწას შემოუარა, ყველამ მას მიჰბაძა — მთელმა სსრ კავშირმა კაქტუსების კოლექციონერობა დაიწყო.

* * *

რომ არა თეოდორ რუზველტი, აშშ-ის კონგრესი ალბათ არასოდეს ცნობდა სსრ კავშირს. პრეზიდენტი, რუსეთის საზღვარგარეთის საქმეების სახალხო კომისრის ლიტვინოვის მსგავსად, მარკების თავგამოდებული კოლექციონერი იყო. პოლიტიკოსების საქმიანი შეხვედრები კოლეგა-ფილატელისტების აზრთა გაზიარებად გადაიქცა. სწორედ ამის გამო რუზველტმა ყველაფერი გააკეთა, რათა შტატებს ეცნო საბჭოთა კავშირი.

# გაფრენა... სიბნელეში



ბელგიელმა ლუკ კოსტემანმა ცოტა ხნის წინ ისწავლა თვითმფრინავის მართვა და ამას წინათ პირველად გაფრინდა კიდეც დამოუკიდებლად. ამ ამბავში თითქოს გასაკვირი არაფერია, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ კოსტემანი უსინათლოა! მან მხედველობა ორი წლის წინ უბედური შემთხვევის გამო დაკარგა. როგორც ჩანს, ახალბედა პილოტს ეს გაფრენა თვითდამკვიდრებისთვის დასჭირდა და, რა თქმა უნდა, გინესის რეკორდების წიგნში მოსახვედრადაც.

*ეხო პლანეტი*

# FRESH ცხელი ახალი თავსატეხი

| | | |
|---|---|---|
| 1. ნატიფად ჩაცმული მამაკაცი | * | შვარცენეგერის მეწყვილე ... დე ვიტო |
| პასუხი: | | პასუხი: |
| 2. რუმინული ფული | * | „ქარწაღებულნი“ — ვივიენ ... |
| პასუხი: | | პასუხი: |
| 3. დროში გამეფებული გემოვნება | * | იმერული ხის სახლი |
| პასუხი: | | პასუხი: |
| 4. მინერალი — ეშმი, იასპი | * | გაზაფხულის პირველი თვე |
| პასუხი: | | პასუხი: |
| 5. ქალაქი აფხაზეთში | * | ქალაქი ინდოეთში, სადაც ტაჯ-მაჰალია |
| პასუხი: | | პასუხი: |
| 6. ბერძნული ანბანის ბოლო ასო | * | ქართული ესტრადის ვარსკვლავთა დაჯილდოების ცერემონია |
| პასუხი: | | პასუხი: |
| 7. დირიჟაბლებისთვის განკუთვნილი ნაგებობა | * | ძველი ბერძენი |
| პასუხი: | | პასუხი: |
| 8. მიქელანჯელოს ქანდაკება — | * | „ნიკიტა“ — ... უილსონი |
| იესოს დატირება | | |
| პასუხი: | * | პასუხი: |

***ამოხსნის წესი:*** სიტყვა-გასაღები ამოიცნობა ორი დამხმარე სიტყვის საშუალებით, რომლებიც ერთმანეთისგან ერთი ზედმეტი ასოთი განსხვავდება. ეს ზედმეტი ასოები იწერება ცენტრალურ სვეტში და საბოლოოდ ვიღებთ ამოსაცნობ სიტყვას. მაგალითად, თუ მარჯვენა მხარეს დამხმარე სიტყვაა „კატა“, ხოლო მარცხნივ — „კაა“ — ცენტრალურ უჯრაში იწერება „ტ“ ასო და ა.შ.

**სიტყვა-გასალები:**

ძველი საბეიძნეთის მონათმფლობელუი
სახელმწიფოებში ასე უწოდებდნენ
ღემოჯიატიული პაიტიის თავჯაცს, თანამედიოვეები კი ასე მოიხსენიებენ პიის,
იომელიც ცდილობს ფაიისევლობითა და ციუდაპიიებებით გავლენა მოახდინოს ხალხზე.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**კ.** კობალტი; **ვ.** ვიეირა; **ი.** იუდა; **რ.** რანჩო; **ი.** იმიჯი; **ს.** სმენა; **პ.** პერუ; **ა.** ათენი; **ლ.** ლობიო; **ი.** ივანოვი; **ტ.** ტლანქი; **რ.** რურუა; **ა.** არიფი; **თ.** თასი; **ქ.** ქოსა; **ვ.** ვაიმარი; **ე.** ეპარქია; **ნ.** ნამგალი; **ი.** ირონია; **ო.** ოსვალდი; **ჯ.** ჯუნგლი; **ა.** ავერსი; **ხ.** ხაბაზი; **ი.** იფანი; **ს.** საუნა; **მ.** მესხეთი; **ე.** ექიმი; **გ.** გინესი; **ო.** ოვალი; **ბ.** ბანდურა; **ა.** ამური; **რ.** რული; **ი.** იდო; **ა.** ანდორა.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ბედნიერება არის სიამოვნება უსინანულოდ.**

## თქვენთვის, ქალბატონებო!

# როცა მშობელს შვილის ბედნიერება არ ახარებს

*— როცა კაცს უჭირს, მაშინ უნდა თანადგომა და დახმარება, თორემ დალხინილს, ისედაც ყველა გვერდს ამშვენებს, — მითხრა ნელიმ.* იგი მამის დაუკითხავად გათხოვდა.

მე და სოსოს ერთმანეთი ბავშვობიდან უყვარდა. იცოდნენ, საზოგადოება გაკიცხავდა და [illegible] არც ცდებოდნენ. სოსო ე.წ. „კანონიერი ქურდის" ერთადერთი შვილი იყო. მამამისს თითქმის 25 წელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ციხეში ჰქონდა გატარებული. მიუხედავად იმისა, რომ შინ იშვიათად იყო, ოჯახს



არასოდეს არაფერს აკლებდა, ცოლ-შვილიც უსაზღვროდ უყვარდა. სოსოს დედა, თამარი, მართალია, უსწავლელი ქალი იყო, მაგრამ კითხვა უყვარდა და ნებისმიერ თემაზე შეეძლო ლაპარაკი. კარგი დიასახლისი გახლდათ და ჩინებული დედა იყო. სოსოს სულ უკან დასდევდა. ეშინოდა, ბიჭი „ხელიდან" არ წასვლოდა. როცა წამოიზარდა, სულ ჩასჩიჩინებდა: მამაშენი დრომ და გარემოებამ ააცდინა გზას. ვერ ავიტან, შენც მის კვალზე რომ წახვიდეო... ამდენი ლაპარაკი არც იყო საჭირო. სოსო წესიერი, ზრდილი და განათლებული ყმაწვილი დადგა — ყველა პატივს სცემდა. ცხადია, ამას იმსახურებდა, მაგრამ რატომღაც კანონიერი ქურდის, „ზეხას" (ასე ეძახდნენ მამამისს) შვილობაც ერთგვარ „ღირსებად" ეთვლებოდა. ამას ყველგან და ყოველთვის გრძნობდა, თუმცა თავად წუთითაც არ უფიქრია მამის გზას გაჰყოლოდა. სოსომ იცოდა, სატრფოს ოჯახი ქვას ააგდებდა და თავს შეუშვერდა. ნელის მშობლები დოცენტები იყვნენ, ბაბუა აკადემიკოსი ჰყავდა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოუვიდოდათ „ზეხას" შვილის სიძეობაზე! სამი წელი მალეს, მაგრამ ბოლოს, მაინც „გასკდა" ეს ამბავი...

— მამაჩემი ჩემს უფროს ძმას მკაცრად ექცეოდა, მე გათამამებული ვყავდი. რა უნდა მეთხოვა, რომ უმალ არ აესრულებინა. კარგად ვსწავლობდი და ყოველ ხუთიანზე 5 მანეთს მჩუქნიდა. სოსო რომ შემიყვარდა, 14-ის ვიყავი. ის ერთი წლით უფროსი იყო ჩემზე. დედაც და მამაც ჩამჩიჩინებდნენ, მხოლოდ აკადემიკოსის შვილს უნდა გაჰყვე ცოლადო. მე კი მთელ აკადემიას სოსოსთან ყოფნა მერჩია — ნაკითხიც იყო და ზრდილიც. ვიმედოვნებდი, როცა სასწავლებელს დაამთავრებდა და მუშაობას დაიწყებდა, მერე გავყვებოდი და ჩვენებიც შეეგუებოდნენ მის სიძეობას.

უცხო ენების ინსტიტუტში რომ ჩავირიცხე, სოსომ შინ წამიყვანა, დედამისი და ბიძაშვილ-დეიდაშვილები გამაცნო.

ძალიან მომეწონა დეიდა თამარი. აღფრთოვანებული დავრჩი სადედამთილოს თბილი დახვედრით, განათლებით და დიასახლისობით.

გულმოდგინედ ვცდილობდით, ვინმეს თვალში არ მოვხვედროდით, მაგრამ მაინც დაგვინახეს ერთად მოსეირნენი და დედაჩემსაც მოახსენეს. ერთ საღამოს, შინ მისულს, დედაჩემი განრისხებული დამხვდა. სეტყვასავით დამაყარა საყვედურები. რახან ყველაფერი იცოდა, ვუთხარი: რაც არ უნდა შემეწინააღმდეგოთ, მე მაინც სოსოს გავყვები-მეთქი. დამემუქრა, მამაშენს მოვახსენებ ყველაფერსო. ვიცოდი, მამასაც განარისხებდა ჩემი არჩევანი, მაგრამ რა მექნა? ვერ წარმომედგინა სოსოს გარეშე ყოფნა.

დედამ მეორე დღესვე ჩაუკაკლა მამაჩემს, — ქურდის შვილს უყვარს და ეს ჩვენი შტერიც მიჰყვება ცოლადო. მამაც გაგიჟდა. ლექცია ჩამიტარეს, მომავალი ოჯახის საშინელი სურათი დამიხატეს, რა არ უწოდეს „ზეხას". მისი შვილი და მთელი მათი სანათესავო გალანძღეს. ყველაფერს დუმილით ვიმენდი. რაც არ უნდა ეთქვათ, ჩემთვის სულერთი იყო. [illegible] „ლექციის" მერე მშობლებს დასამშვიდებლად [illegible] როგორც თქვენ [illegible] მოვიქცევი-მეთქი. დამშვიდდნენ. ჩვენ კი მეტი სიფრთხილე გამოვიჩინეთ და მე[illegible]ბოდით ერთმანეთს. მეხ[illegible] მუშაობა დაიწყო. ჩემი [illegible]ის შვილებს არჩევდნენ [illegible] ფეხი და სოსოს გავყევი. [illegible]ში იყო. ჩემმა გათხოვებამ ოჯახს თავზარი დასცა. დეიდაშვილმა ამბავი მომიტანა: დედაშენი ტირის, მამაშენმა კი გამოაცხადა: ამიერიდან ქალიშვილი აღარ მყავსო... ჩემმა მამამთილმა საჩუქრებით ამავსო ქორწილი გადაგვიხადა და კვლავ რუსეთში წავიდა — საქმეები მაქვს, ორი-სამი თვის შემდეგ ჩამოვალ და ესპანეთში გაგიშვებთ დასასვენებლადო.

გავიდა დრო, ძალიან გამიჭირდა მშობლების გარეშე. სოსო ისეთი თბილი და მოსიყვარულე ქმარი იყო, როგორც კი მოწყენილს დამინახავდა, ჩემს გასამხიარულებლად ლამის ყირაზე დგებოდა. ძალიან ცუდია (ეს ყველა მშობელმა უნდა გაითვალისწინოს!), როცა შვილის ბედნიერებას მშობლები არ ლოცავენ და ცრემლით ეგებებიან. ამით მის ცხოვრებას დიდ დაღს ასვამენ.

„ზეხას" რუსეთში დიდი უსიამოვნება შეხვდა. მართალია, იმ „გარჩევებში" (დღემდე არ ვიცი, რას უკავშირდებოდა) „ზეხამ" გაიმარჯვა, მაგრამ მეორე მხარემ არ შეარჩინა მოგება და ერთადერთ შვილზე იძიეს შური. სოსო კარის ზღურბლზე მოკლეს. შინ ვიყავი. სროლის ხმა რომ შემომესმა, მე და ჩემი დედამთილი გარეთ გავვარდით. სოსოს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

ექვსი თვის ორსულად ვიყავი. თავი ხელში ავიყვანე. არ მინდოდა ბავშვიც დამეკარგა. დასაფლავების დღეს უამრავი დასამშვიდებელი წამალი დავლიე და ავიჩემე: ბოლო გზაზე უნდა გავაცილო ჩემი სოსო-მეთქი. უმძიმეს წუთებშიც კი არ გავხსენებივარ ჩემს მშობლებს.

ფიქრადაც არ გამივლია, რომ ქმრის ოჯახიდან წამოვსულიყავი.

დედამთილთან დავრჩი. ძალიან ვუყვარდი, თან ისე გვჭირდებოდა ერთმანეთი, როგორც არასდროს.

სამი თვის შემდეგ გავაჩინე სალომე. მიხაროდა, რომ სოსოს ნატვრა აუსრულდა — ძალიან უნდოდა, პირველი გოგო გვყოლოდა.

„ზეხამ" იმდენი რამ უყიდა ბავშვს და ფულიც იმდენი დაგვიტოვა, რომ ერთი წელი თითის განძრევაც არ დაგვჭირდებოდა. მაშინ პირველად დავფიქრდი: ვინ იცის, ჩემი მამამთილი როგორ ნაშოვნ ფულს გვახარჯავს, შეგვერგება კი მე და ჩემს შვილს-მეთქი. სოსო არაფერ შუაში არ იყო და მაინც მასზე იძიეს შური. უკვე ყველაფრის მეშინოდა და ეს შიში დედამთილსაც გავუზიარე. მაშინვე დამეთანხმა და გადავწყვიტეთ, დროებით გავცლოდით აქაურობას... ორი წელი პეტერბურგში ვიცხოვრეთ. გოგონა წამოიზარდა, სიტუაციაც ცოტა მიწყნარდა და თბილისში დავბრუნდით. ძალიან მენატრებოდა ჩვენები. დედას დავურეკე და ვთხოვე, ნება მომეცი, მოვიდე, გნახოთ და ორი წლის შვილიშვილიც გაგაცნოთ-მეთქი. მაშინვე სიხარულით დამთანხმდა. დედა, ძმა, რძალი და ნათესავები სიხარულით შემეგებნენ... მამის არყოფნამ მიმახვედრა, რომ მას კვალინდებურად არ უნდოდა ჩემთან ურთიერთობა... გული მწყდებოდა, რომ მამას სურვილიც კი არ გასჩენია სოსოს გაცნობისა, თორემ დარწმუნდებოდა, ღირსეული ადამიანი იყო და არაფრით ჩამოუვარდებოდა აკადემიკოსების შვილებს. ისე გარდაიცვალა, თვალითაც არ უნახავს ჩემი სალომე.

ახლა სალომე დიდი გოგოა.

ჩემი მამამთილი დიდი ხანია გარდაიცვალა, დედამთილი დამიბერდა...

დაბოლოს, მინდა ერთი რამ ვთქვა: შვილი მშობლის გამო არასოდეს აგებს პასუხს, თუნდაც მას ყოვლად უღირსი და თავზე ხელაღებული დედა ან მამა ჰყავდეს...

---

**ჩვენ გვწერენ**

# წლების მანძილზე ჩემს „შიოლას" ვეძებდი, მაგრამ ამაოდ

დიდი შვებაა, როცა სანუხარს ხმამაღლა იტყვი... „ზოგიერთები" ხომ მიხვდებიან, ვინ არის წერილის ავტორი. მიხვდებიან და თანაუგრძნობენ...

ჩემი ცხოვრება ულიმღამოდ წარიმართა. ერთ დროს ლამაზი გოგო ვიყავი და არც თაყვანისმცემელი მაკლდა. კი არ დავდიოდი, დავფრინავდი და მეგონა, ასე გაგრძელდებოდა. ყველას ცხვირს ვუბზუებდი...



სადაცაა ხუთი ათეული წლის გავხდები და მარტო ვარ... ალბათ იმიტომ, რომ წლების მანძილზე ჩემს რაინდს, ჩემს „შიოლას" ჯიუტად ველოდი. ერთ-ერთმა გულდამწვარმა თაყვანისმცემელმა, როცა მის გრძნობას ხელი ავუკარი, მითხრა — მოვა დრო და მწარედ ინანებო. აკი, ვნანობ, მაგრამ რაღა დროს? სწორედ ეს კაცი (მას გურამს დავარქმევ) 12 წლის წინ კვლავ „შემომეფეთა". უკვე ცოლშვილიანი იყო, მაგრამ ძველებურად ვუყვარდი. მარტოობით გაბეზრებულს სითბოც მონატრებული მქონდა და ნელ-ნელა მეც შემომეპარა სიყვარული. გურამი არაფერს მთხოვდა, გარდა ერთისა: როგორც მე მიყვარხარ, შენც ისე შემიყვარეო. მართალი გითხრათ, აღფრთოვანებული ვიყავი მისით, თან გულწრფელად მიკვირდა, თავის დროზე რატომ არ დავუფასე ამხელა ერთგულება-მეთქი. მერე შევატყვე, ჩემ გვერდით როცა იყო, სულ აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, თითქოს ვიღაცას გაურბოდა, არ უნდოდა, „სხვა ქალთან" ენახათ ნაცნობებს. გადავწყვიტე, თავისი პირით მეთქმევინებინა, რომ ცოლის სიკვდილივით ეშინოდა. როცა სიყვარულს მეფიცებოდა, თვალს ღიმილით გავაპარებდი ხოლმე ქორწინების ბეჭდისკენ. ამჩნევდა ამას. ერთხელ მითხრა: ამ რგოლს რა მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ შენ მიყვარხარო. დროდადრო ჩემთან შეხვედრისას იხსნიდა ბეჭედს, მაგრამ უკვე იმდენი ნაკლი ვუპოვე, რომ სულერთი იყო, ეკეთებოდა თუ არა. მოკლედ, ერთ მშვენიერ დღეს მივახალე, — კაცი ხარ და ღირსეულად მოიქეცი, კურდღელი ხომ არა ხარ, სულ ჩირგვებში რომ მიძვრები-მეთქი. ჩემმა, ცოტა არ იყოს, დამცინავმა ტონმა (არადა იმსახურებდა!) გააცოფა და მომახალა, — ნამდვილი შტერი ხარო. ეგ იყო და ეგ! ისე შემზიზღდა, მისი დანახვაც აღარ მინდოდა. მერე მივხვდი, სულს ვიბინძურებდი ამ სიძულვილით და შევეცადე, ურთიერთობა შემეწყვიტა. ასეც მოვიქეცი. ახლა გაცილებით მშვიდად და ბედნიერად ვგრძნობ თავს, ვიდრე გურამთან ურთიერთობის დროს. მივხვდი ერთ რამეს: ზოგმა მხოლოდ თეორიულად იცის, როგორ უნდა უყვარდეს ქალი, პრაქტიკულად კი ძალა არ შესწევს, მას რაღაცები ანაცვალოს.

ეტყობა, სიკვდილამდე უსიყვარულოდ ცხოვრება მიწერია. იმედგაცრუებას კარგა ხანს ვდარდობდი, ახლა კი მეცინება და იცით, რატომ? „ძველი ვოდევილებიდან" ერთი სცენა მაგონდება. უფროს თაობას კარგად ემახსოვრება ამ სპექტაკლის პირველი ვოდევილი, სადაც კნეინა (ელენე ყოფშიძე) ეკითხება თავის სტუმარს (ვასო გოძიაშვილს): „თქვენ შეგიძლიათ ქალის გულისთვის მსხვერპლი გაიღოთ"? მამაკაცი კი პასუხობს: „დიახ, მადამ... მერე, მე არაფერი მამივა?!" სწორედ, ასეთი წარმოდგენა ჩამომიყალიბდა მამაკაცებზე. რა თქმა უნდა, ყველა ერთ ტაფაში არ უნდა მოიხრაკოს, მაგრამ ჩემი აზრით, უმეტესობას კურდღლის სინდრომი სჭირს.

***ქეთევანი, თბილისი***

# თქვენი იმედიღა მაქვს...

*— სიყვარულზე რომ წერ, კარგია, შვილო, მაგრამ მარტოხელა, ხანდაზმულ და უბედურ ადამიანებზეც დაწერე ხოლმე. იქნებ, ვინმეს გული მოულბოს და სულ უმნიშვნელო დახმარების სურვილი გაუჩნდეს, — მეუბნება 75 წლის თბილისელი* ***თამარ მამულაშვილი.***

დარეკვა რომ ვერ მოუხერხებია, რედაქციას კითხვა-კითხვით მოაგნო და დილიდანვე მელოდებოდა — ერთადერთი იმედი ამ გაზეთისა დამრჩა — სატკივარს რომ შევჩივლებ, ეგებ ჩემმა შემწუხებლებმა უკან დაიხიონო.

— ჩემი და რომ გაჩნდა, — მიყვება ქალბატონი თამარი, — 20 წლის ვიყავი. ძალიან მიყვარდა, თავს ვევლებოდი. დედას რაღაც დაავადება შეხვდა და მალე გარდაიცვალა, მამაც მალე მიჰყვა. მთელი ოჯახის სიმძიმე მე დამაწვა. რას არ ვაკეთებდი, რომ დისთვის არაფერი მომეკლო. ვასწავლე, გზაზე დავაყენე, თავისი ოჯახიც შექმნა და თავისუფლად ამოვისუნთქე. გვიანღა გავაცნობიერე, რომ სიბერე შემომეპარა და მარტოხელა ვიყავი. გავიდა დრო. 70-ს გადავაბიჯე. ვატყობ, აღარავის ვჭირდები, ბევრი დამცინის კიდეც. ნაძალადევში ვცხოვრობ, მე-10 სკოლასთან, პატარა საკუთარი სახლი დამიტოვეს მშობლებმა. დღესდღეობით გაუსაძლის პირობებში ვარ. მეზობლებს დაბალ ღობედ მივაჩნივარ, შეურაცხმყოფენ, დიდი ხანია ვეჭვობდი, ჩემს „ხაზზე" ვიღაც ზის-მეთქი, მაგრამ ხმის ამოღებისა მეშინოდა. მერე დენის გადასახადი რომ 80 ლარი მომივიდა, გაზისა კი — 45 ლარი, მივხვდი, არ ვცდებოდი. ავდექი და პროტესტი გამოვთქვი. რას ჰქვია, ხმას იღებო — მომდგა მეზობლის კაცი და ხელი გამარტყა. ისედაც ფეხზე ძლივს ვდგავარ, პენსია და ინვალიდობის დახმარება ორი კვირაც არ მყოფნის, სულ მშიერი ვარ და კიდევ ცემა მინდოდა? ტირილ-ტირილით მივედი ნაძალადევის პოლიციაში და შევჩივლე ჩემი ამბავი. სასაცილოდ არ ეყოთ — დროზე გაგვეცალე, სანამ არ დაგვიჭერიხარ. მეზობლები შენზე ამბობენ, შეურაცხადიაო. თურმე გიჟად გამოვუცხადებივარ ჩემს მეზობლებს. ძალიან გთხოვთ, ჩემი გულისტკივილი დაბეჭდოთ გაზეთში. დაბეჭდილს რომ ნახავენ, იქნებ ჩემმა წამგლეჯმა მეზობლებმა ცოტათი უკან დაიხიონ. მე ხომ არც ტელევიზორი მაქვს და მაცივარშიც არაფერი მაქვს, ერთი ანთებული ნათურით 80 ლარის დენს როგორ დავწვავდი? ერთადერთი, რასაც ამიერიდან ვნატრობ (ორიოდ დღის სიცოცხლეღა დამრჩენია), ისაა, რომ მშვიდად მამყოფონ და არ შემავიწროონ.



# „ჭრელი ფლავი"

*ზაფხულში ხილი და ბოსტნეული უხვად არის. თუმცა სტუმარს მხოლოდ სალათით ან ხილით ვერ გაუმასპინძლდები. ამიტომ გთავაზობთ „ჭრელი ფლავის" რეცეპტს. იგი ძალიან გემრიელია და ნაკლებკალორიული. ფლავისთვის საჭიროა:*

*0,5 კგ გრძელი ბრინჯი;*
*2-2 ცალი მწვანე და წითელი ბულგარული წიწაკა;*
*2 ცალი საშუალო ზომის სტაფილო;*
*2 თავი თეთრი ხახვი;*
*1 ქილა დაკონსერვებული სიმინდი;*
*1 ქილა კიტრის მწნილი;*
*2 კონა ქინძი;*
*მარილი და შავი პილპილი — გემოვნებით.*

*მარილწყალში მოხარშული ბრინჯი გადავწუროთ, გადავავლოთ ბლომად ცივი წყალი და დავწრიტოთ. ბრინჯი უნდა იყოს ფანტია. ტაფაზე მოვასხათ ბლომად ზეთი და მოვშუშოთ ალყა-ალყად დაჭრილი ხახვი. შემდეგ დავაყაროთ ბრინჯი და ფრთხილად ავურიოთ. სტაფილო, მწვანე და წითელი ბულგარული წიწაკა (გრძლად დაჭრილი) შეგვიძლია ცხელშივე ავურიოთ, შევაზავოთ მარილით და შავი პილპილით. როცა გაგრილდება, დავუმატოთ მრგვალად დაჭრილი კიტრის მწნილი და დაკონსერვებული სიმინდი. ფლავი სუფრაზე ნელთბილი უნდა მივიტანოთ, მოვაყაროთ დაჭრილი ქინძი.*

***რუბრიკა მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა***
***ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 27-25-61***



1 — თითი
2 — საზოგადოებრივი განვითარების დონე
3 — დეკორატიული ჭურჭელი
4 — ძალა, ღონე
5 — ვაჟა-ფშაველას ნამდვილი გვარი
6 — უწვერულვაშო მამაკაცი
7 — გემის სარკმელი
8 — მოხერხება, შნო
9 — შოტლანდიური ნაგაზი
10 — ამერიკის შტატი



11 — ბოსტნეული
12 — წრეწირის შემოსახაზი ხელსაწყო
13 — მგალობელი ფრინველი
14 — საგანგებო დავალება
15 — სცენის განათება
16 — მხიარულება, დროს ტარება
17 — მტაცებელი ცხოველი



18 — ღრიანკალი
19 — ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი
20 — ცივი იარაღი
21 — ქალაქი რუსეთში
22 — სახელმწიფო აფრიკაში
23 — დოსტოევსკის რომანი
24 — რუსი პოეტი
25 — მუს. ნაწარმოების ხმადაბლა შესრულება
26 — წალკოტი უდაბნოში



27 — მედუდუკეთა ანსამბლი
28 — მოგზაურობა წრიული მარშრუტით
29 — კავკასიელ მთიელთა სოფელი
30 — ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი
31 — უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი
32 — საარჩევნო ყუთი
33 — ძალის ერთეული
34 — შტატი აშშ-ში
35 — უბანი თბილისში



36 — გერმანელი ფილოსოფოსი
37 — სახელმწიფო აზიაში
38 — სამკელი იარაღი
39 — ჯარისკაცი თურქეთში
40 — მოძრავი კიბე
41 — ციტრუსი
42 — ფერთა შეხამება
43 — იტალიელი მწერალი
44 — გემის ტვირთი
45 — ციებ-ცხელება
46 — ქიმ. ელემენტი, ლითონი
47 — ვულკანური მასა
48 — ტექსტის შეწეული სტრიქონი
49 — ლაბორატორიული ჭურჭელი
50 — ცურვის სტილი
51 — სახელმწიფო აფრიკაში
52 — ზევსის დედა
53 — კენგურუს სახეობა



54 — სისხლის მამოძრავებელი ორგანო
55 — პეპლების საჭერი მოწყობილობა
56 — პურის საცხობი
57 — განსჯის პროდუქტი
58 — ვაზის ჯიში
59 — მრწამსი
60 — საგანგებო სამართალი
61 — დიდი, უძლეველი სურვილი
62 — ღამის ფრინველი
63 — მინი-რესტორანი
64 — ნაბოკოვის რომანი





36-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები: 1. მიმიკა; 2. სიასამური; 3. დირექტორი; 4. არვე; 5. ლეგიონი; 6. გინესი; 7. პოლუსი; 8. კივი; 9. ყამირი; 10. ლივ; 11. ესენტუკი; 12. ასკერი; 13. რიქშა; 14. ავერსი; 15. კიმონო; 16. მეტრი; 17. კიპი; 18. კროლი; 19. ვეჩე; 20. მური; 21. ტორი; 22. გარგარი; 23. სეიმი; 24. ბონო; 25. ონი; 26. ლორი; 27. არარატი; 28. პარიკი; 29. ეკალა; 30. ლანგარი; 31. გოია; 32. ივა; 33. ლანცეტი; 34. ბოილერი; 35. ისანი; 36. ბისკვიტი; 37. რომბი; 38. ბატი; 39. ჰანოი; 40. ტრომბონი; 41. კიბო; 42. მონტანა; 43. სამაია; 44. სიმი; 45. რომა; 46. ვარდი; 47. რემისია; 48. ესტრადა; 49. ტატრა; 50. კალიოპე; 51. ის; 52. ტოკიო; 53. დარვინი; 54. დეკემბერი; 55. ფიტი; 56. ცინიზმი; 57. სოლიტერი; 58. სპიდვეი; 59. მარალი; 60. იდიოტია; 61. ლიბრი; 62. ასლი; 63. მონეტა; 64. ტოპონიმი; 65. დნეპრი; 66. ნიკორა; 67. იდალგო; 68. ნივა; 69. დაფი; 70. ლიზა; 71. ბანქო; 72. რაი; 73. ზაგრები; 74. ინგლისი; 75. ასთანა.

**სურათებზე:** არმსტრონგი. 1. აბრამოვიჩი; 2. ლისაბონი; 3. კუსტო; 4. კლეფსიდრა; 5. ნერო.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა ვანო კაჭახიძე

# იაპონიაში ტახტის მემკვიდრე გაჩნდა



Frankfurter Allgemeine
ZEITUNG FÜR DEUTSCHLAND

იაპონიის იმპერატორის უმცროსი ვაჟის, აკისინოს მეუღლეს, პრინცესა კიკოს ვაჟი გაუჩნდა. ეს სასიხარულო ამბავი მაშინვე აცნობეს კუნძულ ჰოკაიდოზე მყოფ იმპერატორ აკიჰიტოს.

1965 წლიდან იაპონელ პრინცესებს მხოლოდ გოგონები უჩნდებოდათ, რაც ძალზე აღელვებდა ხელისუფლებას და ხალხს, რადგან ამ ქვეყანაში გვირგვინი ქალს არასოდეს დაუდგამს. იმპერატორის უფროსი ვაჟის, ნარუჰიტოს 4 წლის ქალიშვილი აიკო აქამდე მსოფლიოს ერთ-ერთი კონსერვატიული სახელმწიფოს ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა — თუ მამამისს ვაჟი არ გაუჩნდებოდა, ის ავიდოდა „ქრიზანთემების ტახტზე".

ნანატრი უფლისწული, ბიძისა და მამის შემდეგ, ტახტის მესამე პრეტენდენტია. მისმა დაბადებამ ჩააცხრო მღელვარება, რომელიც მოჰყვა მთავრობის ახალ კანონპროექტს საიმპერატორო ტახტზე ქალის ასვლის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ამ კანონპროექტის მოთავე პრინცი ნარუჰიტოა, რომელსაც, ცხადია, სურდა, რომ მისი ქალიშვილი ეღიარებინათ მემკვიდრედ.

ახალშობილი პრინცი საიმპერატორო ოჯახის 23-ე წევრია. იმპერატორმა შვილიშვილს თავისი კოლექციის მშვენება — უძველესი ხმალი აჩუქა.

იაპონიაში საიმპერატორო ტრადიცია 2600 წელზე მეტს ითვლის. ამჟამინდელი იმპერატორი აკიჰიტო „ქრიზანთემების ტახტის" 125-ე მბრძანებელია.

# ბლერი, ბოლოს და ბოლოს, დაითანხმეს...

BBC

„სექტემბრის მიწურულს ჩატარებული კონფერენცია ჩემთვის, როგორც ლეიბორისტთა პარტიის ლიდერისთვის, ბოლო იქნება, გაისად სექტემბრამდე გადავდგები", — განაცხადა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა.

ბლერის გადაწყვეტილებას, უფლებამოსილების ვადამდე მოხსნის თაობაზე, სენსაციას ვერ დაარქმევ. დიდ ბრიტანეთში მის გადადგომას, რამდენიმე თვის შემდეგ, გადაწყვეტილად მიიჩნევენ. გაზეთ SUN-ის გამოკითხვის თანახმად, ბრიტანელთა დიდ ნაწილს აღიზიანებს ბლერის პროამერიკული პოლიტიკა.

პრემიერის არაპოპულარულმა პოლიტიკამ ლეიბორისტული პარტიაც აზარალა. 1997 წლიდან ხელისუფლების სათავეში მყოფი ლეიბორისტები ახლა პოპულარულობით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან მთავარ მეტოქეებს — კონსერვატორებს. შექმნილ ვითარებაში ბლერს ბევრი თანაპარტიელი გაემიჯნა და პრემიერ-მინისტრს ღია წერილით მოუწოდა გადადგომა. რვა ლეიბორისტმა პარლამენტარმა პარლამენტი დატოვა „პრემიერის მიერ შექმნილი გაურკვეველი ვითარების გამო".

ტონი ბლერის თანამოაზრის, გარემოს დაცვის მინისტრის, დევიდ მილიბენდის აზრით, ბლერმა პარტიისა და ქვეყნის მართვის სადავეები ამჟამინდელ ფინანსთა მინისტრს, გორდონ ბრაუნს უნდა გადასცეს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, გორდონ ბრაუნმა ტონი ბლერს მოსთხოვა, ოფიციალურად გამომაცხადე მემკვიდრედ და ვიდრე გადადგები, პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტილებებზე ვეტოს უფლება მომეციო. ამბობენ, აღშფოთებულმა ბლერმა მას შანტაჟისტი უწოდაო. გორდონ ბრაუნმა სახალხოდ არაფერი შეიმჩნია — პარტიის ლიდერის ნებისმიერ გადაწყვეტილებას ვემორჩილებიო. მართალია, ფინანსთა მინისტრი მომავალი პრემიერის სავარძლისთვის ბრძოლაში ნამდვილად ფავორიტია, მაგრამ სხვა კანდიდატებიც არიან.



ტონი ბლერი ლეიბორისტთა პარტიის ლიდერი მომავალი წლის 31 მაისიდან აღარ იქნება, ივლისის ბოლოს კი ცნობილი გახდება, ვინ შეცვლის გადამდგარ პრემიერს მთავრობის მეთაურის პოსტზე.

53 წლის ბლერი მინისტრთა კაბინეტის მეთაურად 1997 წელს აირჩიეს. მას შემდეგ ლეიბორისტებთან ერთად საპარლამენტო არჩევნებში სამჯერ გაიმარჯვა.

# ისრაელმა საზღვაო ბლოკადა მოხსნა

CNN

მას შემდეგ, რაც ლიბანის ტერიტორიულ წყლებში იტალიის, საბერძნეთისა და საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალთა გემები შევიდნენ, ისრაელმა საზღვაო ბლოკადა მოხსნა.

ლიბანში გაეროს შეიარაღებული ძალების მეთაურის, ფრანგი გენერლის, ალენ პელეგრინის თქმით, ევროპელ მეზღვაურებს დაეკისრათ ამოცანა — არ დაუშვან „ჰეზბოლაჰის" „ბოევიკებისათვის" კონტრაბანდული იარაღის მიწოდება.

ისრაელის ოფიციალურმა პირებმა ლიბანს საჰაერო ბლოკადაც შეუწყვიტეს იტალიის, საბერძნეთისა და საფრანგეთის სამხედრო გემების შესვლის წინადღეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ევროპელმა სპეციალისტებმა ივალდებულეს ლიბანის აეროდრომებზე ჩამოფრენილი ან აქედან გაფრენილი თვითმფრინავების დათვალიერება აკრძალული ტვირთის გამოსავლენად.




ივლისის დასაწყისში, როგორც კი „ჰეზბოლაჰის" „ბოევიკებმა" ორი ებრაელი სამხედრო მოსამსახურე ტყვედ აიყვანეს, ისრაელელებმა ლიბანთან საზღვაო და საჰაერო კავშირი აკრძალეს.

## მოკლედ

**ირანის** ყოფილ პრეზიდენტს მოჰამედ ხატემის მიაჩნია, რომ ირანის ბირთვული პროგრამის შეჩერება შეიძლება. ამის შესახებ მან აშშ-ში, არაოფიციალური ვიზიტით ყოფნისას განაცხადა: ბოლო 27 წელია, ისლამური რევოლუციისა და ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტის შემდეგ ამ დონის არც ერთი ირანელი პოლიტიკოსი აშშ-ში არ ყოფილა.

სურვილის მიუხედავად, ირანის ყოფილი პრეზიდენტი თეთრ სახლში არ მიიღეს. აშშ-ის ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ თეირანთან უშუალო დიალოგის დრო ჯერ არ დამდგარა. მოჰამედ ხატემი, რომელსაც ირანში ლიბერალურ ძალთა წარმომადგენლად მიიჩნევენ, ცდილობს, ამერიკელები მუქარის ნაცვლად მოლაპარაკების აუცილებლობაში დაარწმუნოს.



**ჩიკაგოელ** მელვენა კუკს ბრალი ედება ქალაქის ცენტრში ბანკის გაძარცვის მცდელობაში. 79 წლის პენსიონერი Bank of Amerika-ს ფილიალში მივიდა და მოლარეს უთხრა, — კბილის ექიმისგან მოვდივარ, მხოლოდ ჩურჩულით შემიძლია ლაპარაკიო. როცა მოლარე მისკენ დაიხარა, მოხუცმა ქალმა ყურში ჩასჩურჩულა — 30 ათასი დოლარი ჩანთაში ჩამიდეო და რევოლვერი დაუმიზნა. მოგვიანებით გაირკვა, რომ რევოლვერი სათამაშო იყო. მოლარემ შეუმჩნევლად ღილაკს თითი დააჭირა, პოლიცია გამოიძახა და ვითომდა ყაჩაღის მოთხოვნის შესასრულებლად გავიდა. როცა ქალბატონი კუკი მიხვდა, რომ არავინ არაფერს მოუტანდა, ბანკიდან გაიპარა. პოლიციამ მოხუცი მეზობელ მალაზიაში დააკავა. შესაძლოა იქ აპირებდა განგსტერობას. 79 წლის ქალბატონს 20-წლიანი ციხე ელის.

**ანტარქტიდისკენ** გაემართა პოლარული ტურიზმის ისტორიაში უდიდესი საკრუიზო ხომალდი GOLDEN PRINCESS-ი. იგი იმ ხომალდებზე ათჯერ დიდია, რომელთაც ტურისტები ყინულოვან კონტინენტზე ოდესმე ჩაუყვანიათ. ხომალდი 3800 მგზავრსა და ეკიპაჟის წევრს იტევს.

# ყველაზე მასშტაბური ტერაქტი მსოფლიოში




## 5 წელი ამერიკის ტერაქტის შემდეგ

2001 წლის 11 სექტემბრის დილას, მაშინ, როცა ნიუ-იორკელები სამსახურებსა და სასწავლებლებში მიიჩქაროდნენ, ამერიკის უდიდესი საქმიანი ცენტრი ძლიერმა აფეთქებამ შეარყია. ცას ცეცხლის ენები მოედო, მერე კი მანჰეტენი შავ ნისლში გაეხვია... ცოტა ხანში გაოგნებული და თავზარდაცემული ხალხის წინაშე საშინელი სურათი გადაიშალა — მსოფლიოში ცნობილი ორი ცათამბჯენი, რომელსაც ამერიკელებმა სიყვარულით „ტყუპი" შეარქვეს, დაქცეული იყო...

მანამდე კი, დილის 7.59 სთ-ზე, ბოსტონიდან აფრენილმა ავიაკომპანია American Airlines-ის თვითმფრინავმა, Boing-767-მა (რეისი №11), გეზი ლოს-ანჯელესისკენ აიღო. თვითმფრინავში 81 მგზავრი, ორი პილოტი და ეკიპაჟის ცხრა წევრი ისხდნენ. როგორც კი ლაინერი ნიუ-იორკის შტატის საჰაერო სივრცეში აღმოჩნდა, უეცრად გეზი იცვალა და ქალაქ ნიუ-იორკისკენ გაემართა. 8.45 სთ-ზე თვითმფრინავი მთელი ძალით შეიჭრა ამერიკის სიმბოლოს, 110-სართულიანი სავაჭრო ცენტრის ჩრდილო კოშკის დაახლოებით 84-ე სართულში და უზარმაზარი ღრმული გააკეთა. მძლავრი აფეთქების შემდეგ ცათამბჯენი ცეცხლის ალში გაეხვია.

მე-11 რეისის კვალდაკვალ, 8.14 სთ-ზე, Boing-767 (რეისი №175) ბოსტონის საერთაშორისო აეროპორტ ლოგანიდან აფრინდა. ისიც ლოს-ანჯელესისკენ მიემართებოდა, მაგრამ ნიუ-ჯერსის რომ მიუახლოვდა, შემოტრიალდა და... მანჰეტენისკენ გაფრინდა. 9.03 სთ-ზე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის სამხრეთ კოშკის 50-ე სართული სწორედ ამ ლაინერმა გაატარანა, რასაც მძლავრი აფეთქება მოჰყვა. თვითმფრინავი ფასადიდან შეიჭრა ცათამბჯენში და დალეწილი, ალმოდებული შენობის უკანა მხრიდან გამოვარდა.

9.40 სთ-ზე სამგზავრო თვითმფრინავი (რეისი №77) ვაშინგტონის გარეუბანში, პენტაგონის შენობას შეასკდა, რასაც შენობის ნაწილი შეეწირა.

დაახლოებით 10.30 სთ-ზე, პიტსბურგიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, კიდევ ერთი თვითმფრინავი დაენარცხა მიწას.

საღამოს 6 სთ-ზე კი, ნიუ-იორკში, „ტყუპის"




ახლოს მდგარი საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის 47-სართულიანი შენობაც დაინგრა...

ტრაგედიის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტყუპთაგან მხოლოდ ერთი ყოფილა დაზღვეული — აბა, ვინ წარმოიდგენდა ამგვარ საშინელებას... გაირკვა ისიც, რომ ცენტრში ხალხის მასობრივ დაღუპვას ცათამბჯენების კიბეების არასწორმა განლაგებამაც შეუწყო ხელი.

2002 წლის 15 ივლისს გამოქვეყნდა ტერაქტების შედეგად დაღუპულთა სიები, რომელიც 3 ათას კაცს აღემატებოდა. ხოლო ზარალი ძნელი დასათვლელი აღმოჩნდა...

12 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში მომხდარი ტერაქტების გამოძიება დაიწყო.

### ტერორისტები

როგორც გაირკვა, ტერაქტების მზადება 1996 წელს დაწყებულა. მომავალი ტერორისტები ფრენას ფლორიდის შტატის საფრენოსნო სკოლაში სწავლობდნენ!..

და... ქაღალდის საჭრელი დანებით შეიარაღებულმა 19-მა თვითმკვლელმა ისლამისტმა 4 ამერიკული თვითმფრინავი იოლად იგდო ხელთ და საშინელებაც დატრიალდა.

ტერორისტებს ხელმძღვანელობდა „ალ-ქაიდას" ჰამბურგის განყოფილების ლიდერი მოჰამედ ატა. ეს საზარელი საქმე ჰალიდ შეიხ მოჰამედმა დაგეგმა, ხოლო მთავარი ორგანიზატორი და ტერაქტის სულისჩამდგმელი — „ალ-ქაიდას" თავკაცი უსამა ბინ ლადენი გახლდათ. საქმის ძიების დროს ისიც გაირკვა, რომ ტერორისტები თეთრი სახლის განადგურებასაც აპირებდნენ.

სწორედ ეს, მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური ტერაქტი გახდა საბაბი იმ ომებისა, რომელიც შემდგომ აშშ-მა წამოიწყო ჯერ ავღანეთში, შემდეგ კი ერაყში.

### „სისხლიანი ფული"

...ეს იყო ლატარია, რომელშიც მოგება არავის სურდა.

იმ დღეს, როცა ნიუ-იორკში ტყუპი კოშკი დაინგრა, ასობით ქალი დაქვრივდა და დარჩა მარჩენლის გარეშე. როგორც კი ამერიკა გონს




მოეგო, ნიაღვარივით წამოვიდა შემოწირულობები. კონგრესმა ერთ მილიარდდოლარიანი საკომპენსაციო ფონდი შექმნა და მგლოვიარე ცოლები თვალის დახამხამებაში გახდნენ მილიონერები. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ფული კიდევ ერთხელ დაანგრევდა ზოგიერთი მათგანის ცხოვრებას — უცებ გამოჩნდნენ შურიანი და განაწყენებული ნათესავები. ზოგიერთი ქვრივი ისე გადარია მოულოდნელად მოვარდნილმა სიმდიდრემ, რომ ფულის უაზროდ ფლანგვა დაიწყეს და მაქინატორებს ჩაუცვივდნენ ხელში. ბევრ მათგანს სასამართლოებში მოუხდა თავისი უფლებების დაცვა მოშურნე ნათესავებისგან. ამას ისიც დაერთო, რომ ზოგიერთი ქვრივის მილიონებით სხვისი ქმრები მოიხიბლნენ და კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩინეს „მგლოვიარე" ქალბატონებს.

მათ, ვინც 7 მილიონ დოლარამდე „სისხლიანი ფული" აიღეს, სახელმწიფოსა და ავიაკომპანიის წინააღმდეგ ჩივილი აეკრძალათ.

ფინანსური დახმარება მსხვერპლის ასაკითა და პოტენციური ხელფასით განისაზღვრა — დაღუპულთა ცოლებს 250 ათასი დოლარიდან 7 მლნ-მდე ერგოთ. საშუალო დახმარება 1,6 მლნ დოლარს შეადგენდა. აღმოჩნდა, რომ მაღალხელფასიანთა ქვრივები მულტიმილიონერები გახდნენ. მაგრამ ქალების უმრავლესობა უკმაყოფილო იყო ამ გრადაციით — ისინი თანაბარ კომპენსაციას ითხოვდნენ.

კომპენსაციით კმაყოფილნი ბოლოს მიხვდნენ, რომ მათ ფულმა ნუგეში ვერ სცა. მაგალითად, კეისი ტრანტმა მთელ ამერიკაში იმით გაითქვა სახელი, რომ ამ ხუთი წლის მანძილზე 5 მლნ დოლარი გაფლანგა — მარტო 300 ათასი გირვანქა სტერლინგი ცნობილი დიზაინერის ფეხსაცმელებში მისცა, ათასობით დოლარი კი მეგობარ ქალებს მკერდის გასადიდებლად ჩამოურიგა...

კეისისა და კიდევ მრავალი ქვრივის ამბავი აისახა მხატვრულ-დოკუმენტურ ტელეფილმში, რომელიც ახლა, ტრაგედიის 5 წლისთავთან დაკავშირებით გადის ტელევიზიით.

5 წელი გავიდა. ამერიკა ნელ-ნელა დაუბრუნდა ცხოვრების ჩვეულ რიტმს. რასაკვირველია, დაისვა დანგრეული ცათამბჯენების ადგილას ახალი შენობების აგების საკითხი. გამოცხადდა კონკურსი. ბრიტანელებმა — ნორმან ფოსტერმა და რიჩარდ როჯერსმა და იაპონელმა ფუმიჰიკო მაკიმ დააპროექტეს თითო-თითო შენობა, რომლებიც გარს შემოერტყმებიან „ტყუპის" ადგილას აღმართულ მემორიალს. კომპლექსის მშენებლობა 11 მლრდ დოლარი დაჯდება და 2012 წლისთვის დასრულდება.

11 სექტემბრის ტრაგიკული ფაქტი ასახა მემორიალურ სკულპტურულ კომპოზიციაში მოქანდაკე ზურაბ წერეთელმაც. ძეგლი, სახელწოდებით „გლოვის ცრემლი", 2006 წლის 11 სექტემბერს გაიხსნება აშშ-ში, ჰუდსონის სანაპიროზე. 32-მეტრიანი გიგანტური ბრინჯაოს სტელა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთ კოშკს ჩამოჰგავს — კოშკის „სხეული" გახლეჩილია და ნაპრალში „გლოვის ცრემლია" ჩამოღვენთილი. კვარცხლბეკზე დაღუპულთა გვარებია ამოტვიფრული.

**გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზზე ფასი სავარაუდოდ 2007 წლიდან გაორმაგდება



„გაზპრომი" აპირებს ბუნებრივი აირი იანვრიდან ყველა იმპორტიორ ქვეყანას გაუძვიროს, მათ შორის ალბათ, საქართველოც იქნება. მოსკოვს ამის შესახებ თბილისისთვის ოფიციალურად არ შეუტყობინებია, თუმცა, საქართველოში დარწმუნებული არიან, რომ ზამთრის სეზონის მოახლოებისთანავე ეს საკითხი გააქტიურდება. „გაზპრომთან" გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს საქართველო 110 დოლარად იღებს, ვადა 31 დეკემბერს ეწურება და რუსული ენერგოგიგანტის მხრიდან ახალ ულტიმატუმს თბილისში ნოემბრიდან ელოდებიან.

რუსეთის მიერ გაზის გაძვირება კიდევ უფრო რეალური გახდა მას შემდეგ, რაც გასულ კვირას „გაზპრომმა" თურქმენეთთან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმად, რუსული კომპანია 2007 წლიდან 2010 წლამდე თურქმენულ გაზს 65 დოლარის ნაცვლად 100 დოლარად იყიდის. ამ ხელშეკრულებით რუსულმა კომპანიამ თურქმენული აირის შესყიდვასა და შემდეგ მის ევროპისთვის მიწოდებაზე ექსკლუზიური უფლება მოიპოვა. ევროპის ბაზარზე მონოპოლისტის პოზიცია „გაზპრომს" გაზის ტარიფის გაზრდაში სრულ თავისუფლებას მისცემს. „გაზპრომი" თურქმენბაშს დათანხმდა მომავალი სამი წლის განმავლობაში ადრინდელზე 6 მილიარდი დოლარით მეტი გადაუხადოს და ამ ფასად შუა აზიის ქვეყნის გაზს ევროპისკენ გზა მოუჭრას. რუსეთ-თურქმენეთის ამ შეთანხმების შემდეგ დროებით მაინც აზრს კარგავს ტრანსკასპიურ გაზსადენთან (რომლითაც შუააზიური გაზი ევროპაში უნდა გავიდეს) თურქმენული გაზის მიერთების პროექტიც. თურქმენბაშმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ ტრანსკასპიური გაზსადენის საკითხის განსახილველად მზად არ არის.

„გაზპრომი" შეეცდება თურქმენული გაზის შესყიდვის გამო გაზრდილი ხარჯები იმ ქვეყნების ხარჯზე დაფაროს, ვისაც ის ბუნებრივ აირს აწვდის. ამ ქვეყანათა სიაში, ბუნებრივია, საქართველოც მოხვდება. თურქმენეთის მიერ ტარიფის აწევით „გაზპრომი" ყველაზე ნაკლებად რომ იზარალებს, ამას რუსი ექსპერტებიც ირწმუნებიან. მეტიც, რუსულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, თურქმენეთთან ახალი შეთანხმება „გაზპრომის" მონოპოლისტურ პოზიციებს ევროპაში კიდევ უფრო გაამყარებს. რუსი ანალიტიკოსების პროგნოზით, ამ ხარჯების ნაწილობრივ კომპენსირება პირველს უკრაინას მოუწევს. მას აღარ ექნება საშუალება პირდაპირი ხელშეკრულება გააფორმოს თურმენეთთან და იძულებული გახდება, გაზი რუსეთისგან მომატებულ ფასად იყიდოს. ენერგობაზრის ანალიტიკოსთა ვარაუდით, სულ მალე უკრაინას გაზის ტარიფს „გაზპრომი" 95 დოლარიდან 140 დოლარამდე გაუზრდის. უკრაინამ ახალ ტარიფზე მოლაპარაკებები „გაზპრომის" ხელმძღვანელობასთან ამ დღეებში უნდა დაიწყოს.

ტარიფის მომატების ულტიმატუმის დაყენებისას რუსეთი განსაკუთრებულ აქცენტს უკრაინასთან ერთად მოლდავეთსა და საქართველოზე გააკეთებს, რომელთათვისაც რუსული აირი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შემდეგ ჯერი დასავლეთ ევროპის ქვეყნებზეც მიდგება. ბალტიისპირეთის ქვეყნებში „გაზპრომი" აირის ფასს მალე 160 დოლარამდე აწევს. მოსკოვი მისი მოკავშირე ბელორუსიის დანდობასაც აღარ აპირებს. „გაზპრომმა" ბელორუსიას, რომელიც დღეს გაზს ყველაზე დაბალ ფასად — 43,5 დოლარად იღებს, შეატყობინა, რომ მომავალი წლიდან ათას კუბურ მეტრ აირში მინიმუმ 145 დოლარის გადახდა მოუწევს. არ არის გამორიცხული, „გაზპრომმა" ათასი კუბური მეტრი აირი ბელორუსიას 200 დოლარამდეც გაუძვიროს, თუ ლუკაშენკოს მთავრობა მას გაზის გამანაწილებელი კომპანია „ბელტრანსგაზის" მიყიდვაზე არ დათანხმდება. თავის მხრივ ლუკაშენკო პარტნიორი რუსეთისგან ითხოვს, ჩვენ თუ გაგვიძვირებთ, ნედლეულზე ფასი ყველა მეზობელ ქვეყანაშიც გაზარდეთო.

როგორ შეიძლება აარიდოს თავი საქართველომ „გაზპრომის" შანტაჟს? ენერგეტიკის სამინისტრო ალტერნატიულ პროექტებზე მუშაობს და ყველაზე დიდ იმედს შაჰდენიზი-ერზრუმის გაზსადენზე ამყარებს, საიდანაც საქართველომ გაზის პირველი ნაკადი ოქტომბერში უნდა მიიღოს. შაჰდენიზი-ერზრუმის გაზი მომავალში მართლაც ყველაზე რეალურ ალტერნატივად შეიძლება იქცეს. წელს კი საქართველოს ამ მილსადენიდან მხოლოდ 200-250 მილიონ კუბური მეტრი აირი ეკუთვნის, რაც საქართველოს მიერ წლის განმავლობაში მოხმარებული აირის მეხუთედია. ქართული მხარე აზერბაიჯანთან და თურქეთთან მოლაპარაკებას აგრძელებს 2007 წლის ზამთრის სეზონისთვის ბუნებრივი აირის წილის 1,5 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდის შესახებ. გაზის არც ეს მოცულობა იქნება ქვეყნის სრული მომარაგებისთვის საკმარისი, რადგან ექსპერტთა გათვლებით, მომავალი წლისთვის მოთხოვნილება ბუნებრივ აირზე საქართველოში 2 მილიარდ კუბურ მეტრს გადააჭარბებს. მომავალ წელს შაჰდენიზის აირი რუსულ გაზს მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ჩაენაცვლოს, ასე რომ, „გაზპრომის" ძვირი აირი საქართველოს ჯერჯერობით მაინც დასჭირდება.

თავის მხრივ, ყაზახური გაზის შემოტანას ცდილობს „ყაზტრანსგაზ-თბილისი", თუმცა, ეს ვარიანტი რუსული გაზის ალტერნატივად ვერ ჩაითვლება, რადგან ყაზახეთიდან წამოსულმა ბუნებრივმა აირმა, ვიდრე საქართველოს ტერიტორიაზე შემოვა, „გაზპრომის" მილებში უნდა გამოიაროს. „ყაზტრანსგაზ-თბილისის" ხელმძღვანელობა ამჟამად მოსკოვში იმყოფება და ცდილობს, „გაზპრომი" ყაზახური გაზის საქართველომდე გამოტარებაზე დაიყოლიოს. როგორც ქართველი ენერგოექსპერტები ირწმუნებიან და ამას არც „ყაზტრანსგაზ-თბილისის" ხელმძღვანელობა უარყოფს, „გაზპრომი" ამ დათმობაზე მხოლოდ ყაზახური გაზის რუსული აირის ფასთან გათანაბრების პირობით წავა. ამასთან, მოსკოვი მეორე რუსულ კომპანია „იტერას" (ბუნებრივ აირს საქართველოს რეგიონებში ანაწილებს) არ მისცემს უფლებას, გაზი „გაზპრომის" ფასზე იაფად მიაწოდოს. გარდა ამისა, რუსეთ-ირანის ბოლო შეხვედრას თუ გავითვალისწინებთ, როცა ამ ქვეყნების პრეზიდენტები გაზზე ფასების დაბალანსებაზე შეთანხმდნენ, სავარაუდოდ, მეორე ალტერნატიული წყარო, ირანის ბუნებრივი აირიც გაგვიძვირდება.

**გიგი ძოიავა** („ყაზტრანსგაზ-თბილისის" გენერალური დირექტორი): „მოლაპარაკება „გაზპრომთან" ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, როცა ყაზახებმა გამოთქვეს ინტერესი „თბილგაზის" მიმართ. უფრო სწორად, როცა ჩვენმა მთავრობამ ყაზახურ მხარეს „თბილგაზის" შესყიდვის წინადადებით მიმართა. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო ამ საკითხზე შეთანხმება ვერ მოხერხდა. ვფიქრობ, რომ რუსეთის დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ უკვე შეცვლილია. წლის დასაწყისში, როცა მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით „გაზპრომში" ყაზახური გაზის საქართველოში ტრანსპორტირების მიმართ აბსოლუტურად ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ, ამბობდნენ, რომ ეს შეუძლებელია. ბოლო შეხვედრის დროს კი, რომელიც დაახლოებით ერთი თვის წინ გვქონდა, ეს პოზიცია უკვე შერბილებული იყო. რუსებმა განაცხადეს, რომ ახალი წლიდან ეს სავსებით შესაძლებელია. ეს ლოგიკურიცაა, იმიტომ, რომ ყაზახებს საკუთარი გაზის თავის ობიექტამდე მიტანა უნდათ და რუსეთს ამაზე უარს ვერ ეტყვის. ყაზახეთი საკითხს ასე აყენებს, — მინდა ჩემს კომპანიას გაზი მივაწოდო და გამატარებინე. თუმცა, არის მთელი რიგი პრობლემები. რუსეთს, ბუნებრივია, არ უნდა დათმოს თავისი მონოპოლისტური პოზიციები. იმდენად სერიოზულია ეს საკითხი, რომ იგი ყაზახეთისა და რუსეთის პრეზიდენტების დონეზეც იხილება. როგორი იქნება ტარიფი, ჯერ არ ვიცით. გაზის ფასი მხოლოდ ნოემბერში გვეცოდინება. ცხადია, რომ ის „გაზპრომის" ტარიფზე დაბალი არ იქნება, სამაგიეროდ, ყაზახური გაზის მიღებას იანვრიდან გარანტირებულად, სტაბილურად შევძლებთ და მისი იმპორტი პოლიტიკურ სიტუაციის ცვლილებაზე არ იქნება დამოკიდებული".

რამდენით გაძვირდება რუსული გაზი, დანამდვილებით თქმა ძნელია. თუ დსთ-ის სივრცეში გაზის ფასის საერთაშორისო ტარიფთან გათანაბრების შესახებ „გაზპრომის" მუქარას გავიხსენებთ და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში რუსული კომპანია გაზს პოლიტიკურ ფასს ადებს (დსთ-ში „გაზპრომი" საქართველოს ახლაც ყველაზე მაღალ საფასურსახდევინებს), ფასი სავარაუდოდ 220 დოლარს უნდა გაუტოლდეს. თუ ასე მოხდა, საქართველოში გაზის ფასი გაორმაგდება. საქართველოს გაზგამანაწილებელ კომპანიებს, რომლებიც ახლაც წამგებიანობაზე ჩივიან, გადაწყვეტილი აქვთ სემეკს მიმართონ და ტარიფის გაზრდა მოსთხოვონ. გაზზე ფასის გაორმაგების შემთხვევაში მომავალი წლიდან ინფლაციური პროცესები განსაკუთრებით საგრძნობი გახდება. ექსპერტთა პროგნოზით, ამ შემთხვევაში პროდუქტზე ფასები 10-15 პროცენტით აიწევს.

# საოჯახო ნივთების განვადებით უმეტესად საშუალო შესაძლებლობის მოქალაქეები სარგებლობენ

## ბანკის კრედიტებითა და განვადებით სარგებლობა ძვირი ჯდება

ქართველები სულ უფრო ხშირად ყიდულობენ საოჯახო ნივთებს საბანკო კრედიტით. ისინი ბანკებს უმეტესად მაშინ აკითხავენ, როცა ე.წ. „ხანგრძლივი" მოხმარების საგნების, მაგალითად, ტელევიზორის, მაცივრის, სარეცხი მანქანის ან ავეჯის შეძენა სურთ. სამომხმარებლო სესხებზე მოთხოვნა ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაორმაგდა. ერთი მხრივ იმიტომ, რომ მოთხოვნილება იზრდება საოჯახო ტექნიკაზე და ამავე დროს, მოსახლეობისთვის უფრო ხელსაყრელია შეძენილი ნივთების საფასური ნაწილ-ნაწილ დაფარონ.

მოქალაქეებზე გაცემული სამომხმარებლო კრედიტების მოცულობა, საპროცენტო განაკვეთები და მოთხოვნები საქართველოში დღეისათვის არსებულ კომერციულ ბანკებს თითქმის ერთნაირი აქვთ. გასაცემი თანხის ოდენობა 200-დან 3.000 დოლარამდე მერყეობს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 18-24 პროცენტია და ბანკი კლიენტს მას სესხის მოცულობისა და გადახდის გრაფიკის მიხედვით უდგენს.

კომერციული ბანკების პირობებს შორის განსხვავება იმაშია, რომ გაცემული თანხის დაკარგვისგან ზოგიერთი ბანკი თავს მეტად იზღვევს, ზოგი კი უფრო მეტად რისკავს და მსესხებელს შედარებით ლიბერალურ მოთხოვნებს უყენებს. ბოლო დროს, ბანკებს შორის კონკურენციის გაძლიერების გამო, ბევრმა საფინანსო ორგანიზაციამ კლიენტების მიზიდვის მიზნით, მოთხოვნები შეარბილა და მცირე სესხებს უკვე გირაოს გარეშე გასცემს (უფრო დიდი მოცულობის კრედიტის — 600 დოლარიდან ზევით — გაცემისას ბანკები გირაოში ძვირფასი ნივთების ჩადებას ითხოვენ. 3.000 დოლარის ზევით კრედიტის გამოსატანად კი უკვე უძრავი ქონების, ბინებისა და კომერციული ფართის დაგირავეება აუცილებელი პირობაა). გირაოს გარეშე ე.წ. მომენტალური განვადების მომსახურებისას ბანკები კლიენტისგან ხელფასის ოდენობის შესახებ ცნობის მიტანასაც აღარ ითხოვენ, რადგან, ასეთი დოკუმენტის მოპოვება კრედიტის გამომტანისთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

თუმცა, მოთხოვნათა შერბილების პარალელურად, ბანკები თავს სხვა გზებითაც იზღვევენ, ისინი გაცემულ კრედიტს აზღვევენ და დაზღვევის საფასურიც გაცემული კრედიტის საპროცენტო განაკვეთში შეაქვთ. ასე რომ, როცა სესხის ამღები ბანკის შეტყობინებას ნახავს, შეიძლება თმა ყალყზე დაუდგეს — კრედიტის მომსახურებისთვის გადასახდელი თანხის რეალური ოდენობა შეიძლება მოსალოდნელზე ორჯერ მეტიც აღმოჩნდეს. საბოლოოდ, ბანკის კრედიტი საკმაოდ ძვირი გამოდის და ზოგიერთი მას ველარ იხდის. დაუბრუნებელი კრედიტები, რომელთა ოდენობა ოფიციალური მონაცემებით, მთლიანად გაცემული კრედიტების 2,5 პროცენტს შეადგენს, ბანკების მთავარი თავსატეხი გახდა. თუმცა, დამოუკიდებელი ექსპერტები ირწმუნებიან, რომ საქმე გაცილებით რთულადაა და დაუბრუნებელი კრედიტების მოცულობა გაცილებით დიდია. დაუბრუნებელი კრედიტების ამოღების მეთოდი ყველა ბანკს განსხვავებული აქვს, თუმცა, ისინი კონფიდენციალურობის მოტივით ამ მეთოდებზე არ საუბრობენ. უცხოეთში ბანკებმა ერთი პერიოდი სცადეს უპასუხისმგებლო კლიენტები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ, თუმცა, ამ მეთოდმა არ გაამართლა და ქართულმა ბანკებმაც ბრძოლის რადიკალურ მეთოდებზე უარი თქვეს. ბანკებს შეეშინდათ, რომ ასე კლენტებს დააფრთხობდნენ, რომლებიც მათ ჰაერივით სჭირდებათ. ამიტომ საკრედიტო დაწესებულებები იმ კლიენტებთან, რომლებიც ფულს ვერ აბრუნებენ, მშვიდობიან მოლაპარაკებებს ამჯობინებენ. კომერციული ბანკები ცდილობენ დაუბრუნებელი კრედიტების შესახებ არ ისაუბრონ, რადგან ინფორმაციის გაჟონვა ნიშნავს, რომ ამ საფინანსო ორგანიზაციის მიმართ კლიენტთა ნდობა მოიკლებს.

კლიენტების მოზიდვისა და სერვისის გამარტივების მიზნით: კომერციული ბანკები დღეს უკვე პირდაპირ საოჯახო ტექნიკის მაღაზიებთან აფორმებენ ხელშეკრულებას, რომლებიც კლიენტს არჩეულ ნივთს განვადებით აძლევენ. საოჯახო ნივთების განვადებით შეძენა სულ უფრო პოპულარული ხდება საშუალო შემოსავლების მქონე მოქალაქეთა შორის (ამ მომსახურებით უმეტესად, სწორედ ამ კატეგორიის მოქალაქეები სარგებლობენ). მყიდველმა იცის, რომ დღეს გადაიხდის პირველ შენატანს მაგალითად, 100 ლარს, შინ წაიღებს სასურველი დიაგონალის ახალ ტელევიზორს და მის საფასურს შემდეგ ნელ-ნელა დაფარავს. საოჯახო ტექნიკის დიდ მაღაზიებში ბანკებს უკვე ჰყავთ გაყიდვების მენეჯერი, რომელიც კლიენტს განაცხადს 15-30 წუთში უვსებს. ნივთის მყიდველს მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენა სჭირდება, ანუ მას ბანკში სამომხმარებლო კრედიტის ასაღებად მისვლა და შემდეგ მაღაზიიდან ინვოისის წაღება აღარ უწევს და ბანკსა და მაღაზიას შორის მიმოსვლაში 2-3 დღეს აღარ კარგავს. ბანკის მომსახურების საფასური, რა თქმა უნდა, განვადებით გამოტანილი ნივთის საბოლოო ფასში შედის, რაც მის ღირებულებას დაახლოებით 12-22 პროცენტით აძვირებს. ბანკიდან კრედიტის გამოტანას და ამ თანხით საოჯახო ნივთის შეძენას კლიენტს განვადება ურჩევნია, თუმცა ამ შემთხვევაშიც მას შენაძენი საკმაოდ ძვირი უჯდება.

*გვერდი მოამზადა*
*ნონა ქვლივიძემ*

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 9 სექტემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,7439 |
| ევრო | 2,2181 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,2675 |
| რუსული რუბლი | 0,0652 |
| თურქული ლირა (1*) | 1,1875 |

ევროპული დონის პოლიგრაფია
ფერადი ბეჭდვა „ჰეიდელბერგის" გერმანულ დანადგარებზე
შპს „გოდოლი"

ხარისხი
ოპერატიულობა
ფასი
ტელ: 56-40-56
877-43-04-57

„ტოპსტროის" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 ა. „დიდუბის" გვერდით
☎ 34-49-40; 35-47-47; 26-30-50; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 35-13-13

შპს „ბეოკორი"
აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მათზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ჩემი 13 წლის ვაჟი მთელი დღე უზის კომპიუტერს — მონიტორს თითქმის 6-7 საათი თვალმოუშორებლად მისჩერებია.**
**მეშინია, რომ მხედველობას დაიზიანებს. როგორ მოვიქცე?**

**ანა კაკულია**

12-16 წლის მოზარდი კომპიუტერთან დღეში მხოლოდ 2 საათს უნდა ატარებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხედველობას უსათუოდ დაიზიანებს. ეცადეთ, აუხსნათ ეს თქვენს შვილს. გარდა ამისა, აუცილებელია კომპიუტერთან სამუშაო ადგილის სწორად მოწყობა:

— ეკრანიდან თვალებამდე მანძილი არ უნდა იყოს 50სმ-ზე ნაკლები. ეკრანი თვალების დონეზე ან ოდნავ დაბლა უნდა მდებარეობდეს.

— მუშაობისას ოთახში უნდა ენთოს სინათლე ან მაგიდის ლამპა. ეკრანს არ უნდა ხვდებოდეს ფანჯრიდან შემოსული სინათლე.

— ყოველ 20-30 წუთში უნდა შეწყვიტოთ მუშაობა და თვალების რამდენიმე მარტივი ვარჯიში ჩაატაროთ:

1. თვალები მაგრად დახუჭეთ, დაითვალეთ 10-მდე, შემდეგ ფართოდ გაახილეთ და კვლავ 10-მდე დაითვალეთ. ვარჯიში 2-3-ჯერ გაიმეორეთ.
2. საჩვენებელი თითი გაიჩერეთ თვალების დონეზე სახიდან 30სმ-ის მოშორებით. 10 წამის განმავლობაში უყურეთ თითს, შემდეგ გაიხედეთ ფანჯარაში და მზერა შორეულ საგნებზე გადაიტანეთ. გაიმეორეთ ეს ვარჯიში სამ-ოთხჯერ.
3. დახუჭეთ თვალები, დაიფარეთ ხელისგულები და რამდენიმე წამის განმავლობაში მსუბუქი წრიული მოძრაობით გაიკეთეთ თვალის კაკლების მასაჟი.
4. დახუჭეთ თვალები და შეასრულეთ თავის წრიული მოძრაობა ჯერ მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ, რამდენიმეჯერ.

**ვარ სისხლის დონორი. სისხლი ჩაბარებული მაქვს 60-ჯერ. მაინტერესებს, არსებობს თუ არა არტერიული წნევის ზღვარი, რომლის დროსაც არ შეიძლება დონორისგან სისხლის აღება? სისხლის გადასხმის პუნქტებში ზოგჯერ საერთოდ არ მიზომავენ წნევას, ზოგჯერ კი ნებისმიერი წნევისას მიღებენ სისხლს.**

**ვახტანგ ზ.**

I-II სტადიის ჰიპერტონიული დაავადება სისხლის დონორობის აბსოლუტური უკუჩვენებაა. შეიძლება თუ არა ადამიანისაგან სისხლის აღება, ეს დამოკიდებულია არა არტერიული წნევის დონეზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შინაგანი ორგანოების დაზიანება ჰიპერტონიის ფონზე. თუკი დონორი მიდის სისხლის ჩასაბარებლად და მისი წნევის მაჩვენებელი 160/100მმ ვწყ.სვ-ზე მაღალია, მას უნდა ურჩიონ, რომ თავი შეიკავოს სისხლის ჩაბარებისგან და ჩაიტაროს დამატებითი გამოკვლევები.

## კარაბადინი

**სოფელში ვცხოვრობ. ძალიან მიყვარს ხალხური რეცეპტები. თავადაც ხშირად ვაკვირდები ამა თუ იმ ბოსტნეულის და მწვანილის სამკურნალო ეფექტს. გაგიკვირდებათ და, ჩვეულებრივ ხილ-ბოსტნეულს, რომელთაც ყოველდღე მიირთმევთ, უნიკალური სამკურნალო თვისებები აქვს. მათ მხოლოდ შემჩნევა და სწორად გამოყენება უნდა. ამჯერად გაგაცნობთ რეცეპტს, რომელიც ასაკოვანი ადამიანისათვის აუცილებელია. მისი მეშვეობით შეგიძლიათ გაიწმინდოთ სისხლძარღვები. ეს მარტივი საშუალება, კიტრის წყალი გახლავთ.**

**გადამწიფებულ, ყვითელ კიტრებს გამოაცალეთ თესლი და გააშრეთ. 1 ს/კ გამხმარ თესლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ჭურჭელი შეფუთეთ და დადგით ნახევარი საათი. როცა წყალი შეგრილდება, შეგიძლიათ დალიოთ, ხოლო ჭიქაში დარჩენილი თესლი უნდა შეჭამოთ საჭმლის მიღებიდან 20 წუთის შემდეგ.**

**სისხლძარღვთა გასაწმენდად საკმარისია ყოველწლიურად ერთთვიანი კურსის ჩატარება.**

***მანონ ჩხარტიშვილი, ოზურგეთის რაიონი***

*ექიმის კომენტარი:* კიტრი ცნობილია, როგორც სუსტი შარდმდენი და ნაღველმდენი ბოსტნეული. იგი წმენდს ორგანიზმს წიდებისა და მარილებისაგან, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას. დადებითად მოქმედებს ქოლესტერინის ცვლაზე. მის ამ თვისებებთანაა დაკავშირებული ის სავარაუდო ეფექტი, რაზეც მკითხველი გვესაუბრება.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## დინდგელი — მკურნალი

დინდგელი, რომელიც შეიცავს 59%-მდე ფისს და ბალზამს, 10% ეთეროვან ზეთსა და 30%-მდე ცვილს, ორგანულ ნივთიერებებს (ფლავონოიდებს, მჟავებს, ფერმენტებს, მთრიმლავ ნივთიერებებს) მიკროელემენტებს: ალუმინს, ვანადიუმს, რკინას, მანგანუმს, კალციუმს, $B_1$, $B_2$, E, C, PP ვიტამინებს, კაროტინს (პროვიტამინი A), ფასდაუდებელია, როგორც სამკურნალო საშუალება. ის ანტივირუსული, ანტისოკოვანი, ანტიმიკრობული, სიმსივნეების საწინააღმდეგო და საუკეთესო დეზოდორანტია, შველის გაცივებას, სასუნთქი გზების ანთებას, დერმატიტს, პირის ღრუს დაავადებას (მათ შორის კარიესს), გასტრიტს, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს, ჰემოროის, ნევრიტსა და რადიკულიტს, წმენდს ორგანიზმს შხამებისა და ქოლესტერინისგან, ხსნის სპაზმებს, აქვეითებს სისხლის შედედების უნარს, აუმჯობესებს საჭმლის მონელების ფუნქციას და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მუშაობას.



დინდგელის 10, 20 ან 30%-იანი სპირტიანი ნაყენი შეიძლება აფთიაქში შეიძინოთ ან თავად მოამზადოთ:

აიღეთ 10გ დაქუცმაცებული დინდგელი (20 ან 30%-იანი ნაყენის მოსამზადებლად საჭიროა 20-30გ დინდგელი), დაასხით 1/2 ჩ/ჭ 70%-იანი სამედიცინო სპირტი, მჭიდროდ თავდახურული გააჩერეთ ოთახის ტემპერატურაზე 10 დღე, ბნელ ადგილას, ყოველდღე შეანჯღრიეთ. ერთი დღე-ღამე შედგით მაცივარში, გაფილტრეთ ორფა მარლაში და შეინახეთ მუქი ფერის მინის ბოთლებში, ოთახის ტემპერატურაზე.

### გთავაზობთ რეცეპტებს:

***ანგინის*** დროს — 1ს/კ გამხმარ, დაქუცმაცებულ კრაზანას ან მრავალძარღვას ფოთოლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 15 წუთი წყლის ორთქლზე, წამოადუღეთ და 30-40 წუთი გააგრილეთ, გაწურეთ, დაამატეთ 30-40 წვეთი 20%-იანი დინდგელის ნაყენი და აურიეთ. თბილი ნაყენი გამოივლეთ ყელში 2-3-ჯერ დღეში გამოჯანმრთელებამდე.

***ფარინგიტის, ტონზილიტისა და ლარინგიტის*** დროს — შეურიეთ ერთმანეთს 6 ს/კ ევკალიპტის ფოთოლი, 5 ს/კ აფთიაქის გვირილის და 4 ს/კ ცაცხვის ყვავილი, 2 ს/კ სელის თესლი. 1 ს/კ ნარევი ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 15 წუთი გააჩერეთ, შემდეგ გაწურეთ. თბილ ნაყენში გახსენით 35-40 წვეთი 20%-იანი დინდგელის ნაყენი და გამოივლეთ ყელში 5-ჯერ დღეში. გარდა ამისა, 2-ჯერ დღეში, დილას და საღამოს, პირის ღრუს ლორწოვანსა და გლანდებზე წაისვით დინდგელის ნაყენისა და თაფლის ნარევი (3,5 ს/კ თაფლს დაამატეთ 2 ს/კ ალოეს წვენი და 2 ჩ/კ 10%-იანი დინდგელის ნაყენი). მკურნალობა ჩაიტარეთ გამოჯანმრთელებამდე.

***ჰაიმორიტის*** დროს (მკურნალობის დამატებითი საშუალება) — ცხვირი გამოირეცხეთ ლიმონის წვნიანი თბილი წყლით (1,2 ჩ/ჭ წყალი და 4-5 წვეთი ლიმონის წვენი). შემდეგ ქვაბში ჩაასხით 1-2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დაამატეთ 1 ყავის კოვზი 10%-იანი დინდგელის ნაყენი, დაიფარეთ თავზე პირსახოცი და 5-7 წუთი ისუნთქეთ ორთქლი. პროცედურა ჩაიტარეთ 2-ჯერ დღეში (აუცილებლად ძილის წინ). მკურნალობის კურსია 5-7 დღე.

***ბრონქიალური ასთმის*** დროს — 2-3 ს/კ ანადუღარ, თბილ წყალს დაამატეთ 10-12 წვეთი 10%-იანი დინდგელის ნაყენი და მიიღეთ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე. მკურნალობის კურსია 1,5-2 თვე.

***გულის იშემიური დაავადების, ტაქიკარდიისა და ჰიპერტონიის*** დროს (როგორც მკურნალობის დამატებითი საშუალება) — შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის კუნელისა და 20%-იანი დინდგელის ნაყენი (შეიძინეთ აფთიაქში) 20-30 წვეთი ნარევი გახსენით 1 სირჩა ანადუღარ თბილ წყალში და მიიღეთ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. მკურნალობა ჩაიტარეთ წელიწადში 3-4-ჯერ, 10-14 დღის განმავლობაში.

***თავის ტკივილის*** დროს შაქრის ნატეხზე დააწვეთეთ 30-40 წვეთი 20%-იანი დინდგელის ნაყენი და ნელა დაკვნიტეთ. თუ ერთი საათის შემდეგ ტკივილმა არ გაგიარათ, პროცედურა გაიმეორეთ.

***გრიპის, გაციების*** პროფილაქტიკის მიზნით და ***იმუნიტეტის გასამაგრებლად*** — თითო ს/კ აფთიაქის გვირილის ყვავილსა და სალბის ფოთლებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 2-3 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე, ჩაასხით თერმოსში და გააჩერეთ 20 წუთი, შემდეგ გაწურეთ. თბილ ნაყენს დაასხით 1ჩ/ჭ 10%-იანი დინდგელის ნაყენი და მიიღეთ პატარა ყლუპებით, საუზმემდე 1 საათით ადრე. მკურნალობის კურსი ჩაიტარეთ წელიწადში 2-3-ჯერ, 7-10 დღის განმავლობაში.

***ღრძილების ანთების*** დროს — 1ს/კ 10%-იანი დინდგელის ნაყენი გახსენით 1/2 ჩ/ჭ ანადუღარ თბილ წყალში და გამოივლეთ პირში 3-4-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსია 4-5 დღე.

***რადიკულიტისა და ოსტეოქონდროზის*** დროს — შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის დინდგელის 20%-იანი ნაყენი, თაფლი და მზესუმზირას (ზეითუნის) ზეთი. ნარევი წაუსვით მდოგვის საფენს და დაიდეთ მტკივნეულ ადგილზე, დაიფარეთ ბამბა, შეიხვიეთ ბინტით და გაიჩერეთ 30-40 წუთი.

### სასარგებლო რჩევები:

— დინდგელი შეიძლება მიიღოთ ნებისმიერ წამალთან ერთად. კვლევით დამტკიცებულია, რომ პენიცილინის, სტრეპტომიცინის ან ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკებთან მისი მიღება მნიშვნელოვნად ამაღლებს მკურნალობის ეფექტს.

— გრიპისა და გაციებისაგან (ეპიდემიის დროს) დაგიცავთ: 4-6 საათით თუ პირში აგორავებთ მუხუდოს მარცვლის ხელა დინდგელს, შემდეგ კი გადაყლაპავთ.

***გახსოვდეთ!*** დინდგელით მკურნალობის დროს კატეგორიულად აკრძალულია ალკოჰოლი.

დინდგელით დამზადებული წამლების მიღება ეკრძალებათ ალერგიის, ქოლეცისტიტის, ნაღველსადინარების დისკინეზიის, კუჭქვეშა ჯირკვლისა და თირკმლების მძიმე დაავადების დროს.

***ცელებნიკი***

**თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»**
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



**მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები**
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია. FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
**გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.**
**კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.**
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ. 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

N19
ოჯახის მკურნალი
სამედიცინო ჟურნალი
ფასი 70 თ.

**რა აწუხებს მოზარდს**
✔ მოზარდთა ნევროლოგიური და სქესობრივი პრობლემები
✔ შეუმოწმეთ ბავშვებს მხედველობა

**ვინ ურჩევნიათ ჯენტლმენებს**
✔ ქალებს ხშირად ჰგონიათ, რომ მათი საყვედურები მამაკაცს სტიმულს აძლევს...

**მუცლის ტკივილი**
✔ როგორ გამოვიცნოთ ტკივილის მიზეზი?

**ფერიმჭამელები**
✔ მცდარია შეხედულება, თითქოს ფერიმჭამელები უმეტესად ცხიმიანი კანის პატრონებს უჩნდებათ...

**რატომ ტირის ახალშობილი**
✔ ვისწავლოთ ბავშვის ენა

**ზღვა და უსიამოვნებანი**
✔ „საზღვაო" ყურის ანთება
✔ ყველგანმავალი სოკო

**როგორ ჩნდება ნაოჭები**

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეხსიერება თუ გღალატობთ...



ჩვენი წინაპრები მეხსიერების გასაუმჯობესებლად იყენებდნენ სამკურნალო ბალახებს, რომელთა რეცეპტებსაც გთავაზობთ:

1. 2ს/კ გამხმარ, დაქუცმაცებულ ასკილს შეურიეთ თითო ს/კ ბალის პიტნა და ბერულა, თირკმლის ჩაისა და არყის ხის ფოთლები, ოროვანდის ფესვები და სტაფილო. 2 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 30 წუთი გააჩერეთ წყლის ორთქლზე, გააგრილეთ, გაწურეთ და წვენს დაასხით იმდენი ანადუღარი წყალი, რამდენიც თავიდან იყო. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ნაყენი 3-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.

2. შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის დაქუცმაცებული სამკურნალო ნეგო, კრაზანა, გვირილის ყვავილები და არყის ხის კვირტები, ჩაყარეთ მინის ქილაში, თავზე დაახურეთ. საღამოს 1ს/კ ნარევს დაასხით 0,5ლ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 20 წუთი, გაწურეთ და მიიღეთ 1 ჩ/ჭ თბილი ნაყენი 1 ჩ/კ თაფლთან ერთად. დილით შეათბეთ 1 ჩ/ჭ ნაყენი, დაამატეთ 1 ჩ/კ თაფლი და მიიღეთ უზმოზე. ისაუზმეთ ნახევარი საათის შემდეგ.

**ოჯი**

# მჟაუნის სიკეთე

მჟაუნა გამოიყენება როგორც საკვებად, ისე სამკურნალოდაც.

მჟაუნის ფოთლები შეიცავს ბევრ კაროტინსა და ასკორბინის მჟავას, ასევე $B_1$,$B_2$,$PP_1$,C ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს (მაგნიუმს, რკინას, ფოსფორს, გოგირდსა და სილიციუმს), ცილებს, შაქარს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს (ლიმონის, ვაშლის, მჟაუნის).

სამკურნალოდ გამოიყენება მჟაუნის ფოთოლი, ფესვი, ღერო და თესლი. მჟაუნას აქვს ანთებსაწინააღმდეგო, შარდმდენი, ძარღვების გამამაგრებელი, ჭრილობის შემახორცებელი და სისხლდენის შემაჩერებელი თვისებები. თუმცა მჟაუნა არარეკომენდებულია მათთვის, ვისაც ნიკრისის ქარი, წყლული, გასტრიტი (მომატებული მჟავიანობით) აწუხებს. ამიტომ ვიდრე ამ მცენარით მკურნალობას შეუდგებით, კონსულტაციისთვის მიმართეთ ექიმს.

*გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს:*

**1.** *ქოლეცისტიტის დროს,* 1ჩ/კ ახალგამოწურული მჟაუნის წვენი დაამატეთ 1 ჩ/ჭ დამტკბარ წყალს და მიიღეთ 2-ჯერ დღეში, ჭამიდან 20 წუთის შემდეგ, როგორც ნაღველმდენი საშუალება.

**2.** *ეგზემის დროს* — 8ს/კ დაქუცმაცებულ მჟაუნის ფესვებს დაასხით 1ლ წყალი, 30 წუთი გააჩერეთ ნელ ცეცხლზე, მიიყვანეთ ადუღებამდე. გააგრილეთ და გაწურეთ. ნახარშში დაასველეთ მარლა და დაიფინეთ მტკივნეულ ადგილზე.

**3.** *ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად* — 20გ (დაახლოებით 1ს/კ) გამხმარი მჟაუნის ფესვებს დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე წყალი. 10 წუთით გააჩერეთ ნელ ცეცხლზე; გადმოდგით და 15 წუთი გააგრილეთ, გაწურეთ. მიიღეთ ნახარში 2/3 ჩ/ჭ დღეში 2-ჯერ, ჭამის შემდეგ.

**ლეჩებნიკი**

# წყურვილი გაწუხებთ?

შესანიშნავად კლავს წყურვილის გრძნობას ლიმონიანი ჩაი ან მწვანე ჩაი პიტნით. ისინი შეიცავენ ორგანულ მჟავებს, რაც ხელს უწყობს ნერწყვის გამოყოფას. ეს კი, თავის მხრივ, ამცირებს პირის ღრუს სიმშრალეს. სხვათა შორის, ნერწყვი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საჭმლის მონელების პროცესში და პირის ღრუს მიკროფლორის ნორმალიზებაში.

**ჯენტე**

# კანმა აირჩია გრეიპფრუტი

კანის ჯანმრთელობისა და სილამაზისათვის უნდა მივირთვათ გრეიპფრუტი. ამ C ვიტამინით მდიდარი ხილის უკმარისობა აქვეითებს კანის სისხლით მომარაგებას, რაც ზრდის ორგანიზმის დაძაბულობას. ამიტომ საუზმეზე მიირთვით ნახევარი გრეიპფრუტი, ხოლო სადილობამდე ერთი ჭიქა ახალგამოწურული წვენი. ეთერული ზეთები, რომელსაც შეიცავს მისი კანი, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და ხელს უწყობს საჭმლის მონელებას.



**დობრიე სოვეტი**

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ გააჩნია, პოტენციის დაქვეითებას, ქლამიდიოზს, ტრიქომოდულ და სხვა უროგენიტალურ ინფექციებს. დიაგნოსტიკა, ენდოსკოპია თანამედროვე იაპონური აპარატურით.
მის: გამსახურდიას (პეკინი) №14
მე-8 პოლიკლინიკა, კაბ. №26, 9-13სთ.
☎ 8(93) 31 42 35

პრეპარატი ფენსი გაძლევთ უნიკალურ შანსს
ფსორიაზი
ეგზემა
ნეიროდერმიტი
სებორეა
იმკურნალოთ
ენდეთ საუკუნოვან გამოცდილებას!
იკითხეთ აფთიაქებში
საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მალამოს საშუალებით
ცხელი ხაზი: 39 66 03




„ლიგა" სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია - ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
სარეზიდენტო არჩევითი მოდული „სამედიცინო სექსოლოგიის საფუძვლები" - 1 თვე.
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

# არტერიული ჰიპოტონია

*არტერიული ჰიპოტონია მსოფლიოში მილიონობით ადამიანს აწუხებს. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც არტერიული წნევა ნორმასთან შედარებით დაქვეითებულია: ანუ 100/60-მმ-ზე ნაკლებია. ხშირად წნევის ასეთი მაჩვენებელი ნორმად მიიჩნევა, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება სერიოზული დაავადების ერთ-ერთი გამოვლინებაც იყოს.*

*პათოლოგიური ჰიპოტონიის მიზეზი ხშირად სხვადასხვა დაავადებაა. თუ ადამიანს პათოლოგიური ჰიპოტონია აწუხებს:*



- უჩივის საერთო სისუსტეს, შრომის უნარის დაქვეითებას, დილით მოთენთილობას, უგუნებობას.
- ზოგჯერ მოსვენებულ მდგომარეობაში ეწყება ქოშინი, ჰაერის უკმარისობა.
- შესაძლოა, მეორადმა ჰიპოტონიამ მეხსიერების დაქვეითება, ადვილად აგზნებადობა, ფსიქოემოციური დაღლილობა გამოიწვიოს.
- ქალებს ზოგჯერ ერღვევათ მენსტრუალური ციკლი, მამაკაცებს — უქვეითდებათ პოტენცია.
- არ არის გამორიცხული უმადობა, ბოყინი, ყაბზობა (კუჭის შეკრულობა).
- ზოგჯერ პაციენტებს თავის ან გულის ტკივილი აწუხებთ, რაც ვალიდოლის მიღებით არ იხსნება.

პათოლოგიური არტერიული ჰიპოტონიის მქონე ადამიანები ზოგჯერ ფერმკრთალნი არიან, სხეულის ტემპერატურა კი შესაძლოა 36°C-ზე ნაკლები ჰქონდეთ.

პათოლოგიური ანუ მეორადი ჰიპოტონია ზოგიერთი პათოლოგიის დროს უეცრად ვითარდება, სხვა შემთხვევაში კი ქრონიკულ ხასიათს ატარებს.

*ქრონიკული ჰიპოტონიის მკურნალობა:* ჰიპოტონიის სამკურნალოდ, უპირველეს ყოვლისა, სხვა დაავადებები უნდა გამოირიცხოს. თუ დაგიდგინეს, ჯერ მისი მკურნალობა უნდა დავიწყოთ, ხოლო თუ დაავადება არ დადასტურდა, მაშინ ჰიპოტონიის სამკურნალოდ ზოგადგამაჯანსაღებელ ღონისძიებებს ურჩევენ. სრულფასოვან ძილს (საშუალოდ 8 საათი), დილის გამამხნევებელ ვარჯიშს, ცეკვას, გრილი შხაპის ხშირ მიღებას, კურორტზე დასვენებას.

სასურველია, სიგარეტის გადაგდება, ალკოჰოლური სასმელების შეზღუდვა.

არტერიული წნევის მომატებას ხელს უწყობს:

- მაგარი ჩაი და ყავა;
- კოფეინის აბები (დღეში სამჯერ);
- ჟენშენის ნაყენი;
- ჰიპოტონიის დროს წარმატებით იყენებენ ფსიქოთერაპიასაც.

*აქტიური წერტილები:* გარდა სამედიცინო დახმარებისა, ჰიპოტონიკებს შეუძლიათ წერტილოვანი მასაჟი მოიშველიონ მაშინ, როდესაც თავს შეუძლოდ გრძნობენ, ყავა და კოფეინი კი ხელთ არა აქვთ.

მასაჟი კეთდება ბიოლოგიურად აქტიურ წერტილებზე 10-15 წამის განმავლობაში, ძლიერი ზეწოლით, რომელიც მცირე ინტენსივობის ტკივილს უნდა იწვევდეს.

*ჰიპოტონიისთვის განკუთვნილი წერტილებია:*

- წერტილი მარჯვენა ნეკის მარცხენა მხარეს, ფრჩხილის ძირთან;
- წერტილი მარჯვენა საჩვენებელ თითზე, — ფრჩხილის ფუძესთან, შუა თითის მხარეს.

ექსტრემალურ სიტუაციაში ასეთი მასაჟები საკმაოდ ეფექტიანია.

# მენიუ მამაკაცებისთვის

როგორი საკვები სჭირდება მამაკაცს, რომ ხანგრძლივად და ჯანმრთელად იცოცხლოს?

*გაითვალისწინეთ:*

**1)** შეამცირეთ კალორიების მოხმარების დღიური ნორმა. მამაკაცები, რომლებიც დღის განმავლობაში 1500 კკალ-ზე ნაკლებს იღებენ, გაცილებით ხანგრძლივად ცოცხლობენ.

**2)** ყოველდღიურად 4-6-ჯერ მიირთვით ცოცხალი ხილი და ბოსტნეული. ხილისა და ბოსტნეულის ყოველდღიური მოხმარება 50%-ით ამცირებს საჭმლის მომნელებელი ორგანოების კიბოს განვითარების რისკს.

**3)** სვით ყოველდღე თითო ჭიქა წითელი ღვინო. ის მოაწესრიგებს გულსისხლძარღვთა სისტემის მოქმედებას.

**4)** ყოველდღიურად მიიღეთ სულ ცოტა, 2 ჭიქა ჩაი. მწვანე ჩაი შეიცავს ფლავინოიდებს, რომლებიც იცავს ორგანიზმს სიმსივნის განვითარებისაგან.



**5)** შეიყვარეთ ყველა სახის კომბოსტო და სოია.

ამ პროდუქტთა რეგულარული მიღება ამცირებს დაავადებათა განვითარებას 20-40%-ით.

**6)** მიირთვით შავი შოკოლადი. მასში შემავალი ნივთიერებები გვეხმარება სტრესის დაძლევაში. ეს ნივთიერება ორგანიზმში არ გამომუშავდება და მისი მიწოდება 50-100 გ შოკოლადის სახით ემოციური დატვირთვის დროს ძალზე სასარგებლოა.

**7)** ხშირად მიირთვით თევზეული და თხილი. ამგვარი საკვები კარგია სისხლის წნევის რეგულაციისთვის, აგარიდებთ ათეროსკლეროზს, შეუნარჩუნებს სისხლძარღვებს ელასტიკურობას, აუმჯობესებს გულის მუშაობას.

**8)** ნუ ივახშმებთ ძილის წინ.

# რაქიტი ბავშვთა ასაკში

*გამომწვევი მიზეზებია:*

**1)** მზის სხივების ნაკლებობა.

2). კვებისმიერი ფაქტორები — არასწორად შერჩეული საკვები ხელოვნური კვების დროს, ხანგრძლივი ძუძუთა კვება, ცხოველური ცილების დეფიციტი.

**3)** დღენაკლული ბავშვის დაბადება.

**4)** ორსულის არარაციონალური კვება.

**5)** ახალშობილის მოძრაობითი აქტივობის შეზღუდვა.

**6)** კუჭის აშლილობით მიმდინარე დისბაქტერიოზი.

**7)** კრუნჩხვების საწინააღმდეგო თერაპია.

**8)** D ვიტამინის ნაკლებობა.

**9)** ეკოლოგიური ფაქტორები.

**10)** კანის პიგმენტაცია.

*დამახასიათებელი ნიშნები.* ადრეული ნიშნებია: გაღიზიანებლობა; ჭირვეულობა (ხშირად და უმიზეზოდ ტირილი), ძილის დარღვევა (ხშირი გაღვიძება, მოუსვენარი ძილი), ოფლიანობა, როცა ხშირად ატენიანებს ბალიშს და კეფის არეში თმა სცვივა — ამას რაქიტული სიქაჩლე ეწოდება.

საყურადღებოა კუნთების სისუსტე, ანუ კუნთოვანი ჰიპოტონია. ასეთ დროს მასაჟი ნაკლებეფექტიანია.

რაქიტი აზიანებს ძვლოვან სისტემას, რბილდება თავის ქალის ძვლები, კარგად ჩანს შუბლის ბორცვები, ცვლილებებს განიცდის გულმკერდი, ნეკნებზე შეინიშნება შემსხვილებები; გვიან ხდება კბილების ამოჭრა, შეინიშნება სიფერმკრთალე, ხშირია წამოქაფება, ღებინება, კუჭის აშლილობა ან შეკრულობა. ასეთი ბავშვები თავის დაჭერას, ჯდომას და სიარულს თანატოლებთან შედარებით გვიან იწყებენ.

***მკურნალობა:*** ინიშნება D ვიტამინი. ამის გარდა ხანგრძლივი სეირნობა მზიან ამინდში, ვიტამინიზირებული საკვები; D ვიტამინს აძლევენ კალციუმის გლუკონატთან ერთად. რაქიტის ნიშნებიან ჩვილებს პირველ დამატებით საკვებს ადრე აძლევენ — 4-5 თვიდან, რაქიტის დროს — 3-6 თვიდან. საკვებს უნდა დაემატოს მაგრად მოხარშული კვერცხის გული, ხაჭო, 5 თვიდან კი — D ვიტამინის შემცველი ფაფეული, ხორცპროდუქტების მიცემა მიზანშეწონილია 5-6 თვიდან.

**მოამზადა მაია მუხიგულმა**

# ამ დაავადების სახელია ჭინჭრის ციება

ჭინჭრის ციება ალერგიული წარმომავლობისაა და ამიტომაც მოულოდნელად ჩნდება. ამას განსაკუთრებით ზაფხულში, ბევრი მაპროვოცირებელი ფაქტორი განაპირობებს: მწერების ნაკბენი, მედუზები, მზის სხივები, მუხლუხოს შეხება, მცენარეები, ოფლიანობა და ა.შ. დაავადება წააგავს ჭინჭრის დასუსხულს — კანზე ჩნდება წითელი ბებერები. ასეთსავე რეაქციას იწვევს ზოგიერთი წამალი, კვერცხი, შოკოლადი, მარწყვი, ყველი, სოკო, თევზი, ნერვული სისტემის ფუნქციის დარღვევა და ზოგჯერ გამონაყარი ჩნდება ყელში, იწვევს ხველებას და ხუთვასაც კი...

გამონაყარი სწრაფად იცვლის ფერს და რამდენიმე საათში ქრება. მაგრამ თუ თირკმლები გაწუხებთ ან ნივთიერებათა ცვლა გაქვთ დარღვეული, გამონაყარი შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს.

ამ დაავადების გამომწვევი მიზეზების დადგენის შემდეგ უნდა იმკურნალოთ ექიმის დანიშნულების მიხედვით და მიიღოთ ნერვული სისტემის, დამამშვიდებელი წამლები. აუცილებელია კუჭ-ნაწლავის გაწმენდა გამხსნელის საშუალებით, იკვებეთ მცენარეული საკვებით, უარი თქვით ცხიმიან ხორცზე, ღვინოზე, მწარე და ცხარე საკვებზე.

ექიმის დანიშნულ წამლებს შეიძლება დაამატოთ ფიტოთერაპიაც:

- გახეხეთ ან ხორცსაკეპში გაატარეთ ნიახურის ფესვები და გაწურეთ. მიიღეთ 1-2ჩ/კ წვენი 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე 0,5 საათით ადრე.
- 2ს/კ ნიახურის ახალდაქუცმაცებულ ფესვებს დაასხით 1ჩ/ჭ ცივი წყალი, გააჩერეთ 2 საათი, გაწურეთ. მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ ნაყენი 3-ჯერ დღეში.
- 1ს/კ ჭინჭრის გამხმარ ან ახალ ყვავილებს დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე წყალი, შეფუთეთ 30 წუთით, გაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ თბილი ნაყენი 4-5-ჯერ დღეში.
- კუნელისა და კატაბალახას ნაყენი (შეიძინეთ აფთიაქში) შეურიეთ ერთმანეთს, 30 წვეთი გახსენით 1 ფინჯან წყალში და მიიღეთ ძილის წინ.
- დაამატეთ აბაზანას 500გ საჭმელი სოდა, ჩაწექით, აბაზანის შემდეგ ტანზე წაისვით ძმრიანი წყალი.
- ძლიერი ქავილის დროს ტანი გაიწმინდეთ აფთიაქში ნაყიდი კალენდულის ნაყენით, არყით ან სოდიანი წყლით (1ჩ/ჭ, 1ჩ/კ სოდა).

**ლიზა-მოროსკოში**

ცხოვრება ზოგისთვის თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქრის, ზოგისთვის კი ურემივით მიიზლაზნება. დროს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ამ ორომტრიალშიც ხშირად დგება მომენტი, როდესაც გვახსენდება გოეთეს ფრაზა — „შეჩერდი, წამო...“ „გაიყინება“, გაირინდება ადამიანის არსებობის ერთი მცირე მონაკვეთი და ისევ თავაწყვეტილი სრბოლით გაგრძელდება წუთისოფლის ტრიალი... შეჩერებულმა წამმა კი იქნებ საუკუნეების ხანგრძლივობაც დაიტიოს თავისი ყოვლისმომცველი იდუმალებით...

„კვირის პალიტრის“ ამ ფოტოგალერეაში საინფორმაციო სააგენტო **„ინტერპრესნიუსის“** ფოტოკორესპონდენტების მიერ დანახული ქართული რეალობაა წარმოდგენილი, ჩვენი დღევანდელობა და სინამდვილე. „შეჩერებული წამი“ — როგორც ჩვენი ისტორია და... მარადიულობა(?!.).

## „მოდი, ვნახოთ ვენახი“



**„ — შენა, ბიჭო, რო შამოგიდვია ხელი აკაკი წერეთელივითა, ერთხელ არ უნდა შამოუარო ვენახ გარშემო?**
**— ამო, ბაწრო, შენ შენი წილი დალიე და მერე ნახე თვითონ როგო შემოგიაროს!“**
**(კ/ფ „სიყვარული ყველას უნდა“)**

**„— ამას თუ მიპირებდი, ცოტა მეტი ვერ გაიმეტე?“**
**(ნ. დუმბაძე)**

**„— ვინ გკითხავს კაცო, შენ, სამხედრო სტრატეგიას!“**
**(კ/ფ „არაჩვეულებრივი გამოფენა“)**





**„— კაცო, ნუ იცი შენა ფინთად გადაკიდება!“**
**(კ/ფ „სიყვარული ყველას უნდა“)**

კახეთში რთველი გახურდა. პრეზიდენტმა ძალოვან მინისტრებს ვენახები „მიუზომა“ და გლეხების მონაგრის გადასარჩენად დარაზმა. ადეიშვილს ახმეტისა და მშობლიური ყვარლის გენერლობა ერგო, მერაბიშვილს საგარეჯოს და სიღნაღის, ოქრუაშვილს თელავის, გურჯაანის და ლაგოდეხის, გუბერნატორ ცისკარიშვილს კი პოლკოვნიკობა აკმარეს და დანარჩენი კახეთი ჩააბარეს (რალა დარჩა?!).

სააკაშვილმა მიხო სვიმონიშვილი მაგრად დატუქსა და უკანასკნელი გაფრთხილებაც „აჯახა“: ვენახს და ღვინოს ყურადღება მიაქციეო!

*გასულ კვირას იგორ გიორგაძის პარტიის წევრებს ძალოვნებმა „აბლავა“ მოუწყვეს და სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით ქალიან-კაციანად ყველას გისოსებს მიღმა უკრეს თავი. დატუსაღებას გადაურჩა ირინა სარიშვილი, მაგრამ თავდებში გათავისუფლებული მაია ნიკოლეიშვილის აღიარების შემდეგ, არც მას უნდა ჰქონდეს გული საგულეს. უკვე აქეთ ეხვეწება ხელისუფლებას, — რატომ არ მაპატიმრებთო!*
*მაგათ ხვეწნა უნდათ კიდევ?..*





„ — მაგათ ბნელ-ბნელი აზრები აწუხებთ, შეყარეთ ციხეში!
— აღარ ეტევა ამდენი ხალხი, ბატონო და რა ვქნათ?
— კარები იკეტება? აბა დატეულა და ეგაა!“
(კ/ფ „ყვარყვარე“)

„ეგა ლავუაზიეს კანონია, აი, თავი ხო შედის, უფროსო, ტანი აღარ ეტევა!“
(კ/ფ „ქვევრი“)



„ფანჯარაში მტრედია“(?!)



**„ეს რა გვიყვეს, კაცოოო!..“**
**(მ/ფ „წუნა და წრუწუნა“)**

„ვაგონში რომ შეხვალ, ლადეკალონი გადაისხი თავზე, მკბენარი და ბაღლინჯო არ შეგალოლდეს!“
(„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“)

*ქალაქის მერს მოსვენება დაკარგული აქვს, „ლენტას – ლენტაზე“ ჭრის, ხან მეტროს მიადგება ახალი მაკრატლით, ხანაც შადრევანს. მიწის ზევით მაგარია, მიწის ქვეშაც ორი იმდენი ყოფილა. „ისნიდან“ დაიწყო და ახლა „ავლაბრის“ მეტრო გაალამაზა, თანაც ჩასვლისას არც ჟეტონის ჩაგდება დაგიწევება.*



*კობა დავითაშვილი დეპუტატის მანდატს შეელია და ახალ ფრონტზე გადადის საბრძოლველად — ქალაქის მერის პოსტზე იყრის კენჭს. ხელისუფლებამ სულ მხრები იჩეჩა — ასეთი რისკიანი ნაბიჯი რამ გადაადგმევინაო, მაგრამ კობა იძახის — მე უკვე გამარჯვებული ვარო(!). ზოგიც უგულავს ჰკითხოს და მერე დაარხეინდეს.*

**„ე, ბიჭო, ვინც ქალაქში წავიდა, შავი დედალივით გაკეთდა!“**
**(კ/ფ „შერეკილები“)**






## ედიშერ ყიფიანი

„მთელი მარტის განმავლობაში წვალობდა, იბადებოდა გაზაფხული.

და აი, დაბადებულა, ბალღივით გარინდებული და ცნობისმოყვარე თვალებით დაჰყურებს ქალაქს. მის თვალებში ქვეყანა ახლა უკუღმა ჩანს, მაგრამ მრგვალია მიწა და ეს სულერთია გაზაფხულისთვის. ეალერსება მინდვრებს, ათბობს გაყინულ მთებს და ერთხელ კიდევ აჯერებს ადამიანს, რომ ღირს მისი გულისთვის ზამთრის სუსხის გადატანა“.

ის ეპოქა, რომელშიც ჩინებულ ქართველ მწერალს ედიშერ ყიფიანს მოუხდა მოღვაწეობა, მართლა ზამთრის სუსხივით იყო, საბჭოთა სინამდვილე თავისებურად ცდიდა ადამიანს — ვინ რამდენად შეძლებდა, ჭუჭყსა და სიცრუეს არიდებოდა...

ბატონმა ედიშერმა შეუბღალავი სულით იცხოვრა, რადგან მისთვის არსებობდა ერთი მარადიული სინათლე — გაზაფხული. „მისი გულისთვის ზამთრის სუსხის გადატანა“ ღირდა.

# ფარდობითობის თეორია

მხატვრის სახელოსნოში, ოდნავ შემაღლებულ ფიცარნაგზე, დგას ახალგაზრდა, შიშველი ქალი; ორივე ხელის გაშლილი თითები სახესთან მიუტანია, ყელი ლამაზად მოუღერებია და გაკვირვებით დაჰყურებს თავის სხეულს, თითქოს პირველად ამჩნევდეს. ფოსფორივით ელავს მისი კანი, სულ თავისკენ მიუზიდავს მაღალი სარკმლიდან შემოჭრილი სინათლე.



მოშორებით ზის მხატვარი. მას შავი, ყელიანი სვიტერი აცვია, რომელიც ვერ უმალავს ფართო ბეჭებსა და კუნთოვან მკერდს. ხუჭუჭა თმისა და სვიტერის მუქ ფონზე სილუეტივით გამოკვეთილა მისი დაკორძილი სახის პროფილი. მხატვარს ყველაფერი დავიწყებია. იგი ქმნის რაღაც დიადსა და შეუცნობელს, ამაღელვებელსა და განმაცვიფრებელს. და მხატვარი გრძნობს, რომ ვიღაც უბიძგებს, აჩქარებს, უკარნახებს, ხელიდან არ გაუსხლტეს შემოქმედების ბედნიერი წამები და, რაც ბუნდოვნად ეხატება, თვალსაჩინოდ გადაიტანოს ტილოზე. იგი ვერ ამჩნევს, რა ხშირად იხედება მისკენ ფიცარნაგზე მდგომი ცოცხალი მოდელი... ეტყობა, დაიღალა... მხატვარი ვერც თავის ცოლს ამჩნევს, წამდაუწუმ რომ შემოდის ოთახში, კედლის ღუმელს შეშას უკეთებს, დოინჯშემოყრილი, შურით ათვალიერებს ახალგაზრდა ქალის სხეულს; ბოლოს, სურათს დახედავს ხოლმე და ისევ გადის.

ზამთრის მზეს ღრუბელი ეფარება. ამას სახელოსნოში გრძნობს მხატვარი. იგი ოდნავ აყოვნებს ფუნჯს, უკან იხრება, ახლა შუქჩრდილის ფონზე ამოწმებს ტილოს და ისევ მუშაობს.

სახელოსნოს კარი იღება და ისევ შემოდის მხატვრის მეუღლე. მას პალტო ჩაუცვამს, თბილი ყელსახვევით შეფუთვნილა, ხელთ სანოვაგის ჩანთა უჭირავს.

— ბაზარში მივდივარ, ბათუ! — ამბობს იგი, — ხომ არაფერი გინდა?

— არაფერი! — უპასუხებს მხატვარი ისე, რომ მისკენ არც იხედება.

— პაპიროსი?

— მაქვს!

— მალე დავბრუნდები! — მხატვრის მეუღლე გადის.

სახელოსნოში ისევ სიჩუმე ისადგურებს, უხმაუროდ ედება საღებავი საღებავს, დუმილში იბადება სურათი, ისმის მხოლოდ ღუმელის ყრუ გუგუნი.

უეცრად ფიცარნაგი აჭრიალდა. მხატვარმა სწრაფად მიიხედა, დამნაშავესავით ილიმება შიშველი ნატურა.

— რა იყო, ხომ არ დაიღალე?

— არა, შემცივდა, ცოტას გავთბები! — და ნებართვას აღარც ელოდება ქალიშვილი, იატაკზე ხტება, მსუყედ ტყლაშუნობს მისი ფეხისგულები.

— აჰა, მოიხურე! — ეუბნება მხატვარი და სკამიდან იღებს თავის გრძელსა და თბილ ხალათს.

ქალიშვილი ხალათს იხურავს და ჯადოქარივით ქრება სადღაც, მოჩანს მხოლოდ მისი კოჭები და მრგვალი, ტკრციალა სახე. ოთახში თითქოს სინათლე კლებულობს.

ქალი ღუმელთან ჯდება. მხატვარი პაპიროსს უკიდებს და თვითონაც ღუმელს უახლოვდება. ისინი ჩუმად არიან. ქალს მუხლიდან ხალათის კალთა ჩამოსცურებია. მხატვარი გაშეშებული დაჰყურებს მის შიშველ მუხლს.

ქალიშვილი ამჩნევს ამას და სწრაფად მალავს სიშიშვლეს. შეუმჩნეველი ღიმილი ეფინება მხატვრის სახეს.

უეცრად ისმის კარის ჭრიალი. მეზობელ ოთახში ვიღაც შემოვიდა... ქალის ფეხსაცმლის კაკუნი თანდათან ახლოვდება... ცოლი დაბრუნდა, ეტყობა, რაღაც დაავიწყდა... უთუოდ, რაღაც დაავიწყდა... სახელოსნოსკენ მოდის, უახლოვდება სახელოსნოს კარს, აი, საცაა...

როგორც მწიფე ნაბლი ნაჭუჭიდან, ისე გამოხტა ხალათიდან შემკრთალი ქალი, ფეხსაცმელები მიყარ-მოყარა, სწრაფი, მაგრამ ჩუმი ნაბიჯებით გაირბინა ფიცარნაგამდე, ზედ შეხტა და ისევ შიშველ ქანდაკებად იქცა, თუმცა ამ ქანდაკებას აღელვებისაგან მკერდი აუდ-ჩაუდის და თვალებში შიში შეჰპარვია. მხატვარი უკვე ტილოსთან ზის,

ფუნჯი მოუმარჯვებია და „მშვიდად“ განაგრძობს ხატვას. სახელოსნოს კარი გაიღო.

— ბათუ, ფული სადა გაქვს? თუმნით ვაპირებდი ბაზარში წასვლას.

— პიჯაკის ჯიბეშია! — ხმა გაებზარა მხატვარს.

კარი ისევ გაიხურა, ისევ დაისადგურა სიჩუმემ...

მხოლოდ ღუმელის გუგუნი ისმოდა.


# წიგნები

## სახლში მიტანით

## ფასნამატის გარეშე!

## სასკოლო წიგნები

დარეკეთ და შეგვიკვეთეთ ნებისმიერი კლასის სახელმძღვანელო!

| გამომცემლობა „პალიტრა L“ | |
|---|---|
| ედუარდ შევარდნაძე — მემუარები | 18 |
| ედუარდ შევარდნაძე — მემუარები | 12 |
| აუდიოკასეტა „რჩეული ზღაპრები“ | 2,50 |
| ყველაზე სასაცილო (კურიოზების კრებული) | 5 |
| ბორის აკუნინი — „თურქული გამბიტი“ | 5 |
| მაია ბურჭულაძე — | |
| „ფსიქოპათთა თამაშები“ | 4,90 |
| „შეშლილი თაფლობისთვე“ | 4,90 |
| „შემოდგომა მშრალ ხიდზე“ | 4,90 |
| მუხრან მაჭავარიანი — „დუმილი რეკავს“ | 6 |
| ამირან ჭიჭინაძე — „ჭკუა“ | 5 |
| „რას გვეტყვი, მამაო“ | 5 |
| თემურ ყიფიანი — სამაგიდო ენციკლოპედია: | |
| „ყველაფერი ყველაფერზე“ | 12 |
| ოტია იოსელიანი — | |
| „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები“ (მ.ყდ) | 8 |
| გოჩა დვალი — ანტიდეპრესანტი | 5 |
| ართურ კონან დოილი — | |
| „დაკარგული ქვეყანა“ | 5 |
| „ჯადოსნური კარი“ | |
| (ლიტერატურული ზღაპრები) | 7 |

| გამომცემლობა „გია ქარჩხაძე“ | |
|---|---|
| „ოქსფორდის სამეცნიერო | |
| ენციკლოპედია“ | 39.90 |
| „მსოფლიო მითოლოგია“ | 26 |

| | |
|---|---|
| სერაფიმე (როუზი) — | |
| „აპოკალიფსი“ ახალი | 6,50 |

| გამომცემლობა „თბილისელები“ | |
|---|---|
| გოჩა მანველიძე | |
| „მგლები I“ | 7 |
| „მგლები II“ | 7 |
| „მგლები III“ | 10 |

| გამომცემლობა „დიოგენე“ | |
|---|---|
| საბავშვო | |
| ა. მილნი — „ვინი პუჰი“ | 14,95 |
| „სახლი ვინის ტყეში“ | 15 |
| სანდრა რულოვსი — | |
| „იდეალისტის ნაამბობი“ | 10 |
| ვახუშტი კოტეტიშვილი — | |
| „მოუკრეფავნი“ | 6 |

| „ელფის“ გამომცემლობა | |
|---|---|
| სიმონ მასხარაშვილი | |
| „მატიანე ქართველთა“ | 12 |
| „მსოფლიოსა და ევროპის | |
| ჩემპიონატები ფეხბურთში“ | 7 |
| საბავშვო | |
| „ჩემი საქართველო“ | 19 |
| „საქართველოს დიდი მეფეები“ | 16 |
| „ჩვენი გალაქტიკა“ | 16 |

| გამომცემლობა „საბავშვო ენციკლოპედია“ | |
|---|---|
| თემატური ენციკლოპედიის | |
| „რა არის რა“ | |
| „ინდიელები“ მე-5 ტომი | 16 |
| „ვულკანები“ მე-20 ტომი | 16 |
| „მსოფლიოს 7 საოცრება“ 21-ე ტომი | 16 |
| „ძველი ჩინეთი“ 42-ე ტომი | 16 |

| | |
|---|---|
| ოთარ აბაშიძე — | |
| „გერმანულ-ქართული | |
| ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ ახალი | 51,30 |

| | |
|---|---|
| ჭაბუა ამირეჯიბი — | |
| „დათა თუთაშხია“ | 16 |
| „გიორგი ბრწყინვალე“ | 15 |
| „გორა მბორგალი“ | 16 |

| ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | |
|---|---|
| საბავშვო | |
| მსოფლიოს ატლასი | 20 |
| მოსწავლის პირველი | |
| ენციკლოპედია, ცხოველები | 9 |
| მოსწავლის პირველი | |
| ენციკლოპედია, ჩვენი სამყარო | 9 |
| პროზა | |
| მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია | 39 |
| გეოგრაფიის ენციკლოპედია | 39 |
| მეცნიერების ენციკლოპედია | 40 |

ტელ: 42-43-40 38-26-73

# მას, ვისაც უყვარს წიგნი

## სიახლე წიგნის მოყვარულთათვის

გამომცემლობა „პალიტრა L“ წიგნის მოყვარულებს სთავაზობს ახალ სერვისს საქართველოს რეგიონებში.

თქვენ საშუალება გეძლევათ სეზონური კატალოგის მეშვეობით აირჩიოთ სასურველი წიგნი; შეავსოთ ბარათი და 2 დღეში მიიღოთ წიგნი (ფასნამატის გარეშე) ახლომდებარე ჟურნალ-გაზეთების ჯიხურში.

მოიკითხეთ კატალოგი რაიონის „კვირის პალიტრის“ ჯიხურებში.

## გამოიწერეთ „ცხელი წიგნები“

### ართურ კონან დოილი დაკარგული ქვეყანა

204 გვერდი, რბილი გარეკანი

ფასი: 5 ლ.




წიგნი, რომელიც დღესაც ერთი ამოსუნთქვით იკითხება — თითქოს გუშინ იყოს დაწერილი. მაშ, ასე — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „დაკარგულ ქვეყანაში“ — დინოზავრებთან, პტეროდაქტილებთან, ტირანოზავრებთან, იგუანოდონებთან და კაც-მაიმუნებთან შესახვედრად!

### „დუმილი რეკავს“

304 გვერდი, რბილი გარეკანი,

ფასი: 6 ლ.




— ლაპარაკი ვერცხლია, დუმილი, — ოქროო! — ამბობენ ჩვენი ძველები.

ჩემი ოქრო და ჩემი ვერცხლი ჩემი სამშობლოა;

ვყვირი! — მისთვის ვყვირი!

ვდუმვარ! — მისთვის ვდუმვარ!

მხოლოდ ჩემთვის, — ღმერთმა ნურც დამაყვიროს და ნურც დამადუმოს.

### თემურ ყიფიანი სამაგიდო ენციკლოპედია ყველაფერი ყველაფერზე

884 გვერდი, რბილი გარეკანი,

ფასი: 12 ლ.




იმ თემებზე, რაც კი შეიძლება ადამიანს ცხოვრებაში დასჭირდეს. ის საუკეთესო მეგზური იქნება, როგორც თქვენთვის, ისე თქვენი შვილებისთვის...



# მკითხველის საუკეთესო ანეკდოტი



**1.** სერიალების მოყვარულ მაროს ესიზმრა, ვითომ იგნასიო მომკვდარიყო. გულგახეთქილმა გამოიღვიძა და რას ხედავს — მის ქმარს თქვენი ჭირი წაუღია.

— კიდე კარგი, მიტუაზე ამიხდა, ქა! — გაუხარდა მაროს.

***ემზარ ფრუიძე, წყალტუბო***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 2. „სიკო"



გურჯაანელი სიკო ბ-ლი იმთავითვე წინააღმდეგი იყო ოჯახში სერიალების ყურებისა, ხოლო რაც ორიოდე წლის წინ მისი ვაჟიშვილი საბერძნეთში წავიდა სამუშაოდ, უფრო გააქტიურა „ჩხუბი" რძალთან და ცხრა წლის შვილიშვილ ნათიასთან. რა ექნა, ეჭვიანობდა კაცი! ერთხელაც, ნათია გულუბრყვილოდეუბნება პაპას: — შენც უყურე ხოლმე ტელევიზორს, ხშირად გახსენებენ და დედა გახარებული იძახის — აგე, პაპაშენიო. სიკოს გაუკვირდა და რაკი გოგონამ ბოლომდე ვერ აუხსნა, რა ხდებოდა, ახლო მეზობელთან გადავიდა საქმის „გასარკვევად".

მეზობელმა სიცილით აუხსნა, რომ იმჟამად ინტენსიურად გადიოდა გერმანული პრეზერვატივის „სიკოს" რეკლამა.

რძალ-მამამთილის ჩხუბი მერე უნდა გენახათ...

***რომან ზუკაკიშვილი,***
***საგარეჯოს რაიონი, სოფელი პატარძეული***

## 3. „პაროლი"



იყო დრო, როდესაც მთელი თბილისი ტელეფონავტომატებით საუბრობდა (მობილური მოგვიანებით „ალმოაჩინეს").

ერთხელ ზორბეგ სინაურიძე „ქუჩის ტელეფონით" ვიღაცას ელაპარაკება. კარგა ხანს რომ ისაუბრეს, ზორბეგი ზრდილობიანად ეკითხება:

— კარგი, 15 წუთში შეგხვდებით... უკაცრავად, რა გეცმევათ?

ისიც პასუხობს:

— სათვალე მეკეთება, ოდნავ მელოტი ვარ...

უცებ, ზორბეგს ყურმილში ბრახაბრუხის და ყვირილის ხმა მოესმა, ორიოდე წუთში კი მოსაუბრე ისევ დაელაპარაკა:

— ხო, მართლა, სათვალის ერთი შუშა ჩამსხვრეული მექნება და მარჯვენა თვალზე „სინიაკი" მაზის.

...როგორც მოგვიანებით გაირკვა, ვიღაცას არ მოსწონებია ტელეფონავტომატზე დიდხანს რომ საუბრობდა და ერთი მაგრად „დაუქოთავს".

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

## 4. პროტესტი




საბჭოეთის ჩემპიონატში ლანჩხუთის „გურია" ეთამაშება კიევის „დინამოს" ლანჩხუთში. ერთი ჩემი ახლობელი გურამ გ-ძე სტადიონზე ათი წუთის დაგვიანებით მივიდა. შევარდა თუ არა, მაყურებლის სკამზე არც დამჯდარიყო, რომ ტაბლოს ახედა. ტაბლოზე უკვე ეწერა ანგარიში 2:0 კიეველთა სასარგებლოდ. გურამმა ჯერ იფიქრა, თვალი ხომ არ მატყუებს, ათ წუთში ორი გოლი როგორ გაიტანესო. მაგრამ როცა უთხრეს, ასეაო, გამწარებულმა ხმამაღლა წამოიძახა: — რავა, ძამა, ეს კიეველები გატანილი გოლებით ჩამოვიდნენ თუ რაშია საქმე?!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## 5. თავხედი



1986 წელს უცხო ენათა ინსტიტუტში ფრანგი ლექტორი ემანუელ ბლოკი მოღვაწეობდა (ამბობდნენ, არც ქართული ენა იცის და არც რუსულიო). ერთხელ ვესტიბიულში ვდგავართ პირველკურსელები. ბატონი ემანუელიც დიპლომატით ხელში იქვე დგას. უკანალთან შარვალი ცარცით აქვს მოსვრილი. პირველკურსელმა ალეკო გ-მ გადაწყვიტა თავი გამოეჩინა, მივიდა, უკანალზე ხელი მიიდო და მერე ბატონი ემანუელისკენ გაიშვირა თითი: — ვუ... ვუ (თქვენ... თქვენ...)... უნდოდა ეთქვა, თქვენ, დასვრილი ხართო. სინამდვილეში გამოუვიდა, თქვენ უკანალი ხართო. ემანუელი აიმრიზა და მოულოდნელად ქართულად მიახალა: — თავხედო! და ჩქარი ნაბიჯებით გაგვეცალა.

***„საგარეჯოელი"***

## კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის
ან ანეკდოტის ნომერი

__________

__________

__________

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №37

## ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას. ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, მესამე ადგილზე გასული კი — 20 ლარს.

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 13 სექტემბრის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 14 სექტემბრის 13 საათამდე.

## იუმორესკა

# დიმპიტაური

სალამო ხანი იყო. ჩავრთე ტელევიზორი და ვაჟკაცურად მოვემზადე საინფორმაციო გამოშვების საყურებლად. მოვილაგე გვერდით ვალიდოლ-კორვალოლი, ცივი წყალი, მარაოც კი და გავემზადე, მაგრამ ვინ გაცალა! აზრიალდა ტელეფონი.

— სოსო! — ჩამძახა ჩემმა ძმაკაცმა, თაზომ, — ინგლისური ხომ იცი შენ მაგრად?

— რა იყო, რა გაგიჭირდა?

— ესპანურიც ხომ გაგეგება ცოტა?

— რა გინდა მერე, აღარ იტყვი?

— ბიჭო, სტუმრები ჩამოუვიდა ვასიკოს, ჩემს მეზობელს. ქმარი ინგლისელია, ცოლი — ესპანელი.

— შვილი ზანგი, — დავუბოლოე მე.

— მოკლედ, გვითარჯიმნო უნდა, ძმაო! პურმარილი და აქეთ-იქით სეირნობა არ მოგაკლდება. სხვა რა გინდა ამ სიცხე პაპანაქებაში? ჯერ ბორჯომის ხეობით დავიწყოთ!

— ლამაზია?

— უჰ! შეკაცო! — აღფრთოვანდა თაზო, — ლამაზი კი არა, გადაგრევს! შეგშლის ჭკუიდან! ეგეთს სად ნახავ მსოფლიოში! აქეთ წიწვი, იქით ნაძვი, შუაში...

— ბიჭო, ესპანელ ცოლზე გკითხები! — დავაკვალიანე მე.

— ეეეჰ! მიდი, რა! გაემზადე მოკლედ და ხვალ დილას გამოგივლით მანქანით. ისტორიული ძეგლები და ადგილები მშვენივრად იცი. ჰოდა, დასცხე მჭევრმეტყველება და არ შეგვარცხვინო! ააბხელე მამული!

სიმართლე გითხრათ, ქალაქიდან კარგა ხანია, არ გავსულვარ. გამიხარდა, ამის საშუალება რომ მომეცა და მოლოდინში ტკბილად დამეძინა.

დილით მანქანამ მომისიგნალა, კიბე მხნედ ჩავირბინე და სტუმრების წინაშეც წარვდექი.

— მარია, — გამომიწოდა ხელი თხელმა, ფერიასავით ნაზმა ქალმა.

— ბალერინაა, — ჩამჩურჩულა თაზომ, — გრამებს ითვლის.

— ენდრიუ, — ახლა კაცი გამეცნო ღიმილით.

— მწერალია. ვეგეტარიანელი, — ისევ წამჩურჩულა თაზომ.

ვასიკომ მანქანა დაძრა და გავფრინდით.




— ეს ვეფხვი და მოყმეა — ვამცნე სტუმრებს ორივე ენაზე, — ეს წმინდა ნინო... ეს მეფე დავით აღმაშენებელი... ეს...

და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო!

რესტორანი „დელია რანუნი", სახინკლე „ჩაუფინე", საქაბაბე „ტარხუნა", სახაშე „დილაბნელი", სახაშე „ხოშიანი", რესტორანი „ვენეცია მტკვარზე", საკუჭმაჭე „მზია", სამწვადე „კბილცეცხლაშვილები", პიცერია „გოდერძი და საძმო", სახაჭაპურე „მაყვალას მარჯვენა". მერე ისევ რესტორნები: „სალალობო", „სასიმღერო", „დიმპიტაური", „დამპიტაური", „ტაში", „ტუში", „აბა, ჰე! აბა, ჰო!"...

— ეს სვეტიცხოველია, — ამოვთქვი ბოლოს შვებით, — ის, — ჯვარი.

— ინგლისურად თქვი, შე კაცო! ან ესპანურად! — მუჯლუგუნი წამკრა თაზომ, — რამ დაგაბნია.

ჩამოვსხედით ტაძრის ეზოში. მერე სანთლებიც დავანთეთ, ვილოცეთ, ფოტოსურათები გადავიღეთ და გავუდექით ისევ გზას. ჰოდა, ატყდა ისევ და რა ატყდა! თარგმნას ვერ ვასწრებდი! თანაც, მიდი თარგმნე თუ ბიჭი ხარ, როგორი სათარგმნია!

რესტორანი „კურტუმო", სამწვადე „მაძღარა", სახაჭაპურე „იოზას ფანტაზია", სახინკლე „ნაკეცნაკეც", რესტორანი „ვორუდილა", „ვარხალალო", „დიპლიპიტო-დაპლიპიტო", „შესვი, გაამოს", საქაბაბე „მუცელქორა", სალობიე „კუჭლანდია", რესტორანი „ნაირასთან", ლუდის ბარი „ზაირასთან"...

ჭამა ამათ არ უნდათ და სმა, თანაც, ქალი — ბალერინაა, კაცი— ვეგეტარიანელი... გასცქერიან გზას გაკვირვებულები.

— წარწერა უთარგმნე, ბიჭო, წარწერა! — მიმითითა თაზომ.

— „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია", — ვთარგმნე მეც ორ ენაზე ისევ.

— ოუ! ნუთუ თქვენ რამე გტკივათ? — გაუკვირდა ქმარს ინგლისურად, ცოლს — ესპანურად.

— ეჰ, გვტკივა რომელია... გვტკივა კი არა, გასკდა გული! — ამოვაყოლე ნათქვამს მთელი სადარდებელი, მაგრამ მეტი ვეღარ მოვახერხე, ისევ და ისევ უნდა მეთარგმნა! ჰოდა, წამოვიდა ნიაღვარი: რესტორანი „ბუქნი-ბიჭო!" სახინკლე „არ დაიდარდო", ლუდის ბარი „დაიკიდე", სამწვადე „მარადისობა", პიცერია „ლამზირა-2005", სახაშე „ქეიფი ტრასაზე", სახაჭაპურე „რასაცა შეჭამ, შენია", რესტორანი „სამი დალიე"...

მივქროდით და მიგვაცილებდა დოლ-გარმონიანი ნიავქარები...

***თამრო შვარცი***

## © ·ფოტოპალიტრა·

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოს. გთხოვთ, გაუკეთოთ შესაფერისი წარწერა და გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. საუკეთესო წარწერები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.



მიხეილ სააკაშვილი, გიგი უგულავა

რას დაარქმევდით?

__________

__________

თქვენი სახელი, გვარი __________

ქალაქი (რაიონი) __________

## მილოცვა



**სოსო ჭინჭარაულს!**

გილოცავთ დაბადების დღეს, 11 წლის შესრულებას. გისურვებთ, სახელოვანი და სამშობლოსთვის გამოსადეგი ხევსური ვაჟკაცი დამდგარიყავი. გიყვარდეს ღმერთი და ღვთისმშობელი ყოფილყოს შენი და შენი ოჯახის მფარველი.

*ბიძა, მამიდა, მამიდაშვილები*

## ბინები

გირავდება 1,5-იანი ბინა დიღმის მასივში, ტელეფონით. მის: II კვ. კორპ. 13. VIII სართ. ტელ: 52-58-07; 899 53-74-20. ჟანა

## გთავაზობთ სამუშაოს

ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები კვალიფიკაციის მიხედვით. მენეჯერები სტაჟირებას გაივლიან მსოფლიოს 61 ქვეყანაში, საკუთარი სურვილით, ფირმის ხარჯებით და პროფილით. ანაზღაურება – გამომუშავებით, ყოველთვიური 400-600 ლარი ან სტაბილური $100-დან ზევით. ტელ: 899 76-68-50. ბ-ნი დიმიტრი. მის: დიღუბე, სამთო ქიმია, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38

დასაქმების პროგრამა ახალ ინდუსტრიაში მრავალდარგოვანი განხრით, მოსახლეობის იმ კატეგორიისთვის, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება ან სამუშაო გამოცდილება ბიზნესის სფეროში და ფლობს რუსულ ენას. ტელ: 893 37-61-37

გვესაჭიროება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ადამიანები საოფისე სამსახურში. თქვენ გაქვთ შანსი, მიიღოთ მაღალანაზღაურებადი სამსახური. ტელ: 899 35-25-17

ამერიკული კომპანია პირველად საქართველოში აწარმოებს კადრების შერჩევა-გადამზადებას ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. ასაკობრივი ცენზი განუსაზღვრელია. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა შეუძლია მიიღონ როგორც რეგიონებში მცხოვრებლებმა, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა. ინფორმაციის მიღება უფასოა. ტელ: 893 16-91-45; 60-30-22. რუსუდანი

სუპერმარკეტების ქსელი „პოპული" იწვევს 18-45 წლის მანდილოსნებს მაღაზიების კონსულტანტ-გამყიდველებისა და მოლარეების პოზიციებზე. ანაზღაურება თვეში 130-150 ლარი და ზემოთ. მის: მოსკოვის გამზირის დასასრული, ქინძმარაულის ქ. №5 (ავეჯის საწარმო „განთიადის" ეზოში).

საოფისე წარმატებული სამსახურისთვის მესაჭიროება 5 ადამიანი. ხელფასები – $120 და $180 – დასაწყისისთვის. აუცილებელია რუსული ენისა და ხალხთან ურთიერთობის ცოდნა. ტელ: 31-51-31; 893 93-33-50. თინა

საოფისე საქმიანობისთვის ვიწვევთ ექიმებს, ფსიქოლოგებს, პრომოუტერებს, ეკონომისტებს. შეთავსება შესაძლებელია, ასაკი – 30-ს ზევით. ჩაწერა მიღებაზე: 899 39-78-80

საერთაშორისო კორპორაციას ესაჭიროება თანამშრომლები ადგილობრივი და რეგიონალური კადრიდან. ანაზღაურება – მაღალი. ხდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადებაც და დასაქმებაც. ასაკს და სქესს მნიშვნელობა არა აქვს. ტელ: 51-73-08; 893 33-18-86; 893 67-57-55. მის: ვაჟა-ფშაველას ქ. №16, მე-13 სართ. ოთ. 17

სამუშაოდ ვიწვევთ ლიდერებს. პრიორიტეტი ენიჭებათ ლომის ზოდიაქოს ქვეშ დაბადებულ ადამიანებს. ტელ: 25-06-71

## მომსახურება

აგიკრებთ ნებისმიერი სახის ტექსტს, სწრაფად, ხარისხიანად. დაგიმზადებთ ბლანკებს, დოკუმენტებს. 1 გვერდის ფასი – 70 თ. ტელ: 34-32-79; 893 96-00-42

გთავაზობთ კომფორტულ დასვენებას ბათუმში (ბარცხანაში, ქალაქის შესასვლელში), 2-სართულიან სახლში (კერძო სასტუმროსავით). პირობებით კმაყოფილი დარჩებით! ფასები: კაცი – 7, 8 და 10 ლარი. სურვილისამებრ, ყოველდღე მოგემსახურებათ მიკროავტობუსი: წაგიყვანთ სარფის პლაჟზე. ტელ: 893 95-18-74

ნაოჭების სრული დაშლა-გასწორება, გამონაყარის, პიგმენტური ლაქების, ჭორფლის მოშორება; მოდუნებული სახის კანის, ყელის, ღაბაბის აღდგენა სამკურნალო მასაჟით (35 წუთი) + ეგვიპტური ვაკუუმნიღბებით. შედეგი გარანტირებულია 7-10 დღეში, შემდგომში ნაოჭის არგაჩენის გარანტიით, სპეციალური მალამო-ზეთით. სეანსი – 6 ლარი. მიღება წინასწარი ჩაწერით. მის: №1 სამშობიაროსთან, ჯავის ქ. №26. ტელ: 899 17-63-90; 69-98-92. ეთო

გახდომა მცენარეული საშუალებებით, თვეში 7-18 კგ; გასუქება 6 კგ-მდე; ტანის კორექცია, მუცლისა და თეძოებზე ღარების და ცელულიტების მოსპობა, ერთხელ და სამუდამოდ, დაიბრუნეთ ახალგაზრდობა. სიმაღლეში ზრდა – თვეში 3-5 სმ, 2-დან 25 წლამდე. შედეგი – 100%-იანი გარანტიით; იმუნიტეტის ამაღლება და გონებრივი ჩამორჩენის დაძლევა. კონსულტაციები უფასოა. მის: სამთო ქიმია, I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38; 899-90-54-78 ქ-ნი ქეთევანი

კოსმეტოლოგი გთავაზობთ ეპილაციას ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით (ფასი: 1 სთ – 8 ლარი), ანესთეზიით, ყოველგვარი გართულებების გარეშე, მორჩენის გარანტიით. აგრეთვე: სახის გაწმენდას და უნიკალურ მალამოებს. ჩაწერა წინასწარ. მის: მ. „სამგორთან", ხარაბაძის ქ. №43/ა. ტელ: 77-61-64; 893 96-91-30. ნონა

## მკურნალობა

მთლიანი ორგანიზმის უზუსტესი კომპიუტერული და ფუნქციონალური გამოკვლევა – წნევების დარეგულირება, თავის ტკივილები, ნევროზი, კუჭის და თორმეტგოჯას წყლული, ბუასილი (სისხლდენა, ნაპრალი, ქავილი), უნებლიე შარდვა, პროსტატიტი, ქოლეცისტიტი, ღვიძლის გაწმენდა, სიმაღლეში ზრდის აქტივაცია, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მასაჟი. ტ: 899 43-97-34; 32-39-46. ექიმი ნათია

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრ მუმიოზე ვამზადებ მალამოებს, ხსნარებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრების ანთებას, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს (ასევე უმძიმეს დაავადებებს), დისკოზს, ართროზს. მის: თევდორე მღვდლის №48. მე-4 სად. მე-8 სართ. 56-37-37; 899 54-64-81

ლომთათიძე – პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: უნებლიე შარდვას, ფრჩხილის სოკოს, ფსორიაზს, ბუასილს, თმის ცვენას, პროსტატიტს, სახსრებს, სქოლიოზს, ყურებში ხმაურს, ჭარბთმიანობას, ჭორფლს, მეჭეჭებს, ხორცმეტებს, ჰეპატიტს, ნაღველს, გადიდებულ ღვიძლს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს, გულიდან, ფილტვებიდან. გვაქვს თმის ძირების გასამაგრებელი საპონი. ამაგრებს და კვებავს თმის ძირებს. კომპიუტერული დიაგნოსტიკა – 30 ლარი. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: ალმაშენებლის №93. ტ: 893 39-04-87; 96-38-27

იმუნიტეტი და ქრონიკული დაავადებები, მათი მკურნალობა! საერთო სისუსტე; სწრაფი დაღლა ფიზიკური, ემოციური ან გონებრივი დატვირთვისაგან; თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, გაბრუება, ჰიპერტონია ან ჰიპოტონია; ცუდი ძილი ან უძილობა; უხასიათობა, მოუსვენრობა, ნევროზი, შიშები, დეპრესია; ხშირი გაციება და სურდო; ხშირი დაჩირქება; ჭარბი ოფლიანობა; ხალების გამრავლება, პაპილომები, ლაქები, ლიპომები, დერმატიტები, ქავილი, კანის წყლულები; პროსტატიტი, ენურეზი; ღამის ტკივილები და ა.შ. – სხვადასხვა კომბინაციაში, იმუნიტეტის დაქვეითების, ანუ ქრონიკულ დაავადებათა საერთო, მახასიათებელი სიმპტომებია, რომლებიც ავადმყოფის ინდივიდუალურ ჩივილებთან ერთიანობაში ასახავს ქრონიკული დაავადების სრულყოფილ, ინდივიდუალურ კლინიკურ სურათს! ქრონიკულ დაავადებათა განკურნება, რომლებიც არ ემორჩილება ჩვეულებრივ მედიკამენტურ მკურნალობას, შეიძლება მხოლოდ კლასიკური ჰომეოპათიური მკურნალობით. მხოლოდ მას შეუძლია ავადმყოფი სხეულიდან ამოფხვრას იმუნიტეტის დამთრგუნველი, ღრმად ჩაბუდებული ფარული კერები, რაც გამოიწვევს იმუნიტეტის მკვეთრ ზრდას და შესაბამისად, სწრაფ გაჯანსაღებას! მის: პუშკინის №10, პოლიკლინიკა „ესთერი", III სართ. კაბ. 1. (12-17 სთ). ტელ: 899 96-33-15

განკურნების გარანტიით ვმკურნალობ თმის ბუდობრივ და ჩვეულებრივ ცვენას, 10 დღეში ვაჩერებ ცვენას, ამომყავს დაავადებულ ადგილებზე თმა. აგრეთვე მცენარეებით და საგვარეულო რეცეპტებით ვმკურნალობ ნევროზს, ხელების და თავის კანკალს, თვალების ხამხამს, ყველანაირ ტიკს. მის: ალმაშენებლის 115. პოლიკლინიკის შენობა, ეზოს ბოლოში. კაბ. №19. ტელ: 78-07-94 (ბინა); 95-83-54 (სამს). ლალი

ალკოჰოლისა და თამბაქოსგან სწრაფი გათავისუფლება, კრემლის ლაბორატორიის მცენარეული პრეპარატებით, რომელიც ხსნის ნაბახუსევის სინდრომს, აგრესიას, დეპრესიას, აწესრიგებს ძილს, წმენდს ღვიძლს, თირკმელს, ნაღვლის ბუშტს და იცავს ორგანიზმს შემდგომი გართულებებისგან. მკურნალობა აბსოლუტურად უსაფრთხოა და შესაძლებელია პაციენტებისგან ფარულად. ტ: 893 96-50-32 მაია; 93-44-25 (11-17); 96-34-51 (საღამოს)

ალკოჰოლიზმის მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხიანი, მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით, შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც – ანტიალკოჰოლური წვეთებით, ასევე „პახმელიის" მოხსნა. გარდა ამისა ნევროზი, აგრესია, დეპრესია, უძილობა, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის პრობლემები, ბავშვების სიმაღლეში გაზრდა (აკად. ლიხარიოვის მეთოდებით), სიახლე! – გახდომა დიეტის გარეშე. ტ: 893 35-45-35 (ნებ. დროს); 93-44-25 (12-16 სთ); 58-04-67 (საღამოს). მაკა ექიმი

საგვარეულო სხნარებითა და მალამოებით თმის დაავადებების მკურნალობა – ამოდის თმა: თმის ძირების გამოკვლევა აპარატით, ტილებისა და წილების მოსპობა, კანისა და ფრჩხილების სოკო, ფსორიაზი, ეგზემა, ღრძილების, ჭრილობების, ნაწოლების, ქუსლებზე ნახეთქების მკურნალობა. აგრეთვე ვაკეთებ მასაჟს. აქვე გაიხსნა კოსმეტოლოგიის შემსწავლელი კურსები: მის: ვაჟა-ფშაველას 47, II სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, II სართ. ოთ. 28. ყოველდღე, 11-18 სთ. ტ: 39-39-51 (სამსახური); 35-32-62; 893 91-89-17

მცენარეებითა და ფუტკრის პროდუქტებით გთავაზობთ შემდეგი დაავადებების ეფექტურ, უვნებელ და გარანტირებული მკურნალობას უოპერაციოდ! იკურნება: საკვერცხის კისტა, ჩიყვი (კვანძოვანი), ფიბრომა, მიომა, მასტოპათია, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ბუასილი. აქვე ტარდება სიმსივნით დაავადებულთა ეფექტური მკურნალობა მეტასტაზების შეჩერების მიზნით. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტელ: 70-78-03. (ბინა); 899 74-23-69

აკვიატებული აზრები და ქმედებები, აგრესია, თვითმკვლელობის სურვილი, უძილობა, დეპრესია, ეჭვიანობა, უიმედობა, კოშმარული სიზმრები, მოუსვენარი ძილი, აფორიაქება, შიშები, სევდა, ნაღველი, მელანქოლია, დაძაბულობა. შედეგი გარანტირებულია, შეიძლება პაციენტის გარეშეც. ტელ: 899 49-84-23

სქესობრივი სისუსტე, სპერმის ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, პენისის ანთება, კონტაქტის შიში, პროსტატიტი, ხშირი შარდვა, ბუასილი (ტკივილი, ნაპრალი, კვანძები, ქავილი, სისხლდენა), სოკოვანი, კუჭ-ნაწლავის წყლულები, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ღვიძლი, გასტრიტი, ბრონქიტი, ჰაიმორიტი, წერილი ჭია, ცისტიტი, პიელონეფრიტი, წითელი ქარი, კანის და სხვა დაავადებები. შედეგი გარანტირებული, წამლები – ბუნებრივი. ტელ: 899 49-84-23

ალკოჰოლიზმის მკურნალობა, უახლესი, ეფექტური მცენარეული, ქარხნული, გარანტირებული, უსაფრთხო პრეპარატებით: „პახმელია", „ზაპოი", ჰალუცინაციები, ნერვული სისტემის აგზნებადობა. პრეპარატები მოწოდებულია გაეროს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ; იმ დეფიციტის შევსება, რის გამოც აქვს ალკოჰოლის ხშირი მოთხოვნა. პრეპარატების მიწოდება შესაძლებელია ფარულადაც. ტ: 99-75-90; 899 36-65-34

ცხვირ-ხახასთან დაკავშირებული პრობლემები: ქრონიკული სურდო (მუდმივი გამონადენი ცხვირის ღრუდან), პოლიპები (წლების განმავლობაში ქიმიურ ცხვირის წვეთებზე დამოკიდებულების მოხსნა, ზომების შემცირება, სუნთქვის გაუმჯობესება, იმუნიტეტის გაძლიერება, ვირუსული ინფექციებისგან დაცვა), ქრონიკული ჰაიმორიტი, ფრონტიტი. პრობლემების მოგვარება ფიტოთერაპიული პრეპარატებით. ტელ: 93-44-25 (11-16 სთ); 893 65-99-71. ნინო

ალკოჰოლიზმის მკურნალობა, უახლესი, ეფექტური, ქარხნული, გარანტირებულად უსაფრთხო მცენარეული პრეპარატებით – „პახმელია", „ზაპოი", ჰალუცინაციები, ნერვული სისტემის აგზნებადობა და მისგან გამოწვეული პრობლემების მკურნალობა. პრეპარატები მოწოდებულია გაეროს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ. პრეპარატების მიცემა შესაძლებელია ფარულადაც (საკვებში შერევით) ტელ: 99-75-90; 899 36-67-46. ექიმი ნინო (ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის მაგისტრი)

ალკოჰოლიზმის თერაპიული მკურნალობა, ნაბახუსევის სინდრომის მოხსნა, თეთრი ცხელება, „ზაპოი", ჰალუცინაციები, ნერვული სისტემის აგზნებადობა, უძილობა და მისგან გამოწვეული პრობლემების მოხსნა. უსაფრთხო, ქარხნული წარმოების მცენარეული პრეპარატებით (ISO-ს სერტიფიკატის მქონე) იმ დეფიციტის შევსება, რის გამოც აქვთ ალკოჰოლის ხშირი მოთხოვნა. მკურნალობა აბსოლუტურად უსაფრთხო და შედეგიანია, შესაძლებელია პაციანტისაგან ფარულადაც. ტელ: 99-75-90; 899 36-65-34. ნანა

100%-იანი გარანტიით!!! ვმკურნალობთ ბუასილის სხვადასხვა ფორმას (მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, ნაპრალი, კოლიტი, წვა, ქავილი). მწვავე ტკივილები ქრება 1-2 დღეში. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის 87), 11-15 სთ. ტელ: 69-91-92; 61-02-97; 899 57-16-99. ექ. ალექსიშვილი

2-3 დღეში ეფექტი! ტრადიციული და კლასიკური მეთოდების გამოყენებით ვმკურნალობთ ხერხემლის და სახსრების დაავადებებს, ნერვის ანთებას, რადიკულიტს, პლექსიტს. მკურნალობა ეფექტურია საოპერაციო შემთხვევების უდიდეს პროცენტში. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის ქ. 87), 11-15 სთ. ტელ: 61-02-97 (ბინა); 69-91-92 (კაბინეტი); 899 57-16-99. ალექსიშვილი

მეჭეჭების და ხორცმეტების: პაპილომების, კონდილომების, მოლუსკების მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიების ქვეშ, მთელ ტანზე უმტკივნეულოდ, უსისხლოდ, ნაკვალევის გარეშე. ეფექტი გარანტირებულია! მკურნალობს გამოცდილი ექიმი – რუსუდან საყვარელიძე. ტელ: 39-00-70; 899 56-96-61

მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა, ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით და მეთოდით, მაღალი შედეგებით. მის: ვაჟა-ფშაველას №16, მე-13 სართ. (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღვანელი ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-16 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77. (ბინა)

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც), „პახმელიის" მოხსნა, აგრესიები, აკვიატება, უძილობა, შიშები, ნევროზი, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ბუასილი, კოლიტი, ღვიძლი, წითელი ქარი, თირკმელი, თამბაქოს გადაგდება, სოკო, ფსორიაზი – მცენარეული პრეპარატებით. უკუჩვენება არ გააჩნია. ექიმის მიერ აყვანილი პაციენტის განკურნება გარანტირებულია. ტელ: 899 21-13-66; 68-92-77 (19 სთ-ის შემდეგ ან 11 სთ-მდე)

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი-კომპიუტერი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

დამთავრებული მაქვს თსუ ასპირანტურა. მოვამზადებ აბიტურიენტებსა და სკოლის მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, კვირაში 3-ჯერ. ფასი – $80. ტელ: 37-98-13; 899 97-01-49

ავტოსკოლა „გზაჯვარედინი" ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებით. ჩარიცხულ მოსწავლეებს უფასოდ გადაეცემათ საგამოცდო ბილეთები. მის: ლადო ასათიანის ქ. №28. მუხიანის დასახლება I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

თბილისის დამოუკიდებელი ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი გიწვევთ სასწავლებლად დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: სამართალმცოდნეობა, ეკონომიკური, უცხო ენები; ასევე უმაღლესდამთავრებულებს – პროფესიის შესაცვლელად. მის: ს. ეულის ქ. №1 (ვაჟა-ფშაველას ბოლოში) ტელ: 32-06-97; 893 93-38-15; 899 67-05-25

სპეციალიზებური ცენტრი PARADOX-ის ლიცენზირებული სპეციალისტები, პროფესიულ დონეზე შეგასწავლით კომპიუტერულ პროგრამებს, ბუღალტერიას, ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს, windows-xp, msofiice-xp, გრაფიკა: coreldraw, photoshop, autocad, archicad 3dmax. მის: გაბაშვილის ქ. 7, მ. „რუსთაველთან", კინოსახლის შენობის უკან. ტელ: 98-80-23; 899 77-49-40; URL: www.paradox.ge

შპს „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. 1. კოსმეტოლოგი-ვიზაჟისტი (ეპილაცია, სახის გაწმენდა, იონოფორეზი, ლიფტინგი, ფიზიოთერაპია, მალამოები, მასაჟი, მაკიაჟი); 2. მასაჟისტი (ჰიგიენური, სამკურნალო, კოსმეტიკური, სპორტული). გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: ალმაშენებლის გამზ. №115 (ეზოში). ტელ. 94-01-82; 95-83-18; 96-22-89

სწავლა კურსებზე, შეღავათიან ფასებში: 1. კოსმეტიკა. შეისწავლება: კანის დეფექტები; მალამოები – მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო მასაჟი, ეპილაცია, რძეები, ლოსიონები და სხვა; 2. მასაჟი: სამკურნალო და პროფილაქტიკური; 3. მანიკიური, პედიკიური. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, ცოტნე დადიანის ქ. №26. ტელ: 69-09-19; 66-53-56; 893 33-09-66

## იყიდება

5000 კვმ მიწის ნაკვეთი დიღმის მასივში, ყოფილი „მიონის" ტერიტორიაზე. ტელ: 877 76-15-09

ახალი კორეული სატელიტური ანტენა. აჩვენებს 4 ქართულ, 8-დან 80-მდე რუსულ, 600-მდე ევროპულ არხს. ერთი ანტენის კომპლექტის ფასი: $100-120, მონტაჟი: 50 ლარი. I ვარიანტი: 3 ქართული, 4 აზერბაიჯანული 140 თურქული; II ვარიანტი: 1 ქართული, 8 რუსული, 500 ევროპული. სხვა ვარიანტები: 8-დან 35-მდე რუსული. მხოლოდ 45 რუსული $150, მონტაჟით. ტ: 899 94-27-04

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე თანამედროვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-13 სთ); 899 27-38-99; 20 სთ-ის შემდეგ

გთავაზობთ მოხრილობის, რადიკულიტის, დისკოზის და ბავშვისთვის ფეხის ასადგმელ ქამრებს; თიაქრის, კუჭის, თირკმლების, კუჭის, საშვილოსნოს და ორსულობის ბანდაჟებს, ბრტყელტერფიანობისათვის – სუპინატორებს, საშუალებებს ტერფმრუდობისათვის, ორთოპედიულ ბალიშებს და საყელოებს, სუსპენზორებს; „გეტრებს", „ჩულქს" და კოლგოტს – ვენებისათვის. ფეხმძიმეთათვის გთავაზობთ უცხოური ტანსაცმლისა და ბანდაჟების არჩევანს. ტელ: 53-46-41

## შევიძენ

35 სმ-ზე გრძელ თმას, მაღალ ფასად, ადგილზე მისვლით. ტელ: 58-55-58; 899 98-68-98


გაორმაგებული ძალით!
„სიტყვა და საქმე"
ერთი გაზეთი –
ორი რვეულად!
68
გვერდი




ორჯერ უფრო ეფექტური და
ორჯერ უფრო მოსახერხებელი!

## ვლადიმერ (ვოვა) ბულიგინის ცრემლიანი და ტკივილიანი მოგონება



ჩემო ძვირფასო ვოვა! ტანჯვით და მწარე ტკივილით დამთავრდა ჩემთვის მძიმე, ჯოჯოხეთური ოთხი წელი. ეს ის ოთხი წელია, რომელმაც ჩვენი პატარა ოჯახი გაანადგურა და ერთმანეთს სამუდამოდ დაგვაშორა.

მიჭირს, ძალიან მიჭირს უშენოდ ყოფნა ამ ქვეყანაზე, ჩემო მარადიულო ტკივილო, დაკარგულო დიდო სიყვარულო და დიდო იმედო. შენზე დარდსა და გლოვაში გავნადგურდი, ჩემო ვოვა. ძალიან, ძალიან ძნელი ყოფილა ნამდვილი, ჭეშმარიტი დარდის განკურნება...

საამაყო ვოვა! შენს თავს ვფიცავარ, სიცოცხლე არარაობად მექცა. ცოცხალი ვარ, მაგრამ სულით და გულით მუდამ შენთან ვარ. ყოველი დღე შენზე ფიქრში თენდება და ღამდება ჩემთვის. შენი საფლავის, სურათებისა და წარსულზე ტკბილი მოგონებების მეტი აღარაფერი დამრჩენია ამ ქვეყანაზე. შენ იყავი და ხარ ჩემთვის ერთადერთი საფიცარი ადამიანი, ვისთვისაც საკუთარ სიცოცხლეს არასოდეს დავიშურებდი. ეს შენ, შენი კარგი ადამიანობით და დიდი სიყვარულით დაიმსახურე, ვოვა და დღეს ბედნიერი ვიქნებოდი, შენ რომ ხარობდე შვილებსა და შვილიშვილებში და მე არ მოვსწრებოდი შენგან ასეთ სიმწარეს, ისე წავსულიყავი ამ ქვეყნიდან...

ალალ-მართალო, უზომოდ კეთილო, გაჭირვებისა და დალხინების დროს ყველასთვის ულალატო, ვაჟკაცი სულის ვოვა, ძალიან, ძალიან მენატრები. მარადიულია შენი მონატრება გაუბედურებული, უშვილოდ დარჩენილი გულიკოსთვის, რომელიც დღეს შენი ოჯახით, შვილიშვილების დიდი სიყვარულით და სითბოთი ვცოცხლობ ამ ქვეყანაზე. დიდი მადლობა, ვოვა, შენს შვილებს იმ თბილი და კარგი ურთიერთობისთვის, რომელიც ჩვენ შორის ყოველთვის იყო და დღესაც გრძელდება. განსაკუთრებული მადლობა: მარიამს, გიორგის, ნიკას, ვოვკას და ლუკიტოს, ვოვა ბაბუასთან ერთად, გულიკო ბებოს დიდი სიყვარულისა და მომავალშიც არდავიწყებისთვის...

ჩემო კეთილო ვოვა! შენს ხსოვნას მუდამ სანთლად ანთებულს ვატარებ ჩემს სიცოცხლეში და ვილოცებ მუდამ შენი უკვდავი სულისთვის.

ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი ლამაზი სული და დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

*შენი მეუღლე — გულიკო ედიბერიძე*

## არჩილ შელიას ხსოვნას!



ძალიან ძნელია, დადიოდე მზით გამთბარ მიწაზე და შენს საყვარელ შვილს აღარ ელოდებოდე... ჩემო დამსხვრეულო ოცნებავ, ადრე დაღამებულო დღეო, შენი სიცოცხლე ხომ მხოლოდ 21 წლით შემოიფარგლა. რა ქნან შენმა გამწარებულმა დედამ და უმემკვიდროდ დარჩენილმა მამამ?

შენ ჩვენი პირველი სიხარული იყავი. დავკარგეთ სითბოთი სავსე შვილი, უშენოდ ნაღვლიანად გავიდა წლები. 15 სექტემბერს 6 წელი სრულდება. შენს ტკივილს ვერანაირი სიხარული ვერ შეცვლის. წახვედი მარადიულ გზაზე მუდამ ახალგაზრდა და სპეტაკი სულით, ჩვენო უსაყვარლესო შვილო აჩი.

მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა, სასუფეველი დაგიმკიდროს უფალმა.

*ოჯახი*

## ზაირა სვიმონიშვილის გახსენება!



ზაირა, 7 სექტემბერს შენი დაბადების დღე იყო. რა მძიმე დღეები მოგვიახლოვდა. ჩვენ ხომ პირველად შევხვდით შენს დაბადების დღეს უშენოდ. გასულ წელს შენი იუბილეს (50 წლის სრულდებოდი) აღსანიშნავად ჩამოვედი, მაგრამ თურმე ისეთი განუკურნებელი სენით ყოფილხარ დაავადებული, რომ შენი სტუდენტების მორთმეული ტორტი ვერც კი დაჭერი. მერე, როგორ გიყვარდა გამასპინძლება, საკუთარ იუბილეზეც კი არავის აცდიდი სტუმრების მომსახურებას.

შენ ხომ ყოველ გაზაფხულს და შემოდგომას გამოფენებს აწყობდი და ეხმარებოდი კასპის ბავშვთა სახლს. გასულ წელსაც აპირებდი, მაგრამ აღარ დაგცალდა. ალბათ გელოდებოდნენ კიდეც ბავშვები, მაგრამ ამაოდ.

სწორედ შენს დაბადების დღეს შევასრულე შენი განუხორციელებელი სურვილი და მოგიწყვე გამოფენა შენსავე სახელოსნოში.

ახლა კი ისღა დაგვრჩენია, თვალცრემლიანებმა მოგილოცოთ დაბადების დღე პირველად სასუფეველში.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი წმინდა სული.

*დამწუხრებული დედა და ერთადერთი და*

## თემურ შენგელიას გახსენება



გაუსაძლისია შენი ოჯახში არყოფნა — ცრემლები არ ცხრება. როგორ შევეგუო, თემურ, შენს არყოფნას ან როგორ გავუძლო მარტოობას?! ახლა თვალცრემლიანი გილოცავ დაბადების 54 წლისთავს — უშენოდ ძნელია ყოფნა ოჯახში. მარტოობას ვერ შევეგუე, რა ვქნა, როგორ მოვიქცე უშენოდ?!

იძინე მშვიდად, ჩემო თემურ!

*მეუღლე მზია შენგელია*

## ჯემალ ქვლივიძის ხსოვნას!



2004 წ 13 სექტემბერს საზარელი დილა გაუთენდა შენს ოჯახს. შენმა სულმა დატოვა სხეული და მარადიისობის გზას გაუყვა უკვდავებისკენ. დააკლდი ოჯახს, მეგობრებს, სამეზობლოს და ქალაქს.

შენი სული საქართველოს ბუნებასავით მჩქეფარე იყო, მთის მდინარესავით მარდი, ანკარა წყაროსავით სუფთა და ელვასავით ნათელი.

ზეცა დანამავს შენს მოკრძალებულ საფლავს.

გეზრდება შვილიშვილები, რომლებიც შენს სახელზე ანთებენ სანთლებს და გზას გიკაფავენ სამოთხისკენ.

ნათელში იყავ, იძინე მშვიდად. ღმერთი იყოს შენი სულის მფარველი.

*მეუღლე მარიამი, შვილი ნათია ოჯახით*

## მამუკა ხუნაშვილის ხსოვნას!



ხუთი შემოდგომა მოვიდა იმ შემზარავი დღის შემდეგ. ეს შენი გახსენება არ არის, რადგან არავის დავიწყებიხარ. დიდი ტკივილი ხარ ჩვენი ოჯახისთვის. ნეტავ თუ შეუძლია ვინმეს გაიგოს ჩემი გულის ძლიერი ტკივილი. ძალიან აკლიხარ შენს ცოლშვილს, შენს ვარლამს და ნათიას.

ჩემო საყვარელო მამუკა, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. მოვალ შენს საფლავზე, დაგინთებ სანთლებს და ღმერთს შევევედრები, ნათელში ამოყოფოს შენი ვაჟკაცური, სპეტაკი სული.

*თამრიკო მამიდა*

## მიმოზა ჭანტურია-ბირკაიას გახსენება



არიან ადამიანები, ამქვეყნად მოსვლით კაცთა მოდგმის რიგებს რომ ავსებენ მხოლოდ, მაგრამ ისეთებიც არიან, რომლებიც მოსვლით ლამაზ კვალს გაავლებენ, წასვლით კი საუკუნო გზას სანთლებით, ვარდებითა და ტკივილიანი სიყვარულით გაიცისკროვნებენ... ვაი, რომ ეს შენი გზაა, დედა, გზა, რომელზეც უკვე ორმოცი დღეა, შენი ლამაზი სული მიფარფატებს — სული მტკიცე, გაუტეხელი, ასე რომ გვავსებდა და გვაიმედებდა ყველას.

ძნელია უშენობა... მამას ვეფერებით, შვილებს ტკბილსა და კეთილ ბებოზე ვუამბობთ, თავად კი შენს წილ სითბოსა და სიყვარულს გავცემთ, მეგობრებს, მეზობლებსა და ახლობლებს უშენობა რომ გავუადვილოთ.

არადა, როგორ დაგვაკლდი შენეული ხალისით, ერთგულებითა და თბილი გულით, სიცოცხლის სურვილსა და სასოებას რომ გვინერგავდი ყველას.

დრო გავა, ბედის ბორბალს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ გეფიცებით, შენს ნაფუძარზე ისევ იზეიმებს სტუმართმოყვარეობა, სითბო, სიკეთე, დიდი სიყვარული. გულს კი იმით დავიიმედებთ, რომ ადამიანები ბიოლოგიური სიკვდილით არ პატარავდებიან და კიდევ ერთი: სიკვდილი შენისთანებისთვის სიცოცხლის გვირგვინია, სიცოცხლისა, ლამაზ ფერებად რომ გადააძნე მარადისობას.

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული. მარად შენზე ვილოცებთ, დაუვიწყარო დედა.

*ოჯახი*

## ნათელა ბიწაძის გახსენება



დედა, ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი, წახვედი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი და უსასრულოდ ტკბილი მოგონებები. გვენატრები და გვიჭირს უშენოდ შენს მეუღლეს, შვილებს, სიძეს და შვილიშვილებს. თურმე რა ბედნიერები ვყოფილვართ, შენ რომ გვყავდი.

ვეფერებით შენს სურათებს და დიდი სითბოთი ვისხენებთ ერთად გატარებულ წლებს. მამას და ჩემს შვილებს ძალიან აკლიათ შენი თბილი ხელი, შენი გულიანი სიცილი. შენი ქრისტინა, იურა და ირაკლი ვერასდროს დაივიწყებენ შენს ამაგს, სითბოს და სიყვარულს, მუდამ მოგიგონებენ და არასდროს მიატოვებენ შენს საფლავს. ენატრები შენს დას, დისშვილებს, ძმისშვილებს, მთელ სოფელს და ყველას, ვინც კი გიცნობდა.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი კეთილი სული.

*შენი ოჯახი*

## რატი გეგუჩაძის მოგონება



დაბადების დღეს გილოცავთ, რატი. 13 სექტემბერს 24 წელი შეგისრულდებოდა. წინათ ეს უბედნიერესი დღე იყო, ახლა მას მხოლოდ სევდა მოაქვს ჩვენთვის.

უკვე ოთხი წელი გაფრინდა, რაც მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე, მაგრამ შენთან განშორების ტკივილს წლები ვერ გაანელებს. ისევ ისე გვენატრები, გვაკლიხარ და უსაზღვროდ გვიყვარხარ, ჩვენო ვაჟკაცო. ღამღამობით ზეცას შევყურებთ და შენსავით ლამაზ ვარსკვლავებში გეძებთ. შენ მუდამ ჩვენთან ხარ და ყოველთვის ასე იქნება. მუდამ ვილოცებთ შენი ნათელი სულისთვის, ჩვენო რატი.

*შენი ნეკა და დეიდა*

## ელგუჯა გაბუნიას მონატრება



ამბობენ, ადამიანი მანამ ცოცხლობს, სანამ გამხსენებელი ჰყავსო.

შენ ადამიანთა იმ რიცხვს მიეკუთვნებოდი, ვინც სტიქიურად არ მიჰყვება სიცოცხლის დინებას, ცდილობს სულიერი და ფიზიკური „მეთი“, საქმიანობითა და საერთოდ, თავისი ცხოვრებით, მხოლოდ და მხოლოდ სარგებლობა მოუტანოს ადამიანებს, დატოვოს კვალი ნათელი, რომლითაც იამაყებენ მისი შთამომავალნი. სწორედ ასეთი ლამაზი ცხოვრებით იცხოვრე, სიკეთით, სამართლითა და სიყვარულით გაჯერებული გზებით იარე და შეურცხვენლად მიხვედი მარადიული ცხოვრების კარიბჭესთან.

14 სექტემბერი შენი დაბადების დღეა, ჩემო ელგუჯა. უშენოდ ვხვდებით ამ დღეს და გილოცავთ 66 წლის შესრულებას. ამ დიდებულ დღეს მხიარულება შეჰფერის, ჩვენ კი უშენოდ გამოწვეული გულისტკივილით, დარდითა და ცრემლებით სასაფლაოზე უნდა მოგილოცოთ ეს დღე.

ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. ძალიან ძნელია, ჩემო ელგუჯა, ოჯახისთვის ის მწუხარება, რაც შენმა ამ ქვეყნიდან წასვლამ გამოიწვია.

უძლური აღმოვჩნდით განგების წინაშე. ძალიან უჭირთ შენს შვილებს, შვილიშვილებს, მეუღლეს და ყველა შენს ახლობელს უშენობა. შენს ოჯახში, ყოველი დღე შენით იწყება და მთავრდება, ელგუჯა.

ჩვენ მუდამ ვამაყობდით და ვიამაყებთ შენით. ჩვენმა მოგონებებმა, სიყვარულმა, შენს სახელზე აღვლენილმა ლოცვამ, ანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში.

წლები გავა, ბევრი რამ დავიწყებას მიეცემა, მაგრამ ღრმად გჯეროდეს, რომ არასოდეს წაიშლება მეხსიერებიდან ერთი ლამაზი სიტყვა, რომელსაც ელგუჯა ვლადიმერის ძე გაბუნიას მოგონება ჰქვია.

*მეუღლე გულიკო*

## გოჩა (ჩირალა) შალვას ძე ჩირალიშვილის გახსენება



11 სექტემბერი... ამ თარიღით რომელი ერთი დღე აღგინიშნო — შენი დაბადება, ბედნიერება თუ გარდაცვალება? რა უცნაური დამთხვევაა, შვილო. ალბათ ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ასე ნაადრევად უნდა დამთავრებულიყო შენი ხანმოკლე სიცოცხლე.

30 წელი რა სათქმელია, სამი წელი უკვე მიიწურა, ჩემო პატარა შვილო. 33 წელი შეგისრულდებოდა 11 სექტემბერს. ზუსტად 11 სექტემბერს, უდროოდ მოწყდა შენი ბედის ვარსკვლავი, ჩემო გოჩა. დაგვტოვე სუყველა, გასწიე და წახვედი შენს სამუდამო გზაზე. ეს ხომ ყველა ჩვენგანისთვის აუტანელი და გაუსაძლისი რამ არის, განსაკუთრებით — შენი ცოლ-შვილისთვის. ჯოჯოხეთად მექცა ცხოვრება, შვილო, ჩემო ლამაზო ვაჟკაცო და ჩემო მონატრებავ, საითაც გაივლიდი, ყველგან სიკეთეს რომ აფრქვევდი და ზუსტადაც ამ სიკეთის მსხვერპლი შეიქენ. უბანს თვალში მოაკლდა შენი ლამაზი ნაბიჯებით გავლა-გამოვლა. ყველას მოაკლდი: მთელ სანათესავოს, მთელ სამეზობლოს, საძმაკაცოს და ოჯახზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ეს ხომ ჩვენთვის დიდ მეხის დაცემად ითვლება.

სხვა რა გზა გვაქვს, უნდა დაგიზარდოთ შვილები, ვისზედაც თვალი და გული დაგრჩა და ვევედროთ ღმერთს, გამძლეობა მოგვცეს — რათა სანამ ცოცხლები ვართ შენი მშობლები და შენი ძმა გია, შენი სახელი დავიწყებას არ მიეცეს.

*ფიქრებში ჩაფლულებს ჩაგვესმის შენი ხმა,*
*„გამხნევდით, მშობლებო, ჩემს შვილებს სჭირდებით“.*
*დარჩენილ სიცოცხლეს შენს შვილებს მოვახმართ,*
*გპირდებით, გპირდებით!*

მე დარწმუნებული ვარ, რომ შენს სულს ღვთისმშობლის კალთა მფარველობს და ყოველთვის ვილოცებ, კიდევ და კიდევ, შენი ახალგაზრდა, უდროოდ წასული სულისათვის.

*სიზმარში, ცხადში,*
*დღისით თუ ღამით,*
*სული შენი*
*ჩვენთან ტრიალებს,*
*ვერანაირი ნუგეშისცემა*
*და თანადგომა*
*ვერ კურნავენ შენით დატოვილ*
*ღია იარებს.*
*დაბადების დღეს გილოცავ, გოჩა!*
*სექტემბრის თვის და*
*შემოდგომის სუნი ტრიალებს,*
*ჩვენო ვაჟკაცო, ჩვენო ჩირალა,*
*მუდმივ ნათელი გზებით იარე.*

*დედა*

## დუშა (ევდოკია) ბერულავა-ვახანიას გახსენება



1991 წლის 9 სექტემბერს დათმე ამქვეყნიური ცხოვრება; გადახვედი მარადისობაში 69 წლისა; გადახვედი და დატოვე ხსოვნა დიდებული შენი ბობოქარი ცხოვრებით.

ახსოვხარ და გიგონებს ყველა — შენგან მადლიერთა მთელი არმია, უმადურთა კასტა და ნაცნობთა ფართო წრე, არა მარტო სოფელსა და რაიონში, არამედ ადლერშიც კი, სადაც ცხოვრება და მოღვაწეობა არგუნა ბედმა შენს საფიცარი უმცროს ძმას, რომლის ნაადრევმა სიკვდილმა ლამის მოგინელა.

შენ ჩემთვის დედაც იყავი და მამაც, რადგან მამაჩემი სხვის ომში დაიღუპა სამშობლოს სახელით, შენ კი 18 წლისამ და ერთი თვის პატარძალმა მთელი შენი ცხოვრება მამაჩემის მოლოდინში გაატარე და მთელი შენი ახალგაზრდობა და ქალობა მე შემომწირე — შენს ერთას.

მე შენ სახელით მოგმართავდი მუდამჟამს და ჩემს აღმზრდელ ბებიას დედას ვეძახდი, რადგან ასეთი იყო შენი ნება და ჩემი სურვილი. შენგან დამყვა პრინციპულობა, სიმკაცრე და საკუთარი თავისადმი უდიდესი მოთხოვნილება სამსახურსა და საქართველოს სიყვარულში. მოყვასის სიყვარული და შემწყნარებლობა ბებიამ დამანათლა.

შენ ჩემს საცოლეს ზეცაში ეძებდი და მე კი მიწაზე ვცოდავდი. რამდენჯერ გატკინე გული და ლამის გაგაწამე. შვილთა უმრავლესობა გვიან ვინანიებთ, ალბათ! ამიტომაც მოვუწოდებ ყველას — დედა იწამეთ ღმერთად ვიდრე ცოცხალია!

დედაჩემო, შენ ვერ მოესწარი ვერც ქვეყნის დაქცევას და ვერც შენი ერთადერთი შვილიშვილის — ანას ჩემი ერთას ტრაგიკულ გარდაცვალებას, რომელმაც მე გამანაზევრა. ვიტან ღვთის განსაცდელს, ვიტან ყველაფერს საქართველოს სიყვარულით, შენი ნათელი ხსოვნით, შენი გასაოცარი სიმართლითა და ასევე გასაოცარი უმართლებლობითაც კი.

არც შეხედულება და მრწამსი შემიცვლია, დედაჩემო!

ერთხელ გავაკეთე სწორი არჩევანი და მოველი ახალ ეროვნულ და სამართლიან არჩევნებს, რამეთუ ეროვნული ხელისუფლება ახლა ერშია და არა პოზიცია-ოპოზიციაში. ამას თუ ჩემი სიცოცხლე არ ეყო, ერთად ვიხილავთ ზეციდან, რამეთუ მე ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ. უკვდავია მხოლოდ საქართველო, რომელსაც არასოდეს გაწირავს წმინდა მარიამი და უფალი იესო ქრისტე.

*შენი შვილი — მურმან ვახანია*

## ჯიმი ჯანყარაშვილის მონატრება



ჩემო ძვირფასო, ახლოვდება შენი დაბადების დღე — 10 სექტემბერი. კვლავ უშენოდ როგორ უნდა შევხვდე?! მხოლოდ 45 წელი იცხოვრე შენებურად, ვაჟკაცურად და შენი ცხოვრების განვლილი წლები, სულ ლხინსა და ქეიფში გაატარე. 11 ოქტომბერს კი 16 წელი სრულდება, რაც მარტო, ცალუღელად დამტოვე.

ჯიმი, შენ გარეშე მუდამ თვალცრემლიანი მივყვები ულიმღამო ცხოვრებას. შენი დაკარგვა ძალიან ძნელია ჩემთვის, ნუგეშად ერთი შვილიც არ დამრჩენია. შავი ძაძებით მოსილი სულ ვფიქრობ, რომ მხოლოდ 8 ბედნიერი წელი გავატარეთ ერთად, მას შემდეგ კი არაფერი მახარებს. დრო მკურნალიაო, — ტყუილი ყოფილა. პირიქით, რაც ხანი მიდის, მით უფრო მეტად მენატრები, მით უფრო ძნელია უშენოდ ცხოვრება. მხოლოდ შენი უსაზღვრო სიყვარულით ვინუგეშებ თავს, რომ მარადისობაში კვლავ შევხვდებით ერთმანეთს.

დღედაღამ ვლოცულობ შენი სპეტაკი სულის ნათელსაყოფად.

*შენი ერთგული მეუღლე ელისო*

---

*იური ბასილაძის ოჯახს ვუცხადებთ* სამძიმარს, მეუღლის

**იზოლდა კახიანი-ბასილაძის**

გარდაცვალების გამო.

*მალხაზ წულუკიძის ოჯახი*

---

მეუღლე ვალიკო ჭიჭინაძე; შვილი ინეზა; სიძე შოთა გვალია; რძლები: ნიურა მაღლაკელიძე, ნელი ხვადაგიანი; შვილიშვილები: ირმა, გოგიტა, ხათუნა, თამუნა ჭიჭინაძეები, აკაკი, ირაკლი გვალიები; შვილთაშვილები; ძმისშვილები; დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარ მესხი-ჭიჭინაძისა.**

*პანაშვიდი:* 11 სექტემბერს, 16 საათზე;
*დაკრძალვა:* 12 სექტემბერს, 14 საათზე.
*მისამართი:* თერჯოლის რ-ნი, სოფელი კვახჭირი.

---

მეუღლე თამარ აფრასიძე; შვილები: რევაზი, ნუგზარი, ოთარი, დარეჯან გუჯეჯიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ათმურზა რომანოზის ძე გუჯეჯიანი.**



*პანაშვიდი:* 12, 13 სექტემბერს;
*დაკრძალვა:* 14 სექტემბერს, 17 საათზე.
*მისამართი:* გულრიფშის რ-ნი, სოფ. აჟარა (კოდორის ხეობა)

გუჯეჯიანთა საგვარეულოს სამძიმო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გვარში ღვაწლმოსილი უხუცესის

**ათმურზა რომანოზის ძე გუჯეჯიანის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ვახტანგ აბულაძე და ირინარქი კვირკველია თანავუგრძნობთ *ნინო, ნოდარ, ნელი, ნანა აბაშიძეებს*

**დარეჯანის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

# „წარმატების ექსტაზი“ ფაუნის მოთვინიერებისას

„ქრისტიანულ ქრონიკებში მრავლად შეხვდებით ადამიანისა და ცხოველების ურთიერთგაგების მაგალითებს. ყოფილა შემთხვევა, როცა მშიერი ნადირი, ნაცვლად იმისა, რომ მსხვერპლი დაეგლიჯა, მზერის ან ერთი სიტყვის ძალით, მორჩილად განრთხმულა წმინდანის ფეხებთან“, — წერდა ალექსანდრ გორბოვსკი წიგნში „იდუმალი და უხილავი ძალაუფლება“.



ამ თემაზე წერა ერთმა შემთხვევამ მაიძულა.

წელს, აპრილში, მეგობარს ვესტუმრე აგარაკზე. მის კარ-მიდამოს საზარელი შესახედაობის ბულტერიერი იცავდა. ისეთი ავი იყო, სტუმარი რომ მივიდოდა, სანამ ჭიშკარს გააღებდა, პატრონი თავის „ცერბერს“ საგულდაგულოდ კეტავდა საკუჭნაოში.

ზარის ღილაკს თითი დავაჭირე და იურის, ჩემი მეგობრის, პასუხიც გავიგონე — ახლავე გაგიღებო. მშვიდად შევაბიჯე ეზოში და ჩემკენ გავეშებული ბულტერიერი გამოვარდა. ბოროტი ღრენით ცდილობდა, ფეხში მცემოდა, დავეგლიჯე და ამით პატრონისთვის ერთგულება დაემტკიცებინა. მაგრამ ვიგრძენი, რომ ძაღლს რაღაც უშლიდა ხელს. ჩვენ შორის თითქოს უხილავი, თუმცა საიმედო ჯებირი აღმართულიყო.

შიში არ მიგრძნია. ძაღლს ისე მივჩერებოდი, თითქოს პირველად ვხედავდი. მშვიდად ვეუბნებოდი: — რამ გადაგრია! დამშვიდდი, რა გინდა ჩემგან...

ბულტერიერმა ბასრი კბილი მაინც გაჰკრა ჩემს ქურთუკს. როგორც იქნა, მეგობარიც გამოჩნდა — სახეზე ფერი არ ედო. ძაღლს საყელურში ხელი ჩაავლო და საკუჭნაოში წაიყვანა. გაოგნებული იყო და ვერაფრით აეხსნა, რატომ არ დამგლიჯა ბულტერიერმა. ამას მეც ვერ ვხვდებოდი.

მწერალი ალექსანდრ გორბოვსკი გვიამბობს: „გადმოცემით, წმ. სერგის ემორჩილებოდა „გველთა სამეფო“. XIV ს-ში სამების ლავრის ირგვლივ, ულრან ტყეებში შხამიანი გველები ბუდობდნენ. წმ. სერგიმ გველებს იქაურობის დატოვება უბრძანა. ადგილობრივმა გლეხებმა მიამბეს, რომ მას შემდეგ ლავრის გარშემო, 20 კმ-ის რადიუსში აღმართულია უხილავი ზღვარი, რომელსაც არც ერთი გველი არ გადმოკვეთს“.

ჩემი და ბულტერიერის შეხვედრა ადასტურებს ალექსანდრ გორბოვსკის ვარაუდს, რომ არსებობს განსაკუთრებული „ექსტაზური მდგომარეობა“. ალბათ მეც აღმოვჩნდი მსგავს მდგომარეობაში, რომელსაც „წარმატების ექსტაზი“ შეიძლება ვუწოდოთ. ეს გახლავთ დაცულობის განსაკუთრებული შეგრძნება, რომელიც ცხოველმაც იგრძნო.

ცნობილია მოგზაურისა და მწერლის არსენიევის მოთხრობები ტაიგელი მონადირის, დერსუ-უზალას შესახებ, მის ურთიერთობაზე ვეფხვთან, რომელსაც ამბა დაარქვა. მოთხრობებს რეალური საფუძველი აქვს. აქ არაფერია გამოგონილი. მონადირე, რომელმაც ვეფხვს თავად უწოდა ამბა, კარგად იცნობდა მას, უფრო სწორად, მის ნაკვალევს.

ერთხელ, არსენიევთან ერთად ნადირობისას, დერსუ მიხვდა, რომ ამბა მათ უთვალთვალებდა. აღშფოთებულმა მონადირემ ვეფხვის სავარაუდო სამალავისკენ მიიხედა და შესძახა: „რას დაგვდევ უკან, რა გინდა, ამბა? ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს, შენ არაფერს გიშლით“. არსენიევი წერს: „დერსუს თვალებსა და ხმაში აშკარად იგრძნობოდა, რომ ამბას ესმოდა მისი ნათქვამი. „ორთაბრძოლა“ ხუთ წუთს გრძელდებოდა. შემდეგ დერსუ დამშვიდდა, თოფი მხარზე გადაიკიდა და გზა განვაგრძეთ.

ის-ის იყო, კოცონს მივუსხედით, რომ ბუჩქებიდან ვეფხვის ღრენა მოისმა. დერსუ გვარიანად ანერვიულდა, მაგრამ თოფი არ აუღია. ცოტა ხნის შემდეგ თქვა, — მტაცებლის ტერიტორიაზე შემოვიჭრებითო. ბუჩქებისკენ მიბრუნდა და ვეფხვს მიმართა: „კარგი, კარგი, ამბა, ნუ გვიბრაზდები. ეს შენი ადგილია. ჩემმა მეგობარმა ეს არ იცოდა. ახლავე გადავალთ სხვა ადგილას. ტაიგა დიდია, არ გაბრაზდე!“

ამის შემდეგ დერსუმ დაიჩოქა ვეფხვის სავარაუდო სამყოფელთან, თავის დიალექტზე რაღაც იბუტბუტა და მალე იქაურობას გავეცალეთ“.

**ნლო**

# ცოდვა არავის გაახარებს...

— როგორც იქნა, გავბედე იმის გამხელა, რაც აგერ უკვე 10 წელია, მაწვალებს. მაშინ ქუთაისში ვცხოვრობდით. ჩემს მეუღლეს დავა ჰქონდა თავის მშობლებთან და ძმებთან — კეთილმოწყობილ ორსართულიან სახლს ვერ იყოფდნენ. სხვაგან საცხოვრებლად წასვლა არავის უნდოდა, იმასაც ერთხმად ამტკიცებდნენ, — სამი ოჯახი (ჩემს ქმარს ორი ძმა ჰყავდა) ერთ სახლში ვერ იცხოვრებსო. მშობლები ისე გაამწარეს, მამამთილმა თქვა, გადავწვავ ამ სახლს და მოვისვენებთო. მოხუცი ამდენმა ნერვიულობამ შეიწირა. მისი დაკრძალვიდან ორი თვის შემდეგ დაიწყო ჩვენი წამება. ჩემი მეუღლე თითქმის ყოველ ღამე ერთსა და იმავე სიზმარს ხედავდა. მამამისი ეუბნებოდა: ჩემი სახლიც შენი იყოს და ჩემი ცოდვაც შენს თავზე აიღეო... წლისთავის მერე თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად. სიზმარი კი მაინც არ ეშვებოდა ჩემს ქმარს. არც ჩემი მაზლები ყოფილან კარგ დღეში. მამა მათაც ეცხადებოდა. ერთი პაპისეულ სოფელში დაბრუნდა ოჯახით, მეორე — მოსკოვში წავიდა საცხოვრებლად, მაგრამ თავი ვერც მათ იხსნეს უსიამოვნებებისაგან. ჩვენი ოჯახი ნელ-ნელა უკან-უკან მიდიოდა. ბოლოს, ყველანი შევიკრიბეთ იმ საბედისწერო სახლში მოსალაპარაკებლად, როგორ მოვქცეულიყავით. დედამთილმა ტირილით გვიამბო, რომ თურმე ჩემი ქმრის ბაბუას ობოლი ძმისწული მამაპაპისეულ სახლში გაუზრდია თავის შვილთან ერთად. დავაჟკაცებულებს სახლის გაყოფაზე დავა მოსვლიათ. ჩემს მამამთილს ბიძაშვილისათვის ხელი უკრავს. ის კიბეზე დაგორებულა და კეფა ქვაზე დაურტყამს. ერთ წელიწადში ტვინის სიმსივნე დამართნია და მომკვდარა.

სასწრაფოდ მოვძებნეთ იმ კაცის შთამომავლები — ერთადერთი ვაჟი დარჩენოდა. მისი ოჯახი საცოდავად ცხოვრობდა სარდაფში, ძლივს ირჩენდა თავს. მოვიყვანეთ და ჩვენი ორსართულიანი სახლი, როგორც მამამისის მემკვიდრეობა, ჩავაბარეთ.

მას შემდეგ ყველაფერი შეიცვალა — აღარც სიზმრები აწუხებს ჩემს ქმარსა და მაზლებს და ყველაფერში ხელიც მოგვემართა.

**ია ი**

# მანათობელი კაცი

ბატონი ზურაბ ბედია და მისი ძმა ლეუსტა მარტვილის რაიონის სოფელ სერგიეთში დაიბადნენ. ბატონ ზურაბს გამორჩეული ნიჭი არ ჰქონია, მაგრამ ლეუსტა ნიჭიერი რადიომოყვარული იყო.

...1999 წლის აგვისტოში ჩვეულებრივად ჩაქრა შუქი. მერე იმდენად სწრაფად აინთო, რომ რადიოგადამცემზე გადავიდა და ლეუსტა იქვე გარდაიცვალა. ბატონი ზურაბიც იმ დროს მარტვილში იყო, ოღონდ სოფელ მუხუჩში. როდესაც ძმის ამბავი მოუტანეს, გული წაუვიდა. გონს მოსულმა — ძმის საწოლში დამაწვინეთო, ითხოვა. მეორმოცე დღეს სიზმრად ძმა გამოეცხადა. ლეუსტა დაჟინებით უყურებდა, მერე უთხრა, — ოთახში რომ დიდი ნათურა გიკიდია და დერეფანში, — პატარა, ადგილი შეუცვალეო. ბატონი ზურაბი შელამებულზე მივიდა შინ. როდესაც ოთახში ნათურის მოხსნა დაიწყო, იგი აინთო. ეგონა, დენი მოვიდაო და ნათურას ხელი გაუშვა. მან ციმციმი შეწყვიტა, თუმცა როგორც კი შეეხო, ისევ აინთო. ბატონმა ზურაბმა კიდევ ერთხელ გასინჯა დენი და რომ დარწმუნდა, გათიშული იყო, ნათურა მოხსნა, მაგრამ ის ხელში ნათებას ისევ განაგრძობდა.

ზურაბ ბედია: — კინაღამ გავგიჟდი. ნევროპათოლოგთან წავედი, ისიც გაოგნდა, ხელში ანთებული ნათურა რომ დამინახა. თბილისში გამომგზავნა გამოსაკვლევად. ცნობილ ბიოლოგ რეზო ხომერიკთან მივედი. იგი ერთ დროს მოსკოვის კოსმოდრომზე კოსმონავტებს ბიოველს უმოწმებდა. ვერც ის მალავდა გაკვირვებას — ბევრი მაღალი ბიოველი მინახავს, მაგრამ ასეთი არაფერიო. ჩემი ბიოველი 320 ერთეულზე ავიდა. ნორმა კი 40-ია. მსოფლიოში არ არის შემთხვევა, რომ ადამიანი ხელით ნათურას ანთებდეს, თანაც 500-ვოლტიანს. ბატონმა რეზომ მითხრა, ასეთი ბიოველით შეგიძლია ადამიანებს უმკურნალოო. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ავად გახდა და ბიოთერაპევტ გია სულაქველიძესთან გამიშვა. სხვათა შორის, გია ვანგასთანაც მუშაობდა. ეს კაცი დამიდგა გვერდში. მითხრა, შენი ენერგიით მუჰამედ ალი დაინტერესდა — პარკინსონის დაავადება აქვს და აპირებს ამერიკაში მიგიწვიოს, რომ უმკურნალოო.

— მაგრამ პარკინსონი რომ არ იკურნება?

— ვიცი, მაგრამ არც ადამიანი ანთებს ნათურას ხელით. გულით მინდოდა მისი განკურნება, მაგრამ ჩემი ბიოენერგია მევე „შემეჯახა“ და... ინსულტი დამემართა. შეიძლებოდა ამის თავიდან აცილება, დროზე რომ მესწავლა ამ ენერგიის განმუხტვა. მაგრამ მე მინდოდა ყველაფერი ზუსტად ყოფილიყო შესწავლილი და მერე მემკურნალა ხალხისთვის. ამისთვის კი გერმანიაში უნდა წავსულიყავი — ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი მიშვებდა. ველარ მოვასწარი... უნდა გითხრათ, რომ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა გადაწყვიტა ბიოველის გამზომი საერთაშორისო ხელსაწყო შექმნას. ზოგადად ასეთი ხელსაწყო არ არსებობს — ყველას თავისი ხერხი გააჩნია ბიოველის გასაზომად. ტექნიკურ უნივერსიტეტში კი ყველასათვის მისაღებ ხელსაწყოს შექმნიან და მაქსიმუმად ჩემი ბიოველის 320 ერთეულს აიღებენ.

— ახლაც ამ ერთეულის ბიოველი გაქვთ?

— რასაკვირველია. ევროჯანდაცვის პრეზიდენტის დიპლომიც მივიღე. რამდენიმე რუსულმა ტელეარხმაც გადამიღო, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ახლა ვიცი, რომ ადამიანის შესაძლებლობა უსასრულოა...

— ოთახს თუ გაანათებს თქვენი ხელებით ანთებული ნათურა?

— ოთახს კი არა, უფრო დიდ სივრცეს ანათებს.

— ეს ალბათ ხელსაც გიშლით ცხოვრებაში...

— თავიდანვე რომ მცოდნოდა, როგორ განმემუხტა ეს ენერგია, შემიშლიდა კი არა, ბევრ სიკეთეს გავაკეთებდი. იგი სწორედ სიკეთის კეთებისთვის მომენიჭა, ნიშნად იმისა, რომ სიცოცხლე ხანმოკლეა და როგორც შეგიძლია, ადამიანებს უნდა დაეხმარო... ახლა კი სხვები მეხმარებიან და მათი მადლიერი ვარ. ექიმები მეუბნებიან, კარგად გახდები და ხელიც აგიმუშავდებაო. ეგებ მაშინ მაინც შევძლო მოულოდნელად მონიჭებული ძალის სხვისთვის სასიკეთოდ გამოყენება...

**ეთერ ერაძე**

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. შემოდგომა.

II. აბა, გამოიცანი:

1. — გ); 2. — დ); 3. — ბ); 4. — ბ); 5. — გ).

III. ფრაგმენტების თანმიმდევრობა ასეთია: ბ,ა,დ,გ.

# იაპონური სუდოკუს სენსაცია

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც გაჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ განმეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ, საშუალო და რთულ სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

**წინა კროსვორდის პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 3 | 1 | 5 | 2 | 7 | 4 | 6 |
| 5 | 2 | 1 | 6 | 7 | 4 | 9 | 3 | 8 |
| 7 | 6 | 4 | 8 | 3 | 9 | 2 | 1 | 5 |
| 9 | 4 | 8 | 5 | 2 | 3 | 1 | 6 | 7 |
| 1 | 3 | 6 | 9 | 8 | 7 | 4 | 5 | 2 |
| 2 | 7 | 5 | 4 | 1 | 6 | 3 | 8 | 9 |
| 3 | 5 | 9 | 2 | 6 | 1 | 8 | 7 | 4 |
| 4 | 8 | 7 | 3 | 9 | 5 | 6 | 2 | 1 |
| 6 | 1 | 2 | 7 | 4 | 8 | 5 | 9 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 3 | 6 | 9 | 1 | 7 | 2 | 8 |
| 8 | 9 | 1 | 7 | 5 | 2 | 3 | 6 | 4 |
| 6 | 7 | 2 | 3 | 8 | 4 | 1 | 9 | 5 |
| 9 | 1 | 6 | 8 | 4 | 7 | 2 | 5 | 3 |
| 2 | 3 | 8 | 5 | 1 | 9 | 6 | 4 | 7 |
| 7 | 4 | 5 | 2 | 3 | 6 | 9 | 8 | 1 |
| 3 | 2 | 7 | 4 | 6 | 5 | 8 | 1 | 9 |
| 1 | 8 | 4 | 9 | 2 | 3 | 5 | 7 | 6 |
| 5 | 6 | 9 | 1 | 7 | 8 | 4 | 3 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 5 | 9 | 4 | 8 | 2 | 6 | 3 | 7 |
| 8 | 2 | 6 | 3 | 1 | 7 | 4 | 5 | 9 |
| 7 | 3 | 4 | 9 | 6 | 5 | 8 | 1 | 2 |
| 4 | 6 | 2 | 5 | 3 | 9 | 7 | 8 | 1 |
| 9 | 8 | 5 | 1 | 7 | 4 | 2 | 6 | 3 |
| 3 | 7 | 1 | 6 | 2 | 8 | 9 | 4 | 5 |
| 2 | 4 | 7 | 8 | 5 | 3 | 1 | 9 | 6 |
| 6 | 9 | 3 | 7 | 4 | 1 | 5 | 2 | 8 |
| 5 | 1 | 8 | 2 | 9 | 6 | 3 | 7 | 4 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | 8 | 9 | | | 5 | 3 |
| 8 | | 9 | 5 | 1 | | | | 2 |
| 7 | 1 | 5 | | 2 | | | 9 | 6 |
| | 6 | | 9 | | 2 | 4 | 1 | |
| | 9 | 2 | 7 | | 1 | 3 | 6 | |
| | 8 | 3 | 6 | | 5 | | 2 | |
| 3 | 5 | | | 6 | | 2 | 7 | 4 |
| 2 | | | | 5 | 3 | 6 | | 9 |
| 9 | 4 | | | 7 | 8 | 5 | | |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | 6 | | 8 | | 9 |
| | | | 9 | 5 | 3 | 7 | | |
| 5 | 4 | 9 | | | | 3 | | |
| 3 | 2 | | 5 | | 4 | | 6 | |
| | 9 | | 1 | | 7 | | 8 | |
| | 1 | | 6 | | 8 | | 9 | 5 |
| | | 1 | | | | 9 | 4 | 8 |
| | | 3 | 2 | 4 | 5 | | | |
| 4 | | 6 | | 1 | | | | 2 |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | 6 | | 3 | | | 1 | |
| | | 5 | 1 | 4 | 7 | | | |
| | | 2 | | | | 9 | 4 | 7 |
| 7 | | | 2 | | | | 5 | 4 |
| 5 | | | 6 | | 3 | | | 1 |
| 3 | 1 | | | | 5 | | | 8 |
| 6 | 8 | 3 | | | | 1 | | |
| | | | 3 | 9 | 1 | 4 | | |
| | 4 | | | 6 | | 5 | 2 | |

# №37 (519) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**თემა №37(519) — თბილისის მერი**

**თქვენი აზრით, ვინ იქნებოდა თბილისის საუკეთესო მერი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

| № | თემა №37(519) | ქულა |
|---|---|---|
| 1 | გოგი თოფაძე | |
| 2 | სალომე ზურაბიშვილი | |
| 3 | გიგი უგულავა | |
| 4 | გოგა ხაინდრავა | |
| 5 | ბადრი პატარკაციშვილი | |
| 6 | ვანო ზოდელავა | |
| 7 | შალვა ნათელაშვილი | |
| 8 | კობა დავითაშვილი | |

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

## დამატებითი კითხვა

**გჯერათ თუ არა, რომ იგორ გიორგაძის მომხრეები სამხედრო გადატრიალებას გეგმავდნენ?**

| დიახ | არა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

## მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______

დაასახელეთ შედარებით სუსტი ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ. გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო, საშუალო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

**№37(519)** საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი **რაიონებში** განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ **ოთხშაბათის, 13 სექტემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 14 სექტემბრის 13 საათამდე.** ©თბილისი

## ყურადღება!

- საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგსა" და „მკითხველის პრემიაში".
- თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.
- რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.
- „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

# №36 (518) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 467 რესპონდენტი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 182-მა ქალმა და 278-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე გულწრფელი პოლიტიკოსი?"** ჩვენი მკითხველების აზრით, პოლიტიკოსთა შორის ყველაზე გულწრფელი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია. რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა (38%-მა) შეაფასა იგი მაქსიმალური ქულით. **5,66** საშუალო ქულით პრეზიდენტი პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზე კობა დავითაშვილია, რომელმაც სხვათა შორის, ყველაზე ნაკლები მინიმალური ქულა მიიღო. მკითხველს მაინცდამაინც არც სალომე ზურაბიშვილის და ლევან ბერძენიშვილის გულწრფელობაში ეპარება ეჭვი. რაც შეეხება დავით გამყრელიძეს, ელენე თევდორაძესა და შალვა ნათელაშვილს, რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი მათ არაგულწრფელ პოლიტიკოსებად მიიჩნევს.

საპრიზოს, ზუსტად, ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულია 42 წლის თბილისელი **მამუკა იაშვილი**. გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის, **100 ლარის** მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 13 სექტემბერს, 17 საათზე.




## გამოავლინეთ ნომრის საუკეთესო სტატია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში, ნომრის რომელი ჟურნალისტური ნამუშევარი **მოგეწონათ** და **არ მოგეწონათ** ყველაზე მეტად. საუკეთესოდ დასახელებულ ნაშრომს თქვენგან ემატება ერთი ქულა, ხოლო იმ ნაშრომს, რომელიც ყველაზე მეტად არ მოგეწონათ, შესაბამისად აკლდება ერთი ქულა. იმ მასალის ავტორს, რომელიც საბოლოოდ ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **30 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **25 ლარი**, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **20 ლარს**. გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

**წინა ნომრის** *მკითხველის პრემიის* **შედეგები ასეთია:**

1. **ვაჟა გავაშელი** — „დაკარგული დედის სამახსოვრო პორტრეტი" — 54 ქულა
2. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 33
3. **ლელა ჯიყაშვილი** — „მირაჟები და სინამდვილე" — 12
4. ციალა კახნიაშვილი — „ცხინვალის ქუჩებში ვხვდებით ერთმანეთს" — 8
5. მანანა ტუაევა — „მოყვასის სიყვარულში აღსრულებული" — 7

***მკითხველის პრემიის მფლობელები 297-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

**მიიღეთ მონაწილეობა «მკითხველის პრემიაში»! მხარი დაუჭირეთ თქვენს ფავორიტს!**

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: ТБИЛИСШИ — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

## (37) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№37 ქვითარი თბილისში „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 14 სექტემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

**მსოფლიოს რომელ ქვეყანაში უყვართ ქართველები ყველაზე მეტად?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | უკრაინა | 56,9% |
| 2. | ისრაელი | 22,8% |
| 3. | იტალია | 12,3% |
| 4. | ამერიკა | 11,2% |
| 5. | გერმანია | 10,7% |
| 6. | რუსეთი | 8,0% |
| 7. | საფრანგეთი | 7,1% |
| 8. | თურქეთი | 5,3% |

**შენიშვნა**: ვინაიდან მკითხველს შეეძლო დაესახელებინა 2 ქვეყანა, მიღებული ხმების ჯამი 100%-ს აღემატება.

***მკითხველის რეიტინგში 303 რესპონდენტი მონაწილეობდა***

## ცნობილთა აზრით:



**ვანიკო თარხნიშვილი**: — ალბათ პირველ ადგილზე მაინც რუსეთს დავასახელებ. მიუხედავად მძიმე და დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობისა, რუს ხალხს დღემდე შერჩა ჩვენი — ქართველების პატივისცემა და სიყვარული. ჩემი აზრით, რუსები დღესაც სიმპათიით არიან განწყობილი ქართველი ხალხისადმი. მეორე ადგილზე ალბათ უკრაინას დავასახელებ. ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა სოლიდარობამ უფრო მეტად დაგვაახლოვა. შესაბამისად, უკრაინელთა სიყვარული და სიმპათიაც მოვიპოვეთ.



**ლევან ლელაშვილი**: — ალბათ იაპონიაში, თუმცა ეს ხუმრობით. ვუყვარვართ ალბათ იქ და იმ ქვეყნებში, სადაც სიკეთე გვაქვს დათესილი. ვფიქრობ, რუსეთში უბრალო ხალხს და ინტელიგენციას, მიუხედავად მათი ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთი ნაწილის დამოკიდებულებისა საქართველოს მიმართ, მაინც მეგობრული და თბილი დამოკიდებულება შერჩათ ჩვენდამი. ქართველები ყველგან უყვარდათ, სადაც კი ვყოფილვართ 1990-95 წლამდე. შემდეგ საზღვრების გახსნამ და მასობრივმა ემიგრაციამ ჩვენ მიმართ დამოკიდებულებაც შეცვალა. ამდენად, რთულია ცალსახად იმის თქმა, ვის და რომელ ქვეყანას უყვარხარ ან პირიქით.



**ალანა გაგლოევა**: — მე ასე დავასახელებდი ამ ქვეყნებს: უკრაინა, ყაზახეთი, იტალია და გერმანია. არა მარტო პოლიტიკური მეგობრობისა და ინტერესების, არამედ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ხანგრძლივი და უკვე მყარი ურთიერთობის გამო. ქართველებს უკრაინაშიც, ყაზახეთშიც, იტალიაშიც და გერმანიაშიც კარგად იცნობენ, პატივს სცემენ და ამას არც მალავენ.

**მოგვწერეთ თქვენთვის სასურველი თემების შესახებ, რა საკითხებზე ისურვებდით გამოკითხვის ჩატარებას. რედაქცია შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს თქვენს სურვილებსა და წინადადებებს. ველით გამოხმაურებას. წინადადებები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") ყუთების საშუალებით.**

## მსოფლიო რეიტინგები

# ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ქალბატონები



სააგენტომ Люди ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ქალბატონების სია გამოაქვეყნა.

პირველ ადგილზე ჯულია რობერთსია, მისმა შემოსავალმა გასულ წელს $20 მლნ შეადგინა, ნიკოლ კიდმანი მეორეზეა და მისი შემოსავალი გასულ წელს $16-17 მილიონს შორის მერყეობდა.

რიზ უიზერსპუნი და დრიუ ბერიმორი მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფენ $15-15 მლნ-ით. ასევე თითქმის ერთნაირი შემოსავლები ჰქონდათ რენე ზელვეგერსა და ანჯელინა ჯოლის (10-დან 15 მლნ-მდე) და კამერონ დიასსა და ჯოდი ფოსტერს (10-დან 12 მლნ-მდე).

ათეულს 9 მილიონი დოლარით ჯენიფერ ენისტონი ასრულებს.

# ბრიტანელებმა ბოლო 50 წლის მანძილზე ყველაზე საყვარელი ალბომი აირჩიეს



ინგლისელებმა ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე ბრიტანეთის ჰიტ-პარადებში გამარჯვებულ ალბომებს შორის პირველი ადგილი მიანიჭეს „ბითლზის“ ალბომს Sgt. Peppers Lonely Hearts Club Band-ს (1967წ.). მეორე ადგილზე მაიკლ ჯექსონის Triler-ია (1984წ.). ათეულში შევიდა ასევე: „ფინქ ფლოიდის“ Wish You Were Here (1975წ.), ქუინის Night At The Opera (1975წ.).

ასეთია BBC-ის რადიოსადგურ „რადიო 2“-ის მიერ 220 ათასი მსმენელის გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვა ჩატარდა დიდ ბრიტანეთში ჩარტის პირველი ოფიციალური ალბომის გამოსვლიდან 50-ე წლისთავთან დაკავშირებით.

ალსანიშნავია, რომ რეიტინგის პირველ ათეულში „ლივერპულელი ოთხეულის“ ოთხი ალბომი აღმოჩნდა. ხოლო მეთერთმეტე ადგილი „ბითლზის“ კიდევ ერთმა ალბომმა 1965 წლის Rubber Soul-მა დაიკავა.

# ქვეყნები, რომელთა პარლამენტშიც ქალთა სიმრავლეა



სააგენტო РБК-Рейтинг-მა იმ ქვეყნების სია გამოაქვეყნა, რომელთა პარლამენტშიც ქალები სჭარბობენ.

ცივილიზებული ქვეყნების მთავრობაში სულ უფრო მეტი ქალი იკავებს საპასუხისმგებლო პოსტს. ისრაელის პარლამენტს არსებობის 58 წლის განმავლობაში პირველად ჩაუდგა სათავეში ქალი — მმართველი პარტიის წარმომადგენელი დალია იციკი. ქუვეითის ისტორიაში კი პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად პირველად დასახელდა 32 ქალი.

ქალთა სიმრავლით გამორჩეული ქვეყნების ათეული კი ასე გამოიყურება:

1. რუანდა 49%
2. შვედეთი 45%
3. დანია 38%
4. ფინეთი 38%
5. ნიდერლანდი 37%
6-7. კუბა 36%
6-7. ნორვეგია 36%
8-9. ბელგია 35%
8-9. კოსტა-რიკა 35%
10. ავსტრია 34%

# ტომ კრუზის ქალიშვილი საზოგადოებაში უფასოდ „გავიდა“



ტომ კრუზმა და კეტი ჰოლმსმა როგორც იქნა, მსოფლიოს გააცნეს თავიანთი ხუთი თვის ქალიშვილი. ფოტოებზე პატარას ცისფერი თვალები და მუქი თმა აქვს.

ოთხშაბათს, ამერიკულმა ჟურნალმა „Vanity Fair“-მა გამოაქვეყნა ექსკლუზიური ფოტოები სათაურით „ეს სურია, ჩვენი პატარა“ — სახეგაბრწყინებულ მშობლებს ხელში ბავშვი უჭირავთ.

ფოტოები 22 გვერდზეა დაბეჭდილი. რეპორტიორების აზრით, გოგონა დედას ჰგავს. სურათები გადაღებულია ივლისის ბოლოს, კოლორადოს შტატში.

ასე და ამგვარად, წერტილი დაესვა უამრავ ვარაუდსა და ჭორს, რომელიც მხოლოდ იმიტომ გავრცელდა, რომ მშობლები შვილთან ერთად თავშეყრის ადგილებში ერთხელაც არ გამოჩენილან. ზოგი ტაბლოიდი გოგონას არსებობასაც კი საეჭვოდ მიიჩნევდა.

ამაზე ჭორაობდა ამერიკის ინტერნეტი, ჟურნალები, გაზეთები. იმასაც კი წერდნენ, ბავშვი უცხოპლანეტელებმა გაიტაცესო. ცინიკოსები ამტკიცებდნენ, კეტი ფეხმძიმედ არც ყოფილა, ეს ხალხის ყურადღების მისაქცევად გათამაშებული სპექტაკლი იყოო.

ერთი ვერსიის თანახმად, ახალშობილის პირველი ფოტოები პრესაში იმიტომ არ გამოქვეყნდა, რომ მშობლები არ დააკმაყოფილა ფასმა (2,4 მლნ ევრო), რომელსაც გაზეთები სთავაზობდნენ.

„Vanity Fair“-ი წერს, ამ ჭორებმა „კეტის გული ატკინა“ და „ძალიან გააბრაზა“. როგორც ნებისმიერი დედ-მამა, ტომი და კეტიც „გიჟდებიან თავიანთ პატარაზე“.

ჟურნალის მფლობელები ამტკიცებენ, რომ ფოტოგრაფებმა სურის ფოტოები ჟურნალს უსასყიდლოდ გადასცეს. არც გარიგება შემდგარა ისე, როგორც ეს მოხდა ბრედ პიტისა და ანჯელინა ჯოლის ქალიშვილის, ბრანჯელინას ფოტოების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

ფოტოებს ახლავს კეტი ჰოლმსის ინტერვიუ — ის მკაცრად აკრიტიკებს ცნობისმოყვარე ბრბოს, რომლის ავადმყოფური ფანტაზია უსაზღვროა. „ეს ჩემი მომავალია. ეს ჩემი ოჯახია და მინდა მასზე ვიზრუნო. ტომიც მზრუნველი და კარგი მამაა. რატომღაც ყველა ჩვენს ცხოვრებაში იქექება, საიდან მოდის ასეთი ცნობისმოყვარეობა?“ — კითხულობს ტომ კრუზის რჩეული.

შეგახსნებთ, რომ კეტი ჰოლმსმა გოგონა 2006 წლის 18 აპრილს შვა.

# 8 წელი მანიაკის „კლანჭებში“

## ამქვეყნად იმიტომ ხომ არ მოვედი, რომ მთელი სიცოცხლე ტყვეობაში გამეტარებინა



ნატაშა კამპუში 10 წლის იყო, როცა მანიაკმა გაიტაცა. გოგონა 8 წელიწადს იყო ტყვედ. სასწაულით თავდახსნილმა ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა. ავსტრიის ტელეარხმა ORF-მ ეთერში გადასცა მისი 40-წუთიანი ინტერვიუ, რომელიც მილიონობით მაყურებელმა იხილა.

მთელი ეს ხანი ნატაშა გამტაცებლის, ვოლფგანგ პრიკლოპილის სახლის სარდაფში იყო გამოკეტილი. პრიკლოპილი ქ. შტრასჰოფში, ვენის ახლოს ცხოვრობდა. გოგონა გაქცევას ვერ ბედავდა, რადგან მოძალადე დაემუქრა, — თუ გაიპარები, მარტო შენიანებს და შენ კი არა, მთელ ქალაქს ამოვჟუჟავო.

23 აგვისტოს, როცა ნატაშა გაიქცა, პრიკლოპილმა თავი მოიკლა.

ციცქნა სარდაფში გამომწყვდეულ გოგონას, როცა მოძალადეს არ უჯერებდა, პრიკლოპილი რამდენიმე დღით სინათლეს უთიშავდა. ბავშვი კლაუსტროფობიით დაავადდა და სულ იმაზე ფიქრობდა, ამ მანიაკისგან თავი როგორ დაეხსნა. ეს მხოლოდ 8 წლის ტყვეობის შემდეგ მოახერხა. „დავიფიცე, როცა გავიზრდები და ღონეც მომემატება, აუცილებლად გავიქცევი-მეთქი, — თქვა ნატაშამ, — მიყვარს თავისუფლება, მაგრამ ჩემთვის სიკვდილი იქნებოდა ხსნა და ამ წამებიდან გამათავისუფლებდა. ის კი გამუდმებით ჩამჩიჩინებდა, — ჯერ მეზობლებს დავხოცავ და მერე თავს მოვიკლავო“.

პრიკლოპილმა დატყვევებიდან ორი წლის შემდეგ მისცა ნატაშას რადიოს მოსმენისა და ზოგიერთი გაზეთის კითხვის უფლება. თანაც ყოველთვის საგულდაგულოდ ამოწმებდა, რომ წაკითხული გაზეთების არშიებზე გოგონას არაფერი დაეწერა. პრიკლოპილი ნატაშასთან ერთად აღნიშნავდა შობას, აღდგომას და მის დაბადების დღეს, საჩუქრებსაც კი უძღვნიდა.

„საკუთარ თავს ვეკითხებოდი ხოლმე, ასეთი რამ რატომ დამემართა? მილიონობით ადამიანიდან მაინცდამაინც მე რატომ გამომარჩია-მეთქი. ამქვეყნად იმიტომ ხომ არ მოვედი, რომ მთელი სიცოცხლე ტყვეობაში გამეტარებინა. ეს უსამართლობა გულს მიკლავდა. თავს გალიაში გამომწყვდეულივით ვგრძნობდი და ვიყავი კიდეც გამომწყვდეული. მასზე ნუღარაფერს მკითხავთ, რადგანაც იგი მკვდარია და მიცვალებულის გალანძღვა არ მსიამოვნებს. ხშირად ვფიქრობდი მასზე ცუდად. ნაჯახი რომ მქონოდა, ნამდვილად თავს გავუპობდი“.

23 აგვისტოს პრიკლოპილმა გოგონას გარაჟში მდგარი BMW-ს მარკის მანქანის გარეცხვა უბრძანა. ამ დროს ვოლფგანგს მობილურზე დაურეკეს. ის წამით გარაჟიდან გავიდა, რათა მტვერსასრუტის ხმას ლაპარაკში ხელი არ შეეშალა. ნატაშამ ამით ისარგებლა...

ბოროტმოქმედის ცხოვრების დეტალები ბურუსით არის მოცული. ცნობილია, რომ პრიკლოპილს ძველი შენობების აღმდგენი ფირმა ჰქონდა. თავისი გატაცებებისთვის სახსრებს სად შოულობდა, ჯერჯერობით ცნობილი არ არის — მის გარაჟში ორი ახალთახალი ავტომობილი იდგა.

როგორც ცნობილი გახდა, პრიკლოპილი ამ ბოროტმოქმედებისთვის რამდენიმე წელიწადი ემზადებოდა. მიკროავტობუსი, რომლითაც ნატაშა გაიტაცა, ერთი წლით ადრე იყიდა. 2X3 მ-იანი ორმო გარაჟის ქვეშ, რომელშიც ნატაშა ჰყავდა გამომწყვდეული, დიდი ხნით ადრე ამოთხარა. ამ ადამიანს კარგად არავინ იცნობდა, როგორც ამბობენ, იყო თავაზიანი, მაგრამ გულჩათხრობილი.

დადასტურებულია, რომ პოლიცია გამტაცებლის სახლთან სულ ახლოს რამდენჯერმე იყო მისული, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა...

# ნიანგებზე მონადირე თევზმა იმსხვერპლა



საქორწინო მოგზაურობის დროს ქმარმა გადაწყვიტა, გოგონასათვის ის მშვენიერი ადგილები ეჩვენებინა, სადაც სიყმაწვილე გაატარა — ავსტრალიის ნიანგების ტბები. გასართობად კი ნიანგების დაჭერა შესთავაზა. მოგზაურობისას რომ არ მოსწყენოდათ, თან ნაცნობი რეჟისორი, ჯონ სტეინტონი წაიყვანეს, რომელიც ისე გაამხიარულა სტივის იდეამ, რომ დოკუმენტური ფილმის გადაღება გადაწყვიტა. მის მიერ გზადაგზა გადაღებული კადრები, მონტაჟის შემდეგ, ცნობილი ფილმის, „ნიანგებზე მონადირეების“ პირველ სერიად იქცა, რომელიც მაშინვე შეისყიდა დისქავერის ტელეარხმა. ფილმის მთავარი გმირი დაუდგრომელი სტივი იყო. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ სტივს აღიარებული „მონადირის“ სახელი ჰქონდა, მას კაციჭამია ნიანგიც კი არასოდეს მოუკლავს. ის მხოლოდ აკვირდებოდა მათ და დასახლებული პუნქტიდან შორეულ ტბებში გადაჰყავდა, რათა ხალხისთვის არაფერი დაეშავებინათ. „ნიანგებზე მონადირეებმა“ ირვინი საერთაშორისო ტელევარსკვლავად აქცია. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მას იწვევდნენ ისეთი ცნობილი ტელეწამყვანები, როგორებიც ლარი კინგი და ოფრა უინფრია. სწორედ ლარი კინგის შოუში გაამხილა სტივმა — ყველაზე მეტად თუთიყუშებისა მეშინია, რამდენჯერაც მივუახლოვდი, იმდენჯერ მეძგერნენ და დამკორტნესო.

ირვინისთვის ფილმში, „დოქტორი დულიტლი-2“, საკუთარი თავის განსახიერება შეუთავაზებიათ.

ბევრი მას გიჟს ეძახდა. აბა, გიჟის მეტი ვინ წაიყვანდა ცოლს თაფლობის თვეში ნიანგების დასაჭერად, ვინ გარისკავდა ჩვილი ბავშვით ხელში მტაცებელ რეპტილიებთან ერთად ცურვას? მიუხედავად ამისა, ხალხი უშიშარი ავსტრალიელის, ნატურალისტ სტივ ირვინის გადაღებულ არც ერთ ფილმს არ ტოვებდა უნახავს...

ის კი ჯიქურ განაგრძობდა მტაცებელ ცხოველებთან ურთიერთობას... მაგრამ განა ყოველთვის მოაქვს კოკას წყალი...

## ნორჩი ნატურალისტი

6 წლის სტივს პითონი აჩუქეს, რამაც ძალიან გაახარა. 9 წლისა დამოუკიდებლად უვლიდა კვინსლენდში, საოჯახო ნიანგების საშენში, ამ ვერაგ ქვეწარმავლებს. სკოლის დამთავრების შემდეგ მცირე ბიზნესი წამოიწყო: ავსტრალიელ ფერმერებს ნიანგებისა და სხვა ქვეწარმავლებისგან მათი მამულის უფასოდ გაწმენდას სთავაზობდა. იქიდან წამოყვანილ ნადავლს კი ოჯახის საშენს მატებდა. მალე მისი სანაშენე მეურნეობა „კვინსლენდის ავსტრალიურ ზოოპარკად“ იქცა.

29 წლისას მშობლებმა ზოოპარკი გადაულოცეს. ერთი წლის შემდეგ კი ზოოპარკის დამთვალიერებელთა შორის თავის საბედოს, ტერის შეხვდა.

## სახიფათო ჩვევები

მას შემდეგაც კი, რაც სტივმა მსოფლიოს დაუმტკიცა, მტაცებლებთან ურთიერთობა შესაძლებელიაო, ბევრს მაინც მიაჩნდა, რომ გადარეულ ავსტრალიელს ზედმეტი მოსდიოდა. პირველად სტივი მეტისმეტ გულარხეინობაში მაშინ დაადანაშაულეს, როცა ანტარქტიდის ბინადრების შესახებ გადაიღო ფილმი. ცხოველთა დამცველები გაალიზიანა სელაპებსა და პინგვინებს შორის მოსეირნე სტივმა — ფამილიარული მოფერებით ანტარქტიდის ფაუნის სიწმინდეს ლახავსო. მაგრამ როგორ უნდა აუხსნა, რა არის ფამილიარობა ისეთ ადამიანს, რომელიც ნიანგს კუდით მიათრევს? ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი მაყურებელი ირვინის მხარეზე იყო. მალე სტივმა თავისი ერთგული თაყვანისმცემლებიც კი გააღიზიანა — ზოოპარკში, ერთ-ერთი შოუს დროს, ნიანგებით სავსე აუზთან ჩვილი პირმშო გამოიყვანა. ხალხის გმინვის თანხლებით ცალი ხელით მწვანე მეგობრებს ქათმის ხორცით აპურებდა, მეორით კი თვალებგაფართოებული ბიჭუნა ეჭირა. ამის შემდეგ ადგილობრივ და მსოფლიო პრესაში პროტესტი გამოთქვეს როგორც ბავშვთა, ასევე ცხოველთა დამცავმა საზოგადოებებმა — სტივი უპასუხისმგებლოდ მოიქცა, მშობლის უფლების ჩამორთმევის ღირსიაო. ირვინს შინ პოლიციაც კი მიადგა. ეტყობა, უნდოდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ აბაზანაში ნიანგი და პატარა ბობი ერთად არ ჭყუმპალაობდნენ. რასაკვირველია, საშიში ვერაფერი ნახეს და უცნაურ ოჯახს თავი დაანებეს.

ცხოველების მოყვარულ სტივს ბედი სწყალობდა. ცოლთან და ორ შვილთან ერთად საკუთარ ზოოპარკს უვლიდა და სახიფათო ფილმებს იღებდა. მაგრამ საშიში სანახაობების პოპულარობა იმით არის განპირობებული, რომ მაყურებელი ქვეცნობიერად სულ იმას ელოდება, ბოლოს და ბოლოს, როდის შეეშლება მომთვინიერებელს. ხანდახან ეს მართლაც ხდება.

4 სექტემბერს, დილის 11 საათზე, სტივი აკვალანგით წყალში ჩავიდა ელექტრონული სკატების გადასაღებად. თავისი მორიგი ფილმისთვის, „ოკეანის საშიში არსებები“, მასალებს აგროვებდა. სტივი არაერთხელ ჩასულა სკატებთან — ეს მტაცებელი თევზი ადამიანისთვის დიდად საშიში არ არის. მაგრამ, ეტყობა, სტივი ძალიან გაუთამამდა სიკვდილს. თევზი მაშინ დაესხა თავს, როცა კაცი მის თავზე მიცურავდა. სკატმა ელექტრონული კუდი მოიქნია და მკერდში ჩასცხო სტივს.

ნატურალისტის გულმა მანამდე შეწყვიტა ფეთქვა, სანამ მისი ჯგუფის წევრები გონს მოვიდოდნენ...

# ერთ თვეში ამდენი გრანდი? — იღბალი არ გინდა?!

## ვეძებთ გოლკიპერს(!)



*გასულ კვირას საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ოთხდღიანი შესარჩევი ტურნე კიევში დაასრულა. ფრანგებთან მარცხის შემდეგ ცოტას თუ სჯეროდა, რომ ჩვენი გუნდი ფსიქოლოგიურ წნეხს გაუძლებდა და აღიარებულ ფავორიტ უკრაინასთან მინიმუმ იმავე ანგარიშით არ დამარცხდებოდა. საბედნიეროდ, პესიმისტური პროგნოზები არ გამართლდა და ნაკრებმა ღირსეულად იპაექრა მუნდიალის რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრილ უკრაინასთან, რომლის ოპტიმალურ შემადგენლობას თავად შევჩენკო მიუძღოდა გამარჯვებისკენ. ტოპმიოლერმა საფრანგეთთან წაგების შემდეგ საფუძვლიანად „დაამუშავა" ფეხბურთელები, ტაქტიკური გადაადგილებებიც მოახდინა და ბლოხინის სამწვრთნელო შტაბი გვარიანადაც აწერვიულა.*

*და თუ შედეგი ვერ მივიღეთ, არა უშავს. ნაკრები დაღვინების სტადიაშია და გერმანელ მწვრთნელსაც, ვფიქრობ, უკვე გამოკვეთილი ჰყავს ის ძირითადი ბირთვი, რომელმაც უახლოეს წლებში საკუთარ ზურგზე უნდა წამოიკიდოს გარდამავალი პერიოდის მთელი სიმძიმე. ეს ეტაპი აუცილებლად უნდა გავიაროთ, ამ ეტაპს ვერ გადავახტებით, ანუ 0:3-ის წაუგებლად ფრანგებს ვერასოდეს მოვუგებთ და კიევური შეცდომების გამოუსწორებლად ვერც უკრაინასთან ვეღირსებით თუნდაც ლოგიკურ ფრეს. მთავარია, ყოველი მომდევნო მატჩი წინაზე უკეთესი იყოს. მერე სტაბილურობაც მოვა, თავდაჯერებაც და ვისწავლით, როგორ მოვუგოთ გრანდებს...*

უკრაინაში წაგებას არ ვიმსახურებდით. ეს შემადგენლობის გამოცხადებისთანავე ცნობილი გახდა ფეხბურთში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანისთვის. ფრანგული ფიასკოს შემდეგ, ტოპმა, ერთის გარდა, სწორედ ის ფეხბურთელები შეცვალა, რომლებიც მის ტაქტიკურ მონახაზში ვერ ჩასხდნენ და არც საშემსრულებლო ოსტატობა ეყოთ ვირგლა „მამლების" წინააღმდეგ. ის ერთიც ჩვენი ნაკრების გოლკიპერი იყო. ეს მეტად დელიკატური თემაა, მაგრამ ჩვენი გუნდისთვის ყველაზე საბედისწერო ამპლუა, რამაც სამწუხაროდ წყალს გააყოლა ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების იმედი. ჩვენ პიროვნულად გრიგოლ ჭანტურიას საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს და არც მწვრთნელის კომპეტენციაში გვსურს ჩავერიოთ, მაგრამ აზრის გამოთქმის უფლებას ვიტოვებთ და ჩვენი სუბიექტური აზრი ასეთია: საქართველოს ნაკრებს ბოლო ორ შეხვედრაში ჰყავდა ისეთი კარის დარაჯი, რომელსაც არ ჰქონდა მეკარისთვის ყველაზე აუცილებელი თვისება — საიმედოობა(!). ფრანგებთან გაშვებულ გოლებზე არაფერს ვიტყვით, უკრაინასთან უფრო მობილიზებული, უფრო გამოცდილი გოლკიპერი სამიდან ერთ-ერთ გოლს მაინც აგვაცილებდა თავიდან. ეს უკვე, მინიმუმ, ერთი ქულა იქნებოდა ჩვენს აქტივში;

მეორე — როდესაც კალაძისა და ხიზანეიშვილის არყოფნით ისედაც შესუსტებული დაცვა ზურგს უკან „იმედს ვერ პოულობს", იმ დაცვის თამაში ვერასოდეს იქნება ზუსტი და დამაჯერებელი. განუწყვეტლივ იმაზე ნერვიულობა, რომ შეცდომის უფლება არ გაქვს, რადგან მეკარე ვერაფრით დაგაზღვევს, ძალიან რთულია და ამ ნერვიულობას უფრო ხშირი შეცდომები მოსდევს. გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: რაც შოვკოვსკიმ მოახერხა მატჩის ბოლო წუთზე, როცა მუჯირის ყუმბარისებური გასროლის შემდეგ ბურთი სასწაულად ჩამოხსნა „ცხრიანიდან", იმას შეძლებდა ჩვენი კარის დარაჯი? უკრაინელთა მეკარემ ამ თავგადაკლული „გაფრენით" სამი ქულა პირადად



ჩააგდო თავისი გუნდის „ყულაბაში".

არის ფეხბურთელების კატეგორია, რომლებსაც დრო სჭირდებათ ნიჭის გამოსავლენად. იქნებ ჭანტურიაც ასეთთა შორისაა, მაგრამ გვაქვს კი ასეთი ფუფუნებისთვის დრო? თუ გამოცდილების მიღებაზეა საქმე, არ სჯობია, გაფურჩქვნის ასაკში მყოფმა ლომაიამ მიიღოს ეს გამოცდილება, ვიდრე 30-ს გადაცილებულმა ჭანტურიამ? უარესად ხომ არც ლომაია ითამაშებდა (ეს ის ლომაიაა, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ ლონდონის „არსენალის" სელექციონერები აკვირდებოდნენ და რომელსაც ჭანტურიასგან განსხვავებით ნაკრების ბოლოდროინდელი მატჩები ევროპის წამყვან გუნდებთან უცვლელად აქვს ჩატარებული).

მესამე — თანამედროვე ფეხბურთში მეკარე ცენტრალური მცველის ფუნქციასაც ასრულებს. იგი თავისი საჯარიმოს უპირობო ბატონ-პატრონიც უნდა იყოს და უმეტეს შემთხვევაში მაღალ ბურთებზეც გამოდიოდეს „ხაზიდან". ასეთ დროს გოლკიპერს უზარმაზარი უპირატესობა აქვს, რადგან თუკი სწორად გათვალა ბურთის ტრაექტორია და მის დასაუფლებლად ჰაერში „აიწია", მასთან ნებისმიერი შეხებისას თავდამსხმელს აჯარიმებენ. არც საფრანგეთსა და არც უკრაინასთან არც ერთი ასეთი შემთხვევა არ ყოფილა(!). კიევში სამივე სტანდარტულებიდან გაგვიტანეს, გამოცდილი გოლკიპერი სამიდან ორში (ერთში მაინც) სწორედ მეკარეზე თავდასხმას „წამოიკიდებდა" და ამით დასრულდებოდა მეტოქის იერიშები...

რა თქმა უნდა, ამ მცირე შეფასებით არც ველოსიპედი გამოგვიგონია და არც ისეთი საფეხბურთო სიბრძნე გვითქვამს, რაც თუნდაც უბრალო გულშემატკივრისთვის არ იყოს ცნობილი. ვიმეორებთ, მწვრთნელის საქმეა, ვის ათამაშებს და ვის — არა, მაგრამ ის, რომ დღეს საქართველოს ნაკრებს მეკარე არ ჰყავს, ცხადზე უცხადესია!..

რომ ვთქვათ, სხვებმა ვარსკვლავები მოწყვიტეს და მხოლოდ მეკარის სუსტმა თამაშმა წაგვაგებინა მატჩიო, არ ვიქნებით მართალი. შეცდომები, რაღა თქმა უნდა იყო, თანაც თვალში საცემი, მაგრამ საერთო ჯამში საქართველოს ნაკრებმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. უმკაცრესი სათამაშო დისციპლინის წყალობით გუნდმა ბოლომდე უერთგულა მწვრთნელის ტაქტიკურ მონახაზს და ფიზიკურად ძლიერ მასპინძლებს არაფერი დაუთმო. პირველ გაშვებულ გოლამდე გატანის შანსიც გვქონდა, საპასუხო ბურთიც მალევე „მივართვით" უკრაინელებს და ერთი-ორჯერ შტურმიც მოვუწყვეთ. მაღალი ოსტატობის ნიმუში იყო ჩვენების პირველი გოლი. დაცვაში უშეცდომოდ და თავგანწირვით მოთამაშე ასათიანმა წინაც გაიწია და მშვენიერი გადაცემა გაუკეთა საჯარიმოს ხაზთან არველაძეს, რომელმაც მცველი დასწრებაზე ჩამოიცილა, მოტრიალდა და მარჯვენა ფეხით ისეთი აულებელი ბურთი დაუტრიალა შორეულ ძელთან შოვკოვსკის, რომ გოლკიპერს არანაირი შანსი აღარ დაუტოვა. რატომ გავამახვილეთ ყურადღება ცაცია შოთას მარჯვენაზე, იცით? მეორე ტაიმში ერთი 100%-იანი საგოლეც გვქონდა, როცა კობიაშვილმა ფილიგრანული გადაცემით მეკარესთან ერთი-ერთზე დატოვა მთელი მატჩის მანძილზე შესანიშნავად მოთამაშე კვირკველია. მარჯვენა ფეხის ერთი მოქნევა უნდოდა და უკრაინას ველარაფერი იხსნიდა, მაგრამ ცაცია კვირკველიამ ბურთის გაჩერება და მარცხენაზე გადმოტანა სცადა და ამასობაში უბურთოდ დატოვეს მცველებმა.

### იღბალი

კიევური მატჩისას ბევრჯერ დამცდა სინანულის ეს სიტყვა. ხდება ხოლმე, შეიძლება ყველაფერი კარგად გამოგივიდეს მინდორზე, მაგრამ ბურთი მრგვალია და ძალიან ხშირად მატჩის ბედს იღბალი წყვეტს. სულ ოთხჯერ დაგვირტყეს კარში უკრაინელებმა და ოთხიდან სამი გოლად აქციეს. ჩვენ ოთხჯერ ისეთი „გავმაზეთ", აცილება რომ შეუძლებელი იყო: მარტო დემეტრაძემ ორჯერ მილიმეტრებში ჩაუქროლა ბურთს, რომელიც ცარიელ კარში მიდიოდა. დამიზნება რას მიქვია, უბრალოდ შეხებოდა ბურთი, ნაღდი გოლები იყო. იღბალი არ გინდაო, იტყვიან ასეთ დროს. გვინდა რა, ძალიან გვინდა! ოთხი უეჭველი საგოლედან ერთი მაინც რომ შევარდეს, იმიტომ გვინდა; მეტოქის კარში დასანიშნ აშკარა პენალტზე ნამუსიანი მსაჯი რომ შეგვხვდეს, იმიტომ გვინდა; სასიცოცხლო მატჩების წინ ნაკრების კაპიტანი ზღვაზე დასვენებისას უცნაურ ვითარებაში რომ არ იმტვრეოდეს, იმიტომაც გვინდა; საკუთარი მეკარისაგან შეშინებული გუნდის ლიდერი თავის კარში რომ არ ჭრიდეს უბრალო ბურთებს, იმიტომაც გვინდა და საერთოდ, მოგებული თამაშები რომ არ წავაგოთ, ღირსეული გარჯა რომ წყალში არ ჩაგვეყაროს, იმიტომაც გვინდა იღბალი(ც)!..

P.S. 11 ოქტომბერს ფრანგებისგან გამწარებული იტალია გვესტუმრება. ის იტალია, რომელმაც პირველ მატჩში ლიტვას ვერ მოუგო საკუთარ კედლებში. ოთხი დღით ადრე, 7 ოქტომბერს, გერმანელებს უნდა „ვესპარინგოთ" ამხანაგურად. ეს „დაუგეგმავი" მატჩი ტოპმიოლერმა „გაჩარხა". რა საიდუმლო ჩადო გამოცდილმა მწვრთნელმა იტალიელებთან უმძიმესი პაექრობის წინ ასეთ მეტოქესთან მატჩის „მოკვარახჭინებაში", მას უკეთ მოეხსენება.

ტოპი სწორედ ძლიერებთან ბრძოლას აჩვევს თავის შეგირდებს, ტოლ-სწორად ბრძოლას, სადაც შედეგზე უფრო მთავარი ის არის, რამდენად მალე ავითვისებთ გრანდებისთვის დამახასიათებელ პროფესიონალიზმს...

საფრანგეთი, გერმანია, იტალია...

ერთ თვეში ამდენი გრანდი?..

იღბალი არ გინდა?!

გვინდა, ძალიან გვინდა! იქნებ სწორედ ეს არის ჩვენი იღბალიც! ჰოდა, ჰა ბურთი და ჰა მოედანი!...

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10% - დან 30% - მდე

აირჩიეთ ორი ნომერი და დაარეგისტრირეთ "საქართველოს ტელეკომში"
ერთი ნომერი - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქ. თბილისის ტელეფონი)
მეორე ნომერი - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისათვის:
დარეკეთ ტელეფონზე - 442020 (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით "საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია!!! ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ 8-10 -ით

www.telecom.ge

# „ჩვენი მოსაგები ჩვენ უნდა მოვიგოთ“

*ქართული კალათბურთი ევროპული ელიტისკენ მიმავალ გზაზე ჯერჯერობით შეუფერხებლად მიიწევს. თუკი შარშან უმაღლეს დივიზიონში აღზევება გადაულახავ ბარიერად გვექცა და ჩვენი კუთვნილი ვიპ-ადგილი უსახურ მაკედონიას ლანგრით მივართვით, წელს ასეთი ფუფუნების უფლება აღარ გაგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში, გუნდს, რომელსაც თავის რიგებში NBA-ს რეგულარულ ჩემპიონატებში გამობრძმედილი მოთამაშეები ჰყავს, ნამდვილად ყველა წინა პირობა აქვს საიმისოდ, რომ გრანდებში გაერიოს. შარშანდელთან შედარებით, კანადელი სპეციალისტის, გორდონ ჰერბერტის ხელმძღვანელობით დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრების წამყვან მოთამაშეებს აღარც ტრავმები აწუხებთ და აღარც შეუთამაშებლობის სენი ტანჯავთ. პირიქით, თუ წინათ აქცენტი უმთავრესად ერთი-ორი კალათბურთელის ინდივიდუალურ ოსტატობაზე კეთდებოდა, ახლა საქართველო ერთი გუნდია — თანაბრად დაბალანსებული რგოლებით და რაც ყველაზე სასიამოვნოა, გრძელი სათადარიგოთა სკამით.*

წლევანდელი შესარჩევი ციკლის სამი მატჩი უკვე მოვიგეთ. ლუქსემბურგს 42 ქულით გადავურბინეთ, ავსტრია სტუმრად ხუთი ქულის სხვაობით ვძლიეთ, გასულ შაბათს კი ისლანდიის ნაკრები „შემოგვეხარჯა ხელში“ — 80:65.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მეტოქე დასაფასებელია და გამარჯვება ნებისმიერ მათგანთან სასიამოვნო, ჩვენი ნაკრების ჭეშმარიტი ძალის საზომად არც ერთი გუნდი, რომელმაც ჩვენთან ბრძოლაში ფარ-ხმალი დაყარა, არ გამოდგება. მთავარი ფინეთია, რომელმაც შარშან გვარიანად გაგვამწარა და სწორედ მათთან პაექრობაში უნდა გამოჩნდეს, რამდენად საფუძვლიანი ამბიციები გვაქვს ელიტაში ალსაზევებლად.

ლუქსემბურგი ქართველებმა დებიუტშივე მოახრჩვეს და სვენებსვენებით მოუღეს ბოლო. უსიამოვნო ამ მატჩში ის იყო, რომ დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ზაზა ფაჩულიამ სტუმართა ზორბა ცენტრს ჯონსს თავში ხელი წამოუტყაპუნა, რომელმაც ეს კოლეგიალური ჟესტი დამცირებად მიიღო და საჩხუბრად გაიწია. ჩხუბი ეგრე არ უნდაო და, ყოყოჩა ლუქსემბურგელს თითო პუკი ცქიტიშვილნაცვლიშვილის დუეტისგანაც მოხვდა. მატჩის არბიტრმა ინციდენტის მოთავენი მოედნიდან გააძევა და მათთვის ვერდიქტის გამოტანა ფიბას მიანდო. კიდევ შეხვედრის კომისარმა დაგვინდო და ევროპული კალათბურთის მთავარ ინსტანციაში ლოიალური პატაკი წარადგინა. წარმოიდგინეთ, დისკვალიფიკაციის გამო ფაჩულია რომ არ გვყოლოდა ავსტრიაში, ის ფაჩულია, რომელმაც ლამის მარტომ ამოქაჩა 19-ქულიანი ჩამორჩენა ცივსისხლიან მასპინძლებთან და სირცხვილს გადაგვარჩინა...

ეს ავსტრია რა ყოფილა, — პირველი მატჩი ფინელებთან 37 ქულით წააგო და მაინცდამაინც საქართველოსთან მოუნდა რეაბილიტაცია. ავსტრიელთა ზეწოლა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ქართველები პირველ ნახევარში საერთოდ ჩაიკარგნენ მოედანზე. გამთამაშებლები ფარიდან ბურთის მოხსნას ცდილობდნენ, მეფარეები დრიბლიორობას და საბოლოოდ, სრული დომხალი გამოგვდიოდა. ჰერბერტმა ხან შემადგენლობა შეცვალა, ხან ტაიმაუტები მოითხოვა, მაგრამ „მოჯადოებული“ შეგირდები აზრზე ვერაფრით მოიყვანა. შესვენებამ სულზე მოგვისწრო. არ ვიცი, რა მოხდა გასახდელში, რით დაანამუსა ან რა სასწაული მოიმოქმედა მწვრთნელმა, მაგრამ მეორე ტაიმში ქართველები მგლებივით ეტაკნენ მოულოდნელი წარმატებით თავადაც გაკვირვებულ მასპინძლებს და ისეთი მარწუხები შემოუჭირეს ყოველი მხრიდან, საიდანაც უფრო ძლიერ გუნდს გაუჭირდებოდა თავის დაღწევა. სწორედ აქ გამოჩნდა ფაჩულიას ძალა. ნაკრების ლიდერმა თამაში თავის თავზე აიღო და არც თავის და არც მეტოქის ფარზე აღარავინ გააჭაჭანა. ერთი-ორჯერ, ყველაზე გადამწყვეტ წუთებში, ზაზამ მინითათბირიც მოაწყო მოედანზე (რომლის შემხედვარე ჰერბერტს თვალები გაოცებისგან კეფაზე დაასხდა!). ყოველი ასეთი „სხოდკის“ შემდეგ ქართველები ახალი ენერგიით ძალმოცემულნი გუდავდნენ ავსტრიელებს და როდესაც ბოლო მეოთხედში ფაჩულიამ წინ გაიყვანა ჩვენი გუნდი, ცხადი გახდა, რომ გამარჯვება ჩვენ გვრჩებოდა. საბოლოოდ 68:63.






ისლანდიასთან მატჩის წინ ჰერბერტმა სასწრაფოდ პრესკონფერენცია მოაწყო, შეცდომებიც აღიარა და როგორც ჩანს, სწორი დასკვნებიც გამოიტანა. ისლანდია, როცა ჩვენ ავსტრიას ვეთამაშებოდით, ჩვენი ჯგუფის მეორე ფავორიტს, ფინეთს, მთელი მატჩის მანძილზე 10-15 ქულის სხვაობით ამარცხებდა და მხოლოდ ბოლო წუთებში დათმო შეხვედრა. როგორც ჩანს, ქართველებმა ყოველივე ეს გაითვალისწინეს და სკანდინავიელებს მეთოდურად მოუთავეს ხელი ისე, რომ იმედის ნატამალიც კი არ მიუციათ სტუმართათვის. პირველ ნახევარში, ასე თუ ისე, კიდევ გვიძალიანდებოდნენ ისლანდიელები, მაგრამ მას შემდეგ, რაც მატჩის სანახავად მოსულმა, მანამდე ლოჟაში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა „პატრიოტების“ ტრიბუნაზე აინაცვლა და თინეიჯერებთან ერთად სპორტის სასახლის პუბლიკა „ცოცხალ ტალღებში“ აიყოლია, ჩვენმა კალათბურთელებმა სულ აიწყვიტეს და მთელი შვიდი წუთის მანძილზე ქულა რაა, ისიც არ ჩააგდებინეს მეტოქეს.

ის კი არა, მესამე მეოთხედის მიწურულს ვახტანგ ნაცვლიშვილმა საკუთარი მოედნიდან პირდაპირ მეტოქის კალათში ჩასვა ბურთი და ფეხზე წამოშალა მთელი დარბაზი. ცოტა ხანში ბოისამ „გადაატენა“ ბურთი თავზე 215-სანტიმეტრიან ისლანდიელს და ჰაეროვანი ჟესტით სამადლობელი გაუგზავნა პრეზიდენტისა და თინეიჯერების გუნდს, რამაც სააკაშვილის აპლოდისმენტები დაიმსახურა. ვილაცა აღფრთოვანდა, ვილაცამ ტაში დაუკრა, ვილაცას კი არ მოეწონა ქვეყნის მეთაურის „ბალელშჩიკობა“. ასეა, ზოგს ბრეჟნევი ახსოვს, მოსკოვის ოლიმპიადის გახსნაზე რეფერენტის შედგენილ ტექსტში ოლიმპიური რგოლები ასოები რომ ეგონა და ხუთჯერ „ო“ წაიკითხა, ზოგსაც პრეზიდენტი შირაკი, 1998 წელს, მუნდიალზე გამარჯვების შემდეგ, სამთავრობო ლოჟაში რომ ვეღარ გაჩერდა და საფრანგეთის ნაკრების საფირმო შარფით ახლომდებარე ტრიბუნები ბავშვივით აფოფინებულმა მოირბინა. მე თუ მკითხავთ, ცუდი არაფერია იმაში, თუ უპალსტუხოდ, „მაიჩნი საროჩკაში“ გამოწყობილი პრეზიდენტი ტრიბუნაზე ავა და ისე უგულშემატკივრებს თავისი ქვეყნის გუნდს, როგორც რიგითი ქომაგი. აბა, ის არის კარგი, ზოგიერთი ჩინოვნიკი სტადიონზე მხოლოდ იმიტომ მიდის, რომ „ტაბელი გადააბრუნოს“ ან ქვეყნის პირველ პირს თვალში მოხვდეს, — აქაოდა, ყველგან და ყველაფერში შენ გვერდით ვარო?!

P.S. 13 სექტემბერს ფინეთი გველოდება. რითი გვჯობნიან სკანდინავიელები? კალათბურთში ვერაფრით, სხვა კომპონენტები ამ შემთხვევაში ნაკლებად გვაინტერესებს. რევანშიც ასალები გვაქვს შარშანდელი მარცხისთვის, მთელი საქართველოც პირველი პირიდან რიგით მოქალაქემდე ნაკრების წარმატებას ელოდება. თუ ელიტაში ალზევება გვინდა, სხვა გზა არც გვაქვს, ყველას უნდა მოვუგოთ, შინაც და გარეთაც...

ძნელია, მაგრამ უნდა შევძლოთ. დათა თუთაშხიასი არ იყოს, ქართველობა საერთოდ ძნელია, ბატონებო!..

იოლი ის არის, უკრაინასთან ჩვენი საფეხბურთო მატჩის წინ რომ „გვაბოლებდა“ ზოგიერთი უგზო-უკვლოდ განათლებული „ბალელშჩიკი“, — მიშამ და იუშჩენკომ მოილაპარაკეს და „ნიჩია“ უნდა გააგორონო!..

„გრამოფონშია“ ეგ „ნიჩიები“ და გარიგებები...

ჩვენი მოსაგები, ფინეთთან იქნება თუ იტალიასთან, ჩვენ უნდა მოვიგოთ!..

***რუბრიკა მოამზადა ზვიად სეხნიაშვილმა***





# თმის გადანერგვის კლინიკა
## „ჰეალაინ ინტერნეიშნლ“
*ხელმძღვანელი პროფ. თამაზ თამაზაშვილი*



- უახლესი ატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები
- უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
- თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
- კონფიდენციალობა, გარანტირებული შედეგები
- შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრამვისა და დამწვრობის შემდეგ
- თმა ბუნებრივად იზრდება, აღარასდროს ცვივა და იჭრება ჩვეულებრივად
- ფასი იაფი და ხელმისაწვდომი

HAIRLINE International

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში

ქავთარაძის 16 (სამკერვალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62



www.hairline.ge

## შპს „ვერონა“
მის: წერეთლის გამზ. 142 (საქნავთობპროდუქტის შენობა. სანაპიროს მხრიდან).
II სართ. ოფ. 55 ტელ/ფაქსი: 34-17-58; 34-22-64 E-mail: veronaltd@yahoo.com

## შევისყიდით შემდეგი სახის საქონელს

| | | | |
|---|---|---|---|
| ბალვანკა უჟანგავი Ф-170-180 | 2მ. | სამკაპა (ტრაინიკი) 32 | 40ც. |
| | | ბიტუმი 60/70 | 500ტ. |
| რელსი Р-50 | 400ტ. | საჭრელი დაზგა არმატურის | 3ც. |
| ზედი | 150ტ. | | |
| ქვედი | 150ტ. | ამწე ПИОНЕР 3-4 სართულიანი | 1ც. |
| კასტილი (ომბოხი) | 150ტ. | | |
| მილი Ф-159 | 3კმ. | ამწე კრანი ЗИЛ-ის ბაზაზე | 1ც. |
| მილი უჟანგავი Ф-89X4 | 15მ. | | |
| მილი უჟანგავი Ф-50X3 | 20მ. | ამწე მუხლუხა РДК 25т | შეკვ. |
| მილი უჟანგავი Ф-32X2 | 20მ. | ტუმბო ЭЦВ 10 100/65 | 1ც. |
| მილი უჟანგავი Ф-57X3 | 50მ. | ტრანსფორმატორი КТП-400/10 | 1ც. |
| მილი უჟანგავი Ф-32X3 | 70მ. | | |
| სპილენძის ფურცელი 6мм | 1ც. | ტრანსფორმატორი КТП-40/10 | 4ც. |
| კაკლის მორები | შეკვ. | | |
| სარინი (ოტვოდი) Ф89мм | 22ც. | ტრანსფორმატორი КТП-60/10 | 1ც. |
| სარინი (ოტვოდი) Ф57мм | 70ც. | | |
| სარინი (ოტვოდი) Ф50мм | 20ც. | კომპრესორი საგზაო გერმანული ორ საბურავზე | 1ც. |
| სარინი (ოტვოდი) Ф32мм | 110ც. | | |
| სამკაპა (ტრაინიკი) 89 | 5ც. | | |
| სამკაპა (ტრაინიკი) 57 | 25ც. | კროშკა პოლიეთილენის, მაღალი წნევის | 500ტ. |
| სამკაპა (ტრაინიკი) 50 | 5ც. | | |

## ფოტო განწყობისთვის



– ცოტა ხანს თვალს მოვატყუებ...



**თარაზულად:** 5. სახელმწიფო აფრიკაში; 6. ავღანეთის ფულის ერთეული; 7. სამურაბე ლამბაქი; 10. სისხლნაკლებობა; 13. რისამე კომიკურად, სასაცილოდ გამოხატვა; 14. პოლონელი კომპოზიტორი; 15. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 17. დანაშაულის განმეორებითი ჩადენა; 18. ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე; 19. ზღვის პატარა ყურე; 20. დიდი ზომის აფრიკული მაიმუნი; 23. ჩანთა ნანადირევისათვის; 26. უზარმაზარი ქანდაკება; 27. ერთგვარი საყურე; 32. დასახლებული პუნქტი; 33. დენის ძალის საზომი ერთეული; 34. ზნეობა; 35. გარკვეული ხასიათის როლები, რომელიც შეეფერება ამა თუ იმ მსახიობის სასცენო მონაცემებს.

**შვეულად:** 1. რძის ნაწარმი; 2. ინდოელ ქალთა სამოსი; 3. ჭრილობა; 4. ცელქი, მოუსვენარი; 8. მუსიკოს ზაზა კორინთელის მეტსახელი; 9. ფეხის ნაწილი; 11. ბოსტნეული; 12. მტაცებელი ცხოველი; 16. ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი წელში გამოყვანილი სამოსი; 17. ამერიკელი კინომსახიობი ქალი; 21. ცხენის ჩლიქზე ასაკრავი რკინა; 22. ფრანგი ფილოსოფოსი; 24. ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში; 25. ბერძნული ანბანის პირველი ასო; 28. პატარა ქვევრი; 29. ბამბის თხელი სახეებიანი ქსოვილი; 30. დეკორატიული ჭურჭელი; 31. გათხოვილი ქალისადმი მიმართვა გერმანიაში.




## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

**თარაზულად:** 4. ქაფჩა; 10. ნიადაგი; 11. გარგარი; 12. ალიანსი; 13. სეინერი; 14. არილი; 15. ანაფორა; 17. ბაიდარა; 18. ვიშნუ; 20. ფლიდი; 21. ცემენტი; 24. ასპინძა; 28. მარკა; 31. მანაგუა; 32. ტრიუმფი; 33. ლატარია; 34. ლამარკი; 35. ოტავა.

**შვეულად:** 1. ანტალია; 2. პალიტრა; 3. ზარნაშო; 4. ქიმია; 5. ფშავი; 6. აგასი; 7. არბიტრი; 8. კათედრა; 9. პიპინია; 16. ავტოგრაფი; 17. ბუტაფორია; 19. შედევრი; 21. ცთომილი; 22. მაგნატი; 23. ნიაგარა; 25. პოდიუმი; 26. ნიამორი; 27. აქტინია; 28. მარაო; 29. რუმბა; 30. ატილა.

14/IX
უკანასკნელი მეოთხედი

16/IX
მაგნიტური დღე

„კვირის პალიტრის"
**რედაქცია**
სათანამშრომლოდ
**იწვევს** საქართველოს
სხვადასხვა
კუთხეში მცხოვრებ
პროფესიონალ
**ჟურნალისტებს.**

გთხოვთ
გამოგვეხმაუროთ
(ტელ.: 899 90-31-38)

ან მობრძანდეთ რედაქციაში
ოთხშაბათს, 15-დან 17 საათამდე.




## თქვენი მოგება თქვენს ხელთაა!

### თამაშის წესები!

ბილეთზე მოცემულია 10 საფეხური ორ-ორი უჯრედით.
<u>თამაში იწყება პირველი საფეხურიდან და იხსნება თანმიმდევრობით (1,2,3,....10).</u>
მოთამაშეს უფლება აქვს გადაფხიკოს ყოველი საფეხურის მხოლოდ ერთი უჯრა (მარჯვენა ან მარცხენა). თუ დამცავი ფენის ქვეშ დაბეჭდილი სამკუთხედების კომბინაცია წამგებიანია, თამაში წაგებულია და დამთავრებულია. თუ დამცავი ფენის ქვეშ დაბეჭდილი სამკუთხედების კომბინაცია მომგებიანია, მოთამაშემ მოიგო. მოთამაშეს შეუძლია შეწყვიტოს თამაში და აიღოს მოგებული თანხა ან გააგრძელოს თამაში. ამისათვის საჭიროა გახსნას შემდეგი საფეხურის ერთ-ერთი უჯრედი. თუ სამკუთხედების კომბინაცია წამგებიანია, მოთამაშე აგებს ადრე მოგებულ თანხასაც. ამით თამაში დამთავრებულია. თუ სამკუთხედების კომბინაცია მომგებიანია, მოთამაშე აგრძელებს თამაშს.

I საფეხურზე მოგება შეადგენს 1 ლარს;
II საფეხურზე 2 ლარს;
III საფეხურზე 4 ლარს;
IV საფეხურზე 8 ლარს;
V საფეხურზე 16 ლარს;
VI საფეხურზე 32 ლარს;
VII საფეხურზე 64 ლარს;
VIII საფეხურზე 128 ლარს;
IX საფეხურზე 256 ლარს;
X საფეხურზე 512 ლარს;

გისურვებთ წარმატებებს!


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: იოსებიძის ქ. №49
ტელ.: რედაქცია: 389-888
რეკლამა: 377-807, ფაქსი: 389 888
news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge
სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა"
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".